

იგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პლასიდური ფილოლოგის, ბიზანტინისტიკისა და ევროპეულისტიკის  
ინსტიტუტი

მაია შუხოშვილი

პლატონის „სოფისტი“ (ფილოლოგიური ანალიზი)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია

თბილისი

2011

<b>შესავალი</b>	6
<b>თავი I. პლატონის „სოფისტის“ შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა</b>	9
<b>თავი II. სოფისტიკის რაობა და სოფისტთა მოძრაობის არსებითი მახასიათებლები</b>	13
<b>ტერმინ „სოფისტის“ მნიშვნელობა</b>	13
<b>სოფისტთა მოძრაობა როგორც სოციალური მოვლენა</b>	14
<b>სოფისტები</b>	15
<b>სოფისტური სუბიექტივიზმი და რელატივიზმი</b>	16
<b>სოფისტთა პოლიტიკური მოღვაწეობა და სამართლისა და კანონის მათეული აღქმა</b>	18
<b>ადგრდის საკითხი სოფისტებთან</b>	21
<b>რიტორიკა</b>	23
<b>სოფისტური ერისტიკა და ანტილოგიკა</b>	24
<b>სოფისტები და სოკრატე</b>	25
<b>სოფისტიკის მნიშვნელობა</b>	26
<b>თავი III. დიალოგის ჟანრი და დიალექტიკური მეთოდი</b>	28
<b>დიალოგი</b>	28
<b>დიალოგის ჟანრის პროტოემატიკა და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა</b>	29
<b>დიალოგი და მონოლოგი</b>	30
<b>შინაგანი დიალოგი</b>	31
<b>დიალოგის სტრუქტურა</b>	32

დიალოგის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში -----	33
დიალოგის კავშირი აზროვნებასა და ლოგიკასთან -----	33
ლოგიკა და რიტორიკა ფილოსოფიურ დიალოგში -----	34
დიალოგი ფილოსოფიასა და ლიტერატურაში -----	36
ჟანრის შერჩევა პლატონის მიერ -----	38
პლატონის არგუმენტები და დიალოგის ფორმა -----	41
პლატონი დიალოგის შესახებ -----	45
პლატონის დიალოგების ფორმა და ძირითადი მახასიათებლები -----	48
დიალოგის ჟანრის შემდგომი განვითარება -----	51
დიალოგი და დიალექტიკა -----	51
“სოფისტის” ლიტერატურული ფორმისა და დიალექტიკური მეთოდისათვის -----	55
<b>თავი IV. პლატონის “სოფისტის” სტრუქტურა და სიუჟეტის ფილოსოფიური მსჯელობის განვითარება -----</b>	60
დიალოგის მთავარი მოქმედი პირები და მათი შეპირისპირებითი დახასიათება -----	60
საუბრის დაწყება. კვლევის მეთოდის შერჩევა -----	62
ნადირობა სოფისტზე. ნიმუში (παράδειγμα) როგორც კვლევის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი -----	69
დაყოფის (διαιρεσις) მეთოდი -----	74
სოფისტის პირველადი დეფინიციები -----	77
სოფისტი როგორც ანტილოგიკოსი (αντιλογικός) -----	83

არსებული და არარსებული	85
არსის თეორიების კრიტიკა	87
არსებული, მოძრაობა და უძრაობა	90
დიალექტიკის ხელოვნება სოფისტიკასთან შეპირისპირებით	91
უმაღლეს გვართა ზიარება	92
ფილოსოფოსისა და სოფისტის გამიჯვნის კიდევ ერთი ცდა	93
არარსებული და ტყუილი აზროვნებასა და მსჯელობაში	94
სოფისტის საბოლოო დეფინიცია	95
დიალოგ „სოფისტის“ სტრუქტურა	97
დიალოგ „სოფისტთან“ დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი	97
„სოფისტის“ დრამატული ბუნება	101
თავი V. „სოფისტის“ კომპოზიციური ორგანიზაციისთვის	104
თავი VI. პლატონის „სოფისტის“ ტერმინოლოგია	117
ონტოლოგიური ტერმინოლოგია	117
გამოსახულებათა შექმნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები ---	121
საუბართან, მსჯელობასა და აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები -	125
ადამიანის საქმიანობასა და მოდვაწეობასთან დაკავშირებული ტერმინები ---	133
ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები	136
სულის მანკიერებებთან დაკავშირებული ტერმინები	137
თავი VII. „სოფისტი“ როგორც მხატვრული ნაწარმოები	139

გპითეტები, შედარებები, მეტაფორები	139
პლატონის ბგერწერის თავისებურებანი	143
მოკლე პასუხები	145
<b>დასკვნა</b>	148
ლიტერატურა	151
პლატონის სოფისტი (თარგმანი ძველი ბერძნულიდან ქართულად)	158
<b>კომენტარები</b>	235

## შმსაგალი

პლატონის დიალოგები, საყოველთაო აღიარებით, დასავლეთის ფილოსოფიური ტრადიციის სათავეა. ამ დიალოგებს ფილოსოფიური მწერლობის ყველაზე ადრეულ სრულ კოდექსადაც მოიხსენიებენ, რომელმაც ჩვენამდე სრული სახით მოაღწია (133, 1). პლატონის შემოქმედება აქტუალურია ყველა დროში.

პლატონის ფილოსოფიის კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ძირითადი მიზანი და მისწრაფება ბერძნების ცხოვრების ძირეული გარდაქმნა, შეიძლება ითქვას, თავისი ეპოქის ზნეობრივი რეფორმაცია იყო. როგორც უ. გათრი აღნიშნავს, პლატონს ორი მოტივი ამოძრავებდა: მას სურდა გაეგრძელებინა სოკრატეს დაწყებული საქმე, განემტკიცებინა მისი მოძღვრება და, იმავდროულად, „დაეცვა ქალაქ-სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ერთეულის იდეა” (24, 96). პლატონის ეპოქაში კი ეს მიზანი აუცილებლობით სოფისტების პოზიციასთან დაპირისპირებას გულისხმობდა.

ამდენად, პლატონის შემოქმედება მთლიანობაში, მისი ფილოსოფია, თითოეული დებულება, სოფისტების კრიტიკის, მათი ზნეობრივი რელატივიზმის უარყოფის პროცესში ყალიბდებოდა და სწორედ ამ პროცესის დასაფიქსირებლად, თავისი შეხედულებების გადმოსაცემად, მან დიალოგის ფორმა აირჩია.

როგორც ცნობილია, ფილოსოფოსი-მეცნიერი პლატონი განუყოფელია ფილოსოფოსი-მწერალი პლატონისაგან, რომლის წვლილი მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში მნიშვნელოვანწილად სწორედ დიალოგის უანრის ფორმირებამ და ამ უანრის მხატვრულმა სრულყოფამ განაპირობა.

პლატონის შესახებ, მისი ფილოსოფიის თითოეულ ნიუანსთან დაკავშირებით, უამრავი გამოკვლევა არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, ერთი მხრივ, სოფისტებთან პლატონის დაპირისპირების დეტალების, მეორე მხრივ კი, დიალოგის ლიტერატურული უანრისა და კვლევის დიალექტიკური მეთოდის ურთიერთკავშირის შესახებ.

ჩემი ნაშრომი მიზნად ისახავს დიალოგ „სოფისტის” ფილოლოგიურ ანალიზს, რაც გულისხმობს აღნიშნული ნაწარმოების ფილოლოგიური ასპექტების კვლევას,

კერძოდ, ესენია: “სოფისტის”, როგორც ფილოსოფიური დიალოგის, ჟანრობრივი მახასიათებლები, სიუჟეტის განვითარების თავისებურებები და “სოფისტის” დრამატული ბუნება, ნაწარმოების სტრუქტურა და კომპოზიცია, პლატონის სტილი და ტროპული მეტყველება, ბგერწერის თავისებურებები, პერსონაჟთა შერჩევისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპები, ტერმინოლოგიური ასპექტები და სხვ. უნდა ითქვას, რომ “სოფისტის” კომპოზიციური და სტრუქტურული ორგანიზაციის თავისებურებები მეცნიერთა მიერ დღემდე გამოკვლეული არ არის.

აღსანიშნავია, რომ “სოფისტი” მხატვრული თვალსაზრისითაც ნაკლებადაა შესწავლილი, თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ის ნაკლებ მხატვრულია პლატონის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით. ჩემი ნაშრომით “სოფისტის” სისტემურ ფილოლოგიურ კვლევას და ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მართებულობის დადგენას შევეცდები.

ვინაიდან “სოფისტი” არის მხატვრული ფორმით გადმოცემული ფილოსოფია, ბუნებრივია, კვლევის დროს ვერ ავუკლიოთ ამ დიალოგის ცალკეულ ფილოსოფიურ ასპექტსაც, როგორიცაა სოფისტური მოძრაობის ისტორია და მისი ძირითადი მახასიათებლები, დიალოგის ლიტერატურულ ჟანრთან უშუალოდ დაკავშირებული მსჯელობის დიალექტიკური მეთოდი, იდეათა თეორია და სხვ. ნაშრომში საგანგებო ადგილი დაკუთმე თანამედროვე მეცნიერებაში “სოფისტის” კვლევის ისტორიასაც.

რაც შეეხება “სოფისტის” კვლევის ისტორიას ქართულ მეცნიერებაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიალოგის ანალიზი პლატონის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით იშვიათად გვხვდება. სამწუხაროდ, აქამდე არც “სოფისტის” ქართულენოვანი თარგმანი გაგვაჩნდა და არც მისი მონოგრაფიული გამოკვლევა.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში მომიხდა დიალოგ “სოფისტის” ქართულად თარგმნა და თარგმანის აღჭურვა შესაბამისი კომენტარებით. ძველი ბერძნულიდან ქართულად თარგმნის პროცესში დამატებით ვისარგებლე “სოფისტის” ახალბერძნული, ინგლისური, რუსული და ფრანგული<sup>1</sup> თარგმანებით, რამაც საშუალება მომცა დიალოგის შედარებით რთული პასაჟები ქართულად მეთარგმნა მათი სხვადასხვა ინტერპრეტაციის გათვალისწინებით. შევეცადე, რომ თარგმანი დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო, რაც საშუალებას იძლევა

<sup>1</sup> განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი ქ-ნ მაგდა მჭედლიძეს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა “სოფისტის” ფრანგულენოვანი თარგმანის გამოყენებაც.

მაქსიმალურად ზუსტად გავიაზროთ თითოეული ფრაზის, ცალკეული მონაკვეთისა და მთელი დიალოგის ტერმინოლოგიური და აზრობრივი ნიუანსები.

## თავი I

### პლატონის „სოფისტის“ შესტავლის თანამედროვე მდგრადიობა

პლატონის ყველა ნაწარმოები მეცნიერთა მიერ მრავალმხრივაა შესწავლილი და ამას მოწმობს ის უამრავი გამოკვლევა, სტატია და მონოგრაფია, რომელიც დიდი ფილოსოფოსისა და მისი ნაწარმოებების შესახებ არსებობს. გამონაკლისს არც დიალოგი „სოფისტი“ წარმოადგენს. პლატონის ამ დიალოგის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების არსებობა მოწმობს, რომ ეს ნაწარმოები აქტუალურია სხვადასხვა ეპოქაში, სამეცნიერო სკოლასა თუ წრეში. „სოფისტისადმი“ ინტერესი დროთა განმავლობაში არათუ იკლებს, არამედ თანდათან უფრო და უფრო მატულობს.

დღეისათვის არსებობს „სოფისტის“ კრიტიკული გამოცემის რამდენიმე ვარიანტი. დიალოგის თარგმნისა და პვლევისას ვეყრდნობოდი ოქსფორდის გამოცემას (Platonis Opera - Recognovit brevique adnotatione critica instruxerunt E. A. Duke, W. F. Hicken, W. S. M. Nicoll, D. B. Robinson, J. C. G. Strachan - vol. I (Euthyphro, Apologia, Crito, Phaedo, Cratylus, Theaetetus, Sophista, Politicus) - Oxford, Oxford University Press 1995 (revision of the edition published by John Burnet, 1900-1907), რომელიც პლატონის მკვლევართა შორის დღემდე ყველაზე სანდო და მისაღებ გამოცემად ითვლება. თუმცა, კვლევისას, სხვადასხვა სადაც პასაჟის ინტერპრეტაციისას, ვიყენებდი სხვა გამოცემებსაც (Plato, Sophistes and politicus, by Lewis Campbell, 1867; Plato, Opera, ex recensione R. B. Hirschigii, v. I, Graece et Latine, Parisiis, 1873; Plato, Opera, recognovit I. Burnet, t. I, Oxonii, 1905; Plato, Theaetetus, Sophist (Loeb Classical Library No. 123), 1921; Plato, Thaetetus. Sophist, with an English translation by Fowler, London, 1967).

დიალოგ „სოფისტის“ აქტუალობას სხვადასხვა დროში მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი არაერთგზისაა ნათარგმნი სხვადასხვა ევროპულ ენაზე სხვადასხვა პერიოდის საკმაოდ ავტორიტეტულ მეცნიერ-მკვლევართა მიერ (ფ. მ. კორნფორდი, ბ. სეთი, ვ. კობი, ე. ბრანი, ე. სალემი, ჯ. დურლინგერი, ბ. ჯოვეტი, ა. დიკ, ნ. კორდერო, რ. ვილი, რ. მაინპარდტი და სხვ.).

რაც შეეხება უშუალოდ დიალოგის პრობლემატიკის კვლევას, „სოფისტის“ შესწავლის ასპექტები პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეგვიძლია დაგყოთ: 1. დიალოგის წმინდა ფილოსოფიური შესწავლა; 2. დიალოგის

ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით კვლევა; 3. დიალოგის როგორც ფილოსოფიისა და ფილოლოგიის სინთეზის შედეგად მიღებული ნაწარმოების შესწავლა. თითოეულ ამ ჯგუფში კი გამოიყოფა სხვადასხვა ქვეჯგუფი.

დიდი ხნის განმავლობაში უფრო აქტუალური იყო პლატონის წმინდა ფილოსოფიური ასპექტით კვლევა, რამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ამ ტიპის გამოკვლევები უფრო დიდი რაოდენობით მოგვეპოვება. შესამჩნევად მცირე რაოდენობით გვაქვს ნაშრომები, რომლებიც ამ დიალოგის მხატვრულ და ლიტერატურათმცოდნეობით მხარეებს ეხება. ამ უკანასკნელის მიზეზად, როგორც უკვე აღვნიშნე, ის ითვლებოდა, რომ პლატონის “სოფისტის” შედარებით დაბალი მხატვრული დირექტულების გამო, ეს ნაწარმოები ცალკე ფილოლოგიური კვლევის საგანი არ უნდა გამხდარიყო.

პლატონის “სოფისტის” კვლევისას მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს “არსებობის” საკითხი ამ დიალოგში (პლატონის ონტოლოგია), რომელსაც მეცნიერები სხვადასხვა ასაექტით განიხილავენ. ეს საკითხი პირველად დასვა ფ. მ. კორნფორდმა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა პლატონის “სოფისტის” შემსწავლელ მეცნიერთა შორის. “სოფისტში” “არსებობის” პრობლემის კვლევა შემდგომ განავითარეს მ. ოუგენმა და მ. ფრედემ. გვხვდება უამრავი გამოკვლევა, რომელიც ეხება დიალოგის შემდეგ პრობლემატიკას: “არსებულისა” და “არარსებულის” საკითხს, იმას, თუ რა არის პლატონისთვის “არსებობა”; არის თუ არა პლატონის “ყოფნა” დამოუკიდებელი ზმნა, თუ ის მხოლოდ შემაერთებელია; როგორია პლატონის ონტოლოგია; ზოგიერთი პრობლემა პლატონის “ყოფნა”-ს შესახებ; განსხვავება პლატონის ”ყოფნასა” და ”ქმნადობას” შორის; “არსებობის” კატეგორიები და ქვეკატეგორიები პლატონის ამ დიალოგის მიხედვით. “სოფისტის” ონტოლოგიისა და “ყოფნა” ზმნის შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს აგრეთვე ამერიკელ მკვლევარ ბ. სეთსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ “არსებობა” მთელი დიალოგის საკვანძო საკითხი და “ხერხემალია”, რომელსაც შედარებით დეტალურად შევეხები დიალოგის სიუჟეტური ქარგის განვითარების შესახებ მსჯელობისას.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა არის “ჰეშმარიტი” და “მცდარი” “სოფისტში”, რომელიც, გარკვეულწილად, ისევ “არსებობის” საკითხთანაა დაკავშირებული (ოქსფორდის სკოლა, ჯ. აკრილი). მეცნიერთა ყურადღებას, აქაც

პლატონის დიალექტიკა იპყრობს. განხილულია პლატონის გვარები და გვართაგან უმაღლესები (აქაც ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი არის ფ. მ. კორნფორდი). გვართა ზიარების პრობლემას უკავშირდება სხვა დიალექტიკური ასპექტებიც, რომლებიც მთლიანობაში ქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას “სოფისტის” კვლევაში.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ერთ-ერთ გამოკვეთილ ფიგურად პლატონის “სოფისტის” კვლევაში გვევლინება ბ. ვლასტოსი. ამ პერიოდიდან “სოფისტის” ანალიზი უკვე განსხვავებულ ხასიათს იძენს. ძირითადად ხდება მისი ცალკეული პასაჟების ფილოსოფიური კუთხით შესწავლა. ამ პერიოდის ნაშრომები სწორედ პლატონის “სოფისტის” კონკრეტული პასაჟების ფილოსოფიურ ანალიზს ეხება. ამას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ პლატონის “სოფისტის” ერთიანობაში კვლევის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული და სიახლეების ძიება უკვე დიალოგის კონკრეტული პასაჟების განსხვავებულ ინტერპრეტაციებში მდგომარეობდა. ამ მხრივ იკვეთებიან რ. ს. ბლაკი და ჯ. გორდონი, მანჩესტერის სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც ძირითადად იკვლევენ დიალოგის ცალკეულ პასაჟებს და მათზე დაყრდნობით მსჯელობენ პლატონის დიალოგების გარკვეულ დოქტრინებზე.

რაც შეეხება პლატონის ამ ნაწარმოების ლიტერატურული ასპექტით შესწავლას, ის, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან ხდება პოპულარული და აქტუალური. საგარაუდოა, რომ ამ პერიოდიდან უკვე მცდარად ითვლება მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არავითარი ფორმა ამ დიალოგში არ შეიძლება ვიკვლიოთ და რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ფილოსოფიური ნაწარმოები. გაცილებით უფრო ადრე მეცნიერება შეთანხმდა იმაზე, რომ პლატონი რამდენადაც არის ფილოსოფოსი, იმდენად არის მწერალი და რომ ეს ეხება მის უკლებლივ ყველა ნაწარმოებს, იქნება ის მხატვრული ხერხებით დატვირთული თუ ამ მხრივ შედარებით “დარიბი”. დიალოგის ფილოლოგიური ანალიზის კუთხით მნიშვნელოვან ნაშრომად უნდა გამოიყოს მ. ფრედეს “სოფისტის ლიტერატურული ფორმა”.

ჩვენს უურადღებას აგრეთვე იპყრობს XX საუკუნის მიწურულს გამოცემული გამოკვლევა (Gordon, Jill, Turning toward Philosophy. Literary Device and Dramatic Structure in

Plato's dialogues, Univ Park. 1999), რომელიც “სოფისტის” სტრუქტურული ორგანიზებისა და მისი სხვა ნაწარმოებებთან მიმართების საკითხებს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის მიწურულიდან აშკარად თვალსაჩინოა ამ დიალოგით, როგორც მხატვრული ნაწარმოებით დაინტერესება, როგორც უკვე აღინიშნა, დღემდე არ განხორციელებულა დიალოგ “სოფისტის” სისტემური ფილოლოგიური კვლევა. ჩემი ნაშრომით შევეცდები მოკრძალებული წვლილი შევიტანო აღნიშნული ნაწარმოების მხატვრული ასპექტების კვლევაში.

სანამ “სოფისტის” უშუალოდ ფილოლოგიურ ასპექტებს შევეხებოდე, მიმოვინილავ სოფისტური მოძრაობის ისტორიას და მის ძირითად მახასიათებლებს, რადგან სხვაგვარად წარმოუდგენელია, ჩავწერ პლატონის სოფისტებთან დაპირისპირების არსეს და შევძლოთ სოფისტიკის რაობის დიალექტიკური ანალიზი, რაც ამ დიალოგის მთავარი თემაა.

## თავი II

სოფისტის რაობა და სოფისტია მოძრაობის ძირითადი მახასიათებლები

### ტერმინ „სოფისტის“ მნიშვნელობა

სიტყვა „სოფისტი“ მჭიდროდაა დაკავშირებული ბერძნულ სიტყვებთან თურთ და თურთ რომლებიც ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც „ბრძენი“ და „სიბრძნე“. ტერმინი „სოფისტი“ გვლისხმობს ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი მცდარი აზრის დასამტკიცებლად ყველა ხერხს მიმართავს. თუმცა, თავდაპირველად ეს სიტყვა იმავეს ნიშნავდა, რასაც „ბრძენი“. ტერმინ „სოფისტის“ მნიშვნელობამ დროთა განმავლობაში შემდეგი ტრანსფორმაცია განიცადა: 1. კონკრეტული ხელოვნების ცოდნა, ოსტატობა; 2. პრაქტიკული ან პოლიტიკური გონიერება, სიბრძნე; 3. მეცნიერებლი, თეორიული ან ფილოსოფიური სიბრძნე (113, 24). ლიდლ-სკოტის ძველბერძნული-ინგლისური ლექსიკონი კი ამ სამი მნიშვნელობის გარდა გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: “ადამიანი, რომელიც ასწავლის გრამატიკას, მათემატიკას, რიტორიკას და სანაცვლოდ იღებს ფულს” (16, 1622).

ტერმინ “სოფისტით” აღნიშნავდნენ კანონმდებლებს, პოეტებს, ფილოსოფოსებს, მუსიკოსებს, ქურუმებს და ა. შ. ა. გილიაროვი აღნიშნავს, რომ პერიდოტოსი ამ სიტყვით მოიხსენიებს ცნობილ კანონმდებელ სოლონს, ფილოსოფოს პითაგორას (Herod. Hist. 2.49)<sup>2</sup>, მისი თანამედროვე ფილოსოფოსი დიოგენეს აპოლონიელი კი – ყველა იმ ფილოსოფოსს, ვინც ბუნების კვლევითაა დაკავებული (Diog. Apoll. Philosoph. 3.12). პინდაროსი სოფისტებს პოეტებს უწოდებს (Pind. 5.1.28), ესქილე მუსიკოსებს (Aesch. Fragm. 314), სოფოკლე – გამომგონებლებს (Soph. Fragm. 101) (45, 12). სიტყვა “სოფისტმა” სხვა შინაარსიც მიიღო, რაც, როგორც ფიქრობენ, დაკავშირებულია იმასთან, რომ მოხერხებულობა და შორსმჭვრეტელობა ხშირად გულისხმობს ეშმაკობასა და სიცრუეს.

ითვლება, რომ სიტყვა „სოფისტი“ უარყოფითი მნიშვნელობით პირველად გვხვდება ესქილესთან „მიჯაჭვულ პრომეთეში“, სადაც ის აღნიშნავს ეშმაკსა და

<sup>2</sup> ანტიკური პერიოდის ნაწარმოებების ციტირებისას, ვეკრდნობით მათი ლათინურენოვანი სახელწოდებების კლასიკურ ფილოლოგიაში დღეისათვის აღიარებულ და გავრცელებულ შემოკლებებს. იხ.: რ. გორდეზიანი, მ. დანელია, შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში, პროგრამა “ლოგოსი”, თბილისი 2005.

მატყუარას (Aesch. PV 62). ამავე მნიშვნელობით იყენებს ამ სიტყვას ევრიპიდე (Eur. Heracl. 993). ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს სიტყვა ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება და სამარცხვინო ხდება, თუმცა მას ძველი მნიშვნელობითაც იყენებენ. სოფისტების სახელით ცნობილი ისტორიული პირებისადმი ძველი მნიშვნელობით გამოყენება არც ისოკრატესის, ქსენოფონისა თუ არისტოტელესათვის არის უცხო. ქსენოფონი სიტყვა „სოფისტით“ მოიხსენიებს ყველა ბრძენ ადამიანს, განსაკუთრებით კი – ფილოსოფოსებს, რომლებიც ბუნების კვლევით არიან დაკავებულნი (Xen. Hell. I. 6. 13). ისოკრატე და არისტოტელე ამ სიტყვით აღნიშნავენ ცნობილ შვიდ ბრძენს (Isocrates, 1 5 I 48, Aristot, Rhet I 419) (45, 14-16).

შემდგომი პერიოდის ბიზანტიულ ავტორებთანაც ეს სიტყვა ორივე მნიშვნელობით გამოიყენება. გრიგოლ ნაზიანზელი თავის ერთ-ერთ წერილში სოფისტებს ისეთ ადამიანებს უწოდებს, რომლებიც სიტყვის შედგენისას მნიშვნელობას ფორმას ანიჭებენ და არა შინაარსს (1, 38). მასწავლებლის ან ფილოსოფოსის გაგება აქვს ამ სიტყვას VII საუკუნის ქრისტიან ავტორთან – იოანე მოსხოსთან (2, 36).

ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრიდან სოფისტებად იწოდებოდა მასწავლებელთა ის კლასი, რომლის წარმომადგენლებიც ფულს ითხოვდნენ სიქველის სწავლებაში, რაც, არსებითად, საუბრის, უფრო სწორად კი, კამათის, ერისტიკის ხელოვნების სწავლებაზე დაჟყავდათ, თეორიულად და პრაქტიკულად ამჟავებდნენ რიტორიკის საკითხებს, ადგენდნენ პოლიტიკურ და საკანონმდებლო სიტყვებს. სწორედ მათ მოღვაწეობას უკავშირდება „სოფისტის“ სახელის უარყოფითი მნიშვნელობით დამკვიდრება.

### **სოფისტთა მოძრაობა როგორც სოციალური მოვლენა**

შემთხვევითი არ იყო, რომ სოფისტები ასპარეზზე ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ათენში გამოვიდნენ. ეს განაპირობა ამ პერიოდში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა. კერძოდ, ამ დროს დამთავრდა სპარსელთა

შემოტევები, ბერძნები შეუდგნენ ქვეყნის მართვას, დამყარდა დემოკრატია. პიროვნებას მეტი თავისუფლება მიეცა. ინტენსიური სახე მიიღო სახალხო კრებებმა, რამაც გამოიწვია მჭევრმეტყველების განვითარება (72, 203). საჭირო გახდა პიროვნების განათლება, რათა ის ყოფილიყო თავისუფალი და შეძლებოდა სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღება. სოფისტების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც სახელმწიფო მოღვაწეების მომზადება იყო. სოფისტები წარმოშობით ბერძნული სამყაროს სხვადასხვა რეგიონიდან იყვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდნენ და ავრცელებდნენ თავიანთ ცოდნას (72, 78), თითოეული მათგანისათვის უმთავრესი სამოღვაწეო ადგილი მაინც ათენი იყო. ძვ. წ. V საუკუნის შუა პერიოდიდან ათენი სოფისტური მოძრაობის ნამდვილ ცენტრად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ სოფისტური მოძრაობა ერთმნიშვნელოვნად პერიკლესის დროს ათენში გატარებულმა რეფორმებმა და ამ რეფორმების შედეგად შექმნილმა კითარებამ განაპირობა (113, 22).

### სოფისტები

ჩვენთვის ცნობილია ოცდაექვსამდე სოფისტის სახელი, რომლებიც მოღვაწეობდნენ ძვ. წ. 460-380 წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც სოფისტების აქტივობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ძვ. წ. IV საუკუნეში მათ უფრო ორგანიზებული სკოლები ჩამოაყალიბეს (113, 42). ჩვენთვის ცნობილ სოფისტთაგან რვა-ცხრა უდავოდ სახელგანთქმული იყო. ამას ემატება ორი ანონიმური ნაშრომის (Dissoi Logoi და ე. წ. Anonymus Iamblichi) ავტორი. სამწუხაროდ, სოფისტთა ნაწარმოებებმა ჩვენამდე სრული სახით თითქმის ვერ მოაღწია და სოფისტთა ნააზრების შესახებ მსჯელობა ცალკეული ფრაგმენტების საფუძველზე თუ შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, სოფისტთა ცალკეული წარმომადგენლების შესახებ გვაძეს გარკვეული ინფორმაცია:

პროტაგორას აბდერელი, პლატონის თანახმად, იყო პირველი, ვისაც სოფისტი უწოდეს და ვინც სწავლებაში გასამრჯელო აიღო (Prt. 349 a)<sup>3</sup>. მოღვაწეობდა ძვ. წ.

<sup>3</sup> σωγή αἱαῖδανον υφοκρυχαμένον εἰς πάντα τους Εἰληνας, σοφίσθη ἐπονομαῖσα σεαυτόνα πειθηνα- παιδεύεισε καὶ αἱρεθεῖσα διδάσκαλον, πρώτο τούτου μισquot; αἰκινεῖσα αἴρνεισα (Prt. 349 a).

490-421 წლებში. მას ეკუთვნის „ერისტიკის ხელოვნება”, „მეცნიერებათა შესახებ”, „სახელმწიფოს შესახებ”, „სიქველეთა შესახებ”, „ანტილოგიები”.

გორგიასი ლეონტინიდან ემპედოკლესის მოწაფე უნდა ყოფილიყო. იგი, როგორც ჩანს, რიტორიკით ყოფილა დაკავებული. მის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს ერქვა „ბუნების, ანუ არარსებულის შესახებ”.

პროფიქოს კერძო დაინტერესებული იყო ლინგვისტური საკითხებით. კერძოდ, მას ეკუთვნის ნაშრომი სინონიმიკის, ანუ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების გარჩევის შესახებ.

პიასის ელისელი ცნობილი ყოფილა მნემონიკის, ანუ მეხსიერების ხელოვნების სწავლებით.

სოფისტთა უმცროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ: ორასიმაქონი, ანტიფონი, კალიკლესი, კრიტიასი, ალკიდამასი, პოლოსი, გვთიდემოსი, დიონისიდოროსი.

რაც შეეხება ანონიმი ავტორის “ორმაგ სიტყვებს” (*Dissoi Logoi*), რომელიც აღმოჩენილია სექსტუს ემპირიკოსის ხელნაწერებში, ის დაწერილია დორიულ დიალექტზე და შედგება ექვსი თავისგან. მითნავენ, რომ ამ თხზულების ავტორს პროტაგორასის მეთოდის გავლენა უნდა განეცადა. ამ ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა მშვენიერისა და უსახურის შესახებ არსებულ საპირისპირო შეხედულებათა მტკიცებას (113, 42-54; 60, 13-14; 39, 51-80).

მიუხედავად იმისა, რომ სოფისტთა ცალკეული წარმომადგენლები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ თავიანთი ინტერესების სფეროთი, შეხედულებით, საქმიანობით, მათი ძირითადი ფუნქცია მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანებისთვის ესწავლებინათ, თუ როგორ შეიძლება ნებისმიერი აზრის ჭეშმარიტების დამტკიცება მსჯელობით, რასაც უკავშირდება ცნობილი სოფისტური სუბიექტივიზმი და რელატივიზმი.

### სოფისტური სუბიექტივიზმი და რელატივიზმი

სოფისტები ასწავლიდნენ, რომ ობიექტური სამყარო შეუცნობელია. ისინი არიან პირველი აგნოსტიკოსები, თუმცა მათი აგნოსტიციზმი გამოიხატება

რელატივიზმით – სწავლებით იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება ფარდობითია და დამოკიდებულია გარემო პირობებზე, დროზე, ადგილსა და ცალკეულ ადამიანებზე. სოფისტები ამბობდნენ, რომ ჭეშმარიტება სუბიექტურია; ამდენად, ისინი უარყოფდნენ არა ზოგადად ჭეშმარიტებას, არამედ ობიექტურ ჭეშმარიტებას. სოფისტების გნოსეოლოგიური რელატივიზმი განაპირობებდა ეთიკურ რელატივიზმს, რომლის მიხედვითაც არ არსებობს სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრის ობიექტური კრიტერიუმები და სიკეთე არის ის, რაც შენოვის სასარგებლოა (71, 204).

დიოგენე ლაერტელი პროტაგორასზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ის იყო პირველი, ვინც თქვა, რომ ნებისმიერი საგნის შესახებ მსჯელობისას არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტი (Diog. Laert. Vitae Philosophorum 80 A 1). აქ მთავარი ის კი არაა, რომ შესაძლებელია ორი არგუმენტის არსებობა, არამედ ის, რომ ისინი შესაძლოა გააჩნდეს ერთსა და იმავე მოსაუბრეს, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი (113, 85; 60, 16-17; 72, 81). გორგიასს შეეძლო ერთსა და იმავე საგანზე კარგიც ეთქვა და ცუდიც, მისი ობიექტური თვისებების მიუხედავად. კიდევ უფრო საინტერესოა მისი ტრაქტატი „ბუნების, ანუ არარსებულის შესახებ”, სადაც გორგიასი თავის მოსაზრებას სამ ეტაპად ავითარებს: 1. არაფერი არ არსებობს; 2. თუ რაიმე არსებობს, მისი შემეცნება შეუძლებელია; 3. არსებულის შემეცნება შესაძლებელიც რომ იყოს, ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემა იქნება შეუძლებელი.

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ ეს იყო პაროდია ან სარკაზმი ფილოსოფოსების წინააღმდეგ. საუკეთესო შემთხვევაში კი თვლიდნენ, რომ ეს ტრაქტატი წარმოადგენდა გარკვეულ რიტორიკულ სავარჯიშოს. გ. პერფერდის აზრით, აქ შესაძლოა იყოს | იფე--ის ორი განსხვავებული მნიშვნელობის დაპირისპირება: 1. რაღაც, რაც ჩვენს გონებაში წარმოიშობა როგორც შეგრძნების შედეგი; 2. ფონგტიკური ბგერა, ნათქვამი სიტყვა. გორგიასს ამ პასაჟით, შესაძლოა, იმ წინააღმდეგობის ჩვენება სურდა, რომ სიტყვათა მხოლოდ მცირე ნაწილია ონომატოპოეტური, დანარჩენს კი – შეთანხმებით აქვს დარქმული სახელები. ამდენად, დიდია ალბათობა იმისა, რომ მათი გამოყენებით ჩვენ საგნის ჭეშმარიტი არსი ვერ გადმოვცეთ (6, 33-35).

სოფისტურ რელატივიზმს ზუსტად გამოხატავს პროტაგორასის ცნობილი სიტყვები: „ადამიანი არის ყველა საგნის საზომი, არსებულების, რომ ისინი არიან და არარსებულების, რომ ისინი არ არიან” (Thet. 152 a)<sup>4</sup>. უ. გათრის თქმით, პროტაგორას ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ საგანი ჩემთვის ისეთია, როგორიც მე მეჩვენება და შენთვის ისეთი, როგორიც შენ გეჩვენება. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ თუ ყველა შეგრძნება ჰეშმარიტია, მაშინ არ არსებობს მცდარი შეგრძნება, ამდენად, აზრი არ აქვს შეწინააღმდეგებას (24, 84). ეს იყო სოფისტიკისათვის დამახასიათებელი თეზა, საიდანაც საფუძველს იღებს პარადოქსული დოქტრინა: „შეუძლებელია შეწინააღმდეგება”. არ არსებობს მცდარი აზრი, რადგან ყველა აზრი ჰეშმარიტია იმისთვის, ვისაც ის ეკუთვნის (Euthydemus 285 b)<sup>5</sup>. სწორედ ამგვარი სოფისტური რელატივიზმი აღმოჩნდა საბედისწერო სოფისტებისთვის, რადგანაც, თუ ყველა აზრი ჰეშმარიტია, მისი საპირისპირო აზრიც, ანუ, სოფისტების საპირისპიროც, ჰეშმარიტი იქნება.

### სოფისტთა პოლიტიკური მოღვაწეობა და სამართლისა და კანონის მათეული აღქმა

სოფისტების მოღვაწეობისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური საქმიანობა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო საქმეებში. თითქმის ყველა სოფისტი მონაწილეობდა პოლიტიკაში. პიპიასი ამაყობდა იმით, რომ, “როდესაც ელისს რაიმე საქმის მოგვარება სურდა, უმაღ მას მიმართავდა და ელჩად გზავნიდა, რადგან სწორედ იგი მიაჩნდა იმ სიტყვების საუკეთესო მაუწყებლად, რომლებსაც, ჩვეულებრივ, წარმოთქამენ ხოლმე მოლაპარაკებაში მონაწილე ქალაქების სახელით” (Hep. mai. 281 a)<sup>6</sup>. სოფისტები ახალგაზრდებსაც პირდებოდნენ, რომ შეასწავლიდნენ, თუ როგორ ჩართულიყვნენ პოლიტიკურ საქმიანობაში.

<sup>4</sup> fhsι; gar pou pantwn crhmatwn meitron aħqrwpon eihai, twn men oħtwn w- eħsti, twn de; mh; oħtwn w- oujk eħsttin (Thet. 152 a).

<sup>5</sup> aīl jaħfa, oftan eġw, men ton tou pragmato- logon legw, su; de; aīl ou tino- aīl ion, tote aħtil legomen, h] eġw legw men to; pragma, su; de; oujde; legei- to; parapan, olde; mh; legwn tw/legonti pw- aħħajt il-ego (Euthydemus 285 b).

<sup>6</sup> h] ġar H] i- oftan ti deħtai diaprakasqai pror tina twn poli ewn, ajei; eji; prwton ejne; eħċetai twn poli twn aħħoumenh presbeuthn, h] ġoumenh dikastħn kai; aħġġelon ikanwitatlon eihai twn logwn oħra para; twn poli ewn ekaistwn legwntai (Hep. mai. 281 a).

სოფისტების ამგვარ დამოკიდებულებას პოლიტიკური საქმიანობისადმი განაპირობებდა სამართლისა და კანონის მათეული გააზრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხში განსხვავებული იყო სოფისტების პოზიციები, მათვის საერთო იყო ბუნებისა და კანონის დაპირისპირება. *πονο~-φισι~-ის* ცნობილი ანტიოქია პირველად თავს სოფისტებთან იჩენს (113, 114).

ცნობილი სოფისტი პროტაგორასი თავის შეხედულებებს კანონთან დაკავშირებით მითის სახით აყალიბებს. ის ამბობს, რომ ზევსმა ადამიანებს შთაუნერგა რიდი<sup>7</sup> და სამართალი, რათა მათ ერთმანეთი არ მოესპოო, რადგან ამათ გარეშე ადამიანთა ერთობა – სახელმწიფო – ვერ იარსებებს (Prt. 322 d)<sup>8</sup>. ამასთან, განსხვავებით ხელობის სხვა სახეებისაგან, რომლებსაც ზოგი ფლობს, ზოგი კი – არა, რიდი და სამართალი ყველას საკუთრებაა. ამის შემდეგ ადამიანი უკანონობისთვის ისჯება, მაგრამ იგი ისჯება არა ჩაღენილი უკანონობისთვის, არამედ იმ მიზნით, რომ მომავალში სხვამ არ გაიმეოროს მისი დანაშაული (Prt. 324 b)<sup>9</sup>, ამიტომ ყოველი მშობელი თუ მასწავლებელი ცდილობს კანონის შესაბამისი ცხოვრება და მოქმედება ასწავლის ბავშვს (Prt. 326 d)<sup>10</sup>.

პლატონის დიალოგში პროტაგორასის მიერ მოყვანილი მითი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სოფისტს სამართალი ადამიანისათვის ღვთაებისგან ბოძებულად მიაჩნია. უგათრი კი, ამბის გადმოცემის აშკარად მითოსური ხასიათის გათვალისწინებით, აგრეთვე რელიგიისადმი პროტაგორასის სკეპტიკური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ასკვნის, რომ ამ მითში პროტაგორასი ადამიანთა მიერ კანონთა აუცილებლობის შეგნებამდე მისვლაზე მოგვითხოობს, რაც პრაქტიკული

<sup>7</sup> αἰδω~ს ვ. სოლოვიოვი „სირცხვილით“ თარგმნის, პ. ფოულერს „სინდისად“ გადმოაქვს. ჩვენ „რიდი“ ვარჩიეთ, რადგან კონტექსტის მიხედვით პროტაგორასი კანონის წინაშე „შიშხე“ უფრო საუბრობს, ვიდრე სირცხვილზე სხვა ადამიანთა მიმართ. მთ უფრო არ არის საუბარი მის სიტყვაში საკუთარი თავის მიმართ სირცხვილის განცდაზე, რაც „სინდისზე“ გვაფიქრებინებდა.

<sup>8</sup> Ζευ~ οὐκ̄ deisa~ peri; tw/ genei h̄m̄n mh; aþpol oito pan, Ekm̄n̄ pemp̄i aþonta eij~ aþq̄rwp̄ou~ aiðw te kai; diðhn, i} þiðen pol̄ ewn kois̄moi te kai; desmoi; fil̄ ia~ sunagwgoi (Prt. 322 d).

<sup>9</sup> ol de; meta; logou epiceirwn kol azein ouj tou parel h̄l uqoto~ eþeka aþikhmato~ timwreitai, ouj gar aþtorge pracqen aȝeneton qeih, aþl a; tou mel lonto~ carin, iha mh; auq̄i~ aþikhish/ mhite aujto~ oujto~ mhite all o~ ol touton iþwn kol aȝenta (Prt. 324 b).

<sup>10</sup> iha mh; aujtoi ejf þauwtwñ eijkh/ prattwsin, aþl ja jatecnw~ wþper oil grammatisai; toi~ mhþw deinoi~ grafein twn paidwn uþograiyante~ gramma~ th/ grafidi oujtw to; grammateion didoasim kai; aþagkaizousi grafein kata; thn uþhghsin twn grammwn, wþ de; kai h̄l pol i~ nomou~ uþograiyasa, aþaqwn kai; pal aiwn nomogetwn euþhmata, kata; toutou~ aþagkaizei kai; aþcein kai; aþcesqai, o~ d jah eþto~ bainh toutwn, kol azei (Prt. 326 d).

საჭიროებით იყო გამოწვეული (24, 85-86). ამ აზრს პირდაპირ გადმოგვცემს „სახელმწიფოში” გლავკონი, როგორც საქვეყნოდ აღიარებულ შეხედულებას (Resp. 359 a)<sup>11</sup>.

მეორე ცნობილი სოფისტი პიპიასი ფიქრობს, რომ კანონი ტირანია და მრავალს ისეთი რამის გაკეთებას აიძულებს, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება, თუმცა ისიც აღიარებს კანონის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის. ამასთან, აღნიშნავს, რომ თუმცა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ადგენენ, სარგებლობა მხოლოდ სწორად დადგენილ კანონს მოაქვს, არასწორად დადგენილი კი, პირიქით, სახელმწიფოსათვის მავნეა (Hipp. mai. 284 d)<sup>12</sup>. აქედან გამომდინარე, პიპიასი კანონებსა და მათდამი მორჩილებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან ხშირად კანონმდებლები საკუთარი შეხედულებებისამებრ თავად ცვლიან კანონებს.

პლატონთან სოფისტების შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენლებისა და მათი მიმდევრების შეხედულებებსაც ვხვდებით კანონის შესახებ, რომლებიც აღიარებენ, რომ მათვის არ აქვს მნიშვნელობა სამართლიანსა და უსამართლოს, მთავარია იყო ძალმოსილი (Grg. 468 e-469 e)<sup>13</sup>, რომ კანონი არის ხელოვნური შეზღუდვა, რომელიც სუსტების მიერად დადგენილი იმ მიზნით, რომ ისინი ძლიერებზე ამაღლდნენ, ძლიერნი კი ბუნების კანონებს ემორჩილებიან, რომლებიც არ ემთხვევა დადგენილს (Grg. 483 b-c)<sup>14</sup>, რომ

<sup>11</sup> kai; eίτε uqen dh; afxasqai nomou- tīqesqai kai; sunqha- autw̄n, kai; oīhomasaī to; uþo; tou' nomou ejpitagma nomimon te kai; dikaion kai; eiħai dh; tauīthn genesin te kai; oūsian dikaiosunh-, metaxu; oūsan tou' men ajīstou oħto~, ejan ajīkwn mh; didw/dikhn, tou' de; kakistou, ejan ajīkoumeno- timwreisqai ajīunato- h (Resp. 359 a)

<sup>12</sup> **Swkrath-**

nomon de; legei~, w̄l Ippia, bl abhn pol ew~ eiħai h̄wifel ian;

**Ippia~**

Tiqetai men oħmai w̄fel ia~ efekha, ejniete de; kai; bl aptei, ejan kakw~ teqħ/ol nomo~.

**Swkrath-**

tiv dey oujic w̄l ajaqon megiston polei tiqentai ton nomon oil tiqemenui; kai; aħeu toutou meta; eujnomia~ ajiunaton oijkein (Hipp. mai. 284 d);

**Ippia~**

Aj hq̄h legei~.

<sup>13</sup> eij oujic apistounti soi deikaimi to; ejceiridion, iſw~ aħ ēiboi~ ijdwn oħi w̄l Swkrath~, oūtw men pante~ aħ mega dunainto, ejei; kah ejmprhsqeih ojkiā toutw/tw/ tropw hħtinav soi dokoi; kai; ta; ge Ajiħnaiw newria kai; aji triħrei~ kai; ta; pl oia panta kai; ta; dhmošia kai; ta; iħla. aji l j ouj aħra tout j eftin to; mega dunasqai, to; poiein aji dokei aji twi (Grg. 468 e-469 e).

<sup>14</sup> aji l j oujai oil tiqemenui tou~ nomou~ oil ajsqenei~ aħqarwpoi ejxsin kai; oil polloir pro~ autou~ ouj kai; to; autoui~ sumferon tour~ te nomou~ tiqentai kai; tou~ ejaġġainou~ ejaġġainousin kai; tou~ yogou~ yegousin, ejkfobounte~ tour~ ejrrwmesterou~ twi aħqarwpn kai; dunatou~ oħta~ pleon twi aji l wn zhtein ejein, aġapwsi gar oħmai aujtoi; aħ to; iħson eċċwsin faul oteroi oħte~ dia; tauta dh; nomw/ men touto aji kon kai; aji scron legetai, to; pleon zhtein ejein twi pol lwn, kai; aji kon aujto; kal ouisin (Grg. 483 b-c).

სამართლიანობა რეალურად არის ის, რაც სურს ძლიერს (Resp. 339 a)<sup>15</sup>, რომ უსამართლო პრაქტიკულად ყოველთვის ჯაბნის სამართლიანს (Resp. 343 d - 344 e)<sup>16</sup>, რომ საბოლოოდ სწორედ უსამართლობაა პრაქტიკულად სასარგებლო.

ანტიფონი თავის წიგნში „ჰეშმარიტების შესახებ“ წერს, რომ კანონების უმრავლესობა ბუნებას ეწინააღმდეგება. კანონებს ის უწოდებს „ბუნების ბორჯილებს“ (39, 380; 71, 215-216; 60, 21-22).

ამრიგად, სოფისტების მოძღვრებაში ეჭვქვეშ დგება ადრეული ეპოქის კანონისა და სამართლის აღქმა, რომელიც პოლისის სულად მოიაზრებოდა და ბუნებაში მოქმედ კანონებთან შესაბამისობაში განიხილებოდა (53, 147), რაკი კოსმოსის იდეაც კი *dikh-*ს – სამართლის ბუნებაში განმგებლობას გულისხმობდა (53, 204). თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოფისტები მათი თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობის აზრის გამომხატველნი არიან. თავიანთი აზრის დასაბუთებისას ისინი, როგორც წესი, უმრავლესობის აზრს იმოწმებენ (Resp. 358 a-360 d)<sup>17</sup>.

გორგიასი იმასაც აცხადებდა, რომ იგი სამართლიანისა და უსამართლოს შესახებ საუბარს ასწავლიდა (Grg. 454 b)<sup>18</sup>, მაგრამ, პლატონის აზრით, მთავარი იყო არა “საუბრის ცოდნა”, არამედ – თავად სამართლიანისა და უსამართლოსი. ცოდნის თემას აღზრდა-განათლების საკითხთან მივყავართ.

### აღზრდის საკითხი სოფისტებთან

სოფისტებს პედაგოგიკის ფუძემდებლებად მიიჩნევენ. მათ მიერ დასახულ გზას მიჰყვება დღესაც უმთავრესად განათლება. მათი ეს დამსახურება არ შეიძლება გადაფასებულ იქნას. ისინი არიან მასწავლებლები ამ სიტყვის სრული

<sup>15</sup> tai~ polesin tauton eihai dikaiion, to; th~ kaiesthusia~ ajch~ sumferon, auth de/ pou kratei; wste sumbainei tw/ojrw~ logizomenw/pantaxou eihai to; aujtou dikaiion, to; tou kreittono~ sumferon (Resp. 339 a).

<sup>16</sup> kai; gar oftan ajchn tina ajch/ekatero~, tw/men dikaiw/uparcei, kai; ej mhdemia all lh zhmia, targe oijkeia di jajnel eian mocqhooterw~ ejein, ek de; tou dhmosiou mhden wjfel eisqai dia; to; dikaiion eihai, pro~ de; tou toi~ aipeceisqai toi~ te oijkeibi~ kai; toi~ gnwrimoi~, oftan mhden ejel h/aujtou~ uphretein para; to; dikaiion, tw/de; apikw/panta toutwn tajhantia uparcei (Resp. 343 d - 344 e).

<sup>17</sup> ouj toinun dokei; ejfh, toi~ polloi~, all a; tou ejiponou eifhou~, o) misqwn q leheka kai; ejdokimhsewn dia; dokan ejithdeutevn, aujtou de; di Jaulto; feuktevn wl ojcalepon (Resp. 358 a-360 d).

<sup>18</sup> tauth~ toinun th~ peiqou~ legw, wl Swkrate~, th~ ehn toi~ dikasthripi~ kai; en toi~ all loi~ ocloi~, wisper kai; ahti elegon, kai; peri; toutwn a)eisti dikaiarte kai; aphiaka (Grg. 454 b).

მნიშვნელობით (50, 134). თუმცა მათი აღმზრდელობითი მოძრაობის მიზანი თავდაპირველად იყო არა საზოგადოების განათლება, არამედ პოლიტიკური წინამდობის, ლიდერის ფორმირება. თავდაპირველად სოფისტები სწორედ რჩეულებს მიმართავდნენ და მათთან მიდიოდა ის, ვისაც პოლიტიკოსად ჩამოყალიბება სურდა. ამისათვის კი საჭირო იყო გონების განვითარება, ერთი მხრივ, ენციკლოპედიური ცოდნის მიღებით, მეორე მხრივ კი, პრაქტიკული განსწავლით.

სამწუხაროდ ჩვენამდე მოღწეული არ არის სოფისტთა ნაშრომები, მაგრამ, ცნობილია, პროდიკუს კეოსელის სინონიმიკა, პროტაგორასის სწავლება ზმნასა და სქესზე, თრასიმაქოსის – “წინადადების წევრებზე”. სოფისტებმა დაამკვიდრეს პითაგორას სწავლება ჰარმონიაზე. საერთოდ, ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლში შემავალ საგანთა დიდი ნაწილის სწავლება უკვე სოფისტებმა შემოიდეს. სოფისტებამდე არ ყოფილა საუბარი გრამატიკასა და რიტორიკაზე. ამიტომ ისინი ამ უკანასკნელთა ფუძემდებლებად ითვლებიან. ისინი პირველები განმარტავდნენ დიდ პოეტთა ნაწარმოებებს (სიმონიდესი, თეოგნისი, პინდაროსი), ჰომეროსი კი მათთვის ერთგვარი ენციკლოპედიაა. საერთოდ, პროტაგორასის აღმზრდელობითი მოძღვრება, რომელიც მიზნად საზოგადოების სრულყოფილი წევრის ფორმირებას ისახავდა, ყველაფრის – პოეზიის, მუსიკის, გიმნასტიკის სწავლებას სახელმწიფოსათვის დირსეული მოქალაქის აღზრდას უქვემდებარებდა (Prt. 326 d)<sup>19</sup>. თუმცა სოფისტებს ავიწყდებოდათ, რომ პოლიტიკური ხასიათის აღზრდისას აუცილებელია ჰეშმარიტების ძიება. მათი აღზრდის მთავარი მიზანი აღსაზრდელის ჰეშმარიტების შეცნობისაკენ წარმართვა კი არ იყო, არამედ – ნებისმიერი საგნის შესახებ საუბარსა და ნებისმიერი მოსაზრების დასაბუთებაში გაწაფვა.

*Eul legein* – „კარგად საუბარი“ იყო სწორედ ის საგანმანათლებლო იდეალი, რომელიც ყველა სოფისტს აერთიანებდა (53, 78).

<sup>19</sup> επειδαν δε; εκ didaskalwn apallagwsi, h̄i pol i~ aut tour~ te nomou~ āhagkazei manqanein kai; kata; toutou~ zhn kata; paraideigma, iha mh; autoi; ejf jautwn eikh/ praitwsi, aijl jātecnw- w̄sper oīl grammatisat; toī- mhpw deinoi~- grafein twn paidwn ubograyante~ grammata~ th/ grafidi oūtw to; grammateion didoasen kai; āhagkazousi grafein kata; thn ul̄hgesin twn grammwn, w̄- de; kai; h̄i pol i~ nomou~ ubograyasa, āgaqwn kai; pal aiw̄n nomoqetwn eurhmata, kata; toutou~ āhagkazei kai; afcein kai; afcesqai, oī- d jāh ekto~ bainh toutwn, kol azei (Prt. 326 d).

## რიტორიკა

ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ათენში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ არ არსებობს ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი მოვლენები. არსებობს მხოლოდ იდეოლოგიები და კონცეპტუალური მოდელები, რომელთა შერჩევაც ინდივიდუალურია. რიტორიკასა და ჭეშმარიტებას შორის ფართო უფსკრული იყო. თავად რიტორიკის ძალა სოფისტთა თაობის აღმოჩენა არ იყო. მისი აუცილებლობა უკვე პომეროსსაც ესმოდა და ვერც ერთ პოეტს წარმოედგინა საკუთარი მოღვაწეობა სიტყვის ძალის გარეშე, მაგრამ რიტორიკის ხელოვნების თეორია სოფისტურ პერიოდშია შექმნილი (113, 83-84).

რიტორიკის ხელოვნების ფუქემდებლად დიოგენე ლაერტელი პროტაგორასს მიიჩნევს (Diog. Laert. Vitae Philosophorum A 1. 17), რომელმაც, მისივე თქმით, პირველმა გამოიყენა სოფიზმები სიტყვიერ შეჯიბრებაში. თუმცა თავად დიოგენე პროტაგორასის რიტორიკას აფასებს როგორც საკმაოდ ზედაპირულს. იგივე დიოგენე გვამცნობს, რომ პროტაგორასმა საუბარი ოთხ ნაწილად დაყო, ესენია: თხოვნა, შეკითხვა, პასუხი, ბრძანება (Diog. Laert. Vitae Philosophorum A 1. 19) (59, 33).

საერთოდ, სოფისტები მიიჩნევდნენ, რომ არ არის საჭირო, კარგმა ორატორმა იცოდეს, რა არის სამართლიანი. საკმარისია იცოდე, რა ჩანს სამართლიანად უმრავლესობისათვის. იგივე შეიძლება ითქვას მშვენიერისა და კარგის შესახებაც. სწორედ ასე შეიძლება დაარწმუნო ხალხი და არა ჭეშმარიტების საშუალებით (Phdr.260 a)<sup>20</sup>.

ცნობილია, რომ პიპიასიც ამაყობდა თავისი რიტორიკული ხელოვნებით და სპეციალურადაც კი წერდა სიტყვებს, რომლებიც, მისი აზრით, მშვენიერი იყო გამოხატვის ხერხებით (Hipp. mai. 286 a)<sup>21</sup>, მაგრამ სოფისტური რიტორიკის საუკეთესო წარმომადგენლად მაინც გორგიასი მიიჩნევა. იგი თავის თავს კარგ თრატორს უწოდებს (Gr. 449 a)<sup>22</sup> და ფიქრობს, რომ რიტორიკის საგანია ყველაზე

<sup>20</sup> eihai ajagkhn tw/mell ont i rhitori ebesqai ta; tw/ohti dikαιia manqanein aīl a; ta; dokant jaī pl h̄ei oīper dikaisousin, oujde; ta; ohtw- aigaqa; h̄ kal a; aīl joša dokei, ek gar toutwn eihai to; peiqein aīl j ouk ekth- aīl h̄eia- (Phdr.260 a).

<sup>21</sup> eīsti gar moi peri; aujtw pagkalw~ logo~ sugkeimeno~, kai; aīlw~ eūl diakeimeno~ kai; toī~ oīomasi, proschma dermoivejsti kai; aīch; toiade ti~ tou logou (Hipp. mai. 286 a).

<sup>22</sup> Swkraīth-

rhitora aīta crhīse kalein;

უფრო მშვენიერი და დიდებული საქმეები (Grg. 451 d)<sup>23</sup>, ხოლო მისი მიზანია, შეძლო სიტყვით დაარწმუნო მოსამართლეები სასამართლოში და ხალხი – სახალხო კრებაზე (Grg. 452 e)<sup>24</sup>.

გორგიასი მიიჩნევს, რომ ორატორული ხელოვნება მას საშუალებას აძლევს დაარწმუნოს უმრავლესობა იმაში, რაშიც უნდა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებშიც კი ორატორი უკეთ დაარწმუნებს ხალხს, ვიდრე ექიმი (Grg. 456 b). ამაშია ორატორული ხელოვნების ძალა. რიტორიკის საშუალებით სოფისტებს შეეძლოთ „არასწორი საქმე სწორად გამოეყვანათ“ და „სუსტი არგუმენტი ძლიერად ექციათ“.

### სოფისტური ერისტიკა და ანტილოგიკა

მიღებულია, რომ სოფისტები დიალექტიკის მეთოდსაც იყენებდნენ, მაგრამ, როგორც გ. კერფერდი აღნიშნავს, თავიდანვე უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან სამი ტერმინი: დიალექტიკა, ანტილოგიკა და ერისტიკა (113, 62). დიალექტიკა არის მეთოდი, რომელიც პლატონმა ჰეშმარიტი ფილოსოფოსის საქმიანობად განსაზღვრა და რომელზეც დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. სოფისტებმა კი ეს მეთოდი აქციეს კამათის, ერისტიკის, რიტორიკული დარწმუნების ხელოვნებად, რომელიც ეფუძნებოდა ურთიერთსაპირისპირო თეზისების არსებობისას ნებისმიერი მათგანის მიღების შესაძლებლობას. მისი ერთადერთი მიზანი იყო კამათში გამარჯვება. რაც შეეხება ანტილოგიკას (*antilogikh*), ეს არის ერთი და იმავე საგნის შესახებ საპირისპირო აზრთა გამოთქმის ხელოვნება. ანტილოგიკა დგას ერისტიკასა და

#### **Gorgia-**

agaqon ge, w̄Swkratē~, eij dh; ōge eūcomai eihai, w̄- eifh Ōmhro~, boule i me kal ein.

#### **Swkrath-**

aj̄ l a; boul omai

#### **Gorgia-**

kale dh (Grg. 449 a).

#### <sup>23</sup> **Swkrath-**

Lege dh; tw̄ peri; ej̄sti touto tw̄ ōhtwn, peri; oū oūtoi oiī logoi ej̄sin oij̄ h̄l̄r̄torikh̄ cr̄htai;

#### **Gorgia-**

Ta; megista tw̄ āj̄qr̄wpeiw̄ pragmat̄tw̄, w̄Swkratē, kai; āf̄ista (Grg. 451 d).

<sup>24</sup> to; peīnein ēgw̄g j̄ibn t̄ jeihai toī- logoi- kai; ej̄ dikasthriw̄ dikasta- kai; ej̄ boul euthriw̄/bouleuta- kai; ej̄ ekk̄l̄hsia/ekk̄l̄hsia- kai; ej̄ āll̄w̄ sullogw̄ pant̄ī ōsti- ah politico- sul logo- gignetai. kaiitoi ej̄ tauith/th/ dunamei doulon men ēxei- ton ij̄atron, doulon de; ton paidotribhn, ol de; cr̄matisth- oūto- āll̄w̄ āj̄afanhssetai cr̄matizomeno- kai; oūc autw̄l̄ āll̄ l a; soi; tw̄ dunamenw̄/legein kai; peīnein ta; pl̄ h̄q̄h (Grg. 452 e).

დიალექტიკას შორის. ის არის პირველი ნაბიჯი, რომელსაც მივყავართ დიალექტიკამდე და რომელსაც გ. კერფერდი ზენონის აღმოჩენად მიიჩნევს (113, 65).

### სოფისტები და სოკრატე

სწორედ საუბრის წარმართვის ხერხებით ამსგავსებდნენ ერთმანეთს სოფისტებსა და სოკრატეს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფილოსოფიის ისტორიაში. თუკი ერთნი სოკრატეს სოფისტების დაუძინებელ მტრად მიიჩნევდნენ, მეორენი ფიქრობდნენ, რომ იგი იყო „სოფისტი სოფისტთაგანი”, რომ რასაც პლატონი ამბობს სოფისტების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, სოკრატეს მიემართება, რომ ერთადერთი განსხვავება მათ შორის იყო ის, რომ სოფისტები სწავლებაში ფულს იღებდნენ, სოკრატე კი – არა (113, 63-67).

მთელი რიგი ნიშნებით სოკრატე მართლაც შეიძლება მივამსგავსოთ სოფისტებს. ესენია: ფიზიკასა და მეტაფიზიკაზე უარის თქმა და ყურადღების ადამიანისაკენ მიმართვა, დიდაქტიკურ-საგანმანათლებლო საუბრები, საკითხის გასარჩევად საუბრის ფორმის გამოყენება. განსაკუთრებით დიდი იყო მსგავსება იმ შემთხვევებში, როდესაც სოკრატე ცდილობდა თანამოსაუბრის მსჯელობაში წინააღმდეგობები ეპოვა. მიუხედავად ამისა, მათი მიზნები არსებითად განსხვავებული იყო, რაც ხშირად მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე. ვ. იეგერის თქმით, “პლატონის მიერ გამოვლენილი სხვაობა სოკრატულ და სოფისტურ მეთოდებს შორის გამოეპარა კომიკოს არისტოფანეს ჟანრული მსგავსების გამო” (113, 63-67).

სოკრატესა და სოფისტებს შორის არსებული განსხვავებებისათვის ამოსავალი ცოდნისა და ჭეშმარიტებისადმი მათი სხვადასხვაგარი მიღომაა. სოფისტებისთვის ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობდა, სოკრატესთვის კი ცოდნა იყო ერთადერთი სიკეთე, უცოდინრობა კი – ბოროტება. იგი ღრმად იყო დარწმუნებული ობიექტური ჭეშმარიტების არსებობაში, თუმცა მისი წვდომის სირთულეც კარგად ჰქონდა გააზრებული. სწორედ ცოდნისა და ჭეშმარიტების განსხვავებული გააზრება იწვევდა სოკრატესა და სოფისტების სხვადასხვა პოზიციას ყველა დანარჩენ საკითხთან დაკავშირებით.

## სოფისტიკის მნიშვნელობა

ფილოსოფიურ მიმდინარეობათაგან სოფისტიკა უქმედოდ ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და ცვალებადია. სოფისტების შესახებ ყველა ეპოქაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. მათ გამოჩენას თავდაპირველად აღტაცებით შეხვდნენ, მოგვიანებით კი ისინი იმდენად მოიძულეს, რომ მათ ნააზრევში რაიმე მეცნიერულ დირებულებასაც კი ვერ ხედავდნენ. უკვე არისტოტელე სოფისტებს იმ ადამიანებს უწოდებს, რომლებიც ფულს მოჩვენებითი სიბრძნით შოულობენ. მიუხედავად იმისა, რომ სოფისტები თავს პოლიტიკის მასწავლებლებად თვლიდნენ, არისტოტელეს აზრით, ისინი ამისთვისაც გამოუდეგარნი იყვნენ, რადგან არ ჰქონდათ არც პრაქტიკული გამოცდილება და არც თეორიული ცოდნა. ისოკრატესიც ბრალს სდებს სოფისტებს იმაში, რომ ისინი იზიდავენ ახალგაზრდებს, ართმევენ ფულს და არ ზრუნავენ ჭეშმარიტების ძიებაზე. ისოკრატესი სოფისტებს გამოუცდელებად მიიჩნევს რიტორიკის სწავლებაშიც (44, 29-33). მოგვანებით სოფისტებთან დაკავშირებით აზრი კვლავ შეიცვალა და მათ დამცველები გამოუჩნდნენ, რომელთა შორის ისეთი დიდი ფილოსოფოსიც კი იყო, როგორიც ჰყბელია (44, 3).

დღესდღეობით აღიარებულია სოფისტური მოძრაობის ისტორიული და ინტელექტუალური მნიშვნელობა. სოფისტების ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა გრამატიკა, ლინგვისტიკის თეორია, ლიტერატურული ანალიზი და კრიტიკა. ისინი განიხილავდნენ მორალურ და პოლიტიკურ დოქტრინებს, სწავლობდნენ მათემატიკას, ფიზიკის ელემენტებს, სვამდნენ ფილოსოფიური ხასიათის შეკითხვებს და ასეთსავე პასუხებს მოითხოვდნენ. თუმცა მათ ფილოსოფოსობასთან დაკავშირებით დღესაც ურყევია პლატონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფილოსოფია არის ჭეშმარიტების განჭვრეტა, რაც, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან შორს იყო სოფისტებისგან. პლატონი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც არ არსებობდა ფილოსოფიის განსაზღვრული გაგება. ამ დროს განვითარებული იყო აბსტრაქტული და ანალიტიკური აზროვნების სხვადასხვა სახე. პლატონის წინამორბედ მოაზროვნებს, კანონმდებლებს, ოსტატებს, ცრუ სიბრძნის მაძიებლებთან ერთად მოიხსენიებდნენ როგორც *sofisi* და *sofistai*. სიტყვა *filosofein* და მისგან ნაწარმოები ფუძეები იშვიათად ჩანდა გვიან

ბვ. წ. V საუკუნემდე. ამ ტერმინს არ პქონდა ჩამოყალიბებული ტექნიკური მნიშვნელობა. როდესაც ასპარეზზე გამოვიდა პლატონი, მან შემოგვთავაზა ამ სიტყვის სპეციფიკური და საკმაოდ ვიწრო განსაზღვრება საკუთარი მოღვაწეობის აღსანიშნავად. ამით მან საკუთარი თავი ყველა სოკრატემდელი ფილოსოფოსისაგან გამიჯნა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მან თავისი ნააზრევის გადმოსაცემად შექმნა სრულიად ახალი ლიტერატურული ჟანრი – დიალოგი და გამოყო ის სხვა ჟანრებისგან, როგორც ერთადერთი ფორმა ჭეშმარიტების პლევა-ძიების გადმოსაცემად (122, 10).

იმისათვის, რომ უფრო დრმად ჩავწვდეთ სოფისტთა მიმართ დაპირისპირებაში ჩამოყალიბებულ პლატონის სააზროვნო მეთოდოლოგიას, რომელიც რელიეფურად მუდავნდება “სოფისტშიც” და რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამ ნაწარმოების როგორც ფილოსოფიური, ისე ფილოლოგიური ასპექტით კვლევას, უნდა განვიხილოთ დიალოგის ჟანრი, მისი პრობლემატიკა და ამ ჟანრთან დაკავშირებული მსჯელობის დიალექტიკური მეთოდი.

### თავი III

#### დიალოგის შანრი და დიალექტიკური მეთოდი

##### დიალოგი (ზოგადი მიმოხილვა)

dialogo~ – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „საუბარს”, „დიალოგს”, „მსჯელობას”. იგი ნაწარმოებია ზმნიდან *dialogomai*, რომელიც ნიშნავს „ვსაუბრობ”, „ვესაუბრები” (ვინმეს), „ვმსჯელობ”, „ვინმესთან ერთად განვიხილავ საკითხს”, „მსჯელობის შედეგად ვასკვნი”, „ვკამათობ”, „ვდაობ” (16, 402).

ტერმინი „დიალოგი” შეიძლება განხილულ იქნას სამ ძირითად დონეზე: 1. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 2. მხატვრული ტექსტის ნაწილი, მისი ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც პერსონაჟთა სიტყვიერ ურთიერთობას ასახავს; 3. ლიტერატურული ჟანრი, უპირატესად ფილოსოფიური შინაარსისა, რომელშიც ავტორის აზრი გადმოცემულია ორი ან მეტი პირის საუბრის სახით (14, 96). სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს დიალოგს ანტიკური ხანის ავტორი – დიოგენე ლაერტელი, რომლის განმარტებითაც, დიალოგი არის საუბარი, რომელიც შეიცავს სიტყვა-პასუხს ამა თუ იმ ფილოსოფიურ, რელიგიურ ან პოლიტიკურ საკითხზე (17, 337).

დიალოგის ფორმას საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა შეუძლია მკითხველზე. კერძოდ, დიალოგი დასაბუთებული პასუხების უფრო დიდ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ნებისმიერი ფილოსოფიური ტრაქტატი. ეს განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრი არის, ერთი მხრივ, საუკეთესო საშუალება საკუთარი დოქტრინების გადმოსაცემად, მეორე მხრივ კი, იმ შესაძლებლობების გამოსახატად, რასაც წერის ხელოვნება იძლევა (101, 95).

დიალოგის ჟანრის შექმნა ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის – პლატონის სახელს უკავშირდება, თუმცა, „დიალოგის კლასიკოსად” აღიარებული მოაზროვნის შემოქმედებაში ამ ჟანრის ჩამოყალიბებასა და მის მაღალ მხატვრულ სრულყოფას უთუოდ ჰქონდა გარკვეული წანამდღვრები.

ფილოსოფიური დიალოგის პირველ ლიტერატურულ ჩანასახად მიჩნეულია დემოკრიტესის ნაწარმოები „გონებისა და გრძნობის გასაუბრება”. ამასთანავე,

მონოლოგთან ერთად დიალოგს ვხვდებით ისტორიკოსთა თხზულებებში (რომ აღარაფერი ვთქვათ დრამაზე). გარდა ამისა, როგორც აღნიშნავენ, ძვ. წ. V საუკუნეში ცნობილი უნდა ყოფილიყო ე. წ. „შვიდი ბრძენის საუბრები”. დიალოგის ფორმა პქონდა იონ ქიოსელის ანეკდოტებს სახელგანთქმული ადამიანების შესახებ. განუზომლად დიდია სოფისტებისა და სოკრატეს წვლილი ზეპირი დებატების ხელოვნების განვითარებაში (18, 127). მაგრამ, საერთო აღიარებით, დიალოგურმა ფორმამ ფართო და ინტენსიური განვითარება პირველად ლიტერატურის ისტორიაში სწორედ პლატონთან ჰპოვა.

### დიალოგის ჟანრის პრობლემატიკა და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა

დიალოგის მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მკვეთრად იზრდება. ამავე პერიოდიდან იწერება ძირითადად დიალოგის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევები.<sup>25</sup>

დიალოგს როგორც ლიტერატურულ ჟანრს სხვადასხვა ასპექტით განიხილავთ: დიალოგი და შემოქმედება, დიალოგი და აზროვნება, სამეცნიერო დიალოგი და სხვა. განარჩევენ დიალოგის რამდენიმე სახეს: დიალოგი-კამათი, დიალოგი-განმარტება, დიალოგი-ემოციური კონფლიქტი, დიალოგი-უნისონი. დიალოგის ტიპებს განარჩევენ იმის მიხედვითაც დასრულებულია მსჯელობა თუ დაუსრულებელი, შეთანხმებულია თანამოსაუბრეთა მოქმედება თუ ურთიერთსაწინააღმდეგო და ა. შ. (57, 83-86) რაც შეეხება სპეციალურად ფილოსოფიურ დიალოგს, მასში გამოყოფენ პკლევით (რომელიც მოიცავს პოლემიკასაც), დიდაქტიკურ და სატირულ ტიპებს (15, 73).

თანამედროვე მკვლევარი დ. კოლტონი დიალოგის ტიპების კლასიფიკაციას მათი მიზნების შესაბამისად ახდენს და გამოყოფს ექვს ტიპს, რომელსაც ის ასევე უწოდებს: 1. დარწმუნება; 2. მოლაპარაკება; 3. კვლევა; 4. განხილვა; 5; ინფორმაციის ძიება; 6. კამათი (137, 27).

<sup>25</sup> ოუკე პაული-ფისოვას ლექსიკონის ძეელ გამოცემაში დიალოგისადმი მიძღვნილი ცალკე სტატიაც კი არ არის, ახალ *Newer Pauli-ში* უკვე საფუძვლიანად არის მიმოხილული ამ ჟანრის განვითარების ისტორია ანტიკურ ხანაში, ქრისტიანული ლიტერატურის ჩათვლით.

დიალოგის ჟანრზე საუბრისას თავდაპირველად ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ საკითხებზე, რომლებიც უმთავრესად დიალოგის სტრუქტურას, მის ფორმასა და შინაარსს შორის კავშირს, მონოლოგთან მის მიმართებას და ასევე ზოგიერთ იმ ასკექტს შეეხება, რომლებიც ფილოსოფიური დიალოგისათვის არის მნიშვნელოვანი.

უპირველეს ყოვლისა, ისმის კითხვა: რა შემთხვევაში, რა პირობებში შეიძლება შედგეს დიალოგი? გ. გირგინოვის განმარტებით, ორი მხარის პოლარულად განსხვავებული შეხედულებებისა და პოზიციების არსებობის დროსაც კი უნდა იყოს რადაც საერთო, რაც გახდება დიალოგური ურთიერთობის საფუძველი. მისივე თქმით, დიალოგი სოციალური მოვლენაა და მას შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი საუბრის, დისკუსიის, დისკუტის ან პოლემიკის სახე (46, 32).

### დიალოგი და მონოლოგი

ზეპირი მეტყველების ფორმათაგან დიალოგი მონოლოგზე ადრინდელი წარმოშობისაა (57, 37), თუმცა მიუთითებენ მათ შორის არსებულ მჭიდრო კავშირზეც, რაც ისტორიულად არის დამოწმებული. 6. ბეზმენოვას თქმით, ანტიკური ცოდნა დიალოგის სახით ფორმირდება, შემდეგ კი სხვადასხვა ტექსტში მონოლოგად ყალიბდება (36, 21).

გ. კუჩინსკის აზრით, ესა თუ ის შეხედულება აუცილებლად უნდა გამოიცადოს დიალოგურ მსჯელობაში, რათა მის საფუძველზე წარმოიშვას სხვა დასაბუთებული შეხედულება; მონოლოგში კი ცოდნა ფიქსირდება, როგორც აზროვნების პროცესის დასრულებული პროდუქტი (57, 91).

6. ბეზმენოვა იმოწმებს ვ. პერელმანს, რომელიც ისტორიულ-კომუნიკაციურ მოდელად ასახელებდა არა მონოლოგს, არამედ დიალოგს, რადგან მონოლოგისას შესაძლებელია საკუთარი თავის მოტყუებაც, დიალოგში კი ზუსტდება არგუმენტაცია. ამ მხრივ, ანტიკურობაშივე გაემიჯნა ერთმანეთს რიტორიკა, რომელიც იყენებდა მონოლოგს და ფილოსოფია, რომლისთვისაც მისაღებ ფორმად დიალოგი იქცა (36, 67). ზოგიერთი მეცნიერი დიალოგის მონოლოგისაგან განმასხვავებელ ნიშად პირველის რეაქციულ ხასიათს მიიჩნევს. ლ.

სლავგოროდსკაიას განმარტებით, დიალოგი არის მეტყველება, რომელიც რეპლიკებისგან შედგება. ეს არის ძლიერ დრამატიზებულ რეაქციათა ჯაჭვი (70, 80).

მონოლოგს საერთოდ ხელოვნურ ენობრივ ფორმად მიიჩნევდა რუსი მეცნიერი გ. შერბა, რომლის აზრითაც, თავის ჰეშმარიტ არსს ენა მხოლოდ დიალოგში ავლენს: დიალოგის დროს ჩნდება ახალი სიტყვები, იწარმოება ახალი ფორმები, რაზეც გავლენას ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ფაქტორები ახდენს. სალაპარაკო ენა მას თავისთავად დიალოგურად მიაჩნდა, რამდენადაც იგი, უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობის იარაღია (38, 19).

### შინაგანი დიალოგი

გ. კუჩინსკი აღნიშნავს, რომ ხშირად ხდება დიალოგური მეტყველების მონოლოგიზება, ხოლო მონოლოგი, თავის მხრივ, ხშირად იქცევა შინაგან დიალოგად. შინაგანი დიალოგი კი, როგორც გ. კუჩინსკი ამბობს, სხვა არაფერია, თუ არა მეტყველების ფორმა, როდესაც ადგილი აქვს ერთი და იმავე ინდივიდის განსხვავებულ მოსაზრებათა ურთიერთქმედებას (57, 46).

შინაგანი დიალოგის ცნება თავისთავად გულისხმობს დიალოგის კავშირს აზროვნებასა და ლოგიკასთან. ეს საკითხი საგანგებოდ არის განხილული გ. გირგინოვთან: შინაგანი დიალოგი წარმოიშობა მაშინ, როცა ხდება ადამიანის აზროვნების დიალოგიზება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ აზროვნების განვითარება არის ლოგიკის განვითარება. დიალოგი, ერთი მხრივ, არის ობიექტური, ღირებული ინფორმაციის დაგროვების, ჰეშმარიტების მიღწევისა და ჰეშმარიტი ცოდნის გამდიდრების საშუალება, მეორე მხრივ კი, მისი ღირსება და დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ეთანხმება ის ლოგიკური აზროვნების კანონებს (46, 51). ლ. სლავგოროდსკაია ყურადღებას ამახვილებს დიალოგის მნიშვნელობაზე თვითშემუცნების გაღრმავებისთვისაც. მისი თქმით, დიალოგი ბერძნებისათვის არის არა მარტო ურთიერთობის, არამედ აზროვნების საუკეთესო ფორმაც (57, 77).

## დიალოგის სტრუქტურა

გ. კუჩინსკი დიალოგის უანრის კვლევისას უმნიშვნელოვანებს საკითხად დიალოგის სტრუქტურის, კერძოდ კი, სტრუქტურული ერთეულის დადგენას მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით იგი განიხილავს მეცნიერებაში არსებულ სხვადასხვა მოსაზრებას: სტრუქტურულ ერთეულად სახელდება სიტყვა (პ. ვიგორტსკი), წინადადება (პ. სეჩენოვი), გამონათქვამი (ვ. იანოვშეკი), ორი მოსაუბრის შესიტყვება (მ. ბახტინი), კითხვა-პასუხის ციკლი (ე. ორლოვა) (57, 91). მისი აზრით, რამდენადაც დიალოგის შინაარსი და ფორმა ერთიანი უნდა იყოს, შესწავლისას სტრუქტურულ ერთეულად აღებულ უნდა იქნას კითხვა-პასუხის ციკლი, რომელიც შეიძლება დაემთხვას მიკრო-დიალოგს.

ზოგიერთი მეცნიერი (გ. კოხი) სტრუქტურის შესწავლისას ახდენდა ტექსტის დიფერენცირებას, გამოყოფდა სიუჟეტს, მოტივს, მაგრამ, გ. კუჩინსკის თქმით, აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიალოგური მეტყველება არის ლაკონური და ბევრი რამ, რაც არ არის ნათქვამი, ხშირ შემთხვევაში იგულისხმება. ამიტომ დიალოგის სტრუქტურის კვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ისეთი ენობრივი ფორმები, როგორებიცაა: 1. რედუცირება – როცა პირი აღარ იმეორებს უკვე ნათქვამს, ან საერთოდ არ ასრულებს აზრს; 2. მულტიფუნქციონა – როცა ტექსტის გარკვეული მონაკვეთი ასრულებს რა დიალოგში ერთ ფუნქციას, მოიცავს მეორესაც (მაგ: პასუხი-ინფორმაცია, პასუხი-დამოკიდებულება); 3. ფუნქციური ელემენტების ფორმათა სესხება ან შერევა (მაგ: რიტორიკული შეკითხვა, შეკითხვა-გამხნევება) (57, 94).

გ. კუჩინსკი განიხილავს დიალოგის ფორმისა და შინაარსის მიმართებასაც. ფორმა, უპირველეს ყოვლისა, დიალოგის შინაარსის განვითარების საშუალებაა. დიალოგის შინაარსის ანალიზისას ამოსავალი ცნებებია „თემა” და „შეხედულება”. შეკითხვა არის ძირითადი საშუალება დიალოგის თემის დასადგენად და იმ შეხედულების მისათითებლად, რომლის გაგებასაც ისახავს მიზნად დასმული შეკითხვა. პასუხი კი არის შეხედულების გამოხატვა იმ თემაზე, რომელიც შეკითხვით დაფიქსირდა (57, 99).

სტრუქტურულად რთული დიალოგების შესწავლისას ცალ-ცალკე უნდა იქნას გამოკვლეული შემადგენელი მიკრო-დიალოგების თემები, რომლებიც ერთიანობაში დიალოგის მთავარ თემას ქმნის.

### დიალოგის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში

დიალოგის მნიშვნელობა აქტუალურია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. თუმცა დიალოგური ფორმის გამოყენებას უპირატესობას ანიჭებენ არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისას, არამედ სხვადასხვა ჯგუფისა თუ ასაკის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირების დროსაც. დიალოგი თანდათან უფრო მეტად ხდება პოლიტიკური დიდერების მოღვაწეობისა და ახალი პოლიტიკური აზროვნების უმნიშვნელოვანების კომპონენტი (46, 17). თვით განათლების სისტემაშიც კი დიალოგი მკვიდრდება როგორც სწავლების მეთოდი (უნდა აღინიშნოს, რომ შეა საუკუნეებში დიალოგი გარკვეულწილად უკვე იყო გამოყენებული ე. წ. კითხვა-პასუხის მეთოდის სახით, დღეს კი მას სწავლების ინტერაქტიურ მეთოდს უწოდებენ).

### დიალოგის კავშირი აზროვნებასა და ლოგიკასთან

ლ. სლავოროდსკაია სპეციალურად განიხილავს დიალოგს მეცნიერებასთან მიმართებაში. მისი თქმით, დიალოგის თემა მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციის, ზემოქმედებისა და კონტაქტის გაგებას. ყოველივე ეს კი განუყოფელია ბრძენის, მეცნიერის მოღვაწეობისაგან. მეტიც, ამათ გარეშე მეცნიერის მოღვაწეობას აზრი ეკარგება. ლ. სლავოროდსკაიას თქმით, შემთხვევითი არ იყო, რომ მეცნიერება, დღევანდელი გაგებით, პირველად ძვ. წ. V ს-ის საბერძნეთში ჩნდება. ამ დროს პოლისებში დემოკრატიის დამკვიდრებამ გამოიწვია ზეპირი სიტყვის განვითარება. სახალხო კრებასა თუ სასამართლოში გამოსვლისას საკუთარი აზრის დამაჯერებელი არგუმენტირების აუცილებლობამ განაპირობა ლოგიკური დასაბუთების ხერხების შემუშავება. ბრძენი ადამიანის ზეპირი სიტყვა კი უოველთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩაწერილი. ამიტომ საუბარი ხდება არა მარტო სწავლების, არამედ კვლევის საუკეთესო ფორმაც. წერილობითი ტექსტების

აუცილებლობა კი მხოლოდ იმაშია, რომ ინფორმაცია შემდგომ თაობას გადასცეს. სოკრატეც უპირატესობას ანიჭებს ცოცხალ, ზეპირ მეტყველებას (Phdr. 275 d-e)<sup>26</sup>. ამდენად, მეცნიერებისა და დიალოგის უანრის განვითარება დემოკრატიულ საბერძნებულების სლავოროდსკაიას კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია (70, 48).

### ლოგიკა და რიტორიკა ფილოსოფიურ დიალოგში

ფილოსოფიურ დიალოგს როგორც უანრს დიდი ხნის ისტორია აქვს. კლასიკურ ეპოქასა და გვიან ანტიკურობაში პლატონის ადრეული ე. წ. სოკრატული დიალოგებიდან დაწყებული, პლუტარქოსის, ციცერონის, ტაციტუსისა და ნეტარი ავგუსტინეს ნაწარმოებებით დამთავრებული, დიალოგის უანრმა სერიოზული ცვლილებები განიცადა. ის მნიშვნელოვან უანრად რჩებოდა რენესანსისა და განმანათლებლობის ეპოქაშიც და პოპულარული იყო ისეთ ავტორებთანაც, როგორებიც არიან გალილეო, დიდრო, კოლტერი, ლოკი დ. ა. შ. XX საუკუნის შუა და ბოლო პერიოდში ხდება დიალოგის უანრის აღორძინება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ პერიოდში კრიტიკული დისკურსის განვითარებასთან.

მიუხედავად              ამისა,              ფილოსოფიურ              დიალოგს              ჩვეულებრივ  
“არალიტერატურულ უანრად”, ერთგვარ “კირტუალურ თეატრად” მიიჩნევენ. ამ უანრმა პერმენევტიკოსებისა და ენის ფილოსოფოსების განსაკუთრებული უურადღება მიიქცია. ლინგვისტიკის მხრიდან გამოიკვეთა სამი მირითადი მიღომა: პრაგმატიკის, ლოგიკისა და რიტორიკის. 70-იან წლებში იქამდეც კი მივიდნენ, რომ დიალოგი მიიჩნიეს კულტურული ეკოლუციისა და კულტურათაშორისი გაცვლების ძირითად მექანიზმად. მსგავსი უანრი არსებობდა ჩინურ ლიტერატურულ ტრადიციაშიც, მაგრამ სამწუხაროდ ჩინურ-ევროპული ლიტერატურული კომპარატივისტიკის მიერ არ მომხდარა ამ ორი ფენომენის შედარება.

<sup>26</sup> *deinon gar pou, wLFайдre, tout jēcei grafh̄i kai; wL aj̄ h̄qw~ ōmoion zwgrafia. kai; gar ta; ēkeinh~ ēkgora ēsthkh men wL zw̄nta, ej̄an d j ājherh̄ti, semnw~ panu sigal taujton de; kai; oij logoi, dokai~ men aj̄ wL ti fr̄onouinta~ aujtou~ legein, ej̄an dev ti ej̄h/twn legomenwn boulomeno~ maqein, ej̄ ti shmainei monon taujton āej̄iv oftan de; apax grafh̄i kul indeitai men pantacou pa~ logo~ ōmoi~ para; toj~ epaībusin, wL d j aujt~ ti āj̄ j oij~ oujden proshkei, kai; oujk epīstatai legein oij~ dei~ ge kai; m̄hv PI h̄mmel oumeno~ de; kai oujk ej̄n dihk/ loidorh̄qeit~ tou~ patro~ āj̄i; dei~ tai bohqou, aujto~ gar oujt j aj̄munasqai oujte bohqhsai dunato~ aultw/ (Phdr. 275 d-e).*

მივყვეთ სოკრატეს ტრადიციას, რომელიც პირველი იყო, ვინც აღმოაჩინა რიტორიკასა და ლოგიკას შორის არსებული შინაგანი უთანხმოება, რაც, თავის მხრივ, ქმნის ფილოსოფიური დიალოგის პრაგმატიულ არსეს. პირველ რიგში უნდა ჩავუდრმავდეთ ისტორიულ კონტექსტს. ალექსანდრიული მემკვიდრეობის პარალელურად კლასიკურმა მეცნიერებამ განავითარა თავისი სრულყოფილი ფორმა და მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს დააარსა პირველი უნივერსიტეტი. ამ პერიოდში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლება ორი ნაწილისგან შედგებოდა, ესენი იყო ტრიგიუმისა და კვადრივიუმის ციკლი. ტრიგიუმში შედიოდა გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, რომელთაგან თითოეული გარკვეული ასპექტით უკავშირდება ენას. ზოგიერთისთვის სწავლების ეს მოდელი მოძველებული და არარელევანტურია, თუმცა უკანასკნელმა წლებმა აჩვენა, რომ შეა საუკუნეების ტრიგიუმის განახლებულ მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ენის ფილოსოფია და სემიოტიკა. ვ. პერელმანისა და ამერიკელი ნეო-პრაგმატისტების მოღვაწეობამ კი კიდევ ერთხელ დასვა საკითხი ლოგიკისა და რიტორიკის ურთიერთდაპირისპირების შესახებ, რომელიც ინიცირებული იყო სოკრატეს მიერ ისეთ დიალოგებში, როგორიცაა “გორგიასი” და “შენონი” (121, 35).

ეჭვგარეშეა, რომ ამ სამი მიმართულებიდან თითოეულს ჰქონდა თავისი ფუნქცია, დირექტულება და პერსპექტივა. პრაგმატიკის კონცეფციამ იცვალა თავისი გაგება და თუ ადრე ის მოიაზრებოდა ძირითადად ლექსიკოგრაფიად და სტილად, დღეს ის გულისხმობს ენის სტრუქტურას ერთიანობაში და არ უკავშირდება ენის ლოგიკურ სტატუსსა და ჭეშმარიტებას. ამის საპირისპიროდ, ლოგიკის პირველადი და ძირითადი გაგება არის ჭეშმარიტება და მისი პროცედურა კი ჭეშმარიტების ძიება. რაც შეეხება რიტორიკას, ის თავიდანვე დაკავშირებული იყო დარწმუნების ხელოვნებასთან (121, 42).

ბერძნულ-რომაულ რიტორიკაში იყო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. რა უნდა გააკეთონ თანამოსაუბრებებმა მაშინ, როდესაც ფილოსოფიური ქვლევა ვერ აღმოაჩენს სიმართლეს და როდესაც სიმართლე, რომელიც ეთიკურ დირექტულებებს უკავშირდება, ვერ იქნება აღმოჩენილი ლოგიკური პროცედურის შედეგად? პლატონური კორპუსი თითქმის მთლიანად ამ საკითხზე პასუხის გაცემითაა დაკავებული. ტერმინ *dialego*-ის ეტიმოლოგიაც სწორედ ისაა რომ, როდესაც

Logo- (ჭეშმარიტება) არ არის მისაწვდომი და როდესაც არავის შეუძლია logo--ის (მეტყველება) მონოპოლიზება, მაშინ პროცესი უნდა წარიმართოს მასში სხვა თანამოსაუბრების ჩართვის გზით (dia). ანუ დიალოგი არის განგრძობადი დისკუსიური პროცესი, რომლის შედეგადაც ჩნდება რაღაც ჭეშმარიტება მაინც. ენის გამოყენების ეს პრაგმატული ასპექტი იმდენად გავრცელებულია დღეს, რომ ჩვენ ამას ვერც კი ვაცნობიერებთ. ამიტომაცაა, რომ დიალოგის ჟანრი ყურადღების ცენტრში მოექცა სწორედ XX საუკუნეში.

პლატონის ადრეულ დიალოგებში სოკრატე ყველგან არის წამყვანი თანამოსაუბრის როლში. უფრო ხშირად ის არის ადამიანი, რომელიც სვამს საწყის შეკითხვას და იწყებს რეალური დიალოგის განვითარებას. ერთი მხრივ, სოკრატე არის ადამიანი, რომელიც თითქოსდა სიქველისა და ჭეშმარიტების ძიებაშია, მეორე მხრივ კი, ის ზუსტად ისევე იყენებს რიტორიკულ სტრატეგიებს, როგორც ამას სოფისტები აკეთებენ, რომელთაც ის უტვრდება. მოდელი ასეთია: სოკრატე თავდაპირველად აცხადებს, რომ მან არ იცის საკითხი, შემდეგ იკვლევს თანამოსაუბრების ერთად და ლოგიკისა და რიტორიკის ურთიერთშეპირისპირების ფონზე თანამოსაუბრებისაც აჩვენებს, რომ მან არაფერი იცის. ეს არის ცნობილი ელენეოსის მეთოდი, რომელიც ნიშნავს მხილებას. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი გვხვდება პლატონის ბევრ დიალოგში და მათ შორის “სოფისტშიც” (ამ ნაწარმოების ელენეოსის გამოყენების თავისებურებების შესახებ დეტალურად იხ. თავი IV).

რა არის ლირებული და საინტერესო ამ მეთოდიდან თანამედროვე პრაგმატისტებისათვის? მნიშვნელოვანი ისაა, რომ დიალოგის ფორმა და მეთოდი თავის თავში მოიცავს ლოგიკური მსჯელობის პროცედურისა და რიტორიკის დარწმუნების ტექნიკის ელემენტებს, რაც მიმართულია თანამოსაუბრის გარდაქმნისაკენ.

### დიალოგი ფილოსოფიასა და ლიტერატურაში

ლიტერატურის ზოგიერთი თეორეტიკოსი ყურადღებას აქცევს ფილოსოფიურ ტექსტებს ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისით და თვლის, რომ ის ამ მხრივ არაფრით განსხვავდება ლიტერატურული ტექსტისგან. შესაბამისად,

ფილოსოფიური და ლიტერატურული ტექსტი უნდა განვიხილოთ ერთი და იმავე საშუალებებით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ტექსტებს მიზნების მიხედვით განასხვავებენ. ფილოსოფოსები ქმნიან ტექსტებს, რომლებიც ჰეშმარიტებას შეესაბამება, მაშინ როდესაც მწერლები კონცენტრირებას ახდენენ გამოხატვაზე სტილზე. მაგრამ ფილოსოფია მუდამ არის ლიტერატურა და ხშირად ხდება მეტა-ლიტერატურაც. ფილოსოფია აქცენტს აკეთებს არსებულზე, მაშინ როცა ლიტერატურას აქვს კრეაციის საშუალება და არ აქვს აუცილებლობა ეყრდნობოდეს ჰეშმარიტებას.

როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება ერთი ავტორის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პლატონის გამიჯვნა, როგორც მწერლის და როგორც ფილოსოფოსის. თავი რომ დავანებოთ პლატონს, როგორც ფილოსოფოსს, მისი ნაწარმოებები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ხელოვნების ნიმუშები, თხზულებები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია კულტურის ისტორიისათვის მათი ლიტერატურული დირექტულების გამო. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ პლატონის კორპუსის შესასწავლად არ არის აუცილებელი მისი დიალოგების ფორმის კვლევა. სინამდვილეში, ნაწარმოებების მხატვრული ფორმა თავისთავად მნიშვნელოვანი შესწავლის საგანია. სხვები ეჭვქვეშ აყენებენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პლატონის ფილოსოფიური თეორიების გადმოცემა მხოლოდ დიალოგის ფორმით იყო შესაძლებელი და რომ დიალოგის ფორმა პლატონის აზროვნებასთან უშუალოდაა დაკავშირებული. ისინი ქმნიან პლატონის სტილის კვლევის განსხვავებულ თეორიებს და საფუძვლად უდევთ შეკითხვა: რატომ აირჩია პლატონია, რომელიც მუდამ აკრიტიკებს დრამის ავტორებს, მაინცადამაინც ეს ფორმა, რომელიც უფრო მეტად ლიტერატურულია, ვიდრე ფილოსოფიური. ცნობილი მკვლევარი მ. ნუსბაუმი ამასთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ პლატონია იმიტომ აირჩია დრამის სტილი, რომ ამით გამიჯვნოდა ტრაგიკულ დრამას და შეექმნა ე. წ. ანტი-ტრაგიკული დრამა, რომლითაც მკითხველი მასთან ერთად მიაღწევდა ჰეშმარიტებას (92, 32).

პლატონის დიალოგები არის ერთგვარი თეატრი, სადაც ძირითადად თამაშობენ ფილოსოფიური არგუმენტები და მთავარია მიჰყვე მათ, როგორც თეატრში მიჰყვები მოქმედებას. შესაბამისად, ეს ნაკლებად არის ფილოსოფიური ხასიათის ლექციები.

საერთოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საკითხი, ეპუთვნის დიალოგები ფილოსოფიას თუ ლიტერატურას, პლატონის დროს საერთოდ არ იდგა, რადგანაც იმ დროს ეს ორი სფერო ერთმანეთისაგან ასე ნათლად არ იყო გამიჯნული. იმ დროს ეპიკური და ტრაგიკული პოეტები ითვლებოდნენ მოაზროვნებად და მასწავლებლებად და მათ ნაწარმოებებს არავინ აღიქვამდა ნაკლებ სერიოზულად. პლატონმა სცადა ამ ცნობიერების შეცვლა და დაწერა დრამა, რომლის უმთავრესი მიზანიც ხალხის სამსახური იყო (92, 39).

### ჟანრის შერჩევა პლატონის მიერ

რატომ მიმართა პლატონმა დიალოგის ფორმას? ამ შეკითხვაზე პასუხი არ შეიძლება იყოს ცალმხრივი. როგორც ჩანს, ერთ-ერთი მიზეზი სოკრატეს საუბრის მანერის შენარჩუნება იყო. პლატონთან კერძო საუბარმა მხატვრული დიალოგის სახე მიიღო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველი ბერძენისათვის საუბარი იყო არა მარტო ურთიერთობის, არამედ აზროვნების ფორმაც. სწორედ საუბარში იბადება ცოდნა, აღწევს სრულყოფას და გადაეცემა სხვას. ვ. იეგერის თქმით, პლატონის სურვილი იყო ეჩვენებინა ფილოსოფოსი კვლევისა და მიების პროცესში, გაეხადა ეჭვი და კონფლიქტი ხილული (46, 47). პლატონის დიალოგებში მუდამ არის მკითხველისათვის მრავალმხრივი ცოდნის დაპირება. იგი არასოდეს არის გადმოცემული პირდაპირ, არამედ იგულისხმება საუბარში და მოუწოდებს მკითხველს, უფრო მრავალმხრივად მიუდგეს საკითხს, უფრო უკეთ განჭვრიტოს და უფრო მეტად დაფიქრდეს (133, 3).

დიალოგის ფორმის არჩევით პლატონმა თავი აარიდა მკითხველისათვის პირდაპირ მიმართვას. ნაცვლად ამისა, დიალოგებში ერთმანეთს მისი მოქმედი პირები ესაუბრებიან. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ პლატონი ნაწერებში თავისი პირით არასოდეს გადმოსცემდა ფილოსოფიურ იდეებს. VII წერილში ის ამბობს, რომ არასოდეს დაუწერია თავისი ფილოსოფია და ამას საკუთრივ ფილოსოფიური მიზეზი აქვს, – ფილოსოფია სიტყვებით არ გადმოიცემა (Epist. 341

с-е)<sup>27</sup>. ოუკი დიალოგები არ არის პლატონის ფილოსოფია, მაშინ რას წარმოადგენს ისინი და რა მიმართება აქვს პლატონის ნაზრევთან?

რ. პირცელის დაკვირვებით, ოუკი დიალოგებს მარტივად მივუდგებით, ვნახავთ, რომ ეს არის მაღალი დონის დრამატული თხზულებები, სადაც ბრწყინვალედაა დახატული ხასიათები, კონფლიქტი არის აშკარა და მწვავე, მხატვრული ოსტატობა კი ისეთი, რომ უმცირესი დეტალებიც კი სრულყოფილია. მათში წარმოდგენილი მოქმედებები განსხვავდება სტანდარტული დრამატურგიისაგან. სხვა სიტყვებით, დიალოგი არის იდეათა დრამა, სადაც ხდება ჭეშმარიტების თანდათანობითი გაშლა (109, 1118).

რატომ დაწერა პლატონმა ასეთი დრამები? ამის მიზეზი თავად დიალოგის ფორმაა. ნამდვილი ფილოსოფიური საუბარი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეალურ ადამიანთა ცხოვრებაში, საზოგადოებაში, სადაც საინტერესო საკითხებს განიხილავენ (109, 122). ჭეშმარიტებას, გაგებასა და სიბრძნეს მხოლოდ ამგვარ მსჯელობაში შეიძლება მიაღწიო. ფილოსოფიური საუბარი იწყება იმის შეგნებით, რომ ჩვენი შეხედულებები არ არის ჭეშმარიტების შესაბამისი. როდესაც ამ პრობლემას შეიგნებ, უნდა დაიწყო პასუხის ძიება. ფილოსოფიის კონცეფცია არის სიბრძნის ძიების წადილი, რაც განუყოფელია პლატონის დიალოგების დრამატული სტრუქტურისაგან. თავად დიალოგი კი ამ ძიების მხატვრული მიბამვაა (104, 94). ვ. სინაიკოს თქმით, პლატონი ხშირ შემთხვევაში ხწორედ აქ ირჩევს სოკრატეს უცხო და პარადოქსულ სახეს, რომ დააყენოს ის სცენის შუაგულში, რადგანაც სოკრატეს აქვს გენიალური თვისება ჩაებდაუჭოს დრამატულ სიტუაციაში დამალულ ფილოსოფიურ საკითხს და მოაქციოს ის ფორუსში. ეს არის სოკრატეს დრამატული ფუნქცია დიალოგებში, რომელიც განსხვავებულ ხალხთან განსხვავებულ სიტუაციებში გლინდება (133, 7). შესაბამისად, დიალოგებიც განსხვავებულად წარიმართება და განსხვავებული შედეგებით სრულდება. შეიძლება ითქვას, რომ ასეთია პლატონის კონცეფცია: სიბრძნის ძიება შეიძლება ყველგან ნებისმიერ ადამიანთან ერთად, თუმცა შედეგი მჭიდროდაა დაკავშირებული თანამოსაუბრეთა ხასიათზე, უნარსა და მიზნებზე.

<sup>27</sup> kaītoī tosonde oīda, oft̄ i grafenta h̄ lecuenta uþ j ejnoū bel tist j aþ̄ lecqeih̄, kai; mhn oft̄ i gegrannena kakw̄ ouj̄ h̄kist j aþ̄ ejne; lupoī. eij dermoi ejfaineto graptēa q j ikanw̄ eihai prō- toū pol̄ oū- kai; rhtā tiv toutou kaī lion ejpeprakt j aþ̄ h̄min ej̄ tw̄ biw̄ h̄toī te aþqrwpōisi mega ofel ō grayai kai; thn fuisin eij- fw̄- pāsin proagagein (Epist. 341 c-e);

ს. როზენის განმარტებით, პლატონისათვის დიალოგი თავისთავად წარმოადგენს თანამოსაუბრეთა მცდელობას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ წარმოადგინონ თავიანთი დოქტრინა. სხვა სიტყვებით, ეს არის ერთგვარი ყურადღების, ანუ სულის აღზრდა, სულის „გაძლოლა“. ხოლო რაკი სულები ბუნებით განსხვავებულია ერთმანეთისაგან, შესაბამისად, მათი „გაძლოლაც“ სხვადასხვა სახის საუბრებით უნდა მოხდეს. დიალოგის დრამატული ფორმა არის ის გზა, რომლითაც ავტორი საკუთარ დოქტრინებს განსხვავებულ მკითხველთა ბუნებებს შეუსაბამებს (128, 2).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დიალოგის ჟანრის ფორმირებაზე Swkratikoi Iougoi-ს გავლენა პლატონის მკვლევართა მიერ ერთხმად არის აღიარებული. ამ ცოცხალ ჟანრს გვინახავს ასევე ესქინეს ფრაგმენტები და ქსენოფონი. როგორც ჩანს, ამ სტილით წერდნენ სოკრატეს მეგობრები. პლატონი განსხვავდება ქსენოფონისაგან. ა. ნაიტინგეილი ფიქრობს, რომ პლატონის დიალოგებში ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ბერძნული პოეზიისა და რიტორიკის ჟანრთა გაერთიანება. ამის მაგალითებია: „პროტაგორასში“ დამოწმებული სიმონიდესის პოემა, დაკრძალვისას წარმოსათქმელი სიტყვა „მენექსენოსში“, პროზაული ევლოგიები „ნადიმში“, ლისიასის პანეგირიკი „ფედროსში“. მართალია, პლატონი ხაზგასმით განმარტავს ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელ მეთოდს – დიალექტიკას – საპირისპიროდ პოეზიისა და მუსიკის მაცდუნებელი ენისა, მისი დიალოგები არასოდეს შემოიფარგლება დიალექტიკით. მასზე აშკარა ზეგავლენას ახდენს, ერთი მხრივ, ტრაგედია, მეორე მხრივ კი, კომედია. კომედია ამზადებს მოდელს ადრეული სოკრატული ნაწერებისათვის, ტრაგედია კი – მოგვიანებით ხდება მისი პარადიგმა, ანუ პლატონის მეთოდი გარკვეულწილად ინტერტექსტუალურია. მცირე ალბათობაა იმისა, რომ ქსენოფონმა მიიღო ჟანრი, რომელსაც ამგვარი შერეულობა ახასიათებდა და ის გაამარტივა. უფრო სავარაუდოა, რომ პლატონმა აიღო დრამატიზებული საუბრების მარტივი ჟანრი და მულტიურანრულად აქცია ის (122, 204).

ცნობილია, რომ სოკრატეს ყველა მოსწავლე წერდა დიალოგებს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო მთელი ცხოვრება ისე გადმოეცა დიალოგში, როგორც ეს პლატონმა მოახერხა. მხოლოდ მან შეძლო ლიტერატურულად გამოეხატა

სოკრატული საუბრის თავისებურებები. ამიტომ ითვლება ის ფილოსოფიური დიალოგის შემქმნელად (100, 184).

ზოგიერთი მკვლევარი (დ. კლეი) ცდილობდა პლატონის დიალოგის ჟანრის სოფრონის მიმებთან დაკავშირებას. ეს ვარაუდი ემყარება დიოგენე ლაერტელის გადმოცემას, რომ პლატონმა „პირველმა ჩამოიტანა ათენში მიმოგრაფოს სოფრონის წიგნები და ბაძავდა მათ ხასიათების დახატვისას. ეს წიგნები მას სასოფლო უპოვნებს“ (Diog. III, 18). არისტოტელეც თავის „პოეტიკაში“ სოკრატულ დიალოგებს სოფრონის მიმების დონეზე აყენებდა (Arist. Poet. 1447 b). მიუხედავად ამისა, საკმაოდ პარადოქსულად ჩანს, რომ პლატონს ან ორმელიმე სოკრატელს ფილოსოფიური დიალოგის სპეციფიკური ტიპის მოღელად ლიტერატურის ეს სახეობა აეღო. საცდურს ალბათ ის ქმნიდა, რომ სოფრონის მიმები არის ერთადერთი ლიტერატურული ჟანრი დრამატულ პროზაში, რომელიც არსებობდა ძვ. წ. V საუკუნეში, მაგრამ მიმებიც ისეთი პროზაული დრამები უნდა ყოფილიყო, რომლებიც სცენაზე დასადგმელად იყო გათვალისწინებული, რაც ქმნიდა პრინციპულ განსხვავებას პლატონის დიალოგებისაგან (136, 59).

### პლატონის არგუმენტები და დიალოგის ფორმა

იმისათვის, რომ უფრო ამომწურავი პასუხი გავცეოთ შეკითხვას, თუ რატომ აირჩია პლატონმა წერის ეს ფორმა, განვიხილოთ, თუ რა კავშირშია პლატონის დიალოგებში გადმოცემული არგუმენტები თავად ამ ჟანრთან.

პლატონის დიალოგები ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ისინი იძლევა ზუსტ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ნამდვილ დიალექტიკურ საუბარში მონაწილეობა, ან უბრალოდ მისი მოსმენა. უფრო მეტიც, ისინი შესაძლოა იმაზე მეტის წარმოდგენასაც კი იძლევა, ვიდრე ამგვარ საუბარში ჩართვა მოგვცემდა, რადგანაც ეს დიალოგები წარმოადგენს პარადიგმატულ საუბრებს, სადაც პარადიგმატულია ხასიათებიც და დრამატული კონტექსტიც. დიალოგებში გამოყენებულია იმგვარი ლიტერატურული ხერხები, რომ ეს ნაწარმოებები ლიტერატურის ტრადიციას მიეკუთვნება (97, 201). იმავდროულად ისინი ფილოსოფიური მწერლობის მაგალითებიცაა და ეს წარმოშობს კითხვას, თუ

როგორ არის დაკავშირებული ეს ორი საკითხი ერთიმეორესთან პლატონის შემოქმედებაში. საუბარი არ არის იმაზე, რომ ეს ორი ასპექტი ერთიმეორის გამომრიცხავია, ან ერთიმეორისაგან დამოუკიდებელია. პირიქით, პლატონის კონცეფცია სწორედ ისაა, რომ თუ ლიტერატურას უნდა მიაღწიოს რაიმე დიდ მიზანს, ის აუცილებლად ფილოსოფიური უნდა იყოს და პირიქით, იმისათვის რომ ფილოსოფიურმა ნააზრევმა ფილოსოფიურ მიზანს მიაღწიოს, მან აუცილებლად მხატვრული ლიტერატურის ფორმა უნდა გამოიყენოს (97, 202).

ფოკუსირება უნდა მოხდეს ერთ კონკრეტულ ასპექტზე, რომლითაც, ვფიქრობ, ფილოსოფიური და ლიტერატურული ფორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. საკითხის არსი ამგვარია: პლატონს აქვს კონკრეტული შეხედულებები ფილოსოფიური თეზისებისა და არგუმენტების სტატუსსა და დირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც, მისი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ დიალოგის ფორმით, უფრო ზუსტად კი დრამატული დიალოგის ფორმით შეიძლებოდა ასახულიყო. ამ ზოგად იდეას შეიძლება დაეფუძნოს ჩვენი შემდგომი პვლევაც.

პლატონის დიალოგებში უამრავ სხვა ასპექტთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არგუმენტებს, რომლებიც საინტერესოა შემდეგი მიზეზების გამო: 1) დიალოგების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ არგუმენტებისაგან შედგება, რაც აგრეთვე ლიტერატურულ ელემენტებს წარმოადგენს; 2) როგორც წესი, სწორედ არგუმენტი ქმნის დიალოგის “ხერხემალს” და აყალიბებს მის სტრუქტურას; 3) დიალოგის ფორმა სრულ შესაბამისობაშია პლატონისეულ კითხვა-პასუხის ფორმატთან და ამას სწორედ არგუმენტების ბუნება განაპირობებს; 4) პლატონის დიალოგების არგუმენტების სიდიადე განაპირობებს თავად პლატონის ფილოსოფიური კონცეფციის მნიშვნელობას. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ პლატონი ფილოსოფიის მნიშვნელობას მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ხედავს, არამედ იმისი, რომ ფილოსოფიური ხედვა და შინაარსი, პლატონის აზრით, ბევრად არის დამოკიდებული ლოგიკურ არგუმენტებზე. ასეა თუ ისე, არგუმენტი პლატონის დიალოგის ერთ-ერთი საკვანძო შემადგენელი კომპონენტია და ამიტომ მასზე აუცილებლად უნდა გავამახვილოთ უერადღება.

აქ თავს იჩენს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. კერძოდ, ჩვენ გვაქვს არგუმენტების ერთი ჯგუფი, რომელიც დანამდვილებით ვიცით, რომ პლატონს ეკუთვნის და ამის პარალელურად გვაქვს მეორე ჯგუფი, რომელიც სადაცოა, ეკუთვნის თუ არა პლატონს. ადსანიშნავია, რომ პლატონი იმგვარად აგებს თავის დიალოგებს, რომ მხოლოდ დიალოგზე დაყრდნობით ვერ მივხვდებით, ეკუთვნის თუ არა ესა თუ ის არგუმენტი პლატონს. ამის დასამტკიცებლად ჩვენ გვჭირდება დამატებითი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა პლატონის ნააზრევსა და შეხედულებებზე.

როდესაც ვინმე წერს ფილოსოფიურ ტრაქტატს, იქ ცალმხრივად და ერთმნიშვნელოვნად არის გატარებული ავტორის არგუმენტი, რომელსაც ის მთელ ტრაქტატში იცავს. ამდენად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ლოგიკური, დამაჯერებელი და ძლიერი არის თუ არა ფილოსოფიური ტრაქტატის ავტორისეული არგუმენტი. არგუმენტი არის პლატონისეული დიალოგისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც თავისთვად რიგ შეკითხვებს წარმოშობს: 1) რომელია პლატონისეული დიალოგის ის ფორმალური მახასიათებლები, რომლებიც დიად ტოვებს საკითხს, ეკუთვნის თუ არა დიალოგში განვითარებული ესა თუ ის არგუმენტი თავად პლატონს? 2) აკეთებდა თუ არა ამას პლატონი შეგნებულად? 3) თუ ეს უკანასკნელი ასეა, რატომ აირჩია მან წერის ეს ფორმა? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემით კი ნათელი მოეფინება საკითხს, თუ რატომ წერდა პლატონი ფილოსოფიურ დიალოგს ამ ფორმით.

პირველი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლის მეშვეობითაც დიად რჩება საკითხი, ეკუთვნის თუ არა დიალოგში განვითარებული ესა თუ ის არგუმენტი თავად პლატონს არის ის, რომ დიალოგი მხატვრული ლიტერატურის პროდუქტია, რომელშიც არგუმენტებს ავითარებენ მხატვრული პერსონაჟები. ასეთ შემთხვევაში ავტორი არ არის პასუხისმგებელი პერსონაჟების მიერ შემთავაზებულ არგუმენტებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავად ავტორი მიგვანიშნებს ამას რაიმე გზით. დიალოგის შემთხვევაში ერთ-ერთი ასეთი საშუალება შეიძლება იყოს საკუთარი თავის გამოყვანა თანამოსაუბრედ ან ავტორის იდენტიფიცირება რომელიმე პერსონაჟთან. პლატონის შემთხვევაში ამგვარი პერსონაჟი ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, არის სოკრატე. ეს ყოველთვის ასეც რომ იყოს, აქ ჩნდება უკვე მეორე ფორმალური მახასიათებელი იმისა, თუ რატომაა არგუმენტებისადმი

პლატონის დამოკიდებულება დარჩენილი დიად. ესაა თავად პლატონის დიალოგებში განვითარებული არგუმენტების ფორმა.

პლატონის დიალოგებში, ძირითადად, არგუმენტებს შემდეგი სტრუქტურა აქვს: დიალოგში არის ორი მხარე: ერთი, რომელიც სვამს შეკითხვას და მეორე, რომელიც პასუხობს. თავდაპირველად პირველი მხარე სვამს რიგ შეკითხვებს, რომლებზეც ითხოვს პასუხს “კი” ან “არა”, შემდეგ კი მეორე მხარეს მისივე პასუხების საფუძველზე სთხოვს კონკრეტულ დეფინიციას. დიალოგში კარგად არ ჩანს, თუ რომელი პერსონაჟისაა ესა თუ ის არგუმენტი, იმისი, ვინც შეკითხვებს სვამს, თუ იმისი, ვინც პასუხობს. ესეც დრამის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ელემენტია და სწორედ ამ მიზნით უნდა იყოს გამოყენებული.

მეორე შეკითხვაზე, აკეთებდა თუ არა ამას პლატონი შეგნებულად, პასუხი, ვფიქრობ, დადებითი უნდა იყოს, მაგრამ მანამდე უმჯობესია პასუხი მესამე შეკითხვას გავცე, თუ რატომ აირჩია პლატონმა წერის ეს ფორმა, რომელიც ასე ნიღბავს არგუმენტების რეალურ ავტორსა და მხარდამჭერს.

ამ საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი. კერძოდ ის, რომ დიალოგებში და განსაკუთრებით კი აპორიულ დიალოგებში განვითარებული მსჯელობა აშკარად ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ რაც არ უნდა ძლიერი და ლოგიკური იყოს არგუმენტი, ის გერ გაუძლებს სოკრატეს გამოცდას. რას ფიქრობდა პლატონი? გაუძლებდა კი ის ამას? ალბათ, პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითი უნდა იყოს. პლატონს ნამდვილად ჰქონდა გარკვეული არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც აყალიბებდა თავის ფილოსოფიურ მოსაზრებებს, მაგრამ იცოდა, რომ აღნიშნული არგუმენტების სისტორე კიდევ უნდა გადასინჯულიყო. მას რომ ეს არგუმენტები ფილოსოფიური ტრაქტატის ფორმით გადმოეცა, შესაძლოა, ვერ გაქცეოდა მხილებას. დიალოგის მისეული ფორმა კი პლატონს აძლევდა საშუალებას, გადმოეცა თავისი შეხედულებები და არგუმენტები ისე, რომ ადამიანებს მისცემოდათ საშუალება უპეტ და უფრო დრმად ეფიქრათ მათ სისტორეზე.

აქ არის მეორე ასპექტიც. კერძოდ, არ არსებობს არგუმენტი, რომელიც შეიძლება მიიჩნიო სრულყოფილად და რომელიც არ ექვემდებარება განსჯას. პლატონს ეს არგუმენტები პირდაპირ ტრაქტატის ფორმით რომ გადმოეცა, ადამიანები აღარ იფიქრებდნენ ბევრს მათ სისტორეზე ან შემდგომ განხილვაზე.

სწორედ ამიტომ მან ისინი გადმოგვცა მისი დიალოგებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურით, სადაც ნებისმიერს შეუძლია ჩაერთოს და გაამდიდროს კაცობრიობის ცოდნა და ნააზრევი. ამდენად, პასუხი ჩვენს მიერ დასმულ ბოლო ორ კითხვაზე ასეთია: პლატონი ამას აკეთებდა განზრას, მომავალი ცოდნის შექმნის მიზნით.

საბოლოო დასკვნა კი ის შეიძლება იყოს, რომ არსებობდა მრავალი მიზეზი იმისათვის, რომ პლატონს წერის სწორედ ეს ფორმა აერჩია და ამგვარი სტრუქტურის დიალოგები შეექმნა. ეს ნაწარმოებები ჩვენ ერთგვარ ფილოსოფიურ გაპეტილს გვიტარებს. წერის ეს გზა აყალიბებს და წარმოგვიდგნს ფილოსოფიურ პოზიციასა და არგუმენტს ყველაზე უფრო უკეთ გასაგები და ცხადი დრამატული გზით. დიალოგის ფორმა და დრამატული სიუჟეტი სწორედ ფილოსოფიური მიზნებისათვის გამოიყენება. დიალოგები გვაიძულებს ვიფიქროთ მათში წარმოდგენილ არგუმენტებზე, ეს კი შედეგად გვაძლევს ახალ ცოდნას, ახალ ნააზრევს.

### პლატონი დიალოგის შესახებ

დიალოგის პრობლემატიკის კვლევისას, მნიშვნელოვანია თავად დიალოგის უანრის კლასიკოსის – პლატონის თხზულებებში გამოთქმული თეორიული მოსაზრებების გაცნობა.

საკითხის კვლევის საუკეთესო გზად პლატონის დიალოგების პერსონაჟი – სოკრატე, როგორც ცნობილია, სწორედ დიალოგის ფორმას მიიჩნევს. ამიტომ ის ყოველთვის დასაწყისშივე უთანხმდება თანამოსაუბრეს, კითხვა-პასუხის მონაცვლეობით ისაუბრონ. „პირველ ალკიბიადესში” ის აფრთხილებს ალკიბიადეს, რომ მისთვის ჩვეულ გრძელ სიტყვებს ვერ მოისმენს და დასმულ შეკითხვებზე მოკლე პასუხებს მოითხოვს (Alc. 106 b)<sup>28</sup>. მისივე თქმით, კითხვებზე პასუხი უმეცრების დაძლევის საუკეთესო საშუალებაა (Alc. 127 e)<sup>29</sup>.

<sup>28</sup> ατ̄ jērwta- eī[ t̄ in jēcw eīpein logon makron, oipu- dh̄ akouein eīpisai; oujgar ej̄sti toioouton to; ej̄mon, aj̄l i ej̄deikasqai men soi, wl̄ ej̄gw̄hai, oipr̄ t̄ jāh eīhn oft̄i tauta ouftw- ekei, ej̄an ej̄ monon moi ej̄el h̄sh- bracu; uphrethsai (Alc. 106 b);

<sup>29</sup> apokrinesqai ta; ej̄wtwmena, wl̄ Aj̄kibiadh, kai; ej̄an tou'to poihi-, ah̄ qeo- qeih/ eī[ ti dei' kai; th̄ ej̄nh/ manteia/pisteuein, sūte kāgw̄bel tion schisomen (Alc. 127 e).

პლატონის დრმა რწმენით, აზროვნება არის სულის საუბარი საკუთარ თავთან, მაგრამ მხოლოდ ისეთ საუბარს აქვს მნიშვნელობა, სადაც გაგება მიიღწევა საკითხის სხვადასხვა მხრიდან განხილვის გზით (Phdr. 276 e)<sup>30</sup>. დიალოგი არის ცოცხალი მეტყველება მცოდნე ადამიანისა, დაწერილი სიტყვა კი – მისი მიბაძვა (Phdr. 276 a)<sup>31</sup>.

სანამ საუბარს დაიწყებ, ჯერ უნდა შეიმუცნო ჭეშმარიტება იმ საგნის შესახებ, რომელზეც საუბრობ, ყველაფერი ამ ჭეშმარიტების შესაბამისად განსაზღვრო, განსაზღვრის შემდეგ კი, უნდა იცოდე, როგორ დაყო ის სახეებად. სულის ბუნებაც ასე უნდა განიხილო. უნდა მონახო სიტყვის ისეთი სახე, რომელიც თანამოსაუბრის ხასიათისთვის შესაფერისი იქნება და ისე ააგო სიტყვა. რთულ სულს უნდა მიმართო რთული, მრავალფეროვანი სიტყვებით, მარტივს კი – მარტივით (Phdr. 277 b-c)<sup>32</sup>.

ამასთანავე, სოკრატე აყენებს დიალოგის წარმართვის აუცილებელ პირობებს: ვინაიდან დიალოგი მსჯელობასთან ერთად კვლევაც არის (Menon 80 d)<sup>33</sup>, საჭიროა შეკითხვებზე თამამად პასუხი, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ის მხილებული (Chrm. 166 d)<sup>34</sup>. შეკითხვები არ უნდა იყოს უსამართლო, რადგან სხვანაირად აიგება კამათი და სხვანაირად – მსჯელობა (Tht. 167 d-e)<sup>35</sup>. დიალოგში არ უნდა იყოს

<sup>30</sup> eſti gar, w̄ſſe Faidre, ouſtw, polu; d joihai kall iwn spoudh; peri; auſta; gignetai, oftan ti- th/dialektikh/ teçnh/ crwmhno-, labwn yuchn proshkousan, futeuh/ te kai; speirh/ met j episthmh- logou-, oij elautotoi- twtē futeusanti bohqein ikanoi; kai; oujci; akarpoi aſſla; eſconte- sperma, ogen alloi ej alloi- h̄jesi fuomenoi tout j aei; aqanaton parecein ikanoi; kai; ton eſonta euſdaimonein poiounte- eij- oſon aŋqrwpw/ dunaton mal ista (Phdr. 276 e).

<sup>31</sup> *Swkraith-*

o- met j episthmh- graſetai ej th/tou manqanonto- yuchi/ dunato- men ajuñhai elautw/ episthmwn de; legein te kai; sigan pro- ou- dei.

*Faidro-*

Ton tou eip̄to- logon legei- zwnta kai; eſmyucon, ouj ol gegramma- eiſwl on ah ti legoito dikaiw- (Phdr. 276 a).

<sup>32</sup> prin ah ti- tow te aij hqe- ekaſtwn eijdh/ peri w̄ſſe legei h̄ graſei, kat j auſto te pan orizesqai dunato- genhtai, orisamenor te paſſin kat j eijdh mecri tou aijmhitou temnein episthqh/ peri te yuch- fusew- diidwn kata; tauſta to; prosarmoitton ekaſth/ fusei eido- aneuriſkwn, ouſtw tigh/ kai; diakosmh/ ton logon, poikilh men poikiſou- yuchi/ kai; panarmoniou- didou- logou-, aþlou- de; aþlh/ ouj proteron dunaton teçnh eſesqai kaq j oſon peiuke metaceirisqhnai to; logwn geno-, ouſte ti pro- to; didakai ouſte ti pro- to; peisai, w̄ſſe olemprosqen pa- memhnukan h̄min logo- (Phdr. 277 b-c).

<sup>33</sup> oſhw- de; ejel w meta; sou skeyasqai kai; suzthtsai oſi potereſtin (Menon 80 d).

<sup>34</sup> qarrwn toinun, h̄ d j egiw w̄ſſe makarie, apokrinomeno- to; ejrwtwmenon oph/ soi fainetai, eſa cairein eſte Kritia- eſtin eulte Swkraith- ol ejlegcomeno-, aſſla j auſtw proſerwn ton noun tw/ logw/ skopei oph/ pote; ekbhſetai ejlegcomeno- (Chrm. 166 d).

<sup>35</sup> w̄ſſe su; eij men eſei- ej arçh- aymfisbhitein, aymfisbhitei logw/ aijtidiezel qwn, eij de; di j ejrwthſewn boule, di j ejrwthſewn, oujde; gar touto feukteon, aſſla pantwn mal ista diwkteon tw/noun eſconti (Tht. 167 d-e).

მასწავლებელი, რომელიც გადასცემს ცოდნას და მოსწავლა, რომელიც იღებს ამ ცოდნას (Prt. 314 b)<sup>36</sup>. პლატონისათვის დიალოგი, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების მიღწევის საშუალებაა. „ფილებოსში” სოკრატე ამბობს: ჩვენ ერთმანეთს არ ვეჯიბრებით იმისათვის, რომ ჩემმა ან შენმა მსჯელობამ გაიმარჯვოს, არამედ ორივემ უნდა ვიბრძოლოთ ჭეშმარიტებისათვის (Phlb. 14 b)<sup>37</sup>. სოკრატეს რწმენით, მხოლოდ სიტყვასა და მსჯელობაში იბადება ჭეშმარიტება. ამიტომ თანამოსაუბრე უნდა ამოდიოდეს ჭეშმარიტებიდან (Prt. 331 c)<sup>38</sup>. ჭეშმარიტების ძიება არის ის მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც ერთმანეთისაგან განირჩევა დიალექტიკა – საუბრის ხელოვნება (Menon 75 a)<sup>39</sup> და ერისტიკა – კამათისა და სიტყვიერი შეჯიბრის ხელოვნება (Resp. 454 a)<sup>40</sup>.

დიალოგისათვის აუცილებელ პირობად პლატონი საერთო თემას ასახელებს. ლისიმაქესი ამბობს: „სწორედ იმ მიზნით მოგიწვიეთ სათათბიროდ, რომ ვიცოდით, ეს საკითხი თქვენთვისაც საგულისხმო და საყურადღებო უნდა ყოფილიყო. ბარემ თქვენი აზრიც გამოთქვით და კითხვა-პასუხის მონაცვლეობით შეუდექით ამ საკითხის განხილვას“ (Lach. 187c - d)<sup>41</sup>.

<sup>36</sup> maqmata de; ouk ēst in ej̄ āl l w̄ aggei w̄ aipeēgein, āl l jaŋagkh kataqenta thn timhn to; maqhma ej̄ aujt̄/ th/yuch/labonta kai; maqonta apienai h̄j bebl ammenon h̄j w̄fel hmenon (Prt. 314 b).

<sup>37</sup> thn toinun diaforoith̄ta, w̄l Prwtarce, toū aigaqoū toū t j ejmoū kai; toū soū mh; apokruptomenoi, katatiqente~ de; ej̄- to; meison, tol mwmen, ah̄ ph̄/ej̄ egcomenoi mhnuswsı poteron h̄lonhn taigaqon deī legein h̄j fronthsin h̄j ti triton āl l eihai. nūn gar ouj dhpoū pro~ ge aujt̄o; touto fil onikoumen, oþw- abw̄; tiqemai, taut j ēstai ta nikwnta, h̄j tauq̄ ja}sū tw̄d āl h̄qestaitw̄/deī pou summacein h̄ma~ aþfw̄ (Phlb. 14 b).

<sup>38</sup> mh̄ moi, h̄j d̄ jēgw̄ oujden gar deomai to; “eij boule” touto “eij soi dokei” `eij egcesqai, āl l jēmer te kai; sei to; d̄ jēmer te kai; seī tutto legw̄, oipmeno~ oult̄ ton logon bel tist jāh eij egcesqai, eij ti~ to; “eij” ajfel oi aujtoū (Prt. 331 c).

<sup>39</sup> eij ouj tw̄/ej̄wtwinti oult̄w~ h̄j peri; schmato~ h̄j crwmato~ eīpe~ oft̄ i “āl j oude; manqanw̄ ēgwge oft̄i boule”, w̄l ahqrwpe, oujde ojda oft̄i legei~”, iſw~ ah ej̄paumase kai; eipen, “ouj manqanei~ oft̄i zhtw̄ to; epi; pasin toutoi~ tauton”, h̄j oude; epi; toutoi~, w̄l Menwn, ēcoi~ ah eipen, eij tir̄ se ej̄wtw̄sh, “ti; ēst in epi; to; stroggul w̄kai; euji kai; epi; toī āl l oī~, ād̄h; schmata kal ei~-, tauton epi; pasin”, peirw/eipen, iha kai; genetai soi mel eth̄ pro~ thn peri; th~ ajet̄h~ apokrisin (Menon 75 a).

<sup>40</sup> h̄j gennaria, h̄j d̄ jēgw̄ w̄l Glaukwn, h̄l dunami~ th~ ajet̄ilogikh~ tecnh~. tivdh̄ oft̄i, eipon, dokousīmoi eij~ aujt̄n kai; akonte~ pol l oī; ej̄piptein kai; oj̄sqai ouk ej̄risein āl l a; dial egesqai, dia; to; mh; dunasqai kat j eijh diairomenoi to; legomenon ej̄iskopein, āl l a; kat j aujt̄o; to; ohoma diwkein toū lecuento~ thn ej̄antiwsin, ej̄idi, ouj dial ektw~ pro~ āl h̄l ou~ crwmenoi (Resp. 454 a).

<sup>41</sup> eij de; boulomenoi~ umin ēsi peri; tw̄n toiouitwn ej̄wtasqai te kai; didonai logon, aujtou~ dh; crh; gignwskein, w̄l Nikia te kai; Lach-. ej̄moi; men gar kai; Melhsia/tw̄de dh̄l on oft̄i h̄lomenoi~ ah eij eij panta āj Swkraith~ ej̄wtal ej̄fel oite logw/diexienai, kai; gar ej̄ aj̄ch~ ej̄teuen h̄jxomhn legwn, oft̄i ej̄- sumboul hn dia; tauta umā~ parakal esaimen, oft̄i memel hkenai umin hgoumeqa , w̄l ej̄kor̄, peri; tw̄n toiouitwn, kai; āl l w~ kai; epeidh; oil paide~ umin oj̄ igou w̄sper oil h̄mteroi h̄l ikian ēcousi paideuesqai. eij ouj umin mh̄ ti diaferei, eipate kai; koinh/meta; Swkraittou~ skeiyasqe, didonte~ te kai; decomenoi logon par j āl l h̄l wn (Lach. 187c - d).

დიალოგში „გორგიასი” პლატონმა აღწერა ის სამი შესაძლო შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დიალოგს. თუ ორი იწყებს რაიმე საკითხზე მსჯელობას, ხშირად თავიანთი მოსაზრებების გამოთქმისას და სხვისის გათავისებისას, ისინი მიდიან საერთო განმარტებამდე და აქ ასრულებენ საუბარს, მაგრამ მოსაუბრენი ხშირად შეხედულებებს ვერ ათანხმებენ და ერთმანეთის მოსაზრებას მიიჩნევენ არასწორად. სხვები კი – საერთოდ ჩხუბითა და ერთიმეორის შეურაცხეოფით შორდებიან (Grg. 457 c - d)<sup>42</sup>. ამიტომ, ჯერ უნდა გაითვალისწინო, როგორია თანამოსაუბრე, რომ ისე ააწყო საუბარი. აქ ფაქტობრივად ლაპარაკია დიალოგის განვითარების შესაძლო ვარიანტებზე, როგორებიცა: 1. შეთანხმება; 2. წინააღმდეგობა; 3. სრული იზოლაცია და რაც დღესაც გამოიყოფა სამეცნიერო ლიტერატურაში.

### პლატონის დიალოგების ფორმა და ძირითადი მახასიათებლები

პლატონის წერის სტილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სადაცო და ამოუცნობია დღემდე. მთავარი სირთულე უკავშირდება მისი წერის მანერის სხვადასხვაობას, განსხვავებულობას, ვარიაციულობას. რატომ წერდა პლატონი ასე სხვადასხვაგვარად? ფილოსოფოსებისთვის ხომ წერისას უმთავრესია ერთი რამ წერონ რაც შეიძლება უფრო ცხადად და მკაფიოდ. მიჩნეულია, რომ პლატონის თითოეული ნაწარმოები დაწერილია ერთი და იმავე გზით ესაა ცოცხალი საუბარი ორ ან მეტ თანამოსაუბრეს შორის. მიუხედავად ამისა, თუკი საკითხს ჩავუდრმავდებით, ვნახავთ, რომ დიალოგის ფორმატი იყოფა განსხვავებულ სახეობებად, რომელთაც აშკარად განსხვავებული შედეგები აქვს. განსხვავებულია მათი მთავარი მოქმედი პირი სოკრატეს.

<sup>42</sup> οἱ̄μαι, ὦ Gorgia, καὶ; σε εἶμπειρον εἰαι πολὺν τὸ γνω̄ν καὶ; καὶ; εργάτης εἴη αὐτοὶ̄ το; τοιούτῳ; οἵτι οὐράδιων δυνατοὶ; περι; ω; αἱ; εἰπειρήσεων διαλέξεις διορισμένοι πρό- αἱ; ή; οὐ- καὶ; μαρτυρεῖ- καὶ; διδακτά- εκπομπή, οὐτών διαλύεις τα- συνουσία-, αἱ; ί; εἴη περι; τοῦ αἰματικήσεων καὶ; μη; φή; οἱ; επέρο- τον επέρον οἵρων λέγειν ἡ; μη; σαφώ-, καὶ; επαίνουσι- τε καὶ; κατα- φόνον οἰβνται τον εκπομπήν λέγειν, φιλοκούντα- αἱ; ί; οὐχ ζητούντα- το; προκειμένον εἴ το; λογώ;, καὶ; εἴθιοι; γε τελευτή- αἰσχίστα αἱ; παλλαττούνται, λοιδορητά- τε καὶ; εἰποντε- καὶ; ακουσαντά- περι; σφιν αὐτών τοιαύτα οἴλα καὶ; τού- παροντα- αἰχνεψεις υπέρ σφιν αὐτών, οἵτι τοιούτων αἰγρώπων ἡ; κιώσαν (Grg. 457 c - d).

რითო აიხსნება ეს? ნუთუ პლატონი ასე ხშირად იცვლიდა თავის მოსაზრებას და მიდგომას ფილოსოფიისადმი და წერისადმი? ეს საკითხი პრობლემურად რჩება თანამედროვე მეცნიერებაშიც.

პლატონის თითოეული დიალოგი არის ფილოსოფიური, ანუ გამოხატავს ფილოსოფიას მოქმედებაში. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დიალოგში განვითარებული სხვადასხვა მსჯელობა ერთმანეთისაგან განსხვავებული სახისაა, რადგანაც პლატონს ჰქონდა ფილოსოფიის წვდომის განსხვავებული გზები. ზოგიერთ შემთხვევაში გვაქვს მოკლე კითხვებისა და პასუხების მონაცელეობა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მსჯელობა გადადის მონოლოგის ფორმაში.

პლატონის დიალოგებზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ დაწერილ დიალოგს აქვს ორი სხვა თავისებურება, რომელიც ჩვეულებრივ არ ვლინდება რეალურ დიალოგში, ესენია: 1) ავტორი და 2) აუდიტორია. რასაკვირველია, პლატონი წერდა თავისი აუდიტორიისათვის, ის ფიქრობდა იმაზე, თუ რა იმოქმედებდა მკითხველზე. ფილოსოფოსი არ ქმნიდა დიალოგებს ისე, როგორც მას ეს სურდა, არამედ ითვალისწინებდა მომავალი მკითხველის პოზიციასაც. ამდენად, ჩვენ მუდამ ვართ ტექსტსა და ავტორს შორის, აუდიტორიასა და ავტორს შორის. დაწერილი დიალოგი არის უფრო მეტი, ვიდრე ფილოსოფიის ნაწილი, ის არის ფილოსოფია თავისი მონაწილეებითურთ, თავისი მოქმედებით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმით, მიმართულებით, შექმნილი ვიდაცისათვის ვიდაცის მიერ (130, 9).

გამორიცხული არ არის ისეთი დიალოგის დაწერის შესაძლებლობაც, სადაც დიალოგი და ფილოსოფია უბრალოდ თანაარსებობენ. ვთქვათ მოსაუბრე ა ამბობს რაღაცას, რასაც შემდეგ მოსაუბრე ბ სხვა რაიმეს უპირისპირებს და საბოლოოდ მოსაუბრე ა თმობს თავის საწყის პოზიციას. ეს უფრო ჰგავს სოკრატეს საწყის დიალექტიკას, მაგრამ პლატონის არც ერთი დიალოგი არ არის ამის მსგავსი. დასაწყისიდანვე ა და ბ თანამოსაუბრეები არიან გამოკვეთილი პერსონაჟები, ინდივიდები, სადაც ა ძირითადად არის სოკრატე, ხოლო ბ სოკრატეს მეგობარი, რაფსოდი, სოფისტი, ორატორი ან ვინმე სხვა და მათ შორის გამართულ საუბარს ძირითადად განსაზღვრავს სწორედ ბ-ს ვინაობა (130, 10). სწორედ ამიტომ ექცევა

განსაკუთრებული ყურადღება პერსონაჟების შერჩევის პრინციპებს პლატონის დიალოგებში.

კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას პლატონის დიალოგების შესწავლისას არის ის, რომ ზოგიერთი მათგანი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს აქ ორ პირს შორის საუბარი კი არ იმართება, არამედ შინაგანი დიალოგი პლატონისა/სოკრატესი თავის თავთან.

განსხვავებულ სურათს ქმნის სხვადასხვა დიალოგი მასში დიალექტიკის მეთოდის გამოყენების ხელით წილის მიხედვითაც. ზოგიერთი მათგანი ხშირად იღებს მონოლოგის სახესაც. საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში იცვლებოდა არა პლატონის მიდგომა ფილოსოფიისადმი, არამედ მკითხველზე ზემოქმედების მისეული სტრატეგია, რადგანაც სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მის მთავარ მიზანს. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იყო დიალექტიკა მეტი დოზით, ზოგში ნაკლებით, ხან კი მონოლოგის ფორმაც კი გამოიყენებოდა.

კ. კლაინის აზრით, პლატონის ნებისმიერი დიალოგის ინტერპრეტაციისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი წანამძღვრები:

1. პლატონისეული დიალოგი არ არის ტრაქტატი ან ლექციის ტექსტი, როგორც არისტოტელეს ნაშრომები ან პლოტინოსის „ენეადები”.
2. რაც არ უნდა სერიოზული იყოს პლატონის დიალოგის მიზანი და შინაარსი, მასში შეფარულია ირონია.
3. ვინც არ უნდა იყოს თანამოსაუბრე, პლატონის დიალოგის საუბარში მონაწილეობს მკითხველი, როგორც უტყვი პარტნიორი. მას შეუძლია აწოდაწონოს, მიიღოს ან უარყოს შემოთავაზებული დასკვნები.
4. არც ერთი პლატონისეული დიალოგი არ ასახავს იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ „პლატონური დოქტრინა”. დიალოგმა შეიძლება მიგვანიშნოს პლატონის ნააზრებზე, მაგრამ ბოლომდე არასოდეს პფენს მას ნათელს.
5. არ არის სწორი დიალოგების ქრონოლოგიის მიხედვით პლატონის აზროვნების განვითარების ეტაპებზე საუბარი. ნებისმიერი დიალოგი არის დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელშიც თანამოსაუბრებები ასრულებენ ერთადერთ და გამორჩეულ როლს.

6. პლატონის დიალოგებში თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თითოეულ თითქოსდა შემთხვევით ნათქვამ სიტყვას შეიძლება უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ვიდრე ვრცელ მსჯელობას (114, 2).

### დიალოგის უანრის შემდგომი განვითარება

ცნობილია, რომ პლატონის დიალოგმა სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ამ უანრის ისტორიაში და ვერ ჰპოვა პირდაპირი გაგრძელება ვერც ბერძნულ და ვერც რომაულ ლიტერატურაში. თუმცა ფილოსოფოსის მიერ ლიტერატურულ უანრად დამკვიდრებული დიალოგური ფორმა სხვადასხვა მოდიფიკაციით ანტიკურ პერიოდშივე დამკვიდრდა და განვითარდა.

დიალოგის ფორმას იყენებდნენ და ავითარებდნენ არისტოტელე და პერიპატეტიკოსები. მოგვიანებით, პერაკლიტეს პონტოელთან დიალოგში შემოდის ახალი ელემენტები. პოპულარული ხდება ე.წ. სიმპოსიონების უანრი. დიალოგური ელემენტები ფიქსირდება კინიკოსთა მოღწეულ ფრაგმენტებშიც. რომაულ ხანაში დიალოგებს წერდნენ ტერენციუსი და ციცერონი. მათ მიმდევრებად გვევლინებიან ტაციტუსი და სენეკა. პლუტარქოსთან გვხვდება ფილოსოფიური ან ნახევრად-ფილოსოფიური დიალოგები, რომლებიც მოკლებულია პლატონისეულ დრამატულ ძალას. ლუკიანოსი ამკვიდრებს სატირულ დიალოგს. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიალოგის უანრს ქრისტიანულ ლიტერატურაშიც, რომლის უმნიშვნელოვანები წარმომადგენლები არიან ორიგენესი, მეთოდიოს ოლიმპიელი, გრიგოლ ნოსელი, აგაუსტინე (63, 177).

### დიალოგი და დიალექტიკა

სიტყვები „დიალოგი“ და „დიალექტიკა“ ერთმანეთის მონათესავეა ეტიმოლოგიურად და შინაარსობრივად. ორივესათვის ამოსავალია „საუბარი“, „მეტყველება“, „მსჯელობა“ ანუ *logos*-ი. დიოგენე ლაერტელის განმარტებით, დიალექტიკა არის აზროვნების ხელოვნება, რომელიც კითხვებისა და პასუხების მეშვეობით თანამოსაუბრეს არწმუნებს ან ამხილებს (56, 19).

ფ. კესიდის აზრით, დიალექტიკა როგორც პოლემიკის ხელოვნება, იშვა პოლიტიკური დიალოგის საფუძველზე და შემდგომ გადავიდა ფილოსოფიურ სფეროში (56, 20). გადმოცემით, ზენონ ელისელმა პირველმა შეიმუშავა დიალექტიკური მეთოდი, როგორც თეზისების მტკიცების ან მხილების ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ დიალექტიკის ანტიკური კონცეფციები განსხვავებული ხასიათისა იყო, ფ. კესიდის თქმით, თითოეული მათგანი გულისხმობდა დიალოგს, როგორც ფილოსოფოსობის ფორმას.

რა არის დიალექტიკა თავად პლატონისათვის? ეს არის განსაკუთრებული მეთოდი, რომელსაც იგი ასევე უწოდებს – *h̄l dialhktikh; meqodo-* (Resp. 533 c), ან საუბრებთან დაკავშირებული ხელოვნება – *h̄l peri; tou logou tecnh* (Phdr. 90 b), ან საუბრის მეთოდი – *h̄l meqodo- tw̄n logwn* (Soph. 227 a). პლატონისათვის დიალექტიკა არის საუკეთესო ყველა შესაძლო მეთოდს შორის. ის არის ერთადერთი ჭეშმარიტი მეცნიერება და ხელოვნება (Resp. 533 b-c)<sup>43</sup>.

პლატონის აზრით, ეს მეთოდი საჭიროა ლინგვისტიკაში (Cra. 390)<sup>44</sup>, მათემატიკაში (Resp. 510-511)<sup>45</sup>, რიტორიკასა და ფსიქოლოგიაში (Phdr. 269-273)<sup>46</sup>. ოუკი რაიმე აღმოჩენილა მეცნიერებაში, ყველაფერი – ამ მეთოდის წყალობით.

რა არის ამ მეთოდის არსი? „ერატილოსში” პლატონი დიალექტიკოსად განმარტავს იმას, ვისაც შეუძლია შეკითხვების დასმა და პასუხების გაცემა (Cra. 390 c)<sup>47</sup>, „ფედროსში” კი დიალექტიკა განისაზღვრება როგორც ცოცხალი მეტყველების ცოდნა სამართლიანობის, მშვენიერებისა და სიქველის შესახებ (Phdr.

<sup>43</sup> *aj̄l j ai men al̄lai pasai tecnai h̄l pro- doka- aj̄qrwpwn kai; ep̄iqumia- eijsin h̄l pro- genesei- te kai; sunqesei-, h̄l pro- qerapeian tw̄n fuomenwn te kai; suntiqemenwn ap̄asai tetraifatai, al̄lde; loipaiy a- tou ohto- ti effamen ep̄il ambanesqai, gewmetria- te kai; ta- tauth/ ebomena-, ol̄wmen wl̄ oheirwttousi men peri; to; oh, upar de; aj̄dunaton aj̄tai- ijelein, efw- ah ufoqeisesi crwmenai tauta- akinsonitou- ej̄si, mh; dunamenai logon didonai aj̄twn. wl̄ gar aj̄ch; men o) mh; ojde, teleuth; de; kai; ta; metaxu; ej̄ ouj mh; ojden sumpeplektai, ti- mhcanh; thn toiauthn omol ogian pote; ep̄isthmhn genesqai; oujddemia, h̄l d j of-. oukoun, h̄h d jejgw h̄dialektikh; meqodo- monh tauith poreuetai, ta- ufoqeisei- aj̄hairousa (Resp. 533 b-c).*

<sup>44</sup> kinduneuei af̄a, wl̄ Ējmogene-, eīhai ouj faul on, wl̄ su; oj̄ei, h̄l tou ojomato- qesi-, oujde; faul wn aj̄drwn oujde; tw̄n ep̄itucontwn. kai; Kratulo- aj̄ hq̄h legei legwn fusei ta; ojomata eīhai tol- pragmasi, kai; ouj panta dhmiourgon ojomaitwn eīhai, aj̄ l̄a; monon ekeinon ton ap̄obleonta ej̄- to; th fusei oj̄oma oj̄ ekaistwl̄ kai'dunamenon aj̄tou to; eido- tigenai ej̄- te ta; grammata kai; ta; sul labar (Cra. 390).

<sup>45</sup> manqanw, ej̄fh, oti to; upo; tai- gewmetriai- te kai; tai- tauth- aj̄del fai- tecnai- legei- (Resp. 510-511).

<sup>46</sup> ej̄ men soi uparcei fusei rhtorikw/ eīhai, ej̄sh/ rhtwr ej̄ logimo-, proslabwn ep̄isthmhn te kai; mel ethn, ojou d j aj̄ ej̄ leiph- toutwn, tauth/ aj̄tel hr̄ ej̄sh/ oj̄son de; aj̄tou tecnh, ouj h̄ Lusia- te kai; Qrasumaco- poreuetai dokei moi fainesqai h̄l meqodo- (Phdr. 269-273).

<sup>47</sup> ton de; ej̄wtan kai; aj̄pokrinesqai ep̄istamenon al̄llo ti su; kal eī h̄dialektikon (Cra. 390 c).

265 d)<sup>48</sup>. „სოფისტი” დიალექტიკის ამგვარი დეფინიცია გვხვდება: გვარების მიხედვით დაყოფა და ერთი და იმავე გვარის სხვად არ დაშვება, ხოლო სხვისა – ერთსა და იმავედ, არის დიალექტიკის ცოდნა (Soph. 253 d)<sup>49</sup>.

პლატონისათვის დიალექტიკა განუყრელია ფილოსოფიისაგან. დიალექტიკის მეთოდი არ არის არც ფილოსოფიის პროპედევტიკა, არც მისი ხერხი ან იარაღი. დიალექტიკა თავად ფილოსოფიაა, მაგრამ ის ამავე დროს ძალიან საშიში მეთოდია. საშიშია იმდენად, რამდენადაც შეიცავს *e|egco-* და ამიტომ შეიძლება გადავიდეს ერისტიკაში. ეს უკანასკნელი კი დიალექტიკის საპირისპირო გამოცდილებაა. მისი მიზანია საკუთარი არგუმენტაციის გამარჯვება, დიალექტიკისა კი – ჭეშმარიტების აღმოჩენა. პლატონი ხშირად ესხმის თავს ერისტიკოსებს. „მენონში” ტექნიკური ტერმინი „დიალექტიკური” შეპირისპირებულია „ერისტიკულთან” (Men. 75 c-d)<sup>50</sup>.

არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ პლატონის მიერ ერისტიკასთან დაპირისპირების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ დიალექტიკა ძალიან ჰგავდა სოფისტების ხელოვნებას, რომ პლატონის კონსტრუქციული დიალექტიკა ბევრ მსგავსებას ავლენდა სოკრატეს არაკონსტრუქციულ *e|egco-*თან და, რომ სოკრატეს საუბარი სხვა არაფერი იყო, თუ არა მეორე მხარის მოსაზრების უარყოფის ცდა. რ. რობინსონის თქმით, პლატონი კარგად ხვდებოდა, რომ ერისტიკა სოკრატეს მეთოდის სახეცვლილება იყო (127, 85-86).

სწორედ ის ფაქტი, რომ დიალექტიკური მეთოდი არის საუბრის მეთოდი, განაპირობებს პლატონის ნაწარმოებთა ლიტერატურულ ფორმას – დიალოგს.

რ. რობინსონს გამოკვლეული აქვს პლატონის დიალოგებში წარმოდგენილი დიალექტიკის რამდენიმე მეთოდი: ელექნეოსი (*e|egco-*), ეპაგოგე (*eipagwgh*) და პიპოთესისი (*upiqesisi-*). ადრეული დიალოგებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მეთოდია – ელექნეოსი, რომელიც ფართო გაგებით ნიშნავს ადამიანის

<sup>48</sup> ta; de; nun para; sou te kai; Lusibou maqonta- eipe; tivcrh; kal ein, h] touto ekeinorejsttin h] logwn tecnh, h] Qrasumaco- te kai; oij alloi crwmenoi sofoi; men aujtoi; legein gegonasin, allou- te poiousin, oij ah dwroforein aujtoi- w- basileusin ejelwsin (Phdr. 265 d).

<sup>49</sup> to; kata; genh diaireisqai kai; mh; te taujton eiðo- efteron hghisaspai mh; te efteron oj taujton mwn ouj th- dial ektikh- fhisomen ejisthmh- eihai (Soph. 253 d).

<sup>50</sup> kai; ei; men get wn sofwn ti- eih kai; ejristikwn te kai; aigwnistikwn ol ejromeno-, eiþoim ja h aujtw/ofti, ejmoi; men ejfhtai, ej de; mh; ojrw- legw, son ejgon lambanein logon kai; ejlegcein. ej de; wþper ejgw te kai; su; nun filoi ohte- boulointo allhlo- dial egesqai, dei dh; prabiteron pw- kai; dial ektikwteron apokrinesqai. efti de; iþw- to; dialektikwteron mh; monon tajhqh apokrinesqai, ajla; kai; di j ekeinwn wh ah prosomologh/ ejdenai olejwtnmeno- (Men. 75 c-d).

შეხედულების გამოცდას შეგითხვების დასმის საშუალებით. ეს შეგითხვები კი ხშირად ცვლის თანამოსაუბრის პირველად მოსაზრებებს. ამგვარად, ვიწრო მნიშვნელობით ელენეოსი არის უარყოფის ერთ-ერთი ფორმა (127, 11).

თითქმის ყველა ადრეულ დიალოგში სოკრატე სვამს კითხვებს, რომლებიც არ ითხოვს ინფორმაციას, არამედ მხოლოდ დათანხმებას საჭიროებს. როდესაც ფილოსოფოსი შეკრებს შედეგებს, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ისინი თანამოსაუბრის თავდაპირველ შეხედულებებს ეწინააღმდეგება. ელენეოსს უცოდინარი ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ რაღაც იცის, მიჰყავს იმ მდგომარეობამდე, რომ ის ხვდება თავის არცოდნას. ეს კი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ცოდნისაკენ მიმავალ გზაზე. ამდენად, ელენეოსი არის სწავლების მეთოდი, რომელიც ამზადებს საფუძველს ცოდნის მისაღებად. სხვა სიტყვებით, ელენეოსი არის მოსაუბრის საკუთარ მოსაზრებებთან შეწინააღმდეგება.

მეორე მნიშვნელოვანი მეთოდი არის ეპაგოგი, რაც ნიშნავს ერთი ან რამდენიმე არგუმენტის წანამძღვრებიდან მეორე არგუმენტის დასკვნას. ეპაგოგეს ფორმებია: ერთი შემთხვევიდან მეორის დასკვნა, კერძოდან ზოგადამდე ასვლა, კერძოდან ზოგადამდე ასვლა და კვლავ კერძოსთან დაბრუნება (127, 97).

ეპაგოგეს მეთოდის გამოყენებისას პლატონი ხშირად ხმარობს შემდეგ ფორმულებს: *kata; ton aujtōn Iōgon* (მსჯელობის შესაბამისად), *suī I hbdhn* (ერთად), *oujtw kai; peri; pantw* (ასეა ყველაფერთან დაკავშირებით), *eīi I logw* (ერთი სიტყვით).

პლატონის შეა პერიოდის დიალოგებში სრულიად ქრება ელენეოსი და მის ადგილს იკავებს ახალი მეთოდი – პიპოთებისი (პიპოთეზა). ზმნა აფოთემაი ნიშნავს „რაღაცის წინასწარ დადგენას”, რომლის საფუძველზეც შეიძლება ააგო შემდგომი მსჯელობა. ო. რობინსონი ერთმანეთისაგან გამიჯნავს *tíqemai* და აფოთემაი ზმნებს. პირველი ნიშნავს „მსჯელობის შედეგად რაიმეს დადგენას”, მეორე კი – „დადგენას აზროვნების პროცესის გარეშე” (127, 30-34). პიპოთესისი არის დადგენა მომავალი მოქმედების მიზნით. ის არის იმ შეხედულების შერჩევა, რომელიც მსჯელობისას უნდა იქნას განხილული და გამოცდილი. რობინსონის აზრით, პლატონის პიპოთესისი არის p-ს დაშვება იმ მიზნით, რომ დაასკვნა, თუ რა არის q-ს ბუნება (127, 108). მოგვიანებით პლატონი ამ მეთოდს უპირისპირებს მოუაზრებელ (αἵνυροφείτεον) დასაწყისს, რომელსაც უფრო ხშირად მივყავართ

ჭეშმარიტებამდე „პარმენიდესის” შემდეგ პიპოთესისის მეოთხი აღარ გვხვდება არც ერთ დიალოგში.

### “სოფისტის” ლიტერატურული ფორმისა და დიალექტიკური მეთოდისათვის

“სოფისტის” ლიტერატურული ფორმის განხილვისას აუცილებლად გამოიკვეთება ერთი საინტერესო საკითხი რა თავისებურებებია დამახასიათებელი პლატონის ამ კონკრეტული დიალოგის ლიტერატურული ფორმისათვის?

“სოფისტი”, ისევე როგორც პლატონის სხვა ნაწარმოებები, დიალოგის ჟანრს მიეკუთვნება. თუ დავაკვირდებით პლატონის ადრეულ ე. წ. აპორიულ დიალოგებს, ადვილი შესამჩნევია, რომ აქ გვაქვს მზა განმარტებები, თუ რატომ დაწერა ისინი პლატონმა დიალოგის ფორმით, მაგრამ როდესაც გადავდივართ შუა და განსაკუთრებით კი გვიანი პერიოდის დიალოგებზე, ეს განმარტებები უფრო და უფრო ნაკლებად გვხვდება. ამგვარი ტიპის განმარტებები განსაკუთრებით მცირეა დიალოგ “სოფისტში”. ჩანს ისიც, რომ როგორც მინიმუმ, “სოფისტის” შუა ნაწილი არის დაწერილი, როგორც ტრაქტატი სიცრუის შესახებ.

იმისათვის რომ უკეთ გავიგოთ, პლატონის ადრეული დიალოგები და ის ფაქტი, რამაც განაპირობა მათი დიალოგის ფორმით დაწერა, უნდა გვესმოდეს პლატონის ელენებისი. ფორმულა ასეთია: ადამიანი, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ რაღაც იცის და არის აგტორიტეტული რაღაც სფეროში, თავდაპირველად აცხადებს რაღაცას, რაც თავად ჭეშმარიტება ჰგონია. შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემით, ის პირველად ნათქვამის საწინააღმდეგოს ამბობს და ამ გზით ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, “იბნევა” და, შესაბამისად, ადარ ითვლება ავტორიტეტად ამ სფეროში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ამ პროცედურაში არის ის, რომ არც იმ ადამიანმა (ხშირ შემთხვევაში სოკრატემ), რომელიც სვამს შეკითხვებს, არ იცის ჭეშმარიტება, მაგრამ მას სჯერა, რომ დიალოგის გამოყენებითა და დიალექტიკის მეთოდით შესაძლოა ჭეშმარიტ დასკვნამდე მისვლა.

სავარაუდოდ, პლატონი ფიქრობდა, რომ ჩვენ ყველანი ვართ სოკრატეს თანამოსაუბრეების მდგომარეობაში. სოკრატეს კი მივყავართ “დაბნეულობამდე”. არავინ არის დაცული იმისგან, რომ მისმა მოსაზრებამ კრახი განიცადოს და

დამარცხედეს. პლატონი თვლიდა, რომ, ამ მხრივ, არც თვითონ წარმოადგენდა გამონაკლისს, რადგან იგი ფლობდა სიბრძნეს და გამოსაკვლევი იყო, ეს სიბრძნე ჭეშმარიტებასთან ახლოსაა თუ არა. ამიტომ მან თავი შეიკავა ისეთი ტრაქტატების წერისაგან, სადაც მისი მოსაზრებები არ იქნებოდა გადასინჯული. ამის ბრწყინვალე მაგალითია პლატონის ადრეული დიალოგები.

მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება შუა პერიოდში, როდესაც ჩვენ ადარ გვაქვს არც აპორიული დიალოგები, არც ელენეოსის მეთოდი ამ სიტყვის სრული გაგებით. აქ უკვე რომელიდაც თანამოსაუბრე (ხშირ შემთხვევაში სოკრატე) აყალიბებს მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ არის პლატონისეული. თითქოს დიალოგის ფორმა ამ პერიოდში თანდათან იქცევა წმინდა მხატვრულ ფორმად, რომელსაც არავითარი ფილოსოფიური დატვირთვა არ გააჩნია. ყველაზე დიდ შეკითხვას კი დიალოგის ფორმის გამოყენების საჭიროებაზე პლატონთან მაინც “სოფისტი” ბადებს. სოფისტის განსაზღვრის მცდელობისას ჩვენ ვაწყდებით პრობლემას, თუ როგორ არის შესაძლებელი სიცრუე, მცდარი მტკიცება, მცდარი რწმენა და ასე შემდეგ. დიალოგის მთავარი მოსაუბრე ელისელი უცხოელი არ უპირისპირებს თავის თანამოსაუბრეს – თევტეტოსს ელენეოსის მეთოდს, ის არ უმტკიცებს მას, რომ ამ უკანასკნელმა არაფერი იცის სოფისტის შესახებ და რომ მისი მოსაზრებები მცდარია, არ ეუბნება მას, წავიდეს სახლში და მომაგალში იფიქროს ამ საკითხებზე. არ აკეთებს ამას იმიტომ, რომ აღარ არის ამის საჭიროება. თევტეტოსი არის საკმაოდ მორიდებული და ამპარტავნებისაგან თავისუფალი თანამოსაუბრე. ამიტომ დიალოგი მიდის თავისი გზით და უცხოელს არ სჭირდება აქ ელენეოსის გამოყენება.

იბადება კითხვა ხომ შეეძლო ამ შემთხვევაში პლატონს გამოყენებინა ფილოსოფიური ტრაქტატის ფორმა? ალბათ, პასუხი ისვე და ისევ იგივეა პლატონი ფიქრობდა, რომ ტრაქტატის დაწერა ნიშნავს რადაცის წერას ავტორიტეტის პოზიციდან. რატომ ფიქრობდა იგი ასე? უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტატის ჟანრი პლატონის პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ცალკე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ჟანრი. რაც შეეხება პერაკლიტოსისა და პარმენიდესის ნაწარმოებებს, ისინი სწორედ რომ ავტორიტეტის მიერ დაწერილ თხზულებებს წარმოადგენს. პარმენიდესის შესახებ მსჯელობა გვაქვს

“სოფისტშიც”. მოხსენიებულია “დიდი პარმენიდესი” (Soph. 237 a)<sup>51</sup> და “მამა პარმენიდესი” (Soph. 241 d)<sup>52</sup>, რომელიც გვესაუბრება როგორც ბავშვებს (Soph. 237 a)<sup>53</sup>, რომლის მოსაზრებასაც ელისელი უცხოელი უპირისპირდება, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ის “მამის მკვლელად” წარმოჩნდება (Soph. 241 d)<sup>54</sup>. ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ პლატონი პარმენიდესის ფილოსოფიურ მიღწევებს ადიარებდა, თუმცადა აქ შეინიშნება ერთგვარი ირონია და პლატონისთვის პარმენიდესის ავტორიტეტი არაფრის მთქმელია. ამრიგად, ამ დიალოგში სწორედ პარმენიდესის მოსაზრებები იქნება განხილული და სწორედ მათ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული ელენხოსიც. ამას კი პლატონი ახერხებს ისევ და ისევ დიალოგის და არა ტრაქტატის გზით.

დიალოგ “სოფისტის” ფორმა არ არის არც აპორიული არც ელენქტიკური. რაღაც დონეზე თითქოს არის აპორიისაკენ სწრაფვის, დაბრუნების სურვილი. დიალოგის პოზიტიურ, კონსტრუქციულ მსვლელობაში აპორიის ელემენტების ჩართვის მცდელობა აშკარად შეინიშნება. ადრეულ დიალოგებში ელენხოსს შეაქვს დესტრუქციული ძალა და ანგრევს მტკიცებებს. თუმცადა არის რადაც, რაც შეიძლება ისწავლო აქ წარმოდგენილი აპორიიდან. ძირითადად კი ის შეიძლება ისწავლო, თუ რა უნდა დაასკვნა და რა – არა. ამის მიღწევა კი ადვილია აპორიის გზით. მაგრამ ადრეულ დიალოგებში აქცენტი ამაზე არ არის.

ამ საკითხზე ყურადღება გადატანილია “სოფისტში”. განსაკუთრებით კი ეს ელემენტი შეინიშნება დიალოგის შუა ნაწილში (Soph. 236 c-264 c), სადაც პლატონი თავიდან იხმობს “დაბნეულობებს” არსებულთან, არარსებულთან, მცდარ აზრებთან და მსჯელობებთან დაკავშირებით. შემდეგ კი იგი ნელ-ნელა ჭრის ამ აპორიებს, ჯერ არარსებულთან, შემდეგ არსებულთან, ბოლოს კი მცდარ წარმოდგენებსა და მტკიცებებთან დაკავშირებით. ამრიგად, იმისათვის რომ რაიმეს ბუნებას ჩაწვდე, ჯერ უნდა მიმოიხილო, რა აპორიებია მასთან დაკავშირებით.

<sup>51</sup> Parmenidh- de; ol mega~, w̄pai, paisin h̄min oūsin ājcomenoi te kai; dia; tel ou~ touto āpermaturto (Soph. 237 a).

<sup>52</sup> ton toū patro; Parmenidou I ogoñ ānagkaion h̄min āmunomenoi ēstai basanizein (Soph. 241 d).

<sup>53</sup> Parmenidh- de; ol mega~, w̄pai, paisin h̄min oūsin ājcomenoi te kai; dia; tel ou~ touto āpermaturto (Soph. 237 a).

<sup>54</sup> patraloiān ūpol abh̄t gignesqaītina (Soph. 237 d).

ამდენად, პლატონს ამ შემთხვევაშიც სჭირდებოდა დიალოგის ფორმა, რათა განხილვა უფრო ცხადი გაეხადა. გარდა ამისა, დიალოგის ფორმამ, რომელიც მან “სოფისტში” გამოიყენა, მისცა საშუალება აქვე განემარტა ფილოსოფოსის რაობაც და აღარ დასჭირვებოდა ცალკე დიალოგის დაწერა. პლატონის “სოფისტი” გამოირჩევა დიალოგის განსაკუთრებული ფორმით. ეს არის სადა, კონსტრუქციული, კოორდინირებული და შეთანხმებული მოქმედება, სადაც თანამოსაუბრები პატივს სცემენ ერთმანეთს და ერთად მიდიან საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ. მიუხედავად ამისა, გარკვეულ პასაჟებში მაინც შეინიშნება ირონია.

პლატონის „სოფისტის“ ლიტერატურული ფორმისა და დიალექტიკური მეთოდის შესახებ მსჯელობისას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რამდენად რელიეფურად წარმოჩნდება ფილოსოფიური დიალოგის ზემოთ მოყვანილი ჟანრობრივი მახასიათებლები „სოფისტში“. ამ თვალსაზრისით მისმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ თუ თანამედროვე მკვლევართა მიერ შემოთავაზებულ, ფილოსოფიური დიალოგის კლასიფიკაციებს დავყერდნობით, „სოფისტი“ შეიძლება მიჩნეულ იქნას ე.წ. კვლევით დიალოგად. ხოლო თუ კონკრეტულად დ. ვოლტონის კლასიფიკაციას ავიღებთ ამოსაგლად, მაშინ აღმოჩნდება, რომ ეს ნაწარმოები ფილოსოფიური დიალოგის ექვსი ტიპიდან, ხუთის მახასიათებლების მქონეა. კერძოდ, ესენია: დარწმუნება, კვლევა, მოლაპარაკება, განხილვა და ინფორმაციის ძიება.

დიალოგის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებიდან „სოფისტში“ გვხვდება კითხვა-პასუხების ციკლი, ხოლო ფილოსოფიური დიალოგის ენობრივი ფორმებიდან კი ე.წ. რედუცირება, მულტიფუნქციონა, ფუნქციური ელემენტების სესხება. რაც შეეხება დიალექტიკის მეთოდებს, ამ მხრივ, „სოფისტი“ საკმაოდ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა. კერძოდ, აქ რ. რობინსონის მიერ განსაზღვრული დიალექტიკის სამივე მეთოდია გამოყენებული: ელენხოსიც, ეპაგოგეც და პიპოთეზისიც.

პლატონის ლიტერატურული შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად მისი დიალოგების დრამატული ბუნება, ნაწარმოებების შინაგანი დინამიკა და დრამატიზმი ითვლება. როგორც უკვე აღინიშნა, პლატონის დიალოგებს ზოგჯერ განიხილავენ როგორც იდეათა დრამას (109, 1118) და

მკვლევარნი სვამენ კითხვას რატომ და როგორ დაწერა პლატონმა ასეთი დრამები?

პლატონის ნებისმიერი ნაწარმოების და მათ შორის „სოფისტის“ ფილოლოგიური ასპექტით კვლევა ფაქტობრივად წარმოუდგენელია მისი დრამატული ბუნების წარმოჩენის გარეშე. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ პასუხი გავცეო კითხვას, თუ რამდენად მაღალმხატვრულია ეს დიალოგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაანალიზოთ მისი დრამატული ბუნება, რაც ამ ნაწარმოების სტრუქტურისა და სიუჟეტის ფილოსოფიური დისკურსის განვითარების თავისებურებების კვლევით მიიღწევა.

**თავი IV**  
**პლატონის „სოფისტის“ სტრუქტურა და**  
**სიუჟეტის ზოლოსოფიური მსჯელობის ბანგითარება**

**დიალოგის მთავარი მოქმედი პირები და მათი შეპირისპირებითი დახასიათება**

დიალოგი „სოფისტი“ პლატონის ტრილოგიის („სოფისტი“, „პოლიტიკოსი“, „ფილოსოფოსი“) პირველი ნაწარმოებია. იგი პლატონის სხვა დიალოგებში წარმოდგენილი სოფისტიკის შეჯამებაა და მისი არსის განსაზღვრასაც გვთავაზობს. ამასთანავე, ეს ნაწარმოები სიუჟეტურ და თემატურ კავშირშია „თემატიკურსთან“ და „პარმენიდესთან“.

„სოფისტი“ მოცემულია შეკრებისა და დაყოფის უამრავი მაგალითი, რის შედეგადაც საბოლოოდ ვიდებთ სოფისტის დახასიათებას. დიალოგის ერთ-ერთი მთავარი მოსაუბრე, უცხოელი დარწმუნებულია, რომ სოფისტის საბოლოო დეფინიცია გამოხატავს მის ჭეშმარიტ ბუნებას. პლატონის აზრი ამასთან დაკავშირებით თითქმის არ ჩანს ამ დიალოგში. განსხვავებით პლატონის სხვა მრავალი დიალოგისაგან, სადაც მთავარ მოსაუბრედ გვევლინება სოკრატე, ამ დიალოგში იგი უტყვად ზის და უსმენს ელისელ უცხოელს. უცხოელის ვინაობა გასაიდუმლოებულია. ამ მხრივაც ეს დიალოგი განსხვავდება პლატონის სხვა დიალოგებისაგან, სადაც მეტ-ნაკლებად არის მინიშნება მოქმედი პირების ვინაობაზე. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით უცხოელის შესახებ გარდა იმისა, რომ ის წარმოშობით ელეადან არის. უცხოელი თავის თავს მიჯნავს სოფისტებისაგან, ხოლო სოკრატე არ მიიჩნევს უცხოელს ფილოსოფოსად. ალბათ, სწორედ ამიტომ არის უტყვად სოკრატე ამ დიალოგში და პლატონის მიზანი არის გვაჩვენოს უცხოელის საუბრისათვის დამახასიათებელი სტილი სოკრატეს საუბრის მანერასთან მიმართებაში და ის, თუ რა კონტრასტია ფილოსოფოსსა და სოფისტს შორის.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოელი დიალოგ „სოფისტი“ ბოლომდე უცნობად რჩება. ჩვენ ვიცით, რომ ის წარმოშობით ელეადან არის და ასოცირდება პარმენიდესისა და ზენონის წრესთან, მაგრამ ეს სოციალური და გეოგრაფიული მინიშნება ავტომატურად არ გულისხმობს უცხოელის ფილოსოფოსობას. პლატონი

არც უცხოელის პორტრეტს არ გვიხატავს. ის არ გვიამბობს რაიმე ისტორიას, რაც უკავშირდება ამ პერსონაჟის წარსულს, მის წარმატებებს ან მარცხს. მთელი დიალოგის მანძილზე უცხოელი არ გამოხატავს რაიმე სახის ემოციას, როგორც ამას ხშირად აკეთებენ პლატონის სხვა დიალოგების მოქმედი პირები.

უცხოელის საუბრის მანერასა და მეთოდზე უფრო მეტს ვიგებთ, ვიდრე თვით მის პიროვნებაზე და სწორედ ეს განასხვავებს მას პრინციპულად სოკრატესაგან. თუკი ამ ორი პერსონაჟის მსოფლმხედველობას ერთიმეორეს შევუპირისპირებთ, მივიღებთ შემდეგ დასკვნებს: სოკრატე არასოდეს არ მიიჩნევს თავს რაიმე ცოდნის ან იდეის მქონედ, ის არის შუამავალი, რომ ადამიანებს მოუმწიფდეთ იდეები და მიიღონ რაღაც კონკრეტული ცოდნა. სოკრატე საკუთარ თავს უფრო განმანათლებლად მიიჩნევს, ვიდრე მეტაფიზიკოსად. უცხოელი კი ეძებს ისეთ თანამოსაუბრებებს, რომლებიც მას დახმარებას გაუწევენ ჭეშმარიტების აღმოჩენაში. ის დარწმუნებულია, რომ აუცილებლად მიიღებს საბოლოო პასუხს. სოკრატე კი დარწმუნებულია, რომ ფილოსოფია უშუალო კავშირშია თვითშემეცნებასა და ზომიერებასთან და რომ საბოლოო ჭეშმარიტების წვდომა არც ისე იოლი საქმეა (128, 98).

უცხოელისა და სოკრატეს მიერ თავიანთი მეთოდებისა და ფილოსოფიის აღწერაც მნიშვნელოვან განსხვავებს გვიჩვენებს მათ მიღომებს შორის. უცხოელი ასე აღწერს დიალოგისათვის აუცილებელი პირობის მისეულ გაგებას: “თავდაპირველად, როგორც მე მგონია, ჩემთან ერთად კვლევა სოფისტიდან უნდა დაიწყო, გამოიძიო და გამოამჟღავნო, თუ რა არის ის. ახლა ხომ მე და შენ მხოლოდ სახელთან დაკავშირებით ვართ შეთანხმებულნი, იმ საგანზე კი, რასაც თითოეული მათგანი ამ სახელს ვუწოდებთ, შესაძლოა, საკუთარი აზრი გვაქვს. ყოველთვის ყველაფრის შესახებ თავად საგანზე მსჯელობით უნდა შეთანხმდე და არა მხოლოდ სახელზე, [საგანზე] მსჯელობის გარეშე” (Soph. 218 c-d)<sup>55</sup>.

აქ ჩანს რამდენიმე მახასიათებელი, რომელიც არსებითია უცხოელისათვის: პირველი, ის დაინტერესებულია თანამოსაუბრებულიან შეთანხმებასა და პარმონიის მიღწევაში. მეორე, მისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს საერთო დეფინიცია.

<sup>55</sup> nün gar dh; sur te kaigw; toutou peri toujhoma monon ēcomen koinh/ to; de; ēfgon ejf j w̄l kal oumen ekaitero-tac j ah īdia/ par j h̄min aujtoi- ēcoimen, dei; aje; panto- peri to; pragma aujto; mal l on dia; logwn h̄l toujhoma monon sunwmol oghsqai cwri; logou. tote; ful on oj nün ejpinooumen zhtein ouj pantwn r̄astion sul labein t̄ipot jeſtin, ol sofistis h̄r (Soph. 218 c-d).

მესამე, დეფინიცია უნდა ასახავდეს საქმის რეალურ არსეს და არა მხოლოდ სახელწოდებას. სოკრატესთვის კი არასოდეს არ არის აუცილებელი თანამოსაუბრესთან შეთანხმება, მისთვის, პირიქით, მნიშვნელოვანია არსებობდეს წინააღმდეგობა, რაც არის წინაპირობა კვლევისა და ჭეშმარიტების ძიებისა. ამდენად, საბოლოო ჯამში უცხოელისა და სოკრატეს შეპირისპირებას მაინც სოფისტისა და ფილოსოფოსის შეპირისპირებამდე მივყავართ და თითოეული მკითხველი საბოლოო ჯამში თავად აცნობიერებს, თუ რომელი ხასიათი არის უფრო მეტად ფილოსოფიური და რომელი – სპეციალისტიური, სოფისტური.

განვიხილოთ დიალოგ “სოფისტის” სტრუქტურა და სიუჟეტის ფილოსოფიური მსჯელობის განვითარება, რისთვისაც თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად წარმოვადგინოთ ნაწარმოების შინაარსი, დიალოგის ძირითადი დებულებებისა და ფილოსოფიური პრობლემატიკის ჩათვლით, რათა ფილოსოფიურ დისკურსთან უშუალო კავშირში წარმოჩნდეს ის მწერლური, მხატვრული ხერხები, რომელთა საშუალებითაც პლატონი თვის ფილოსოფიურ სათქმელს გამოხატავს.

### **საუბრის დაწყება. კვლევის მეთოდის შერჩევა.**

(Soph. 216 a-218 b)

ნაწარმოების დასაწყისი, რომელიც ერთგვარი პროლოგის, ექსპოზიციის ფუნქციას ასრულებს, არის უფრო მეტი, ვიდრე მთავარი მოქმედი პირების წარმოდგენა. როგორც ეს პლატონის დიალოგებისთვის ზოგადად არის დამახასიათებელი, შესავალი არის წინასწარი მინიშნება იმ პრობლემებზე, რომლებიც განხილულ უნდა იქნას დიალოგში და იმ კონტექსტზე, რომელშიც ეს პრობლემები ექცევა. “კონტექსტში” იგულისხმება პლატონის დიალოგების სამყაროს დრამატული კონტექსტი და მხოლოდ ნაწილობრივ ძვ. წ. V საუკუნის ათენის ისტორიული და პოლიტიკური გარემო. მცდარი მეცნიერული მიდგომაა დრამის, როგორც ისტორიული დოკუმენტის, წაკითხვა. პლატონის დიალოგების სიუჟეტური ქარგა არის პლატონის მხატვრული გამოგონება და არა ისტორიული მოვლენების ჩანაწერი. გაუმართლებელია იმის კვლევა, რეალურად პქონდა თუ არა

ადგილი ამ საუბრებს, რომლებსაც პლატონი მხატვრული ფორმით წარმოგვიდგენს. ეს არის ფილოსოფოსის მიერ იმ თემების შერჩევა, რომლებზეც მას სურდა გაგვსაუბრებოდა (128, 1119).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროლოგის თემა არის სოკრატესა და ელისელი უცხოელის შეხვედრა. დიალოგ „ოქეტეტოსში“ წარმართული საუბრის მეორე დღეს თემების და თეოდოროსი შეთანხმებისამებრ მიღიან სოკრატესთან. თან ახლავთ უცხოელი ელეადან. ისინი სოკრატეს უცხოელს წარუდგენენ როგორც ფილოსოფოსს (αἵτης φίλος οφί-) და რაკი, როგორც შემდგომ ჩანს, სოკრატეც ეთანხმება მის ამგვარ სახელდებას, ეს იმას ნიშნავს, რომ რასაც უცხოელი იტყვის, ჩვენ სერიოზულად უნდა მივიღოთ და, რომ მის საუბარს პირდაპირი და მნიშვნელოვანი კავშირი უნდა ჰქონდეს საკუთრივ პლატონის ფილოსოფიასთან (თუმცა, როგორც შემდგომ ვნახავთ, სოკრატე ერთიმეორისაგან განასხვავებს ჭეშმარიტ და ცრუ ფილოსოფოსს და უცხოელის მიმართ თავდაპირველად წარმოთქმულ მის სიტყვებში, შესაძლოა, ერთგვარი ირონიაც შეინიშნებოდეს) (106, 225).

ეს შეხვედრა სვამს დიალოგის მთავარ საკითხს, თუ როგორი არის ფილოსოფოსის ბუნება. მთავარი ასპექტი კი ისაა, ფილოსოფოსები ადამიანებს პირდაპირ ეჩვენებიან თუ შეფარულად. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ აყალიბებს ჭეშმარიტისა და მსგავსის ერთიმეორისაგან გარჩევის ტექნიკურ პრობლემას. სწორედ ფილოსოფოსის განკვრეტის საკითხი არის ის კონტექსტი, რომელშიც უნდა მივაგნოთ სოფისტეს. მეორე თემა, რომელიც პროლოგშივე იშლება, არის უცხოელის საკითხი. რა მიზნითაა მოსული უცხოელი? სოკრატეს განსაღიძებლად თუ განსასჯელად? თუ ის განსასჯელად მოვიდა, მაშინ რა მიზეზით? და მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პროლოგშივე ფართოდაა გაშლილი, გახლავთ „დიაირესისის“ მეთოდის ფართოდ გამოყენება დიალოგში, რაც უპირველეს ყოვლისა ერთმანეთის ოპოზიციაში აყენებს, ერთი მხრივ, სოკრატესა და მის მეგობრებს, ხოლო მეორე მხრივ, ელისელ უცხოელს. იგი არ მიეკუთვნება სოკრატეს წრეს. თეოდოროსი ამბობს: „მოვედით და მოვიყვანეთ ეს უცხოელი“ და ამით ზღვარს ავლებს ათენელებსა და სხვა ქალაქების მკვიდრთ შორის. ჩვენ ვერსად ვიგებთ უცხოელის საკუთარ სახელს, მაგრამ ეს არც არის მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ არ გვაინტერესებს ის, თუ ვინ არის უცხოელი. ჩვენ გვაინტერესებს,

რომელი სკოლის წარმომადგენელია ის. თეოდოროსის დახასიათებაც კი, რომ უცხოელი არის პარმენიდესა და ზენონთან დაახლოებული პირი, არ ხსნის პრობლემას და არ გვაძლევს პასუხს კითხვაზე: არის თუ არა უცხოელი ფილოსოფოსი? და თუმცა ალბათ პლატონს არანაირი ეჭვი არ შეჰქონდა პარმენიდესის ფილოსოფოსობაში, მისთვის ფილოსოფოსთან დაახლოებული პირი a priori არ არის ფილოსოფოსი.

სწორედ ამ უცხოელის იდენტიფიცირების საკითხს უდგება პლატონი განსხვავებულად და აქ მიმართავს პომეროსს: „იქნებ ღმერთი მოჟყავს თეოდოროსს და არა ადამიანი” (Hom. Od. XVII, 485-487). ამ პასაჟის ქვეტექსტი კი მრავალნაირი შეიძლება იყოს, კერძოდ: 1) შესაძლოა, აქ იმაზეა საუბარი, რომ ფილოსოფოსი მოკვდავ ადამიანთა შორის ისე ჩანს, როგორც ღმერთი; 2) უფრო დრმა ინტერპრეტაცია იქნებოდა პასაჟის ისე გაგება, რომ აქ საუბარია უცხოელსა და ოდისევსზე. თან ცნობილია, რომ ღმერთები უცხოელების მსგავსად ევლინებიან მოკვდავ ადამიანებს, რათა თვალი ადევნონ მათ და დასაჯონ ისინი ზვიადობისა და ამპარტავნების გამო. ამიტომაც ხშირად მათ ერთმანეთისგან ვერ არჩევენ; 3) სოფისტების მსგავსად ღმერთებშიც რთულია ჭეშმარიტის მსგავსისაგან გარჩევა. ამაში ჩვენ ძირითადად გვეხმარება სახელები ან შესაბამისი ატრიბუტიკა. თუმცა, თუ არ ფიგურირებს სახელი, მაშინ საქმე რთულდება, ამიტომ ჭეშმარიტის გარდა უნდა იცოდე მისი მსგავსი სახეც, რომ შემდეგ შეძლო მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. „ჭეშმარიტი” და „მსგავსი” არის ოპოზიცია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია პლატონის მთლიანი მსოფლმხედველობის გასაგებად და ეს არ არის უბრალოდ ორი რამის ერთიმეორისაგან განსხვავება, არამედ „პარგის” „ცუდისგან” გამორჩევის უნარი (128, 42).

აქ ასეთი პარალელი შეგვიძლია დავინახოთ, სოკრატე არის ჭაბუკი, თეოდოროსი ანტინოე, უცხოელი ოდისევსი, თეეტეტოსი კი პენელოპე, რომელიც „ნადირობს” ახალგაზრდა ჭაბუკებზე. ამის შემდეგ კი პლატონი აგრძელებს, რომ ფილოსოფოსები ღმერთების მსგავსად ძნელად გასარჩევი არიან. თუ ღმერთები ამხილებენ მოკვდავებს ზვიადობისა და ამპარტავნების გამო, ერთი ფილოსოფოსი აუცილებლად ამხილებს მეორეს მისი არასწორი არგუმენტებისათვის. ეს არის პლატონის მიერ პომეროსის პასაჟის შესწორება.

ყველასათვის ცნობილია, რომ თავად სოკრატე გვევლინებოდა თავისი თანამედროვეების არასწორი არგუმენტებისა და მოსაზრებების მამხილებლად და სწორედ ეს იყო მის მიმართ წაყენებულ ბრალდებათაგან ერთ-ერთი. სხვისი მოსაზრებების მამხილებლებად მიიჩნეოდნენ სოფისტებიც, ოღონდ მხოლოდ კეთილშობილი სოფისტიკის წარმომადგენელნი. ამდენად, სოკრატე მამხილებელ ღმერთს უწოდებს უცხოელს და ამით იცავს საკუთარ თავს ამ დანაშაულისაგან. მაგრამ აქ დგება შემდეგი პრობლემა: როგორც თეოდოროსი ამბობს, ის არ არის ღმერთი, არამედ ფილოსოფოსი, ოღონდ ღვთაებრივი (128, 47).

აქ ისმება საკვანძო პრობლემა. სოკრატე ამბობს, რომ ფილოსოფოსთა გვარი (*geno-*) არ არის მარტივად გასარჩევი (*diakrinein*), ისევე როგორც ღმერთების. სოკრატე აქაც სთავაზობს ერთმანეთისაგან გამიჯვნას ჭეშმარიტად ფილოსოფოსისა და ცრუ, შეთითხნილი ფილოსოფოსისა. სხვა სიტყვებით, გარჩევას ჭეშმარიტისა და მისი მსგავსისა. ამას მოჰყვება შემდეგი პასაჟი:

„ყველა ეს ადამიანი, არა ცრუ, არამედ ჭეშმარიტად ფილოსოფოსი, რომელიც სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ დანარჩენებს თავიანთი უმეცრების გამო, “მოივლიან ქალაქებს”, და ზემოდან დაჲყურებენ ქვემოთ მყოფთა ცხოვრებას;<sup>56</sup> ზოგი მიიჩნევს, რომ ისინი პატივისცემას არ იმსახურებენ, ზოგი კი მათ ყველაზე უფრო დირსეულებად თვლის; მათ ხან პოლიტიკოსებად წარმოსახავენ, ხან – სოფისტებად, ზოგი კი იმასაც ფიქრობს, რომ სრულიად შეშლილი არიან. ამიტომ ჩვენს უცხოელს სიამოგნებით გამოვკითხავდი, თუ მისი სურვილიც იქნებოდა, რას ფიქრობდნენ და რას ამბობდნენ ამაზე მის ქვეყანაში” (Soph. 216 c – 217 a)<sup>57</sup>.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პასაჟი, კერძოდ, ისევ ციტირებაა „ოდისეადან” (Hom. Od. XVII, 485-487) და მოყვანილია ტერმინები, რომლებიც უცხოელის მომდევნო მსჯელობისას უკვე ტექნიკურ მნიშვნელობას შეიძენს. აქ, ერთი მხრივ, არის გამიჯვნა ტერმინებისა ხატი (*eikona*) და მოჩვენება (*fantasma*). სოფისტი არის ფილოსოფოსის *fantasma*, ხოლო ჭეშმარიტი ღმერთები ზემოდან უყურებენ და ამხილებენ ადამიანებს. ამ კომპლექსური პასაჟიდან ორი ძირითადი

<sup>56</sup> შდრ. იქვე, XVII, 485-487.

<sup>57</sup> *panu gar ahdre~ oujtoi pantoioi fantazomenoi dia; thn twn allwn agnoian epistrwfysi polha~, oij mh; plastw~ ajl j ohtw~ filosofoi, kaqorwnte~ ulyogen ton twn kaiw bion, kai; toj~ men dokousin eihai tou mhdeno~ timioi, toj~ d jaktioi tou pantor, kai; tote; men politikoi; fantazontai, tote de; sofistai; tote; d ejstin oij dokan parastoint j ah wl pantapasin econte~ manikw~. tou mentoi xenou hmin hde~ ahpunqanoimhn, ejf iloi aujtw~ tivtauq joilperi; to; ekei topon hqoumto kai; wnomazon* (Soph. 216 c – 217 a).

დასკვნა გამომდინარეობს: 1) არა მარტო სოფისტები დადიან ქალაქებში და ესაუბრებიან არაფილოსოფოს საზოგადოებას, არამედ ჭეშმარიტად ფილოსოფოსებიც; 2) ამხილებენ ღმერთები და არა ფილოსოფოსები. აქედან, პირველი დასკვნა საკმაოდ მისაღები და ნაკლებად საეჭვოა (128, 78).

სადაც მეორე დასკვნა იმდენად, რამდენადაც სოკრატე საყოველთაოდ ცნობილია თავისი მხილების მეთოდით. შესაძლოა, პლატონს აქ იმის თქმა უნდოდა, რომ არსებობს მხილების არაერთი სახე და, რომ ზოგიერთი მათგანი არაფილოსოფიურია. შესაბამისად, ამით მწერალს შეუძლია დასაწყისშივე თავიდან აიცილოს უცხოელის მიერ სოკრატეს მხილება. ამ საკითხზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია. ამიტომ, ვფიქრობ, პირველივე სცენიდან ნათელი ხდება, რომ ამ დიალოგის კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა იყოს მასში გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობებისა და მათი გამოყენების ასპექტების კვლევა.

იმის გამო, რომ არსებობს ბევრი *fantasma*, როგორიც სოფისტის, ფილოსოფოსისა და პოლიტიკოსის ერთმანეთისაგან გარჩევა. და სწორედ აქ სოკრატეს მიერ იდგმება პირველი კრიტიკული ნაბიჯი ჭეშმარიტი დიალოგის დასაწყისში. მას სურს გაიგოს, რას ფიქრობენ (*hγουντο*) ამ გვარებზე უცხოელის თანამემამულები და რას უწოდებენ (*ωνοματων*) მათ. კვლავ საყურადღებოა ეს ოპოზიცია, რომელიც ფაქტობრივად იგივეა, რაც ჭეშმარიტისა და მისი მსგავსის ოპოზიცია. ანუ ერთსა და იმავე გვარს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შინაარსი და სახელდება. ცოტა მოგვიანებით უცხოელიც ადასტურებს ამ ოპოზიციას, როდესაც ამბობს, რომ „ყოველთვის ყველაფრის შესახებ თავად საგანზე მსჯელობით უნდა შეთანხმდე და არა მხოლოდ სახელზე, [საგანზე] მსჯელობის გარეშე” (Soph. 218 c).<sup>58</sup> უფრო დეტალურად კი: ერთ გვარად მიიჩნევენ ამ სამს, თუ სამ განსხვავებულად, როგორც სახელია სამი? აქ უკვე აღარ არის „შეშლილი” და საკვლევია მხოლოდ სოფისტი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი. კერძოდ, გარკვეულ უნდა იქნას თითოეულის რაობა (*tι*), ბუნება (*geno-*) და სახელი (*οικοma*). ამ სამი მახასიათებლით საგნის კვლევა და ამის შესაბამისად განსაზღვრა კი სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტი არსის ანუ *Iogo-* ის გარკვევა. ეს სამი

<sup>58</sup> *dei` de; aei; panto- peri to; pragma auj to; mal l on dia; Iogwn h] touhoma monon sunwmol oghsqai cwri;- Iogou* (Soph. 218 c).

მახასიათებელი ქმნის თითოეული სუბსტანციის *τοῦ* ს. ამდენად, დიალოგის კვლევის მთავარი მიზანია სოფისტის *τοῦ* ის კვლევა (106, 171). უცხოელის პასუხიდან ამ შეკითხვაზე, რომ ეცდება თქვას ის, რაც „ახლახან მოისმინა და ჯერ არ დავიწყებია”, ორი რამ ხდება ნათელი: 1) უცხოელს სურს სოკრატემ მოისმინოს მისი ნალაპარაკევი; 2) მან უნდა გადმოგვცეს რომელიდაც ელისური დოქტრინა.

უცხოელი წარმოშობით ელისელია. ცნობილია, რომ ერისტიკის მეთოდებს გარკვეულწილად ელისური ტრადიციის გამგრძელებელი ევკლიდეს მეგარელის მიმდევრებიც ავითარებდნენ. საინტერესოა, რატომ აირჩია პლატონმა დრამატულ პერსონაჟად ელისელი, რომელიც ელისურ ერისტიკას აკრიტიკებს. როგორც რ. ბლაკი ამბობს, შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდა, რომ პლატონი ერისტიკოსებს მათივე იარაღით გამკლავებოდა (82, 31).

სოკრატე ეჭვობს, რომ თეოდოროსს შეიძლება უნებურად რომელიდაც მამხილებელი ღმერთი (*qeō-* εἴλεγκτικοί) მოჰყავს. იგი პომეროსსაც დაიმოწმებს. ამრიგად, როგორც ჯ. რუსონი შენიშნავს, „სოფისტი” იწყება არა გუშინდელი საუბრით, არამედ ბერძნული საუბრის ცოცხალი საფუძვლებით – პომეროსით (132, 42). აქ მინიშნებაა იმაზე, თუ როგორ ვერ შეიცნობენ კიკლოპები ოდისევსს (Od. XVII, 483-487). უცხოელიც, შესაძლოა, მნელად განსაჭვრები ადამიანი იყოს. თეოდოროსი უხსნის მას, რომ ეს უცხოელი არ არის კამათით გატაცებული (peri; ta; εἵδια εἰσρουδακοῖτων). აქ კიდევ ერთხელაა მინიშნებული, რომ ის არ არის სოფისტი, მაგრამ ის არც ღმერთია. ის არის ღვთაებრივი (*qeio-*), როგორც უწოდებს თეოდოროსი ყველა ფილოსოფოსს. ამ გვარის გარჩევა კი არ არის ღმერთების გვარის გარჩევაზე ადვილი. აქ პლატონი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფილოსოფოსთა გვარი მნელად შესაცნობია. ისინი რაღაცნაირად წარმოგვიდგებიან ხოლმე (fantazontai), მოივლიან ქალაქებს, არა ცრუ (*plastw-*), არამედ ჭეშმარიტად (*objtw-*) ფილოსოფოსები. ზოგი მათ პოლიტიკოსებად მიიჩნევს, ზოგი – სოფისტებად, ზოგი კი – სრულიად შეშლილებად. აქ ხაზგასმულია, რომ, მართალია, უცხოელი არ არის ღმერთი, მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია მისი ჭეშმარიტი ბუნება, არის ის ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, თუ – ცრუ. ოპოზიცია „ჭეშმარიტი და ცრუ ფილოსოფოსი” შეიძლება გავიგოთ, როგორც ოპოზიცია „ფილოსოფოსი და სოფისტი” (128, 92).

სწორედ აქ დაისმება საკითხი, თუ რა არის ფილოსოფოსი (*philosopho-*), სოფისტი (*sophistis*) და პოლიტიკოსი (*politikos*). ამ დიალოგში გარკვეულია სოფისტის საკითხი, დიალოგში „პოლიტიკოსი”, შესაბამისად, პოლიტიკოსის, ხოლო რაც შეეხება ფილოსოფოსს, დღემდე სადაცოდ რჩება, პქონდა თუ არა პლატონს განზრახული მესამე დიალოგის – „ფილოსოფოსის” – დაწერა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიისა და ფილოსოფოსის შესახებ პლატონის დიალოგებში ხშირადაა საუბარი. მაგ. „სახელმწიფოში” პლატონი ფილოსოფოსს განმარტავს როგორც ადამიანს, რომელსაც შეუძლია არსებული თავისთავად განჭვრიტოს, მუდამ თავისი თავის იგივეობრივად, რომელიც არ იცვლება წარმოშობისა და განადგურების ძალით (*Resp. V-VI, 480 a, 484b*)<sup>59</sup>. იქვე ჰეშმარიტი ფილოსოფოსი შეპირისპირებულია სოფისტთან, რომლისთვისაც ამოსავალია შეხედულება და არა – ჰეშმარიტება.

საუბრის თემის გარკვევის შემდეგ, სოკრატე დგამს მეორე და მსჯელობისათვის არანაკლებ მნიშვნელოვან ნაბიჯს ის სთავაზობს თანამოსაუბრეს საუბრის მეთოდზე შეთანხმებას. კვლევის დაწყებამდე სოკრატე სთხოვს უცხოელს აირჩიოს საუბრის მეთოდი, გრძელი სიტყვების (*Iago - makros*) ან შეკითხვების მეშვეობით (*di j ejrwthtisewn*) კვლევა. აქვე ხაზგასმულია, რომ კითხვა-კასუხის მეთოდი მასთანაა გამართლებული, ვინც მშვიდი (*ajl uprw-*) და მორჩილია (*eujnisiw-*). სოკრატეს რჩევით უცხოელი გადაწყვეტს, რომ ერთი თანამოსაუბრე აირჩიოს, კერძოდ, თემტეტოსი და მსჯელობა მოკლე სიტყვების მონაცემლეობით (*kata smikron epho- pro- epho-*) წარმართოს, თუმცა საკითხის სირთულე მსჯელობის ზოგიერთ მონაკვეთში მოითხოვს კრცელ მსჯელობასაც (*Iago - sucon*). ს. როზენის აზრით, აქ ხაზგასმულია, რომ კვლევის საუკეთესო გზა არის დიალოგის მეთოდი და რომ ჰეშმარიტი კვლევა მხოლოდ ორთა საუბრით შეიძლება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი ირჩევს კითხვა-პასუხის ფორმატს, მისი მსჯელობა მაინც უმეტესწილად, შეიძლება ითქვას, მონოლოგის სახით ვითარდება, რადგან თემტეტოსის პასუხები მხოლოდ თანხმობაა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე. ანუ აქ ერთიმეორის ოპოზიციაშია დიალოგისა და მონოლოგის ფორმა.

<sup>59</sup> h] ouj mhnmonewmen oft i fwnai te kai; croa~ kal a~ kai; ta; toiaut jeffamen toutou~ filein te kai; qeasqai, aujto; de; to; kal on oujd j ajeicesqai w~ ti oj, ejnoi; goun efti dokei ah bel tioni~ fanhnai ej peri; toutou monou efei rhqhnai, kai; mh; poll a; ta; loipa; diel qein mel lonti katoyesqai tiv diaferei biw~ (*Resp. V-VI, 480 a, 484b*).

მართალია, ირჩევენ დიალოგს, მაგრამ უცხოელი ნაწილობრივ მაინც მონოლოგის გზით წარმართავს მას. ჭეშმარიტი ფილოსოფოსისათვის მსჯელობის ერთადერთ ფორმად, პლატონი დიალოგს მიიჩნევდა. ანუ აქ შეიძლება კიდევ ერთხელ ეჭვავეშ დავაყენოთ ელისელი უცხოელის ფილოსოფოსობის საკითხი (128, 31).

ვფიქრობ, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ მეცნიერები ხშირად უსაყვედურებენ პლატონს, თითქოსდა მან ამ დიალოგში დაკარგა წერის ის ცოცხალი კითხვა-პასუხის მანერა, რომელიც დამახასიათებელი იყო მისი ადრეული და შეა პერიოდის დიალოგებისათვის (128, 40). ვფიქრობ, ეს ასე არაა. და წერის ეს სტილიც მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტული დიალოგის მიზანდასახულობიდან გამომდინარეობს.

სოკრატე და უცხოელი გადაწყვეტენ, თავდაპირველად გამოიკვლიონ სოფისტი, თუ რა არის ის, რადგანაც გარკვეულია მხოლოდ მისი სახელი (*οἶκοια*) და არ არის შეთანხმებული თავად საგანი (*εἵρησι*), რასაც თითოეული ამ სახელს უწოდებს. ნებისმიერი საკითხის კვლევისას კი, როგორც ეს პლატონს სწამს, უპირველეს ყოვლისა, საგანზე უნდა შეთანხმდე და არა მხოლოდ სახელზე (Soph. 218 c)<sup>60</sup>. აქვე უნდა გავიხსენოთ საგნის წვდომის პლატონისეული კონცეფცია, რომელიც მას VII წერილში აქვს მოცემული: ნებისმიერი საგნის გადმოცემისათვის გვაქვს ოთხი საშუალება, ესენია: 1. სახელი; 2. განმარტება; 3. სახე; 4. ცოდნა ან ცნება თავისთავად. ეს ოთხი ქმნის საგნის არსეს (*Iογο-*) (101, 100).

### ნადირობა სოფისტზე. ნიმუში (paradeigma) როგორც პგლევის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი (Soph. 218 c-219 a)

პირველი სცენის ძირითადი დასკვნა იყო ის, რომ უნდა გაირკვას განსხვავება ადამიანთა სამ ტიპს შორის: სოფისტი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი. ხაზი უნდა გაესვას, რომ აქ საქმე გვაქვს არა უბრალოდ ფორმების ან მხოლოდ მათი *τεινή*-ს, არამედ მათი არსის ერთმანეთისაგან გარჩევასთან. ჩვენ, მკითხველნი, გართ მონადირეები, რომლებიც კვალდაკვალ უნდა მივყვეთ ადამიანთა ამ სამ ტიპს.

<sup>60</sup> *dei de; aei panto- peri to; pragma aujto; mal l on dia; Iogwn h} touhomai monon sunwmol oghisqai cwri;- Iogou* (Soph. 218 c).

თანამედროვე მეცნიერებისაგან პლატონი ბევრი რამით განსხვავდება. არსებითი კი ამ განსხვავებაში არის შემდეგი: პლატონის ფილოსოფიური პედაგოგიკის უმთავრესი მომენტი არის ის, რომ ნაწარმოებში უნდა ჩანდეს სული. ღრამის ამოსავალი წერტილი და ძირითადი მიზანი არის აჩვენოს საუბრისა და მოქმედების ურთიერთთამაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოქმედება „სოფისტში” ბევრად უფრო სტრუქტურირებული და დახვეწილია, ვიდრე ეს ზოგიერთ ტრაგედიაშია (ამ ტერმინის კლასიკური მნიშვნელობით) (99, 67).

რაც შეეხება სოფისტზე ნადირობას, ეს საფუძველია დრამისათვის. სხვა დიალოგებისგან განსხვავებით, „სოფისტი” სოფისტს მიეწერება ხელოვნება (technē), იმისდა მიუხედავად, რომ ეს საკმაოდ ბუნდოვანი და ორაზროვანი ხელოვნებაა და მდგომარეობს ყალბი გამოსახულებების შექმნაში. თუ ვერ გავარჩევთ იმ გამოსახულებებს, რომლებსაც ქმნის სოფისტი, მაშინ მიუხედავად დიაირესისის ხერხისა, ვერ მივაღწევთ სოფისტის ტექნიკურ დეფინიციას. რა ფუნქციაც არ უნდა ჰქონდეს სოფისტს, დიაირესის უნდა მოიცავდეს სოფისტის საქმიანობის მთავარ მახასიათებლებს, მთავარ შტრიხებს მის ეშმაკობასა და არაპირდაპირობას. ამ პორტრეტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კი არის იმის თავიდანვე გამოვლენა, თუ როგორ იძვრენს თავს სოფისტი, მასზე ნადირობისას, თუნდაც მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას საკმაოდ ძლიერი ტექნიკური მექანიზმები. ამას გარდა, სოფისტის პორტრეტის შესწავლით, ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას მისი ფილოსოფიური ბუნების შესახებ.

ამდენად, უცხოელი და თეატრების შეთანხმდებიან იმაზე, რომ მათი კვლევა დაიწყოს სოფისტით. არავითარი საბაბი არ არსებობს იმისა, რომ სოკრატეს ჩამონათვალის რიგითობაში (“სოფისტი”, “პოლიტიკოსი”, “ფილოსოფოსი”) შეტანილ იქნას რამე ცვლილება. ამ თანმიმდევრობასაც თავისი ლოგიკური საფუძვლები უნდა ჰქონდეს. პირველ რიგში, აქ შეიძლება დავინახოთ გარკვეული სახის იერარქია, ანუ ამ სამ გვარს შორის არის იერარქიული დამოკიდებულება, უხეშად რომ ვთქვათ, მათი „სერიოზულობის” და მათი ადამიანთათვის „დირებულების” თვალსაზრისით. პირველი, ანუ სოფისტი არასერიოზული გვარი, ბოლო, ფილოსოფოსი გვართაგან ყველაზე უფრო წმინდა და ღირებული, რაც შეიძლება არსებობდეს და საშური იყოს ადამიანთათვის და პოლიტიკოსი ასე ვთქვათ, ამ ორი გვარის ზღვარზე მყოფი, გარდამავალი სახე. თუმცა, აქ შეიძლება სხვა

მიზეზიც დავინახოთ, თუ რატომ ვიწყებთ სოფისტით. რადგან სოფისტი ბუნდოვანია და არ არის ადვილად მოსანადირებელი და გასარჩევი სხვებისგან, ამიტომ საჭიროა მისი მომწყველევა და იზოლირება, რათა შემდეგ ის არ აგვერიოს პოლიტიკოსში და ფილოსოფოსში, ანუ ვერ შეიპაროს ამ ორ გვარში.

ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს თანმიმდევრობა გარკვეულწილად არის წინასწარი დაზღვევა იმისგან, რაც სოფისტის ბუნებაში ყველაზე უფრო ირონიულია და რაც გვიბიძგებს, ვიკვლიოთ ის ასე ღრმად. ამის მთავარი მიზანი კი ხასიათის ნაკლოვანების გამოვლენაა და არა ცრუ ხელოვნებისა, ანუ გარკვეულწილად აქ არის ოპოზიცია ხასიათი და ხელოვნება და აქაც აუცილებელი ხდება დიაირესის მეთოდი (128, 96).

მაშასადამე, კვლევა უნდა დავიწყოთ იმ შეთანხმებით, რომ ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ „რას“ წარმოადგენს სოფისტი და არა ის, თუ „ვინ“ არის სოფისტი. ეს არის იმის აუცილებელი წინაპირობა, რომ დიაირესის მეთოდი გამოსადეგი იყოს. ანუ სოფისტი შედგება ფორმალური ელემენტების ერთიანობისაგან და ეს ელემენტები მრავალრიცხოვანია. მათ შორის ნაწილი არის წმინდა სოფისტური, ნაწილი კი არა. ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ სწორედ ეს წმინდა სოფისტური ელემენტები.

აქ უცხოელი თავიდანვე ხაზს უსვამს წინააღმდეგობრიობას, რომელიც შეინიშნება სოფისტის ბუნებაში: საუბარი და ფიქრი, ანუ სახელი და საგანი, რომელსაც ეს სახელი ეწოდება. წარმოდგენილი პასაუი მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. აქ უცხოელი საქმეს თავდაპირველად განსაზღვრავს სიტყვით εἴρησι, შემდეგ კი სიტყვით *pragma* (Soph. 218 c)<sup>61</sup>. ეს სიტყვები მნიშვნელოვანია და ისინი შეიძლება ითარგმნოს, როგორც მოქმედება, საქმე, მოვლენა. ეს ტერმინები გამოხატავს ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული ფენომენების დინამიურ მონაცვლეობას, რომელსაც არ გამოხატავს სიტყვა იქ. ჩვენ გვაინტერესებს საგანი, არსი „თავის თავში“ და არა ყოველდღიურ დინამიზმსა და მონაცვლეობაში ან სხვა ფენომენებთან ურთიერთმიმართებაში. ანუ *pragma* და იქ არსებითად განსხვავებული რადაცვებია, ისინი წინააღმდეგობაშია ერთიმეორესთან

<sup>61</sup> nun gar dh; sui te kaigw; toutou peri toujhoma monon ēcomen koinh/ to; de; ēgon ejf j w/ kal ouimen ekaitero-tac j ah̄ iidia/par j h̄min aujtoi~ ēcomen, dei` de; ajei; panto~ peri to; pragma aujto; mal l on dia; logwn h̄ toujhoma monon sunwmol oghsqai cwri~ l ogou (Soph. 218 c).

და ქმის განმასხვავებელ ნიშანს საგნისათვის, დროში ცვალებადია ის თუ მარადიული. ანუ საკითხი ასეც შეიძლება დავაყენოთ: არის სოფისტი *pragma* თუ იჩ?

თუ დავუბრუნდებით „სოფისტის” ტექსტს, აქ უცხოელი აგრძელებს, რომ ჩვენ გვაქვს საზიარო სახელები ენის საზოგადო ბუნების გამო. მაგრამ სახელებზე შეთანხმება ყოველთვის უნდა ხდებოდეს *pragma*-ს *logo*-თან დაკავშირების მეშვეობით და არა მხოლოდ *pragma* -დან გამომდინარე *logo*-ის გარეშე. ანუ ის, რასაც ჩვენ ყველანი ვფლობთ, სხვა არაფერია თუ არა *pragma* და დეფინიცია მასაც უნდა მოიცავდეს აუცილებლად, თუმცა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მისით.

დავუბრუნდეთ არსებულ პრობლემას: მოსანადირებელი და დასადგენი არის სოფისტის ბუნება, რადგან არ არის მარტივი ერთად შევკრიბოთ ის, რაც გონიერი გვაქვს. არსებობს ორი პრობლემა: 1) პირველი ესება იმ საკითხს, რასაც ჩვენ ყველანი კერძოდ და პირადად ვფლობთ და რაც არ შეგვიძლია სხვას გადავცეთ საზოგადო ენის გარეშე. თუ ის, რასაც ჩვენ ვფლობთ, არ არის ლინგვისტური, მაშინ როგორ შეგვიძლია მასზე საუბარი და თუ არის ლინგვისტური, მაშინ როგორ შეიძლება დარჩეს ის ცარიელ, შიშველ ფორმად? 2) როგორ შეიძლება კერძო გახდეს საზოგადო, ანუ „საგანი, არსი თავის თავში”? მაგრამ თუ ეს ასეთი არ იქნება, ვერ მივაღწევთ დეფინიციასაც, რადგანაც დეფინიცია უნდა იყოს მდგრადი და სტაბილური, შესაბამისად არაცვალებადი. ანუ თუ არ გვექნება გვარი, ვერ გვექნება დეფინიციაც. თუ სოფისტი არ არის გვარი, მაშინ რის მიმართ ვადგენთ მის დეფინიციას? მხოლოდ სახის? შეიძლება, მაგრამ ესეც საქმეა (128, 101-104).

ამის შემდეგ უცხოელი თემტეტოსს სთავაზობს, რომ, რადგან საკვლევი საკითხი ძალიან რთულია, ვიდრე მას შეეხებოდე, უმჯობესია ჯერ უფრო მცირესა და მარტივში ივარჯიშო, რომელზეც კვლევის მეთოდს (*metodoi*) მოსინჯავ. „მენონშიც” სოკრატე მენონს სთავაზობს, სანამ სიქველეს განსაზღვრავდეს, ჯერ ფიგურა განიხილოს, რაც მისთვის ვარჯიში იქნება (Menon 75 a)<sup>62</sup>. იგივე მეთოდია „სახელმწიფოში”, იმ განსხვავებით, რომ იქ სავარჯიშოდ უფრო დიდი მოდელია

<sup>62</sup> *tivēst̄in epi; tw̄ stroggūl w̄ kai; eūjeī kai; epi; tōī- all̄ loī-, a)dh; schmata kal eī-; taujton epi; pasin, peirw eipein, iha kai; genhtaīsoi mel eith prō- thn peri; th̄- ajet̄h̄- apokrisin* (Menon 75 a)

ადებული. კერძოდ, ვიდრე გაარკვევდნენ სამართლიანობას ადამიანში, განიხილავენ სამართლიანობას სახელმწიფოში (Resp. 368 e)<sup>63</sup>.

ამრიგად, გადაწყვეტენ, ჯერ რაიმე უმნიშვნელოს მიმართონ, შემდეგ კი ის ნიმუშად (*paradeigma*) დაადგინონ უფრო მნიშვნელოვანისათვის. არსებითი სახელი *paradeigma* ნაწარმოებია ზმნურ ძირზე “*τα*” სუფიქსის დართვით. *paradeigma* არის *paradeiknumi*-ს შედეგი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ”ერთიმეორის გვერდიგვერდ ვაჩვენებ”. *paradeigma* ორმაგი მნიშვნელობის მქონეა. ერთი ესაა, ნიმუში, მაგალითი, ხოლო მეორე – მაგალითი იმ გაგებით, რომ ესაა სტანდარტი, რომლითაც იზომება სხვა რამები. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში პლატონი მას პირველი მნიშვნელობით იყენებს. საერთოდ, როდესაც პლატონს რაიმეს განმარტება სურს, მას ხშირად ეხმარება მაგალითი. ნიმუში არის ერთ-ერთი მოსახერხებელი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მიაღწიო ჭეშმარიტ ცოდნას. ჰ. გ. გადამერი თვლის, რომ ნიმუშის როლს კვლევაში იგივე ფუნქცია აქვს, რაც დახატული ფიგურის როლს მათემატიკაში (101, 115).

ამ შემთხვევაში ნიმუშად ადებულია მეთევზე, რომელიც ყველასთვის ნაცნობია, მაგრამ დიდ დაფიქრებას არ მოითხოვს. პირველად განიხილავენ, ოსტატია (*tecniith-*) ის თუ არა (*aftecnon*), რომელსაც აქვს ოდენ რაიმე უნარი (*dunami-*). ამით პლატონი ერთიმეორისაგან გამიჯნავს, ერთი მხრივ, ხელოვნებას (*tecnih*) და, მეორე მხრივ, რაღაცის კეთების უნარს, შესაძლებლობას (*dunami-*), რომელთა შორისაც პრინციპული განსხვავებაა.

საერთოდ, პლატონი *tecnih*-ში გულისხმობს არა მარტო ხელოვნებას, არამედ ხელოსნობასა და მეცნიერებასაც კი. „სოფისტში” ამ ტერმინში ის გულისხმობს ადამიანის უკლებლივ ყველა სახის პრაქტიკულ საქმიანობას. პლატონისათვის ამ შემთხვევაში ყველაფერი არსებული სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნება (69, 29). სამაგიეროდ, „გორგიასში” ის განარჩევს, ერთი მხრივ, ჭეშმარიტ ცოდნაზე დამყარებულ საქმიანობებს, რომელსაც უწოდებს *tecnai*-ს, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ემპირიულ მოღვაწეობას (Grg. 462 b-465 e)<sup>64</sup>, რომელიც წარმოადგენს

<sup>63</sup> εἰγωσοι, εἴθην, εἴρω. *dikaiosunh*, *famen*, *eſti men āndro; ehor*, *eſti deipou kai; oī h~ pol ēw~* (Resp. 368 e).

<sup>64</sup> Πώλο~

αἱ λα; τίσοι δοκεῖ ἡ ῥιτορική εἰαι;

*Swkrath-*

pragma ōfht̄ su: poihsai tecnhn ej̄ tw/suggrammati ōeigw; ēhagco~ ānegnwn.

*tercni-i-* – მიბაძვებს და იქამდე ვერ ჩაითვლება ხელოვნებებად, სანამ არ დაემყარება რაციონალურ პრინციპებს (113, 85). „გორგიასში” სოფისტიკა აღიქმება ემპირიულ საქმიანობად, ერთგვარ გაწაფვად. „სოფისტი” ერთადერთი დიალოგია, სადაც პლატონი სოფისტიკას ხელოვნებად განსაზღვრავს.

### დიაირესისის (*diairesi-*) მეთოდი

“სოფისტი” მოცემულია მეთევზის განსაზღვრება დაყოფის (*diairesi-*) გზით, დიქოტომიური პრინციპით. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ორი განსხვავებული მიზნისათვის, ესენია: 1. სახეთა კლასიფიკაცია; 2. ერთი ცალკეული სახის დეფინიცია (92, 171). პლატონი ამ პრინციპს ორივე მიზნისათვის იყენებს. როგორც ვხვდებით, ნიმუში სინამდვილეში არის არა მეთევზე, არამედ თავად ეს დაყოფა ერთიანი ხელოვნებისა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა არის მეთევზე (113, 5). დაყოფას (*diairesi-*) შემდგომში მოჰყვება ერთად შეკრება, გაერთიანება (*sunagwgh*) მეთევზისათვის შესაბამისი დაყოფებისა, რის შედეგადაც, ვიღებთ მის სრულ დეფინიციას.

დიალოგი “სოფისტი” მთლიანად აგებულია დაყოფის სერიაზე. მეთევზის მაგალითს მოჰყვება კიდევ შვიდი დაყოფა, რომელიც განსაზღვრავს სოფისტს. დიალოგ “სოფისტის” ორივე თანამოსაუბრისათვის კარგად ნაცნობი დიაირესის მეთოდი გულისხმობს შემდეგს: როდესაც გვსურს რაიმეს განსაზღვრა, ამას ვაღწევთ ნაბიჯ-ნაბიჯ. თითოეული ნაბიჯი დიდ ჯგუფს ყოფს ორ უფრო მცირე ჯგუფად, რომელთაგან ორივეს აქვს რაღაც მახასიათებელი დიდი ჯგუფისა, მაგრამ აქვს კიდევ რაღაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი. ეს დაყოფა გრძელდება მანამ, სანამ არ დარჩება მხოლოდ ის ჯგუფი, რომელსაც უკუთვნის განსასაზღვრი საგანი.

თავად ეს მეთოდი დიალოგში რამდენჯერმეა გამოყენებული, მაგრამ არსად არ მოიხსენიება და არ განიმარტება. შეკრებისა და დაყოფის პრინციპების აღწერა

**Pwi o~**  
tiv touto legei~  
**Swkrath~**  
ej̄peiriā ařa soi dokeī h̄rhortikh̄ eihai (Grg. 462 b-465 e).

გვხვდება სხვა დიალოგებშიც, როგორიცაა “ფილებოსი”, “ფედროსი”, “პოლიტიკოსი”. შეიძლება ითქვას, რომ დიაირესისის მეთოდი, რომელიც ამ დიალოგში გამოიყენება, სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკის მეთოდის შემადგენელი ნაწილი, მას ამ დიალოგში ძალიან დიდი როლი და ფუნქცია აქვს. იმისათვის, რომ უკეთ ჩავწერეთ დიაირესისის მეთოდის არსესა და ამ მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას დიალოგ “სოფისტი”, განვიხილოთ დიაირესისი პლატონის რამდენიმე სხვა დიალოგში.

პლატონი ტერმინებს “შეკრება” (*sunagwgh*) და “დაყოფა” (*diairesi-*) მეთოდის განსაზღვრისათვის პირველად იყენებს “ფედროსში”. ამ დიალოგში წარმოდგენილია არა მხოლოდ ტერმინების ტექნიკური მნიშვნელობა, არამედ მეთოდის საკმაოდ ვრცელი დახასიათებაც. “ფედროსი” ეხება სიყვარულს, ორატორულ დარწმუნებასა და ფილოსოფიას. ფედროსი უკითხავს სოკრატეს ლისიასის შედგენილ სიტყვას. აქ დგება სიყვარულის (*efw-*) განსაზღვრის საკითხი. სიყვარული არის მისწრაფების ერთ-ერთი სახე (*eipiqumia*), მაგრამ არსებობს ორგვარი მისწრაფება: სიამოვნებისადმი თანდაყოლილი მისწრაფება (*eipifuto-*, *eipiqumia*, *hdonh*) და შეძენილი სურვილი, რომ დაეუფლო საუკეთესოს (*eipikthto-*, *doka*, *eipiemeh*, *tou aristou*). შეყვარებულის სულში მთავარია სიამოვნებისადმი მისწრაფება. აქვე ფედროსი წარმოთქამს მეორე სიტყვას იმის შესახებ, თუ რა არის შეყვარებული ადამიანის სული.

ამის შემდეგ სოკრატე იწყებს მსჯელობას შეკრებასა და დაყოფაზე, რითიც სურს ამ ორი სიტყვის ერთიმეორესთან დაკავშირება. ის ამბობს, რომ არსებობს ორი სახე, რომელსაც შემოხვევით შეეხო ეს ორი სიტყვა. პირველი არის შეკრება, მრავალი გაფანტული რამის ერთი იდეის ქვეშ გაერთიანება (*eij- tian iidean sunorwinta afein ta; pollach/ diesparmena*), ხოლო მეორე – ამის საპირისპირო, სახეებად დაყოფა (kat *eiθh dunasqai temnein*). და ბოლოს კი დააყოლებს: “მე მოყვარული ვარ დაყოფებისა და შეკრებებისა, რომლებიც გვეხმარება საუბარსა და აზროვნებაში. თუკი შევნიშნავ, რომ სხვასაც აქვს ბუნებრივი უნარი საგნები განჭვრიტოს ცალ-ცალკე დაყოფილნი და ერთად შეკრებილნი, ფეხდაფეხ მივჰვები მას, როგორც დმერთს. სწორია თუ არა ეს, დმერთმა იცის, მაგრამ მე მათ

დიალექტიკოსებს ვუწოდებ” (Phaedr. 266 b)<sup>65</sup>. ამრიგად, ამ დიალოგში შეკრება და დაყოფა დაკავშირებულია დიალექტიკის მეთოდთან, ეს სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკის შემადგენელი ნაწილი.

დიალოგი “პოლიტიკოსი” თემატურად მოსდევს “სოფისტს” და ისიც დაყოფის მეთოდის დემონსტრირებით იწყება. მაგრამ აქაც “ფედროსის” მსგავსად გვაქვს მსჯელობა თვითონ მეთოდსა და მის გამოყენებაზე. “პოლიტიკოსში” (Polit. 285-287) ამ მეთოდის დამახასიათებელი ტექნიკური ტერმინებიც კი ერთმანეთის იდენტურია. კერძოდ, აქაც აღწერილია სახეებად დაყოფის მეთოდი (*thēn meqodon... tōu kat eidi<sup>h</sup> dunaton ei<sup>h</sup>ai diairein*). აქაც დიაირესისი ივარაუდება დიალექტიკის შემადგენელ ნაწილად.

რაც შეეხება კიდევ ერთ დიალოგს “ფილებოსს”, აქ დიაირესისის მეთოდთან დაკავშირებით გვაქვს წინა ორი ნაწარმოებისაგან განსხვავებული ლექსიკა. კერძოდ, არსად არ არის ნახსენები ტერმინები “შეკრება” (*sunagwgh*) და “დაყოფა” (*diairesi~*). ოუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიაირესისის მეთოდი აქაც დახასიათებულია როგორც ყველა ხელოვნების მიმართ გამოსაყენებელი საშუალება. ამ დიალოგში ჩნდება ახალი ტერმინოლოგია, კერძოდ ეს მეთოდი დაკავშირებულია ერთსა (*to; eñi*) და მრავალს (*ta; pol lai*) შორის არსებულ განსხვავებასთან.

დიაირესისის მეთოდს კარგად აღწერს ე. ტეილორი: როცა ჩვენ გვინდა განვმარტოთ რაიმე x, ვიღებთ უფრო ფართო კლასს – a-ს, რომლის ერთ-ერთი ქვედანაყოფიცაა x. a კლასს ვყოფთ ორ განსხვავებულ b და c კლასებად, რომლებიც ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ b ფლობს, c კი – არა რადაც დამახასიათებელ b-ს, რომელიც გვჭირდება x-ის საპოვნელად. b არის მარჯვენა სვეტი, c კი – მარცხენა. მარცხენას ვტოვებთ და მივყვებით მარჯვენა მხარის ამავე პრინციპით დაყოფას. როცა მივადგებით x-ს, წინა დაყოფების დახასიათების მიხედვით განვსაზღვრავთ მის ბუნებას (83, 34).

<sup>65</sup> *touïtwn dh; ebgwe aujtor te ejasthh, wl Faidre, twn diairesewn kai; sunagwgwn, iha oip~ te wl legein te kai; fronein, ejan tev tin ja llon h̄h̄swmai dunaton eij~ e} kai; epi; pol lai; pefukorj ohan, touton diwkw katopisqe met j içnion wste qeoio. kai; mentoi kai; tou~ dunamenou~ aujto; dran eij men ojrw~ h̄ mh; prosagoreuw, qeo~ oide, kal w de; ouh mecri tou de dialektikour (Phaedr. 266 b).*

გ. ჩერნისის აზრით, დიაირესის მხოლოდ იდეის გახსენებაში არ გვემარება. ის არის ობიექტის სახელის გახსენების პრაქტიკული საშუალება (83, 39).

### სოფისტის პირველადი დეფინიციები

(Soph. 219 b-231 c)

სოფისტის პირველი დეფინიცია მთლიანად მონადირის საქმიანობაზეა აგებული. მას ასე ვიღებთ: ნებისმიერი ხელოვნება არის შემოქმედებითი (*poihtikhī*) და მოპოვებითი (*kthtikhī*). თევზაობა მიეკუთვნება მოპოვებითს და არა შემოქმედებითს, ხელში ჩაგდების ხელოვნებას (*ceirwtikon*) და არა გადაცვლის (*metabhlhtikon*), ნადირობას (*qereutikhī*) და არა შეჯიბრებას (*ajgnistikhī*), სულიერ არსებებებზე ნადირობას (*ejmyucou*) და არა უსულოებზე (*ajyucou*), წყლის ცხოველებზე ნადირობას (*ejhugroqerikon*) და არა ხმელეთისაზე (*pezoqerikon*), თევზაობას (*al ieutikhī*) და არა მეჩიტბადეობას (*ojniqeutikhī*), დარტყმის საშუალებით (*pl hghī*) და არა ბადეებით (*kaq jefkesin*), დღისით (*meqhmerinon*) და არა ღამით (*nukterinon*), კავით (*ajgkistreutikon*), ქვევიდან ზევით ამოთრევით რომ ხორციელდება.

ამავე პარადიგმით იწყება სოფისტის კვლევა. ფლობს თუ არა სოფისტი რაიმე ხელოვნებას? უცხოელი უშვებს, რომ ის ფლობს გარკვეულ ხელოვნებას, კერძოდ, ისიც მეთევზის მსგავსად მონადირეა, მხოლოდ ხმელეთის ცხოველებზე (*pezoqerikon*). აქ მისი და მეთევზის საქმიანობა ერთმანეთს შორდება. ამის შემდგომ გამოიყენება დიქტომიის იგივე პრინციპი. კერძოდ, სოფისტი მიეკუთვნება შინაურ ცხოველებზე მონადირეს (*hmeroqerikhī*), თუკი ადამიანს ჩავთვლით შინაურ ცხოველად, დარწმუნებით (*riqanourgikhī*) და არა ძალადობით ნადირობას (*biaion qhra*), კერძოდ (*ijsia*) და არა სახალხოდ (*dhamosia*), ჯილდოს მოთხოვნით (*misqarnhtikon*) და არა საჩუქრების მომტანი ხელოვნებით (*dwroforikon*), მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯილდო ფულია.

ამ დაყოფის თანახმად, ვიღებთ სოფისტიკის პირველ დეფინიციას: ნადირობას, რომელიც განეკუთვნება მოპოვებით, ხელში ჩაგდების ხელოვნებას, კერძოდ, ნადირობას ხმელეთის, შინაურ ცხოველებზე, ადამიანებზე, ხელოვნებას, რომელიც

ჯილდოდ ფულს მოითხოვს, მოჩვენებით აღზრდას (doxopaideutikh), ნადირობას მდიდარ და დირსეულ ჭაბუკებზე, ეწოდება სოფისტიკა (Soph. 223 b)<sup>66</sup>.

პირველი დეფინიცია უშუალოდ ნადირობისა და მისი ცალკეული ელემენტების სიმბოლიკის გამოყენებითაა მიღებული. აქ უკვე გვხვდება ოქრომინი doxopaideutikh რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ სოფისტიკა ემყარება შეხედულებას და არა ჭეშმარიტებას, რაც გადამწყვეტი ხდება სოფისტის ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვანი დეფინიციისათვის.

ამრიგად, პირველ დეფინიციაში ხაზასმულია სოფისტისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანი: სოფისტები მდიდარ, ახალგაზრდა ჭაბუკებს მოჩვენებითი აღზრდის სანაცვლოდ ფულს ართმევენ.

საკითხი თითქოს გადაჭრილია, მაგრამ რადგანაც სოფისტიკა საკმაოდ მრავალმხრივი და რთული გვარია, საჭიროა მისი სხვაგვარად განხილვაც. მოპოვებითი ხელოვნების სახეები იყო: ნადირობა და გადაცვლის ხელოვნება. ახლა მივყვებით ამ უკანასკნელს: ის იყოფა უსასყიდლოდ (dwrhtikon) და სავაჭროდ (ajgorastikon), სავაჭრო ხელოვნება – საკუთარი საქონლით (aujtopwl ikhn) და სხვისი საქონლის გადაცვლად (metablhtikh), ეს უკანასკნელი იყოფა მეწვრილმანეობად (kaphl ikh) და მსხვილ ვაჭრობად (ejmporikh), მსხვილი ვაჭრობა – სულისათვის საჭირო საზრდოოთი და სხეულისათვის საჭირო საგნებით ვაჭრობად, სულისათვის საჭირო საზრდოოთი ვაჭრობა (yucemporikh) იყოფა ჩვენების ხელოვნებად (ejpideiktikh) და ცოდნით ვაჭრობად (maqhmatopwl ikh), ეს უკანასკნელი კი იყოფა, ერთი მხრივ, ხელოვნებების, ხოლო, მეორე მხრივ, სათნოების ცოდნასთან დაკავშირებულ ვაჭრობად (ajrethipwl itikon), რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სოფისტიკა.

ასე ვიღებთ სოფისტის მეორე დეფინიციას: სოფისტიკა არის მოპოვების, გადაცვლის, გაყიდვის, ვაჭრობის, სათნოებასთან დაკავშირებული მსჯელობებითა და ცოდნით ვაჭრობის ხელოვნება. სოფისტი არის ვაჭარი (Soph. 224 d)<sup>67</sup>.

<sup>66</sup> *h̄ tēcneh̄ oīkeiwtikh̄, ceirwtikh̄, kthtikh̄, qereutikh̄, zwbqhria~, pezoqhria~, cersaia~, h̄meroqhrikh~, Ajqqrwpoqhria~, piqanoqhria~, idioqhria~, nomismatopwl ikh~, doxopaideutikh~, newn plousiwn kai; gignomenh qhra prosrheon, w̄l olun̄ logo~ h̄min sumbainei, sofistikh (Soph. 223 b)!!*

<sup>67</sup> *th̄ kthtikh̄, metablhtikh̄, ajgorastikh̄, ejmporikh̄, yucemporikh̄ peri; logou~ kai; maqhmata ajreth~ pwltikon deuteron ajnefanh sofistikh (Soph. 224 d)!!*

აქაც ხაზგასმულია სოფისტიკისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშან-თვისება – მისი მერკანტილიზმი, რაც, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სძულს პლატონს.

მესამე დეფინიცია ძალიან მოკლეა და ისიც განსაზღვრავს სოფისტს როგორც ვაჭარს. ის შემდეგში მდგომარეობს: მოპოვებითი ხელოვნების გაცვლითი და სავაჭრო ნაწილიც, ორივე შემთხვევაში, იქნება ეს სხვისი საქონლით ვაჭრობა, თუ – საკუთარით, არის სოფისტიკა (Soph. 224 d-e)<sup>68</sup>. ეს მესამე დეფინიცია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მეორის დაზუსტება. აქაც ამოსავალი ისაა, რომ სოფისტი ვაჭარია.

ამის შემდეგ უცხოელი გვთავაზობს ახალ დაყოფას: მოპოვებითი ხელოვნების ერთი ნაწილია შეჯიბრება (*ajgnistikh*), რომელიც იყოფა პაექრობად (*ahillithikon*) და საბრძოლო ხელოვნებად (*machtikon*). ეს უკანასკნელი მოიცავს ძალადობასა (*biastikon*) და შეწინააღმდეგებას (*ajmfisbhthtikon*). ამ უკანასკნელში გამოიყოფა სასამართლო საქმე (*dikanikon*) და შეკამათება (*ajhtilogikon*). შექამათების ერთი სახე ხელოვნებას არ მიმართავს და სახელიც არ გააჩნია, მეორე კი ხელოვნებას მოითხოვს და მას ერისტიკა (*ejristikon*) ეწოდება. მისი ერთი მიმართულება ფულის მფლანგველია (*crhmatofqorikon*), მეორე კი – ფულის მშოვნელი (*crhmatistikon*). ასე ვიღებთ მეოთხე დეფინიციას: სოფისტი არის ფულის მშოვნელთა გგარი, ერისტიკის, შეწინააღმდეგების, შეკამათების, საბრძოლო, შეჯიბრების ხელოვანი. ის არის ერისტიკოსი (Soph. 226 a)<sup>69</sup>. საინტერესოა, რომ პლატონი აქ ერისტიკას შეკამათების – ანტილოგიკის ხელოვნების სახედ მიიჩნევს და ამბობს, რომ ეს ხელოვნება როგორც ხელოვნება სწორედ ერისტიკაში ვლინდება (თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გ. კერფერდს ანტილოგიკა მიაჩნია ცალკე ხელოვნებად, რომელიც დგას ერისტიკასა და დიალექტიკას შორის).

აქ განსაზღვრულია სოფისტიკისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი არსებითი მოქენტი: სოფისტები ფულის საფასურად ასწავლიან კამათს ნებისმიერ საკითხოან დაკავშირებით.

<sup>68</sup> kai; to; ktthikh~ aʃa metabl̩ htikon, ajgorastikon, kaphl ikon eʃte ajtopwl ikon, ajmfwterw~, oftiper aħ h̩ peri; ta; toiauta maqhmatwpol ikon geno~, aħej; su; proserei~, wħ- fainħ/ sofistik (Soph. 224 d-e).

<sup>69</sup> h̩ to; crhmatistikon geno~, wħ- eħġiken, ejristikh~ oħ- teċnh~, th~ ajhtilogikh~, th~ ajmfisbhthtikh~, th~ machtikh~, th~ ajgnistikh~, th~ ktthikh~ eħstin, wħ- ol logo~ auħmemhnuke nün, olsofistħr (Soph. 226 a).

სოფისტი უკვე მეოთხე სახით წარმოდგა. აქ ისევ შემოდის ნადირობის სიმბოლიკა, როდესაც უცხოელი ამბობს, რომ ეს ცხოველი (*phrion*) ჭრელია (*poikilon*) და მას ცალი ხელით ვერ დაიჭერ (*ouj thi elteria lhpton*), არამედ უნდა უცადო, ორით დაიჭირო. მას კვალდაკვალ უნდა მიჰყვე (*metaqeonta- ično-*).

დიარქესისის შემდგომ გამოყენებამდე დიალოგში წარმოდგენილია შინამოსამსახურეთა ისეთი საქმიანობები, როგორებიცაა: გაწურვა, გაცრა, განიავება, გამორჩევა, ჩეჩვა, რთვა, ქსოვა და ა. შ. ყველა ეს ხელოვნება არის გარჩევის (*diakritikh*).

აქ საინტერესო პასაჟი გვაქვს კვლევის მეთოდის უნივერსალურობასთან დაკავშირებით: „კვლევის მეთოდი ღრუბლით დამბანის ხელოვნებაზე არც მეტად ზრუნავს და არც ნაკლებად, ვიდრე წამლის დამზადების [ხელოვნებაზე], თუნდაც ერთი მეორეზე უფრო საჭირო იყოს ჩვენი განწმენდისათვის. ეს მეთოდი ცდილობს ცოდნის მოპოვების მიზნით შეიცნოს რითი პგავს და რითი განსხვავდება ხელოვნებანი ერთმანეთისგან. ამის გამო ყველას თანაბრად აფასებს და, რამდენადაც ისინი ერთიმეორის მსგავსნი არიან, არც ერთს არ მიიჩნევს მეორეზე სასაცილოდ. ვინც ნადირობას მხედარომთავრობის მაგალითზე აჩვენებს, არ მიიჩნევს მას იმაზე აღმატებულად, ვინც ამას ტილებზე ნადირობით აკეთებს, თუმცა პირველს უფრო ამაღლებულად თვლის. ახლა კი, შენი კითხვის პასუხად, რა სახელი დავარქვათ ყველა იმ ძალას, რომელსაც უსულო თუ სულიერ სხეულთა განწმენდა ხვდა წილად. ამ მეთოდისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი სახელი იქნება უფრო შესაფერისი, ოღონდ ყველა სახის განწმენდა მოიცვას, გარდა იმისა, რომელიც სულს უკავშირდება” (Soph. 227 a-c)<sup>70</sup>.

გარჩევის ხელოვნება იყოფა ორ ნაწილად: ერთი არის უარესის უკეთესისაგან გაყოფა, მეორე კი – მსგავსისა მსგავსისაგან. ის, რომელიც უკეთესს იტოვებს, უარესს კი განაგდებს, არის განწმენდა (*kaqarmoi*). მისი ნაწილებია: სულთან და სხეულთან დაკავშირებული განწმენდა. პირველს კურნავს გიმნასტიკა (*gumnastikh*)

<sup>70</sup> *aj̄l a; gar thi tw̄n logwn meqodw/ spoggistikh- h] farmakoposia- oujden h̄tton oujdei ti mallon tugcanei mel on eij to; men smikrai to; de; megal a h̄ma- wifel ei kaqairon. tou' kthiasqai gar eheka nouin paswn tecnw̄n to; suggene- katanoein peirwmeh tima/ pro- touto ej̄ iſou pasa-, kai; qatera tw̄n elterwn kata; thn omoioītha oujden hgeitai geloiotera, semnoiteron dev ti ton dia; strathgikh- h] fqeiristikh- dhlounta qhreutikhn oujden nemomiken, aj̄l jwl- to; pol u; caunoiteron. kai; dh; kai; nun, oper h̄rou, tiv proseroumen ohoma sumpasa- dunamei- oſai swima eite ehyucon eite alyucon eij̄ h̄cası kaqairein, oujden aujh/ dioisei poion ti lecgen eujprepestanton eihai dokei, monon ej̄eitw cwri- tw̄n th- yuch- kaqarsewn panta sundhsan oſa all oti kaqairei (Soph. 227 a-c).*

და ექიმობა (*iātrikhī*). არსებობს სულის ბოროტების ორი გვარი: მანკიერება (*ponhriā*) და არცოდნა (*aēnoia*), ამ უპანასკნელისაგან განაშორებს აღზრდა (*didaskal ikhī*). მასში გამოიყოფა სწავლების ხელოვნების ორი სახე: შეგონება (*nouqetikhī*) და მხილება (*elegco-*). აქვეა მოცემული ამ მეთოდის საკმაოდ ვრცელი დახასიათება: „კითხვებს უსვამენ ადამიანს იმასთან დაკავშირებით, რაზეც მას ჰგონია, რომ რადაცას ამბობს, სინამდვილეში კი არაფერს ამბობს. და რაკი ეს ადამიანები მიედ-მოედებიან, ადვილად არკვევენ მათ აზრებს, მსჯელობებში აერთიანებენ და ერთმანეთს უპირისპირებენ; ამგვარად კი წარმოაჩენენ, რომ ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული აზრები, მიმართებები და საშუალებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამას რომ დაინახავენ, ისინი თავიანთ თავზე ბრაზობენ, სხვებს კი თავაზიანად ექცევიან და ამ გზით საკუთარი თავის შესახებ დიდი წარმოდგენისა და აკვიატებული აზრებისგან თავისუფლდებიან. ამის მოსმენა ყველაფერზე უფრო სასიამოვნოა. იმისთვის კი, ვინც ამას განიცდის, ეს ყველაზე საიმედო განთავისუფლებაა. ისინი, ვინც [ამ ადამიანებს] განწმენდს, შვილო ჩემო, ფიქრობენ ექიმების მსგავსად, რომელნიც თვლიან, რომ სხეული მანამ ვერ შეირგებს შეთავაზებულ საჭმელს, სანამ იმას არ განდევნის, რაც მას ხელს უშლის. ასევეა სხეულთან დაკავშირებითაც: მანამ არ მიიღებს სარგებელს შეთავაზებული ცოდნიდან, სანამ მამხილებელი მხილებულს არ შეარცხვენს, ცოდნის შემაფერხებელ აზრებს არ განუდევნის, არ განწმენდს და არ აფიქრებინებს, რომ იცის მხოლოდ ის, რაც იცის, მეტი კი – არა” (Soph. 230 b-d)<sup>71</sup>. რაც არ უნდა საკვირველი იყოს ეს, სოფისტი ამ ხელოვნებითაც არის დაკავებული. ამრიგად, ვიდებთ სოფისტის მეხუთე დეფინიციას: სოფისტი არის ფუჭი სიბრძნის მამხილებელი გვარი და ამას პლატონი კეთილშობილ სოფისტიკას (*gennaiā sofistikī*) უწოდებს.

<sup>71</sup> dierwtwsin w̄ ah oīhtaī tī̄ ti peri legein legwn mhden, eī̄ j aī̄te planwmenwn ta- dōka- rħaddi- ejxetazousi, kai; sunagonte- dh; toī- logoi- eī̄- taujton ti qeasi par jajjlhla-, tigente- de; epideiknuousin aujta- aujta- aī̄ma peri; twn aujtwn pro- ta; aujta; kata; taujta; eħantia-. oil d j ohwnte- eħautoi- men cal ħepainousi, pro- de; tou- allou- aħmerountai, kai; toutwl dh; tw tropw/ twn peri; aujtou- megalwn kai; skl hrwn doxwn apall attontai paswn te apall agwn akouein te hħiistħn kai; tw/ paċconti bebaiotata għġomenħn. nomizonte- gar, w̄ paī file, oikaqaironte- aujtou, w̄sper oil peri; ta; swmata iż-żatri; nenomikasi mh; proteron ah th- prosferomenh- trofh- apol auēiñ duna sqai swma, prin ah ta; ej̄podidzonta ejtor- ti- ekbal h/, taujton kai; peri; yuch- dienohqhsan ekeinoi, mh; proteron aujtn ekein twn prosferomenwn maqħma twn ohħsin, prin ah ej̄legcwn ti- ton ej̄legcomenon eī̄- aijscunħn katasthā-, ta- toī- maqħmasin ej̄podidu- dōka- ejxel w̄, kaqaron apofhnh/kai; tauta hġoumenon aferri oħden eiđenai mona, pleiwi de; mh (Soph. 230 b-d).

ამის შემდეგ თავმოყრილია სოფისტის მიღებული დეფინიციები და ერთადაა ჩამოთვლილი ექვსი განსხვავებული განმარტება: 1. ახალგაზრდებსა და მდიდრებზე საზღაურის ფასად მონადირე; 2. სულთან დაკავშირებული ცოდნით მოვაჭრე; 3. წვრილვაჭარი; 4. თავისი საქონლით მოვაჭრე; 5. ერისტიკოსი და ათლეტი სიტყვიერ შეჯიბრებებში; 6. სულთან დაკავშირებული სწავლის შემაფერხებელ აზრთაგან განმტკიცებული.

ისმის კითხვა: ეს დეფინიციები სოფისტიკის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენს თუ სხვადასხვა ტიპის სოფისტებს? ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რადგან თუ ჩვენ სოფისტიკის ასპექტებს ვეხებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ზოგი სოფისტისათვის შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი, ზოგისთვის კი – არა (83, 52).

მაინც რატომ დასჭირდა პლატონს სოფისტის ამდენი დეფინიცია? პირველი ოთხი განსაზღვრავს ორატორ სოფისტებს, როგორებიც იყვნენ პროტაგორასი, გორგიასი, პიპიასი. მეხუთე განმარტება ახასიათებს ერისტიკოს ადამიანს, რომელიც იბრძვის გამარჯვებისათვის და არა ჰეშმარიტებისათვის. ამ გვარს თავისი პროფესიონალი წარმომადგენლები ჰყავდა, მსგავსად ევთიდემოსისა, თუმცა, ფ. კორნფორდის თქმით, ერისტიკა ასევე დამახასიათებელი იყო ელისელთა და მეგარელთა დიალექტიკისათვის. ყველაზე სადაცო მაინც მეექვსე განმარტებაა. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ აქ განხილული *εἴεγος*-ის მეთოდი ისე არავის შეეფერება, როგორც სოკრატეს. ამ საკითხში თავად დიალოგის მონაწილეებიც არ არიან კარგად გარკვეულნი. უცხოელი ამბობს, რომ ეს ხელოვნება და სოფისტიკა ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ძაღლი – მგელს. თუკი აქ სოკრატეს მეთოდზეა საუბარი, მაშინ გაუგებარია მისი ფუნქცია ამ კონტექსტში. რატომ მივიღეთ სოფისტის განსაზღვრისას სოკრატეს მეთოდის განმარტება? (92, 183) აქ ალბათ მაინც სოფისტებზე უნდა იყოს საუბარი, რადგან ისინიც იყენებდნენ ამ მეთოდს და სწორედ ეს იყო ის საცდური, რომლის გამოც მათ სოკრატეს ამსგავსებდნენ. თუმცა, პლატონი აქვე დასძენს, რომ ეს არის „კეთილშობილი სოფისტიკა“ (*gennaiā sofistikē*), რაც ალბათ იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ის არ ჰგავს სოფისტიკისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებს. პლატონი, როგორც ჩანს, მაინც ცნობდა სოფისტიკაში ერთ დადებით ასპექტს, რაც აქარწყლებდა ადამიანის

უსაფუძვლო თავდაჯერებულობას. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სოფისტური მხილების მეთოდს აღარ მოსდევდა „განწმენდილისათვის” ჭეშმარიტი ცოდნის მიწოდება, სოფისტიკას, იგი, ცხადია, არსებითად უარყოფით მოვლენად განიხილავდა (128, 134).

ჯ. კლაინის აზრით, თუკი დიალოგის დასაწყისში სოკრატემ სიტყვათა თამაშით უცხოელი მამხილებელ ღმერთს შეადარა, მეექვსე დეფინიციით უცხოელმა იმავე სიტყვათა თამაშით სოკრატე შეადარა მამხილებელ სოფისტს (114, 126).

### სოფისტი როგორც ანტილოგიკოსი (antilogikos)

(Soph. 231 d - 235 c)

მაშინ, როდესაც მივიღეთ სოფისტის ამდენნაირი განმარტება, უნდა ავირჩიოთ ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე მეტად მიგვანიშნებს მასზე. პლატონის აზრით, ეს არის ის, რომ სოფისტი შეკამათების ხელოვანია (antilogikos). როდესაც გარკვეულია მისი ბუნება, საჭიროა დავადგინოთ, რასთან დაკავშირებული შეკამათების ხელოვანია ის. აქ გამოყოფილია ხუთი პუნქტი, რომლის მასწავლებლადაც ითვლებოდნენ პლატონის თანამედროვე ერისტიკოსი სოფისტები. ეს არის შეწინააღმდეგება:

1. იმ დგთაგბრივის შესახებ, რაც უმრავლესობისათვის დაფარულია.
2. მიწიერი და ციური მოვლენების შესახებ (ეს გამიჯვნა უხილავისა და ხილულისა, მოგვიანებით ჩამოყალიბდება მეტაფიზიკად და ფიზიკად).
3. კერძო საუბარში წარმოშობასა და არსებობაზე.
4. კანონებსა და სახელმწიფო საკითხებზე.
5. ყველა დანარჩენ ხელოვნებასთან დაკავშირებით, რასაც სოფისტები წერილობითი გზით ავრცელებდნენ.

სწორედ ეს ქმნის გაუგებრობას, თუ როგორ შეიძლება, რომელიმე ადამიანმა ყველაფერი იცოდეს და როგორ მოახერხებს, თავად უცოდინარი, მცოდნეს შეეწინააღმდეგოს. ეს საკითხი „გორგიასშიც” არის განხილული, სადაც ნათქვამია, რომ რიტორს არ სჭირდება ცოდნა, საკმარისია მხოლოდ საუბრის ცოდნა, რის

შედეგადაც არმცოდნეთა წინაშე უცოდინარი უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე ექიმი, რომელმაც იცის (Grg. 459 a-c)<sup>72</sup>. სოფისტიკის ძალის საკვირველება კი სწორედ იმაშია, რომ ეს არის რადაც მოჩვენებითი ცოდნა (doxastikhreipisthm) და არა ჭეშმარიტი (oujk al hqieia). რადგან ეს ასეა, ვხვდებით, რომ სოფისტი ქმნის არსებულის მიბაძვებსა (mimhmeta) და მსგავსებებს (oimwnumia) და ამით ატყუებს უმეცარ ახალგაზრდებს. მას აქვს რაღაც ისეთი ხელოვნება, რომ შეუძლია საუბარში შექმნას გამოსახულებები (eiphl a), რომლებსაც ჭეშმარიტების სახე აქვთ, მაგრამ არ არიან ჭეშმარიტნი. ის არის ჯადოქარი (goth-), მიმბაძველი (mimhhf) და მისი ხელოვნება მიეკუთვნება თამაშობათა (paideia) ნაწილს.

აქ ისევ შემოდის ნადირობის მეტაფორა, როდესაც უცხოელი ამბობს, რომ ახლა მთავარია არ გაუშვან ცხოველი (qhira), რომელიც შეპყრობილია მსჯელობათა იარაღით. უნდა გაყონ გამოსახულებათა შექმნის ხელოვნება (eiphl opoi ikh) და თუ სოფისტი მათ წინაშე აღმოჩნდება, შეიპყრონ ის მეფის სიტყვით (basiliiko- l ogo-) და ნანადირევად (afgra) გამოაცხადონ. ამ მეტაფორის გარკვეულ ახსნას ვხვდებით „კანონებში”, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ იყვანდნენ ტყვედ ერგტრიელებს, სპარსეთის მეფის – დარიოსის ბრძანებით. მტრები ამბობდნენ, თითქოს სპარსემა ჯარისკაცებმა მთელი ერგტრია ბადით შემოსაზღვრეს. ა. დიეს აზრით, აქ შეიძლება ვივარაუდოთ სიტყვათა თამაში: basiliiko- l ogo-, მეფის ედიქტი ანუ სუვერენული გონება. აქ უკვე ერთმანეთშია გადახლართული, ერთი მხრივ, ომისა და ნადირობის სახეები, მეორე მხრივ კი, ლოგიკური ტერმინები. თუკი სოფისტი მოახერხებს ბაძვის ხელოვნების (mimhtikh) ნაწილში დამალვას, უნდა მიჰყევ მას (xunakol uqein) და მიღებული ნაწილები იქამდე უნდა დაანაწილო, სანამ არ დაიჭერ. ვერც ერთი გვარი ვერ შეძლებს, გაექცეს იმას, ვინც ფლობს, ერთი მხრივ, მთლიანობის, მეორე მხრივ კი, ცალკეული შემადგენელი ნაწილების მიყოლის მეთოდს. აქაც, როგორც ვხედავთ, საუბარია დიაირესისის შესახებ.

<sup>72</sup> kai; peri; tou ubjeinou tou iatrou piqanwtero~ eftai ol rhitwr. ajta; men ta; pragmata oujden dei aujthn eijdenai ophw~ efei, mhcanhn devtina peiqou~ hukhkenai wste fainesqai toi~ oujk ejdos i mallon eijdenai twn ejdotwn (Grg. 459 a-c).

## არსებული და არარსებული

(Soph. 235 d-242 c)

არსებობს ბაძის ორი სახე: 1. ხატების შექმნის ხელოვნება (*eikastikhī*), რომლის შედეგიც, შესაბამისად, არის ხატი (*eikón*) და 2. მოჩვენებათა შექმნის ხელოვნება (*fantastikhī*), რომელიც ქმნის მოჩვენებებს (*fantasma*). როგორც ვხედავთ, აქ კვლავ დაყოფის მეთოდი გამოიყენება.

ამის შემდეგ კი ძალიან ძნელია იმის განჭვრება, თუ რომელ სახეს ეპუთვნის სოფისტი, რადგანაც თუკი ვინმე გაბედავს იმის განცხადებას, რომ საჭიროა ტეუილის თქმა და ფიქრი, ის იმასაც დაუშვებს, რომ არარსებული (*to; tū; oī*) არსებობს (*eīhai*), რასაც მუდამ უარყოფდა პარმენიდესი (*Peri physeos*, B 7 D).

ამის შემდეგ პლატონს სოფისტის განსაჭვრებად და მისი არსის საწვდომად სჭირდება არსებულისა და არარსებულის დიალექტიკისა და გვართა ურთიერთზიარების მოშველიება. ამას პლატონი ისევ და ისევ დიალოგის ძირითადი მიზნისათვის მიმართავს. ამასთან, ვიდრე ესოდენ რთული საკითხის განხილვას შეუდგებოდეს, ის გვაფრთხილებს, გონება მოვიკრიბოთ და შეგნებულად მივყვეთ მსჯელობას (უცხოელი აფრთხილებს თევტეტოსს). დიალოგის მოთხოვნაა, თანამოსაუბრე არ მოღუნდეს და მუდმივად ინარჩუნებდეს კრიტიკულობას (Soph. 236 d)<sup>73</sup>, მით უფრო, როდესაც მსჯელობა მიჰყავს ერთს, მეორე კი მას მიჰყვება.

არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა კი შეიძლება ამგვარად გადმოვცეთ: არარსებულზე ვინც საუბრობს, ის არაფერს ამბობს. მაგრამ, როდესაც ჩვენ არარსებულს მხოლობით რიცხვს ვუწყობთ, მაინც ვამბობთ მასზე რაღაცას და ამით მას არსებულთან, კერძოდ, რიცხვთან ვაკავშირებთ. ეს მცდელობა კი, რომ არარსებულს არსებული დაუუკავშიროთ, უსამართლო და არასწორია. ამრიგად, არარსებული არის მიუწყდომელი (*adjianóhton*), აღუწერელი (*afríhton*), გამოუთქმელი (*afqegkton*) და მოუაზრებელი (*allogon*). მაგრამ თუ არარსებული ამგვარია, მაშინ არ შეიძლება მისი უარყოფა, რადგანაც არ შეიძლება უარყოფა აზროვნებისა და საუბრის გარეშე. მის მამხილებელს კი არარსებული ისეთ დაბნეულობამდე მიჰყავს, რომ ვინც კი ხელს მიჰყოფს მის უარყოფას, იძულებული ხდება ამასთან

<sup>73</sup> εἰπει; καὶ; νῦν μᾱl a eul̄kai; komyw~ eij- aþoron eiþo- diereunh̄asqai kataperfeugen (Soph. 236 d).

დაკავშირებით საკუთარ თავს შეეწინააღმდეგოს. რადგან უცხოელი ვერ პოულობს სიმართლეს არარსებულთან დაკავშირებით, ის სთავაზობს თევტეტოსს, ახლა მან განიხილოს იგივე, რადგან მასზე ახალგაზრდაა. თევტეტოსიც აღიარებს ამ სირთულეს და ისინი შეთანხმდებიან, რომ სოფისტმა მეტად მიუდგომელ ადგილას ოსტატურად ჩაყვინთა.

თუკი სოფისტს ეტყვი, რომ გამოსახულებების შექმნის ხელოვნებას ფლობს, გკიოთხავს: რა არის გამოსახულება? თუ უპასუხებ, რომ ესაა წყალსა და სარკეებში არსებული გამოსახულებები, ნახატები და ქანდაკებები, ის თავს მოგაჩვენებს ბრმად და გკიოთხავს იმას, რაც შენივე სიტყვებიდან გამომდინარეობს: რა აქვს ამ ყველაფერს ერთმანეთთან საერთო? რა არის გამოსახულება? ის არის ჭეშმარიტის მსგავსი ისეთივე სხვა (*efferon toionton*). ის ნამდვილად არ არსებობს, მაგრამ ნამდვილად არსებობს ის, რასაც ხატს ვუწოდებთ. ამდენად, არსებული და არარსებული ძალიან უჩვეულოდ არის ერთიმეორები გადახლართული. ამ თვალსაზრისით არარსებული როგორდაც არსებობს.

როცა ვამბობთ, რომ სოფისტი მოჩვენებებით გვატყუებს და მისი ხელოვნებაც არის მოტყუების (*αἰραθτική*), ჩვენი სულიც ამ ხელოვნების მეშვეობით ტყუილზე (*yeudhi*) ფიქრობს. მცდარი აზრი კი არის აზრი არარსებულის შესახებ. ეს ფორმულა: „ტყუილის თქმა ან ფიქრი ნიშნავს იმის თქმასა და ფიქრს, რაც არ არსებობს”, საკმაოდ გავრცელებული იყო, მაგრამ სოფისტები, რომლებიც შეცდომის შესაძლებლობას უარყოფდნენ, უარყოფდნენ არარსებულის თქმასა და ფიქრსაც. თუკი ვინმე მცირედ მაინც მოიტყუება, ე. ი. არარსებული როგორდაც არსებობს.

ამდენად, როცა სოფისტს მეფოკუსეობისა და ჯადოქრობის ხელოვნებაში ვეძებთ, წარმოიშობა მრავალი შეპირისპირება (*ajtiil hyi-*) და დაბნეულობა (*ajporia*), მაგრამ თუ მიჰყვები, შეძლებ მის დაჭერას. ამისათვის კი საჭიროა, პარმენიდესის საწინააღმდეგოდ იმის დამტკიცება, რომ „არარსებული როგორდაც არსებობს და არსებული არ არსებობს.”

## არსის თეორიების კრიტიკა

(Soph. 242 c- 249 a)

ვინაიდან არსებულის რაობაც საკმაოდ პრობლემურია, აქ პლატონი ირჩევს არაპირდაპირ გზას. ესაა არსის თეორიების კრიტიკა და, ამავე დროს, ეს არის მათი გადმოცემის მეთოდის კრიტიკა – ისინი საერთოდ არ ზრუნავენ იმაზე, ესმით თუ არა სხვებს მათი ნათქვამი (Soph. 243 b)<sup>74</sup>. ამიტომ, თავდაპირველად, საჭიროა უცხოელი და თეთრებოსი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იმაში, რომ სწორად ესმით ის, რასაც უწინდელები ამბობენ, რათა არ მოხდეს სწორი გზიდან გადახვევა (Soph. 242 b)<sup>75</sup>: ძველმა ფილოსოფოსებმა სცადეს განესაზღვრათ, თუ როგორი და რამდენი არის არსებული. ზოგი ამბობდა, რომ ის ორი საპირისპირო სტიქიისაგან შედგება, ზოგს ის სამად მიაჩნდა, პარმენიდესს კი – ერთად. ზოგი კი მიხვდა, რომ ჯობია გააერთიანო და თქვა, რომ არსებული ერთიც არის და მრავალიც. არსებულის თეორიების ამ კრიტიკის მიზანია, აჩვენოს, რომ არსებული არანაკლებ არის დაბნეულობით მოცული, ვიდრე არარსებული. ა. დიუ თვლის, რომ ეს არის ზოგადი მიზანი, უფრო კონკრეტული ამოცანა კი არის იმ პრინციპის დაფუძნება, რომელზეც გვართა ურთიერთზიარების დასაბუთება უნდა იქნას აგებული: როგორიც არ უნდა იყოს დუალიზმი, რომლითაც ცდილობენ არსებულის ბუნების განსაზღვრას, ის არასოდეს დაიყვანება ამ დუალობაზე, რადგან ის ყოველთვის არის *eteron ti* და *triton ti*. აქ საკითხის კვლევისას უცხოელი იყენებს ელენეოსისა და პიპოთესისის მეთოდებს. ის ისე ეკითხება უნიტარებსა და პლურალისტებს, თითქოს ისინიც იქ იმყოფებიან და მათ ნაცვლად ჯერ უშვებს გარკვეულ დებულებებს, შემდეგ კი ამხელს მათ. უნიტარები და პლურალისტები ცდილობენ თქვან, როგორი და რამდენი არის არსებული, მაგრამ პლურალისტები ვერ განსაზღვრავენ მას მხოლოდ ორი ტერმინით, რადგან ამ ორში ვერ თავსდება თავად არსებული და გამოდის ამ დუალიზმიდან, ის უკეთ მესამე ტერმინია. უნიტარები კი, პირიქით, უძლურნი არიან დაიცვან არსებულის როგორც მთელის

<sup>74</sup> toutou te to; nun aporoumenon oþoite ti~ eiþoi, to; mh; oþi, aþribw~ wþhn sunienai. nun de; oþal~ iþ j eþmen auþtou peri th~ aporia~ (Soph. 243 b).

<sup>75</sup> ta; dokounta nun ejargw~ eþein eþiskeyasqai prwton mhþph/tetragmenoi men wþnen peri; tauta, rþði~ d j aþl hþl oþi~ oþologmen wþ euþrinw~ eþconte~ (Soph. 242 b).

აბსოლუტური ერთიანობა. პარმენიდესიც კი, რომელიც არსებულს სფეროს ადარებს, ცდება, რადგან სფერო, ისევე, როგორც მთელი, დაყოფადია.

არის კიდევ ორი ჯგუფი, რომელიც ყურადღებით იკვლევს არსებულსა და არარსებულს. მათი მოსაზრებების განხილვაც ელენხოსისა და პიპოთესისის მეთოდების საშუალებით ხორციელდება. ერთი ჯგუფი ყველა არსებულს სხეულებრივით შემოსაზღვრავს და არ აღიარებს არაფერს არასხეულებრივს. მეორე კი – შედგება იდეათა მეგობრებისგან, რომლებიც, პირიქით, არსებობას გონით საწვდომ, უხილავ იდეებად აღიარებენ. პირველნი იძულებულნი გახდებიან დაუშვან, რომ სამართლიანობა, გონიერება და სხვა სიქველეები, ასევე თავად სული, არასხეულებრივია, რადგან არ აღიქმება შეგრძნებებით.

არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ ვინ იგულისხმება მიწის შვილებში, მატერიალისტებში. მკვლევარნი ყოველთვის ცდილობდნენ, გაეიგივებინათ ისინი რომელიმე კონკრეტული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებთან. მეტნაკლებად გავრცელებული მოსაზრებებია, რომ აქ იგულისხმებიან ატომისტები (ლ. გომპერცი), ანტისოუნენი (პ. ნატორპი, ე. ცელერი, მ. მაიერი), ანტისოუნენი და ატომისტები ერთად (ლ. კემპბელი), ატომისტები და არისტიკოსი (ფ. შლაიერმახერი) (128, 213). თუმცა, ფ. კორნფორდის აზრით, აქ უფრო ზოგადი სურათი უნდა იყოს. მატერიალისტებში ყველა ის ფილოსოფოსი იგულისხმება, რომელიც რეალობად მხოლოდ ხილულ და შეგრძნებად სამყაროს მიიჩნევს (92, 231).

მატერიალისტებს სთავაზობენ და ისინიც მიიღებენ არსებულის საერთო დეფინიციას სხეულებრივისა და არასხეულებრივისათვის: რასაც კი ბუნებით აქვს შესაძლებლობა (*dynamis*~) იმოქმედოს სხვა რამეზე ან თავად განიცადოს უმცირესი რამ, სრულიად უმნიშვნელოსგანაც კი და მხოლოდ ერთხელ, ჭეშმარიტად არსებობს, ანუ არსებობა არის შესაძლებლობა.

არსის დეფინიცია *dynamis*~ად კრიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ლ. კემპბელმა აღნიშნა, რომ ეს დეფინიცია აქ წარმოდგენილია როგორც დროებითი, ერთი მხრივ, მატერიალისტებისათვის, რადგან მათ ამ ეტაპზე უკეთესი არ აქვთ და, მეორე მხრივ, უცხოელისათვის, რომელიც აღნიშნავს, რომ მოგვიანებით მათ ეს საკითხი შეიძლება სხვაგვარად მოეწვენოთ. ა. აპელტი არ კმაყოფილდება იმით, რომ ეს დროებითი დეფინიციაა და აცხადებს, რომ ამ

მატერიალისტურ თეზას არავითარი კავშირი არ შეიძლება პქონოდა პლატონთან (92, 231). ს. როზენის აზრით კი, ეს დროებითი დეფინიცია „სოფისტი“ დიალექტიკურ საშუალებად არის გამოყენებული. ის არ შეიძლება იყოს მოცემული, როგორც არსის პრობლემის გადაჭრა. არსის განსაზღვრა *dunami*-ად მიზნად იმის დამტკიცებას ისახავს, რომ არსი არ შეიძლება განისაზღვროს სხვა რომელიმე ტერმინით, გარდა საკუთარი თავისა (128, 218).

რაც შეეხება იდეათა მეგობრებს, ისინი წარმოშობასა (*genesi-*) და არსებობაზე (*oustis*) განცალკევებულად საუბრობენ. ისინი თვლიან, რომ განცდისა და მოქმედების ძალა წარმოშობას ეკუთვნის, არსებობას კი – არა. მაგრამ ცნობიერების (*gnosis*-) მიერ შემეცნებული არსება იმდენად შეიმეცნება, რამდენადაც განცდის გამო მოძრაობს, რადგან განცდა ვერ იქნება უძრავი. სულს არსებულთან აქვს კავშირი, რამდენადაც ის მას შეიმეცნებს; არსებულს კი იმდენად აქვს მათთან კავშირი, რამდენადაც ის შემეცნებულია სულის მიერ. იქ, სადაც არაფერი არ მოძრაობს, არ არსებობს არანაირი შემეცნება. არსებულს უნდა ეზიარებოდეს მოძრაობა და დგომა, მაგრამ ის ამათგან განსხვავებულია. არსი იმდენად, რამდენადაც შემეცნებულია, მოძრავია, როგორც განმცდელი, რადგან განცდა არ შეიძლება ისე განხორციელდეს, რომ არ იყოს მოძრაობა. თუკი საყოველთაოდ არსებულიდან (*to pantelw~ oī*) არ გვინდა, რომ გავაძევოთ გონება (*nou-*), მასში უნდა დავუშვათ სიცოცხლე (*zwhi*), სული (*yuchi*), ანუ მოძრაობა (*kinhtsi-*). იქ, სადაც არაფერი არ მოძრაობს, არ არსებობს არანაირი შემეცნება და, შესაბამისად, არ არსებობს ფიქრი (*skeyi-*), გონების მოქმედება.

მეცნიერება არც იდეათა მეგობრების ვინაობასთან დაკავშირებითაა ერთსულოვანი. არსებობს ასეთი მოსაზრებები, რომ აქ იგულისხმებიან: 1. პლატონი, რომელიც გაკრიტიკებულია უცნობი ავტორის მიერ და ეს ნაწილი არაავთენტურია (ს. ვინდელბანდი) ან თავად პლატონი აკრიტიკებს საკუთარ თავს (ლ. გომპერცი, ვ. ლუტოსლავსკი); 2. პლატონიკოსები, რომლებიც ჩამორჩნენ პლატონს (პ. ნატორპი, ლ. კემპბელი); 3. მეგარელები (ფ. შლაიერმახერი, ე. ცელერი, ა. აპელტი); 4. პითაგორელები (ი. ბარნეტი); 5. ელისელები (ჟ. დიუსენი). ფ. კორნფორდის აზრით, აქაც ზოგადად უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის იდეალისტი, რომელსაც სწამს უხილავი, ნოეტური სამყაროს არსებობისა (92, 242-243).

## არსებული, მოძრაობა და უძრაობა

(Soph. 249 a-252 e)

თუკი ყველაფერი მოძრაობაშია, იგივეობრივი გამოირიცხება არსებულიდან, შესაბამისად, არ არის გონების არსებობის შესაძლებლობა. თუ არ გვინდა, რომ ერთმანეთს დავაშოროთ ცოდნა (*episthē*), გონიერება (*fronthsi-*) და გონება (*pou-*), უნდა უარვყოთ ისიც, რომ ყველაფერი უძრავია და ისიც, რომ ყველაფერი მოძრაობს და დავეთანხმოთ, რომ არსებულიც და სხვა ყველაფერიც უძრავიცაა და მოძრავიც. ამის აღიარება კი სხვა პრობლემას წარმოშობს. არსებული გადის მოძრაობისა და უძრაობის მიღმა. ის ორივესაგან განსხვავებულია ბუნებით, რადგან არც მოძრავია და – არც უძრავი. შედეგად კი, არსებული ისეთივე დამაბნეველი აღმოჩნდება, როგორც არარსებული.

ამის შემდეგ უცხოელი თეეტეტოსს კვლევის ასეთ მეთოდს სთავაზობს, რომ რადგან არსებული და არარსებული ერთნაირად დამაბნეველია, ორივე ერთად გამოიკვლიონ, რადგან რამდენადაც გასაგები აღმოჩნდება ერთ-ერთი მათგანი, მეორეც ასეთი იქნება.

არსებულთან დაკავშირებით კი ამ სამი ჰიპოთეზიდან ერთ-ერთი უნდა იქნას არჩეული: 1. ან არსებული არ უკავშირდება მოძრაობასა და უძრაობას და ისინი, შეურევლები, არ ეზიარება ერთმანეთს; 2. ან ყველაფერს შეუძლია ყველაფერთან ზიარება; 3. ან ზოგს შეუძლია, ზოგს კი – არა.

ჰიპოთეზა სწრაფად შეიძლება უპუგდებულ იქნას, რადგანაც იმის თქმა, რომ ყველაფერი მოძრავია, ან ყველაფერი უძრავი, ან, რომ მრავალი იდეა მუდამ იგივეობრივია, ნიშნავს არსებულის სხვა ტერმინთან დაკავშირებას – ან მოძრაობასთან, ან დგომასთან. იმის თქმა კი, რომ არაფერი არ უკავშირდება ერთმანეთს და არსებული ყველაფრისაგან განცალკევებულია, მაინც არსებულის სხვა ტერმინთან დაკავშირებას ნიშნავს.

მეორე მოსაზრება სრულ აღრევას იწვევს, რადგან თუკი ყველაფერს აქვს ყველაფერთან ურთიერთობის ძალა, მოძრაობა გაიგივდება დგომასთან და დგომა – მოძრაობასთან, რაც შეუძლებელია (92, 126-128).

**დიალექტიკის ხელოვნება სოფისტიკასთან შეპირისპირებით**  
(Soph. 252 e-254 b)

მესამე შემთხვევა კი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ ელემენტს შეუძლია ერთმანეთთან შერევა, ზოგს კი – არა, პგაგს ასოების შეწყობას. ასოებისა და ბგერების შეწყობა-არშეწყობას აწესრიგებს გრამატიკოსი და მუსიკოსი, გვარებისას კი – დიალექტიკის ხელოვნების მფლობელი. ამრიგად, პლატონი სოფისტის კვლევისას პირველად ფილოსოფოსს აღმოაჩენს. აქვე ის გვაძლევს დიალექტიკის ხელოვნების განმარტებას: დიალექტიკის ცოდნა არის გვარების მიხედვით დაყოფა და ერთი და იმავე გვარის სხვად არ დაშვება და სხვისა – იმავედ. ვინც ამის გაკეთებას შეძლებს, ის კარგად განასხვავებს მრავლისაგან ერთ იდეას, ყოველმხრივ განფენილს, რომელშიც თითოეული [იდეა] ცალ-ცალკე იმყოფება, ასევე – მრავალ ერთმანეთისაგან განსხვავებულ იდეას, რომლებიც ერთის მიერაა მოცული. აგრეთვე, როცა ერთი იდეა ერთიანად მრავალთანაა შეერთებული, და მრავალი იდეა ერთმანეთისაგან სრულიად განცალკევებული. ის, თუ როგორ შეუძლია თითოეულს ერთიმეორებასთან ურთიერთობა და როგორ – არა, არის გვარებად დაყოფის ცოდნა (*diakrinein kata geno~ epiestasqai*) (Soph. 253 c-e).

ფ. კორნფორდის აზრით, დიალექტიკის ამ განმარტებაში არის ორი შემადგენელი ნაწილი: პირველი შეგვიძლია განვმარტოთ როგორც შეკრებისა და დაყოფის მეთოდების აღწერა (ერთი იდეის მეორისაგან განსხვავება და ერთი იდეის მიერ მოცული მრავალის განჭვრეტა), მეორე ნაწილში კი საუბარია შეკრებისა და დაყოფის პროცედურათა შედეგებზე (ერთი იდეა მრავალთან შეერთებული და მრავალი ერთმანეთისაგან განცალკევებული) (92, 266-267). სხვა მეცნიერებიც საუბრობენ დიალექტიკოსის საქმიანობის აქ აღწერილ ორ საფეხურზე (83, 129).

სწორედ ეს ხელოვნება არის, პლატონის აზრით, დიალექტიკა, რომელსაც ის მუდამ უპირისპირებს სოფისტის საქმიანობას. ის ამბობს, რომ ეს ხელოვნება მიეკუთვნება იმას, ვინც წმინდად (*kaqarw~*) და სამართლიანად (*dikaiw~*) ფილოსოფოსობს (*filiosofein*). პლატონის აზრით, ფილოსოფოსის ცხადად შეცნობაც რთულია, მაგრამ სოფისტთან დაკავშირებული სირთულე სულ სხვა

სახისაა. სოფისტი არსებულის წყვდიადში გარბის, შეერევა მას და რთული შესაცნობია. ფილოსოფოსი კი, რომელიც არსებულის იდეას მუდამ განსჯით უდგება, რთული დასანახია ამ ადგილის ბრწყინვალების გამო, რადგან უმრავლესობის (pol ioi) სულის თვალებს არ შეუძლია ღვთაებრივის (qeio-) შემეცნება. აქ ფილოსოფოსი კიდევ ერთხელ მოიხსენიება ღვთაებრივად და განსაზღვრულია უმრავლესობასთან ოპოზიციაში (საერთოდ, პლატონი უმრავლესობას უცოდინრად მიიჩნევს).

ითვლება, რომ დიალოგში პლატონმა აზრის განვითარება სპეციალურად მიიყვანა დიალექტიკის ხელოვნების განსაზღვრამდე, რათა კიდევ ერთხელ დაენახვებინა მკითხველისათვის ჭეშმარიტი ფილოსოფოსისა და სოფისტის საქმიანობის ძირითადი განსხვავების არსი.

### უმაღლეს გვართა ზიარება

(Soph. 254 b-259 d)

პლატონი წარმოგვიდგენს, თუ რომელ გვარებს აქვთ ერთმანეთთან ზიარება და როგორ. დგომა და მოძრაობა არსებობს. ორივე ეზიარება არსებობას, მაშინ როცა ერთიმეორებულისთან არ აქვთ ურთიერთობა. ამ სამიდან თითოეული მათგანი დანარჩენი ორისაგან განსხვავებულია და თავისი თავის იგივეობრივი. ამგვარად, სამის ნაცვლად გვაქვს ხუთი გვარი, რომლებიც ერთმანეთის მიმართ იგივეობრივიცაა და განსხვავებულიც. არსებული თავისთავად არსებობს სხვასთან კავშირის გარეშე. არარსებული არსებობს, რადგანაც ყველაფერთან მიმართებაში მყოფი განსხვავებულობის ბუნება ყოველივეს არსებულისაგან განსხვავებულად აქცევს და არარსებულად ხდის. არსებული კი არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ის არ არის არც ერთი სხვა გვართაგანი. ამდენად, როდესაც ვამბობთ არარსებულს, არსებულის საპირისპირო რაღაცას კი არ ვგულისხმობთ, არამედ მხოლოდ მისგან განსხვავებულს. ამდენად აქვს არარსებულს თავისი ბუნება და ამდენად არსებობს. პარმენიდესის სწავლება ამასთან დაკავშირებით არასწორია, რადგანაც აღმოჩნდა, რომ არარსებული როგორდაც მაინც არსებობს.

როდესაც რაღაცაზე ვამბობთ, რომ ის „არის“ და თან „არ არის“, აქ, ალბათ, ასეთი განსხვავება უნდა დავინახოთ:

მოძრაობა არის (ანუ არსებობს).

მოძრაობა არ არის (იგივე, რაც დგომა).

მოძრაობა არის იგივეობრივი (საკუთარი თავის მიმართ).

მოძრაობა არ არის იგივეობრივი (იგივე, რაც იგივეობრივი).

მოძრაობა არის განსხვავებული (დგომის მიმართ).

მოძრაობა არ არის განსხვავებული (იგივე, რაც განსხვავებული).

ასევეა ყველა სხვა გვართან დაკავშირებით (83, 151-152).

ფ. კორნფორდი მიიჩნევს, რომ ყველანაირი გაურკვევლობა ამ განსხვავებას ეფუძნება. თუკი დავადგენთ „რის მიმართ“ ვსაუბრობთ „რაღაცაზე“, ადარ იქნება არანაირი გაუგებრობა (92, 285).

შეგვიძლია შევკრიბოთ „არის“ და „არ არის“ ფორმათა მნიშვნელობები:

1. „არის“ ნიშნავს „არსებობს“; „არ არის“ – „არ არსებობს“.

2. „არის“ ნიშნავს „იგივე არის“; „არ არის“ – „განსხვავებული არის“.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პლატონმა გამიჯნა „ყოფნა“ ზმნის ორი განსხვავებული მნიშვნელობა, რაც მსჯელობაში დიდ დაბნეულობას იწვევდა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ჯ. აკრილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ დიალოგში პლატონმა სცადა მეშვეოდი ზმნის მნიშვნელობათა გარჩევა. ვ. კრომბიც ეთანხმება ამას, თუმცა თვლის, რომ პლატონმა ეს შეუგნებლად, გაუცნობიერებლად გააკეთა. მეცნიერები ისე შორსაც მიდიან, რომ ხშირად ივიწყებენ დიალოგის მთავარ თქმას. სრულიად საპირისპირო აზრი აქვს მ. ფრედეს. მისი აზრით, პლატონი საერთოდ არ ცდილობს „ყოფნა“ ზმნის მნიშვნელობათა გარჩევას. არსებობს ისეთი მოსაზრებაც (ს. ოუგენი), თითქოს პლატონი თვალ ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან ამ ზმნის განსხვავებულ მნიშვნელობებს (83, 9-17).

ფილოსოფოსისა და სოფისტის გამიჯვნის კიდევ ერთი ცდა

(Soph. 259 e-260 a)

პლატონი საუბრობს იმაზე, რომ მსჯელობისას მარად წინააღმდეგობების აღმოჩენის სიხარული არ არის ჭეშმარიტი მხილება (εἴ λεγο~ οὐκ αἱ ληίνοι). ეს ისევ

და ისევ სოფისტიკისაგან გამიჯვნის მცდელობაა. ალბათ, თავად პლატონსაც კარგად ეხმოდა, რომ სოფისტებთან ყველაზე დიდ მსგავსებას მხილების მეთოდი ქმნიდა და ერთმანეთს დაუპირისპირა ჭეშმარიტი და არა ჭეშმარიტი მხილება. ამასთანავე, ფილოსოფოსი დასძენს, რომ „ყველაფრის ყველაფრისაგან გამოყოფა”, ანუ ცალკეული ცნებებით ოპერირება, რომელიც სოფისტებისათვის იყო დამახასიათებელი, გაუნათლებელი (*αἴτουσο-*) და არაფილოსოფოსი (*αἵτιονοφο-*) ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ეს არის ნებისმიერი დისკურსის საბოლოო განადგურება. ჭეშმარიტი ფილოსოფოსების მსჯელობა კი იდეების ერთმანეთთან გადახლართვით წარმოიშობა. ხოლო თუ მას მოაკლდები, მოაკლდები ფილოსოფიასაც. აქ კიდევ ერთხელ არის განსაზღვრული მსჯელობა, საუბრის ფორმა, ჭეშმარიტი ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელ არსებით ნიშნად.

### არარსებული და ტყუილი აზროვნებასა და მსჯელობაში

(Soph. 260 b-264 e)

მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ არარსებული არსებულის ერთ-ერთი გგარია, განსახილველია, შეერევა თუ არა ის აზრსა და მსჯელობას. თუკი არარსებული მათ შეერეგა, მაშინ მსჯელობაც მცდარი იქნება და აზრიც. ტყუილი ხომ სხვა არაფერია, თუ არა არარსებულზე საუბარი და აზროვნება. სოფისტი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ტყუილის არსებობა. ახლა ამის საწინააღმდეგოდ, დამტკიცებულ უნდა იქნას, რომ ტყუილი რეალურად არსებობს, რადგან ის, რომ არარსებულს გამოთქვამენ ან წარმოიდგენენ, უკვე არის ტყუილი აზროვნებასა და მსჯელობაში.

ამის დასამტკიცებლად პლატონი კვლევის ასეთ გზას გვთავაზობს: ჯერ გარკვეული უნდა იქნას, რა არის აზრი (*doxa*) და წარმოდგენა (*fantasia*) და რა კავშირი აქვთ მათ არარსებულთან. აქედან გამომდინარე, უნდა დასაბუთდეს ტყუილის არსებობა და შემდეგ ის დაუკავშირდეს სოფისტს. აქვე, კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, რომ სოფისტი მეტად რთულად მოსანადირებელი გვარია (*dusqereuton geno-*). ის ბარიერებითაა (*problēma*) სავსე და როცა რომელიმეს წინ წამოწევს, ჯერ ის უნდა გადალახო, სანამ თავად მასთან მიხვალ.

ამის შემდეგ პლატონი საჭიროდ თვლის, განმარტოს კვლევისათვის აუცილებელი ტერმინები. მსჯელობა უნდა შედგებოდეს სახელისა (θῆμα) და ზმისაგან (τῆμα). მოგვიანებით ამას არისტოტელებიც იმეორებს (Rh. 1404 b). გავრცელებულია მოსაზრება, რომ აქ სახელი და ზმია არის არა გრამატიკული, არამედ ფილოსოფიურ-დიალექტიკური დაყოფა მოქმედ პირად და მოქმედებად. მხოლოდ ამ ორი კომპონენტის შერწყმა ქმნის მსჯელობას (128, 320), რომელიც აუცილებლად რაღაცას უნდა ეხებოდეს და რაღაც თვისების მქონე იყოს. ის შეიძლება იყოს მცდარი და ჭეშმარიტი. აზროვნება კი სხვა არაფერია, თუ არა სულის საუბარი საკუთარ თავთან, აზრი კი – აზროვნების შედეგი. თუკი მსჯელობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი და მცდარი, აზრთაგანაც ზოგიერთი მცდარი იქნება. რაკი არსებობს მცდარი მსჯელობა და აზრი, არსებობს არსებულის მიბაძვებიც (mimhmata) და აქედან კი წარმოიშობა მოტყუების ხელოვნება (apathtikh).

### სოფისტის საბოლოო დეფინიცია

(Soph. 264 e-268 d)

რადგან სოფისტი რომელიდაც ზემოთ განხილულ გვარს ეკუთვნის, კვლავ გამოყენებულ უნდა იქნას დიქოტომიის მეთოდი და ასე გამოაშკარავდეს სოფისტის ჭეშმარიტი ბუნება. დიალოგში მოცემულია ადრე პრაქტიკულად უკვე არაურთგზის გამოყენებული დიაირესისის მეთოდის დახასიათება: “სოფისტის დეფინიციისათვის განსახილველად შერჩეულ რომელიმე გვარს ორად გაგუოფთ და მის მარჯვენა განაყოფს მივყვებით, რომელიც სოფისტთან იქნება კავშირში, სანამ არ ჩამოგაშორებთ ყველაფერ საერთოს სხვასთან, მას საკუთარ ბუნებას არ დავუტოვებთ და ჯერ ჩვენთვის არ გამოვააშკარავებთ მას, ხოლო შემდეგ მათთვის, ვინც ბუნებით ახლოსაა ასეთ მეთოდთან” (Soph. 264 d-e)<sup>76</sup>.

სოფისტი არის მოპოვებით ხელოვნებაში, სანადირო, შეჯიბრებით, სავაჭრო ნაწილში. ახლა კი, რადგან ის გარემოცულია მიბაძვის ხელოვნებით (mimhtikh),

<sup>76</sup> παλιν τοινυ επίσειρωμεν, σκιζόντε~ dich/ to; προτεγεν geno~, πορευεσqai kata; τουjpi; dexia; aji; μερο-tou' tmhqento~, εjcomenoi th~ tou' sofistou' koinwnia~, εw~ ah aujtou' ta; koina; panta perielonte~, thn oijkeian liponte~ fusin επίδεικωμεν malista men hmin aujtoi~, εpeita kai; toi~ ejjgutaitw genei th-toiauth~ meqodou pefukotin (Soph. 264 d-e).

ჯერ შემოქმედებითი ხელოვნება უნდა გავყოთ ორ ნაწილად, ესენია: ღვთაებრივი და ადამიანური. ადამიანური შემოქმედება იყოფა საკუთრივ საგნების და გამოსახულებათა შექმნის ხელოვნებებად. გამოსახულებათა შექმნის ხელოვნების ერთი ნაწილია ხატების შექმნა, მეორე კი – მოჩვენებების. ამ უკანასკნელის ნაწილია ბაძვა. ის ბაძავს მოჩვენებებით, რასაც პქვია საკუთრივ ბაძვა. მან არ იცის, რას ბაძავს და ამიტომ არის შეხედულებით მიმბაძველი (*doxomimhtikh*). ის არის ირონიული მიმბაძველი (*eijroniko~ mimhthn*). ის არის სახალხო ორატორი, რომელიც კერძო საუბარში თანამოსაუბრეს აიძულებს, საკუთარ თავს შეეწინააღმდეგოს. ვინაიდან ის უცოდინარია, არ შეიძლება ბრძენად (*sorfik*) იწოდებოდეს, მაგრამ რადგან ბრძენს ბაძავს, მისი შესაბამისი სახელი – სოფისტი (*sofisthn*) უნდა ეწოდოს.

შედეგად ვიღებთ ამგვარ დეფინიციას: „[სოფისტიკა] არის მოწინააღმდეგის დამაბნეველი ხელოვნება, რომელიც განეკუთვნება შეხედულებით ბაძის ირონიულ ნაწილს, ეს კი – როგორც მოჩვენებათა შექმნის ხელოვნება – გამოსახულებათა შექმნის ხელოვნების [ნაწილია], რომელიც არა ღვთაებრივი, არამედ ადამიანურია, განისაზღვრება მსჯელობებით და მეფოკუსეობის ნაწილია. და აი, ვინც იტყვის, რომ „ამ მოდგმისა და სისხლისაა“ ნამდვილი სოფისტი, როგორც ჩანს, ის სავსებით მართალი იქნება“ (Soph. 268 c-d)<sup>77</sup>.

ასე მთავრდება ეს დიალოგი. ამრიგად, მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ არარსებული არსებობს და, ამდენად, არსებობს ტყუილიც აზროვნებასა და საუბარში და შემდეგ ეს დავუკავშირეთ სოფისტს, მივიღეთ საბოლოო დეფინიცია, რომელიც რეალურად გადმოგვცემს საქმის არსს. ეს განსაზღვრება პუნქტობრივად ჩამოთვლის იმ საქმიანობებს, რითიც არის დაკავებული სოფისტი. ეს დეფინიცია ეხება არა სოფისტთა რომელიმე ჯგუფს ან ცალკეულ წარმომადგენელს, არამედ მათი აზროვნებისათვის დამახასიათებელ ზოგად ტენდენციას, სოფისტიკის არსს. ეს უკანასკნელი განსაზღვრება ემყარება შეხედულების განსხვავებას ჭეშმარიტებისაგან. სოფისტიკა არის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ცრუ შენიდბა,

<sup>77</sup> το; dh; th~ ephantiopoiologikh~ eijrnikou merou~ th~ doxastikh~ mimhtikon, tou fantastikou genou~ aijo; th~ ejdwlopoiiikh~ ouj qeion aij l j ainqrpikon th~ poihsew~ ajforismenon ej logoi~ to; qaumatopoiikon morion, tauith~ th~ genea~ te kai; aiimato~, oj ah fhi ton ohtw~ sofisthn eihai, taj hqestata, wl epiken, ejrei (Soph. 268 c-d).

რომელსაც ადგილი მხოლოდ და მხოლოდ გამოსახულებათა, ანუ ei ꝑwl a-თა სამყაროში აქვს (128, 236).

### დიალოგ „სოფისტის“ სტრუქტურა

დიალოგი „სოფისტი“ არის დრამა, რომელშიც პირობითად შეგვიძლია გამოვყოთ ექსპოზიცია, სამი მოქმედება და დასასრული. თითოეული მოქმედება თავის მხრივ იყოფა სცენებად და საბოლოოდ გვაქვს ასეთი სურათი:

**პროლოგი** (ექსპოზიცია), რომელიც წარმოადგენს დრამის მონაწილე პერსონაჟებს და დასაწყისშივე არაკეთის კვლევის მეთოდს, რომელიც მთელი დიალოგის მანძილზე იქნება გამოყენებული (Soph. 216 a – 218 b).

**I მოქმედება** მეთევზის დეფინიცია, რომელიც გვაცნობს კვლევის კიდევ ერთ მეთოდს პარადიგმის მეთოდს (Soph. 218 c – 221 c).

**II მოქმედება** სოფისტის პირველადი დეფინიციები, რომელშიც გამოიყოფა 5 სცენა, რომლებიც თავისთავად სოფისტის ხეთ განსხვავებულ დეფინიციას წარმოადგენს (Soph. 221 c – 231 c).

**ინტერმედია**, რომელიც აქამდე მიღებული შედეგების შეჯამებაა (Soph. 231 c – 231 e).

**III მოქმედება** უმაღლეს გვართა ზიარება და არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა, რომელშიც თავის მხრივ გამოიყოფა 5 სცენა (არსებული და არარსებული, არსის თეორიების კრიტიკა, დიალექტიკის ხელოვნება და სოფისტიკა, უმაღლეს გვართა ზიარება, არსებული და ტყუილი აზროვნებასა და მსჯელობაში) (Soph. 232 a - 264 d).

**დასასრული**, რომელიც წარმოადგენს სოფისტის საბოლოო შემაჯამებელ დეფინიციას (Soph. 264 e - 268 d).

### დიალოგ „სოფისტთან“ დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი

დიალოგ „სოფისტში“ პირობითად შემდეგი ძირითადი საკითხები შეგვიძლია გამოვყოთ, რომლებიც უფრო ხშირად ხდება მეცნიერთა თუ მკვლევართა

ინტერესის საგანი: 1. სოფისტიკის არსის განსაზღვრა და სოფისტის გმირის ხასიათი, ბუნება; 2. დიალექტიკის მეთოდი (დაყოფები და შეკრებები); 3. არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა (არარსებულთან დაკავშირებული ბუნდოვანება); 4. ფილოსოფოსთა ბრძოლა და სხვ.

დიალოგ “სოფისტის” მთავარი მოქმედი პირი სოფისტი არის მოტყუების ხელოვნების ოსტატი, უცხოელი, პირი, რომელიც ადამიანებისგან ფულს იღებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის მასწავლებელი. პირიქით, არის იმის ანტიპოდი, რასაც ჰქონდარიტი მასწავლებელი წარმოადგენს. მოკლედ რომ ვთქვათ, ის აერთიანებს ყველა იმ თვისებას და ავლენს ყველა იმ მორალურ თუ ინტელექტუალურ ტენდენციას, რომელიც ასე ძლიერ სძულდა პლატონს და რომელიც მისი იდეალის სოკრატეს დირებულებების სრულიად საწინააღმდეგო იყო.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ ეს კონკრეტული პერსონაჟი არ არის რომელიმე სოფისტი ან სოფისტიკის რომელიმე მიმართულების წარმომადგენელი, არამედ ეს არის პლატონის მიერ პერსონიფიცირებული იდეა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ძველ ბერძნულ ფილოსოფიას, ისევე როგორც მითოლოგიას, ახასიათებდა იდეების განზოგადება და პერსონიფიცირება და, ვფიქრობ, სწორედ ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევას აქვს ადგილი ამ დიალოგშიც. დიალოგის ძირითადი თემა სოფისტი არ არის ის ადამიანი, რომელიც უბრალოდ ასწავლის დავას ნებისმიერ საკითხზე ფულის ფასად, არამედ ესაა პლატონის მიერ შექმნილი ზოგადი სახე იმ ადამიანისა, რომელიც თავის თავში აერთიანებს აბსოლუტურად ყველანაირ სიყალბეს.

თუ გადავხედავთ პლატონის შემოქმედებას, ვნახავთ, რომ ზოგიერთ დიალოგში პლატონის ტონი სოფისტების მიმართ უფრო მკაცრია, ზოგან უფრო რბილი. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნაწარმოებში სოფისტებთან დაკავშირებით არ არის არაფერი რადიკალურად განსხვავებული სხვა დიალოგებისაგან. უბრალოდ აქ პლატონმა გააერთიანა და თავი მოუყარა ყველა იმ საქმიანობას და მახასიათებელ ნიშან-თვისებას, რაც სოფისტთა კლასს ახასიათებდა და ეს ყველაფერი დრამის მსვლელობის დინამიზმით შენიდბა.

ზემოთ (იხ. თავი I) დეტალურად გადმოვეცი ტერმინ “სოფისტის” მნიშვნელობის განვითარებისა და ტრანსფორმაციის ისტორია. კიდევ ერთხელ მივუბრუნდები ამ საკითხს განსხვავებული ასპექტით.

ცნობილია, რომ არსებობს მრავალი ისეთი ტერმინი, რომელსაც აქვს ზოგადი და სპეციფიკური მნიშვნელობა და ეს ორი მნიშვნელობა ხშირად ერთიმეორისაგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული. ზოგ შემთხვევაში ტერმინის ზოგადი მნიშვნელობა ვიწროვდება და ხდება უფრო კონკრეტული, სპეციფიკური. ზოგჯერ კი, პირიქით, ტერმინის ვიწრო მნიშვნელობა ფართოვდება და ადის ზოგად მნიშვნელობამდე. გარდა ამისა, გვაქვს რიგი შემთხვევები, როდესაც ტერმინის მნიშვნელობა ერთდროულად ვიწროვდება და ფართოვდება კიდეც. ხშირ შემთხვევებში ტერმინი, რომელმაც მნიშვნელობათა ევოლუციის ხანგრძლივი გზა განვლო, ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური მნიშვნელობითაც კი. სწორედ ასეთი ტერმინი არის “სოფისტი”, რომლის მნიშვნელობაც ერთდროულად შევიწროვდა და გაფართოვდა. ამის დასადასტურებლად ზევით მოვიყვანეთ მაგალითები პეროდოტოსიდან და ძველი ბერძენი ტრაგიკოსებიდან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა საკითხი, ნამდვილად ჰქონდა თუ არა სპეციფიკური უარყოფითი მნიშვნელობა ტერმინ “სოფისტი” სოკრატეს თანამედროვეთათვის. ვარაუდობდა თუ არა ძვ. წ. აღ.-ის V საუკუნის ათენელი სოკრატესა და პლატონს იმავე ჯგუფში, რომელშიც მისთვის გორგიასი და პროტაგორასი შედიოდნენ. ამ შეკითხვაზე პასუხი, ვფიქრობ, უარყოფითი უნდა იყოს და თუ ოდესმე ის მაინც ტერმინ “სოფისტით” პლატონსა და სოკრატეს ვარაუდობდა, მაშინ ეს იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ამ ტერმინის ნეიტრალური მნიშვნელობა.

სწორედ ტერმინ “სოფისტი” მნიშვნელობის ეს მრავალგვარი ინტერპრეტაცია უნდა იყოს ასახული ამავე სახელწოდების დიალოგში, სადაც სოფისტი სხვადასხვა სახით წარმოდგება. სწორედ თავისი დიდი მხატვრული და მწერლური ოსტატობით ახერხებს პლატონი მკითხველში იმ ეფექტის მიღწევას, რომ სოფისტი მისთვის ხან დადებითი, ხან უარყოფითი, ხან კი აბსოლუტურად ნეიტრალური მნიშვნელობით არის წარმოჩენილი.

დიალოგთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის დიალექტიკის გამოყენება ”სოფისტში”, უფრო ზუსტად კი ის უამრავი დაყოფისა და შეკრების მაგალითი, რომელსაც ეს კონკრეტული დიალოგი გვთავაზობს. არის კი დაყოფებისა და შეკრებების ეს მაგალითები პლატონისეული ჭეშმარიტების წვდომის უტყუარი გზა? ნუთუ ასე ფიქრობდა თავად პლატონი? უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასე ნამდვილად არაა. ესაა მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური სავარჯიშოები, რომლებიც ხელს უწყობს გონების, აზროვნებისა და მსჯელობის განვითარებას და დაყოფის ის მეთოდი და დიქტოტომიის ის ნიმუშები, რომლითაც სოფისტის ამდენი დეფინიცია არის მიღებული, უფრო მეტად სატირული და ირონიულია, ვიდრე პლატონის ჭეშმარიტი კვლევის მეთოდის ამსახველი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ეს დიალოგი წარმოგვიდგენს, არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა, არარსებულთან დაკავშირებული პრობლემა და ”დაბნეულობაა”, რაც ზემოთ დეტალურადა განვიხილეთ. საკითხი ასე დგას: რა არის ბოლოსდაბოლოს არარსებული და თუ ის მაინც არსებობს, მაშ როგორდა არის ის არარსებული? პლატონის პასუხი ამ საკითხზე დიალოგ “სოფისტში” ცალსახაა: ეს დაბნეულობა და აღრევა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ენობრივი შესაძლებლობების დეფექტებით. პლატონის აზრით, არარსებული არის არსებულისაგან განსხვავებული რამ, რომელსაც არსებულის მსგავსად მრავალი სახე გააჩნია. საბოლოო დასკვნა კი ასეთია, რომ არარსებულიც სხვა არაფერი გამოდის თუ არა არსებულის ერთ-ერთი სახე, რომელიც თანაარსებობს არსებულთან, მაგრამ მასთან წინააღმდეგობაშია.

და ბოლოს, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი ამ დიალოგში არის სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობების, სკოლებისა და ფილოსოფოსების ერთმანეთის ოპოზიციაში წარმოდგენა, იქნება ეს მეგარელები, ელისელები, ცინიკოსები, ატომისტები თუ მატერიალისტები. აქ თითქოს იქმნება სურათი, რომ პლატონი ერთ ადგილას უყრის თავს მის ეპოქამდე არსებულ და მის თანამედროვე ძველ ბერძნულ ფილოსოფიურ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგ კი მიჰყვება და სათითაოდ აკრიტიკებს მათ. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აქ პლატონის მიერ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევის რაიმე სისტემაა მოცემული. პირიქით, პლატონი ამ დიალოგში არსად ახსენებს, თუ

ვის ეპუთვნის ესა თუ ის დოქტრინა ან მოსაზრება. ეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერთა კვლევისა და დაკვირვების საგანია.

ამდენად, ვფიქრობ, ფილოსოფოსთა შორის არსებული დავის წარმოჩენა პლატონს იმის დემონსტრირებისათვის სჭირდებოდა, თუ რაოდენ აღრეული იყო იმ დროის წარმოდგენები სამყაროსა და მის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილთან დაკავშირებით და რომ იმ პერიოდშიც კი არ არსებობდა ერთიანი აზრი ამ საკითხზე.

### “სოფისტის” დრამატული ბუნება

რა თვალსაზრისით არის პლატონის “სოფისტი” დრამა? რა აქცევს მას დრამად? რა არის ამ დიალოგის დრამატიზმის მთავარი საზომი?

დიალოგის სტრუქტურისა და სიუჟეტის განვითარების თავისებურებების გამოვლენის შემდეგ, განვიხილოთ “სოფისტის” დრამატული ბუნება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიალოგში წარმმართველია ოპოზიციათა დაპირისპირება, რომელიც სხვადასხვა დონეზე იჩენს თავს და სწორედ ეს ასპექტი აქცევს ამ ნაწარმოებს დრამად.

დიალოგ „სოფისტის” პროლოგშივე თავს იჩენს „ჭეშმარიტისა” და „მსგავსის” დაპირისპირება, რომელიც მთელ ამ დიალოგს ლაიტმოტივად გასდევს. „ჭეშმარიტი” და „მსგავსი” არის ოპოზიცია, რომელიც ქმნის დიალოგის ძირითად ფაბულას და მთელი ნაწარმოები ამ ოპოზიციის ცალკეული გარიაციების გამომჟღავნებისა და მათი ერთიმეორისაგან გამიჯვნის მცდელობაა. ეს ოპოზიცია თავისთავად არის უმნიშვნელოვანები ასპექტი პლატონის მთლიანი მსოფლმხედველობის გასაგებად; ეს არ არის უბრალოდ ორი რამის ერთიმეორისაგან განსხვავება, არამედ „კარგის” „ცუდისგან” გამორჩევის უნარი.

მეორე მნიშვნელოვანი ოპოზიციური წყვილი, რომელიც პროლოგშივე გვხვდება, არის სოკრატე და ელისელი უცხოელი, კერძოდ, და ფილოსოფოსი და არაფილოსოფოსი, საზოგადოდ. ეს „დაპირისპირებაც” ეყრდნობა დიალოგის ძირითად ოპოზიციას – „ჭეშმარიტი” და „მსგავსი”. პლატონი ქმნის დაპირისპირებას: ერთი მხრივ, „ფილოსოფოსი” „ჭეშმარიტი”, მეორე მხრივ, „არაფილოსოფოსი” – „მსგავსი”. აქვე, ჭეშმარიტად ფილოსოფოსი (ojtw-)

შეპირისპირებულია ცრუ, შეთითხნილ ფილოსოფოსთან (plastw~), ანუ „ჭეშმარიტი” – „მსგავსთან”.

პროლოგშივე კიდევ ერთხელ დგება „ჭეშმარიტისა” და „მსგავსის” ერთმანეთისაგან გამიჯვნის, გარჩევის საკითხი. კერძოდ, სოკრატე ერთიმეორისაგან გაარჩევს, რას ფიქრობენ (փेसάντი) და რას უწოდებენ (ψήοματον) სოფისტებს. ესეც იგივეა, რაც „ჭეშმარიტისა” და მისი „მსგავსის ოპოზიცია”. ანუ ერთი და იმავე გვარს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შინაარსი და სახელდება. ჭეშმარიტი არის გვარის შინაარსი და რაობა, ხოლო მისი სახელდება მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტის მსგავსია.

უცხოელი თავიდანვე ხაზს უსვამს წინააღმდეგობრიობას, რომელიც შეინიშნება სოფისტის ბუნებაში: „საუბარი” და „ფიქრი”, ანუ „სახელი” (οἵστα) და „საგანი” (pragmata), რომელსაც ეს სახელი ეწოდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელიც გვხვდება უშუალოდ დიალოგის ძირითადი ნაწილის დასაწყისში, მეთევზის განსაზღვრისას, არის ოპოზიცია tecniith~ – aftenwnt. პირველი არის გვარი, რომელიც ფლობს რაიმე ხელოვნებას, ანუ არის ხელოვანი, მეორე კი, რომელიც არ ფლობს ხელოვნებას, მაგრამ აღჭურვილია რაიმე სხვა ძალით (αἱ ήτη δε; dunamin). ეს ოპოზიცია უმნიშვნელოვანებია პლატონისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, სოფისტიკას არ მიაწერს რაიმე ხელოვნებას, მაგრამ მას მიაწერს დიდ ძალას, რომელიც ზემოქმედებს ადამიანებზე. ანუ მეორე ოპოზიცია არის tecnh და dunami~. ეს ორი რამ კი პრინციპულად განსხვავდება ერთიმეორებაგან. დიაირესისი შეიძლება გავრცელდეს და გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებაზე და არავითარ შემთხვევაში ძალაზე. ანუ ეს ოპოზიციაც განზოგადებით ადის „ჭეშმარიტისა” და „მსგავსის” დაპირისპირებამდე. ხელოვნება არის ჭეშმარიტი რაღაცის ჭეშმარიტად ცოდნა, ხოლო ძალა მსგავსი, მოჩვენება, რომ რაღაც იცი.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ოპოზიცია, რომელზეც მთელი დიალექტიკური მსჯელობა არის აგებული, ესაა არსებულისა (to; οἵ) და არარასებულის (το; τῇ; οἵ) დიალექტიკა, რაც თავისთავად სხვა არაფერია თუ არა „ჭეშმარიტისა” და „მსგავსის” ოპოზიცია.

ვფიქრობ, ზემოთქმული ცხადყოფს, რაოდენ მნიშვნელოვანია ამ დიალოგის განვითარებაში ოპოზიციურ წყვილთა ერთმანეთთან დაპირისპირება. სწორედ ეს

ოპოზიციები გვიქმნის წარმოდგენას პლატონის მსოფლმხედველობაზე, იმაზე, თუ რას მიიჩნევს იგი ჭეშმარიტად, ანუ ფილოსოფოსად და რა არის არსებითი მის დაპირისპირებაში მსგავსთან, ანუ სოფისტთან.

და ბოლოს, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სწორედ ამგვარ ოპოზიციურ წყვილთა დინამიური თამაშითა და ურთიერთმონაცვლეობით აღწევს პლატონი იმ ეფექტს, რომ დიალოგი „სოფისტი“ ჭეშმარიტ დრამად გვევლინება, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად შეეფერება სახელი ჭეშმარიტისა და მსგავსის ჭიდილის დრამა.

## თავი V

### “სოფისტის” პომპონიუმი როგორიცია თავისი

მეცნიერებაში ფუნდამენტურია აზრი იმის შესახებ, რომ პლატონმა ძველ საბერძნეთში გადადგა პირველი ნაბიჯი ლიტერატურულობისაკენ და მოახდინა ერთგვარი რევოლუცია კომუნიკაციის ტექნოლოგიაში. ჯ. ჰაველოკმა შეადარა პომეროსის, პლატონისა და არისტოტელეს სტილი და დაასკვნა, რომ სტილთა შორის არსებული განსხვავებები ნათელს ხდის, რომ ზეპირი მეტყველებიდან ფონეტიკურ ანბანზე გადასვლისას ადამიანის მენტალიტეტში დიდი ცვლილებები ხდებოდა. მან დაასკვნა, რომ პომეროსის “ილიადა” და “ოდისეა” არის ზეპირი შემოქმედების პირველი ნიმუშები, არისტოტელეს პროზაული ტრაქტატები წმინდა ლიტერატურა და პლატონის დიალოგები – კრიტიკული გარდამავალი წერტილი ზეპირიდან წერილობით ტრადიციამდე. ამ მოსაზრებაზე მეცნიერება შეთანხმდა და დღეს პომეროსი მიიჩნევა ზეპირ ტრადიციად, პლატონის დიალოგები კი - ავტორიზებულ ტექსტებად (80, 149).

არის კი პლატონის ფილოსოფიური დიალოგები მხოლოდ ლიტერატურა, თუ ისინი რადაც დონეზე მაინც ავლენს ზეპირი ტრადიციისათვის დამახასიათებელ სტილურ ფორმებს, რომლებიც ძირითადად დამახასიათებელია პომეროსის გპიკური ტრადიციისათვის?

როგორც უკვე აღინიშნა, პლატონი წარმოადგენს ერთგვარ გარდამავალ ეტაპს ბერძნულ კულტურაში მომხდარი დიდი რევოლუციის ზეპირიდან წერილობით ტრადიციაზე გადასვლისა. უფრო ზუსტი კი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პლატონის დიალოგები არის გარკვეული სახის ჰიბრიდული მედიუმი, რომელშიც ინფორმაციის შენახვის ტრადიციული, ზეპირი ფორმები შერწყმულია წერილობით ლიტერატურულ სტილთან (180, 163).

პლატონის ნებისმიერი დიალოგის წაკითხვისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს უბრალოდ ზეპირი დიალოგების ჩაწერაა არსებული ინფორმაციის გადარჩენის მიზნით. ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს პლატონის ცნობილი მსჯელობა VII წერილში, რომ მას თავისი ფილოსოფია არასოდეს არ გადმოუცია წერილობითი გზით.

რა შეიძლება მივიჩნიოთ საზომად, რომლის მიხედვითაც დავადგენო ზეპირ ტრადიციას მიეკუთვნება ნაწარმოები თუ წერილობითს? ბერძნულ ტრადიციათა შორის უძველესი ზეპირი ტრადიცია არის პომეროსი, რომლის ძირითადი არგუმენტიც, რომ ესაა ერთი ავტორის მიერ შექმნილი ზეპირი ნაწარმოები, არის მისი სტრუქტურული და კომპოზიციური ორგანიზაცია, კერძოდ კი, წრიული და პარალელური დაყოფის პრინციპები. ამ ტიპის სტრუქტურული ორგანიზაცია შეინიშნება სამ დონეზე: 1. სიტყვებისა და ფრაზების; 2. ცალკეული თემებისა და ეპიზოდების; 3. მთელი ნაწარმოების. თუ რომელიმე ტექსტის კომპოზიცია ავლენს ამგვარ სტრუქტურას ერთ დონეზე მაინც, ამბობენ, რომ ეს ტექსტი არის ზეპირი ანუ ტრადიციული ნაწარმოები. ამას სხვანაირად “შეხსიერების ტექნიკასაც” უწოდებენ.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ პლატონთან, მისი ნაწარმოებების სტრუქტურის ანალიზს მივმართოთ. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით პლატონის მემკვიდრეობა – კერძოდ კი, მისი ნაწარმოებების კომპოზიციური ორგანიზაციის საკითხი – სათანადოდ შესწავლილი არ არის. არადა ნებისმიერი ნაწარმოების შესწავლისას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს მის არქიტექტონიკასა და სტრუქტურას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ნაწარმოების ინდივიდუალობასა და მხატვრულ დირსებას (26, 52).

პლატონის დიალოგებს ფორმალური თვალსაზრისით ორ ჯგუფად ჰყოფენ, იმისდა მიხედვით, ნაწარმოებს დიალოგის პირდაპირი რეპრეზენტაციის სახე აქვს, თუ იგი ცალკეული პერსონაჟის მიერ მოთხოვობილ დიალოგს წარმოადგენს. მათ ადმნიშვნელად შემდეგი ტერმინები გამოიყენება: არაპირდაპირი, ირიბი, მოთხოვობილი (reported, narrated, „dihegmatic“) დიალოგი (მასში მოცემულია წარმოსახვითი ავტორის მიერ გადმოცემული საუბარი) და პირდაპირი, უშუალო, დრამატული (dramatic) დიალოგი (მასში წარმოსახვითი მთხოვობელის გარეშე, უშუალოდ არის გადმოცემული საუბარი) (136, 54).

პლატონის დიალოგთა სტრუქტურის ამგვარი კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ იგი მიზნად ისახავს ნაწარმოებთა დაჯგუფებას ფორმალური თვალსაზრისით და არა კომპოზიციათა სიღრმისეულ გააზრებას (26, 53).

შევეცდები „სოფისტის“ კომპოზიციის თავისებურებათა გამოვლენას მიხი სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე.<sup>7879</sup>

ითვლება, რომ „სოფისტი“ პლატონის ადრეული და შუა პერიოდის დიალოგებისაგან განსხვავებით ნაკლებად მხატვრულია და იგი ე.წ. დრამატულ დიალოგთა რიცხვს მიეკუთვნება. მასში თითქმის არ გვაქვს მოქმედება, აქ არის წმინდა მსჯელობა და ამდენად ჩვენ უნდა განვიხილოთ მსჯელობის კომპოზიცია, ის, თუ როგორ ნაწილდება დიალოგში ფილოსოფიური პრობლემატიკა. ძირითად სტრუქტურულ ერთეულებად გამოვყოფთ სოფისტის დეფინიციებს, რომლებიც ერთიანობაში ქმნის დიალოგის სიმეტრიულ სტრუქტურას, თავის მხრივ კი თითოეულ დეფინიციაში შეინიშნება გარკვეული სიმეტრია.

„სოფისტში“ განვითარებული მსჯელობა, რაც ქმნის დიალოგის ფაზულას, ცალკეულ მონაკვეთებად შეგვიძლია დავყოთ:

1. **პროლოგი (ექსპოზიცია)** (216 a – 218 b). სოკრატესა და თეოდოროსის შეხვედრა და საუბრის თემის განსაზღვრა. ეს არის დიალოგის შესავალი ნაწილი, რომელიც პირველ სტრუქტურულ ერთეულად გამოიყოფა. იმავდროულად ის შეიძლება იყოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ნაწილი ტრილოგიისათვის: „სოფისტი“, „პოლიტიკოსი“, „ფილოსოფოსი“. აქვე ხდება თანამოსაუბრების გაცნობა და საუბრის მეთოდის დიალოგის შერჩევაც.
2. **მეთევზის დეფინიცია** (218 c – 221 c). ეს არის ერთგვარი საცდელი დეფინიცია, მარტივი საკითხის (მეთევზე) კვლევა, რომელიც გახდება ნიმუში უფრო რთული საკითხის (სოფისტი) საპალეგად.
3. **სოფისტის პირველი დეფინიცია** (221 c – 223 b). პირველი დეფინიცია მიჰყვება მეთევზის პარადიგმას და მთლიანად მონადირის საქმიანობაზეა აგებული.
4. **სოფისტის მეორე დეფინიცია** (223 c – 224 d). მეორე დეფინიცია წარმოადგენს სოფისტს როგორც გაჭარს და ძალიან მცირე მოცულობისაა.

<sup>78</sup> ადსანიშნავია, რომ ქართულ მეცნიერებაში უკვე განხორციელდა პლატონის სხვა დიალოგების სტრუქტურის ანალიზიც, კერძოდ, ეს ნაწარმოებებია „ფედონი“ და „კრატილოსი“ (დაწვრილებით იხ.: 26; 27).

<sup>79</sup> განსაკუთრებულ მადლობას მოვახსენებ ბატონ რისმაგ გორდეზიანს ნაშრომის მოცემულ თავთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებისა და რეცომუნდაციებისთვის.

5. სოფისტის მესამე დეფინიცია (224 d). მესამე დეფინიციაც, სოფისტი ვაჭარი ძალიან მოკლეა და ის გარკვეულწილად მეორე დეფინიციის დაზუსტებაა.
  6. სოფისტის მეოთხე დეფინიცია (224 e – 225 d). აქ სოფისტი განსაზღვრულია, როგორც ერისტიკის ხელოვანი.
  7. სოფისტის მეხუთე დეფინიცია (226 a – 231 c). სოფისტის ეს დეფინიცია წინა ორთან შედარებით ვრცელია და აქ სოფისტი ფუჭი სიბრძნის მამხილებელია.
  8. ინტერმედია (231 c – 231 e). აქ გვაქვს მცირე შესვენება, რომლის დროსაც ხდება საუბრის პირველი ნაწილის რეზიუმირება, კერძოდ კი ერთადაა თავმოყრილი სოფისტის აქამდე მიღებული დეფინიციები.
  9. უმაღლეს გვართა ზიარება და დიალექტიკა (232 a – 264 d). აქ უკვე სოფისტის კიდევ ერთი დეფინიციის განსაზღვრისას საჭირო ხდება არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა, არსის გვარების კრიტიკა. ეს სტრუქტურული ერთეული ყველაზე ვრცელია და მას უჭირავს დიალოგის თითქმის ნახევარი.
  10. სოფისტის მეექვსე დეფინიცია – დასკვნა (264 e - 268 d). ეს არის ყველაზე ამომწურავი დეფინიცია, რომელშიც ფაქტობრივად პუნქტობრივადაა ჩამოთვლილი ყველა ის საქმიანობა, რითიც არის დაკავებული სოფისტი. ეს შემაჯამებელი დეფინიცია იმავდროულად ამ დიალოგის დასკვნაცაა.
- ამრიგად, სახეზეა დიალოგის 10 ძირითადი მონაკვეთი, რომელთაგან თითოეულს, თავის მხრივ, აქვს ექსპოზიცია, რომელიც გულისხმობს საკითხის დასმას. თითოეული ეს ნაწილი კი გარკვეულ სტრუქტურულ-სიმეტრიულ მიმართებაშია ერთმანეთთან და ქმნის დიალოგის ერთიან არქიტექტონიკას. თავდაპირველად გვაქვს შესავალი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს დიალოგის ძირითად მისაღწევ მიზანს. შემდეგ მოდის დეფინიციების სერია, რომელსაც საქმაოდ ვრცელი ადგილი უკავია. ამას მოჰყვება ინტერმედია და შეჯამება წინა მსჯელობის შედეგად მიღებული შედეგებისა, რაც თავის მხრივ, არის გზა მარტივიდან უფრო რთულ საკითხზე გადასასვლელად, შემდეგ კი იწყება ყველაზე ვრცელი და რთული ნაწილი არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა და უმაღლეს გვართა ზიარება, რასაც ბოლოს კვლავ მოჰყვება სოფისტის უკანასკნელი დეფინიცია, რომელიც იმავდროულად ამ დიალოგის დასკვნაცაა. სტრუქტურულად ეს ყველაფერი შემდეგნაირად შეგვიძლია გამოვსახოთ:

A - პროლოგი (ექსპოზიცია)

B - საკითხის დასმა

C - მეთევზის დეფინიცია

B<sub>1</sub> - საკითხის დასმა

C<sub>1</sub> - სოფისტის პირველი დეფინიცია

B<sub>2</sub> - საკითხის დასმა

C<sub>2</sub> - სოფისტის მეორე დეფინიცია

B<sub>3</sub> - საკითხის დასმა

C<sub>3</sub> - სოფისტის მესამე დეფინიცია

B<sub>4</sub> - საკითხის დასმა

C<sub>4</sub> - სოფისტის მეოთხე დეფინიცია

B<sub>5</sub> - საკითხის დასმა

C<sub>5</sub> - სოფისტის მეხუთე დეფინიცია

B<sub>6</sub> - საკითხის დასმა

C<sub>6</sub> - არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა

B<sub>7</sub> - საკითხის დასმა

A<sub>1</sub> - სოფისტის მექვსე დეფინიცია = დასკვნა

ამრიგად, დიალოგში პირობითად შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი - A, B და C ელემენტი, რომელთა რიტმული მონაცვლეობა ქმნის ჰარმონიას. ამ ელემენტთაგან A გვხვდება მხოლოდ ორჯერ, თავსა და ბოლოში და გვევლინება დიალოგის საყრდენად და გამაერთიანებლად. A ელემენტის, ანუ პროლოგის (ექსპოზიციის) და დასკვნის, თავსა და ბოლოში არსებობა არის ზოგადად ნებისმიერი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი თვისება. რაც შეეხება B და C ელემენტებს, მათ შორის არის მიმართებითი კავშირი, ანუ ეს არის არა იდენტური, არამედ ერთმანეთის მსგავსი ნაწილები, რომელთა შორის არის სტრუქტურული და კომპოზიციური ურთიერთმიმართებები. B ელემენტი გვხვდება რვაჯერ, ეს არის ყველაზე მოკლე, მაგრამ თავისთავად უმნიშვნელოვანესი ერთეული, რადგანაც წარმოადგენს დიალოგის თავისებურ სახსარს, სხვადასხვა ნაწილების შემაერთებელს. რაც შეეხება C ელემენტს, ეს არის საკუთრივ დიალოგის ფილოსოფიური მსჯელობის გაშლა და ის გვხვდება შვიდჯერ, ექვს შემთხვევაში

ესაა დეფინიციები, ხოლო მეშვიდეში - არსებულისა და არარსებულის დიალექტიკა.

შესაბამისად, ვიდებთ საინტერესო და ორიგინალურ სტრუქტურას, რომელშიც ელემენტები ისეა განაწილებული, რომ ორგანიზაციის მხრივ წარმოადგენს ”წყვილთა” გამეორებებს. A ელემენტის თავსა და ბოლოში ყოფნა განაპირობებს დიალოგის წრიულ სიმეტრიას, ხოლო B და C ელემენტების რიტმული მონაცვლეობა, B C B<sub>1</sub> C<sub>1</sub> B<sub>2</sub> C<sub>2</sub> B<sub>3</sub> C<sub>3</sub> B<sub>4</sub> C<sub>4</sub> B<sub>5</sub> C<sub>5</sub> B<sub>6</sub> C<sub>6</sub> B<sub>7</sub> დიალოგის წყვილთა გამეორების ორგანიზაციულ პრინციპს.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მთელი ნაწარმოების დონეზე გვაქვს მკაცრად სისტემატიზებული სტრუქტურული ორგანიზაცია. ორიგინალური სტრუქტურული ორგანიზების პრინციპი შეინიშნება ცალკეული პასაჟების და ეპიზოდების დონეზეც, რაც სტრუქტურულად ასე შეიძლება გამოიხატოს:

### მეთევზის დეფინიცია:

- A - მეთევზე
- B - მოპოვებითი ხელოვნება
- C - ხელში ჩაგდების ხელოვნება
- D - ნადირობა
- E - სულიერ არსებებზე ნადირობა
- F - თევზჭერა
- G - დარტყმით ნადირობა
- H - კავით ნადირობა
- I - ამოქაჩვა ქვემოდან ზემოთ
- B - მოპოვებითი ხელოვნება
- C - ხელში ჩაგდების ხელოვნება
- D - ნადირობა
- E - წყლის ცხოველებზე ნადირობა
- F - თევზჭერა
- G - დარტყმით ნადირობა
- H - კავით ნადირობა

I - ამოქაჩვა ქვემოდან ზემოთ

A - მეოვეზე

ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ პირველივე ეპიზოდი მეოვეზის დეფინიცია – წარმოადგენს საინტერესო სტრუქტურას. კერძოდ, აქაც დიალოგის მსგავსად გვაქვს A ელემენტი თავსა და ბოლოში, ოდონდ იმ განსხვავებით, რომ A ელემენტი ამ შემთხვევაში წარმოადგენს აბსოლუტურად იდენტურ ერთეულებს და კრაგს ამ ეპიზოდს, აერთიანებს მას. ამ ელემენტის თავსა და ბოლოში არსებობა განაპირობებს წრიული კომპოზიციურობისაკენ სწრაფვას, მაგრამ ამას ხელს უშლის საკუთრივ ორ A ელემენტს შორის მოქცეული დანარჩენი ელემენტები, რომლებიც ამჟღავნებს პარალელური დაყოფისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას, კერძოდ კი: B C D E F G H I B C D E F G H I. ეს ელემენტებიც იდენტური ერთეულებია და თითოეული ორ-ორჯერ მეორდება ტექსტში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ გვაქვს წრიული სიმეტრიისა და პარალელური დაყოფის ნაზავი.

**სოფისტის პირველი დეფინიცია:**

A - სოფისტი

B - მონადირე

C - ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა

D - შინაურ ცხოველებზე ნადირობა

E - შეგონების ხელოვნება

F - გასამრჯელოს მომთხოვნი

G - კერძო ნადირობა

H - მაამებლობის ხელოვნება

B - ნადირობა

C - ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა

D - შინაურ ცხოველებზე ნადირობა

E - \_\_\_\_\_

F - გასამრჯელოს მომთხოვნი

G - \_\_\_\_\_

H - \_\_\_\_\_

**A - სოფისტიკა**

მეორე ეპიზოდი სოფისტის პირველი დეფინიცია მთელი დიალოგისა და მისი პირველი ეპიზოდის მსგავსად იმეორებს A ელემენტს თავსა და ბოლოში, სადაც A ელემენტი აბსოლუტურად იდენტურ ერთეულებს წარმოადგენს და კრავს და აერთიანებს აღნიშნულ ეპიზოდს. ამ ელემენტის თავსა და ბოლოში არსებობაც განაპირობებს წრიული კომპოზიციურობისაკენ სწრაფვას, მაგრამ ამას ხელს უშლის საკუთრივ ორ A ელემენტს შორის მოქცეული დანარჩენი ელემენტები, რომლებიც ამჟღავნებს პარალელური დაყოფისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას, კერძოდ კი: B C D E F G H B C D E F G H. ეს ელემენტებიც იდენტური ერთეულებია და თითოეული ორ-ორჯერ მეორდება ტექსტში. თუმცა აქ სამ შემთხვევაში გვაქვს ისეთი ელემენტი, რომელიც აკლია, ამოვარდნილია, რაც გარკვეულწილად ანგრევს ამ ეპიზოდისა და მთელი დიალოგისათვის დამახასიათებელ პარმონიულ სტრუქტურას, თუმცა მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაშიც გვაქვს წრიული და პარალელური დაყოფის ნაზავი.

**სოფისტის მეორე დეფინიცია:**

- A - მოპოვებითი ხელოვნება
- B - გადაცვლის ხელოვნება
- C - სავაჭრო
- D - გადაცვლის ხელოვნება
- E - მსხვილი ვაჭრობა
- F - ცოდნით ვაჭრობა
- G - სოფისტი
- A - მოპოვებითი ხელოვნება
- B - გადაცვლის ხელოვნება
- C - სავაჭრო
- D - \_\_\_\_\_
- E - \_\_\_\_\_

## F - ცოდნით გაჭრობა

მესამე ეპიზოდი სოფისტის მეორე დეფინიცია წინა ორთან შედარებით მოკლეა და სტრუქტურულად მეტ თავისებურებას ავლენს. დავიწყოთ იმით, რომ აქ ადარ გვაქვს თავსა და ბოლოში არსებული გამაერთიანებელი A ელემენტი. იგი აქ ჯდება პარალელურ დაყოფაში. კერძოდ კი ვიღებთ ამგვარ სტრუქტურას: A B C D E F G A B C D E F. ანუ A-დან მოყოლებული F ელემენტების ჩათვლით გვაქვს პარალელური დაყოფის პრინციპი, თუმცა აქაც აკლია ორი, D და E ელემენტი. G ელემენტი წარმოადგენს ამ სტრუქტურის ცენტრს. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ეს ელემენტი არის ერთმანეთის იდენტური და თითოეული ორ-ორჯერ მეორდება ტექსტში. აქაც გარკვეულწილად წრიული და პარალელური დაყოფის ნიშნები გვაქვს.

### სოფისტის მეოთხე დეფინიცია:

- A - მოპოვებითი ხელოვნება
- B - შეჯიბრება
- C - საბრძოლო ხელოვნება
- D - პაექრობა
- E - შეწინააღმდეგება
- F - ერისტიკა
- G - სოფისტი
- H - ერისტიკა
- I - შეწინააღმდეგება
- J - პაექრობა
- K - საბრძოლო ხელოვნება
- L - შეჯიბრება
- M - მოპოვებითი ხელოვნება

მესამე ეპიზოდი სოფისტის მეოთხე დეფინიცია კარგად ორგანიზებულია და ამჟღვნებს წრიული დაყოფის პრინციპებს, რაც სტრუქტურულად ასე შეიძლება

გამოვსახოთ: A B C D E F G F E D C B A. ანუ თითოეული ერთმანეთის იდენტური ერთეული ორ-ორჯერ მეორდება. არ არის გამოტოვებული ელემენტები და მთლიანობაში წარმოდგენილია წრიული სიმეტრია.

### სოფისტის მეხუთე დეფინიცია:

A - სოფისტი

B - გარჩევის ხელოვნება

C - განწმენდა

D - სულის განწმენდა

E - სწავლების ხელოვნება

F - აღზრდა

G - მხილება

B - გარჩევის ხელოვნება

C - განწმენდა

D - სულის განწმენდა

E - სწავლების ხელოვნება

F - აღზრდა

G - მხილება

A - სოფისტიკა

რაც შეეხება მეოთხე ეპიზოდს სოფისტის მეხუთე დეფინიციას აქაც პირველი ეპიზოდის მსგავსად A ელემენტი თავსა და ბოლოშია, წარმოადგენს იდენტურ ერთეულებს და კრავს ამ ეპიზოდს, აერთიანებს მას. ამ ელემენტის თავსა და ბოლოში არსებობა განაპირობებს წრიული კომპოზიციურობისაკენ სწრაფვას, მაგრამ ამას ხელს უშლის საკუთრივ ორ A ელემენტს შორის მოქცეული დანარჩენი ელემენტები, რომლებიც ამჟღავნებს პარალელური დაყოფისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას, კერძოდ კი: B C D E F G B C D E F G . ეს ელემენტებიც იდენტური ერთეულებია და თითოეული ორ-ორჯერ მეორდება ტექსტში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქაც გვაქვს წრიული სიმეტრიისა და პარალელური დაყოფის ნაზავი.

### **სოფისტის მექანიკური დეფინიცია:**

- A - შემოქმედებითი ხელოვნება
- B - ადამიანური შემოქმედება
- C - გამოსახულებათა შექმნის ხელოვნება
- D - მოჩვენებათა შექმნის ხელოვნება
- E - ბაძის ხელოვნება
- F - შეხედულებით ბაძა
- G - ირონიული ბაძა
- H - ორატორი
- I - სოფისტი
- H - \_\_\_\_\_
- G - ირონიული ნაწილი
- F - შეხედულებით ბაძა
- E - \_\_\_\_\_
- D - მოჩვენებები
- C - გამოსახულებები
- B - ადამიანური შემოქმედება
- A - \_\_\_\_\_

და ბოლოს, მეხუთე ეპიზოდი სოფისტის მექანიკური დეფინიცია ასევე ამჟღავნებს წრიული დაყოფის პრინციპებს, რაც სტრუქტურულად ასე შეიძლება გამოვსახოთ: A B C D E F G H I H G F E D C B A. ანუ თითოეული ერთმანეთის იდენტური ერთეული ორ-ორჯერ მეორდება. გამოტოვებულია სამი ერთეული. ადსანიშნავია, რომ აქ არის ის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც A ელემენტი აკლია. მთლიანობაში შეინიშნება წრიული დაყოფის სტრუქტურული ორგანიზაცია.

ამრიგად, კვლევამ ცხადყო, რომ პლატონის ”სოფისტში” წარმოდგენილია სიმეტრია ცალკეული პასაუებისა და სიტყვების დონეზე. ექვს შემთხვევაში ცალკეულ ეპიზოდს აღმოაჩნდა სტრუქტურული ორგანიზაციის ერთმანეთისაგან განსხვავებული და თვითმყოფადი, ორიგინალური სახე. კერძოდ, ოთხ შემთხვევაში გვაქვს წრიული და პარალელური დაყოფის ორიგინალური ნაზავი, ხოლო ორ შემთხვევაში – წმინდა სახის წრიული სიმეტრია. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ

რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს მცირე სახის ”ამოვარდნები”, ანუ ”ელემენტი უნდა იყოს, მაგრამ აკლია”. მთლიანობაში კი სტრუქტურული ერთეულები საკმაოდ კარგად ჯდება ერთიან სისტემაში და ქმნის მოწესრიგებულ, ორგანიზებულ სტრუქტურას.

იბადება შეკითხვა: რა განაპირობებს ცალკეული ელემენტების ”ამოვარდნას”? ნუთუ ამას პლატონი შეგნებულად აკეთებდა? იქნებ ეს ელემენტები ოდესდაც იყო ტექსტში და ჩვენამდე ვერ მოაღწია? ამ კითხვებზე პასუხი არ არის მარტივი. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ შინაარსობრივად, კონტექსტის გათვალისწინებით პლატონმა აღარ მოინდომა გარკვეული სტრუქტურული ერთეულების განმეორება და რომ ეს შეგნებულად მოხდა. ვერც იმას ვიტყოდით, რომ პლატონისათვის დამახასიათებელი სტილის ავტორს გასჭირვებოდა კონტექსტში რამდენიმე ელემენტის ჩასმა, რათა სტრუქტურული კომპოზიცია არ დარღვეულიყო. შესაძლოა, აქ გარკვეული ტექსტი დაკარგულია, მაგრამ ესეც სადაგოა.

მიმართავდა თუ არა პლატონი დიალოგის სტრუქტურული ორგანიზაციის ამგვარ სტილს გაცნობიერებულად? ვფიქრობ, ამას განაპირობებდა თვითონ ფილოსოფიური დიალოგის სპეციფიკა. პლატონს სურდა, რომ მის მსმენელს მასთან ერთად ეპვლია. იმისათვის კი, რომ აუდიტორია კარგად აჟყოლოდა საუბრის დინამიკას და მიღებული დასკვნები არ დავიწყებოდა, მას სჭირდებოდა ერთი და იმავეს შეხსენება, ხაზგასმა. შესაძლოა, ამიტომაც ხდება ისე, რომ ეპიზოდებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ორგანიზებაში თითოეული ელემენტი ორჯერ მეორდება. ერთხელ მის წარმოსაჩენად და მეორედ – ხაზგასასმელად, მკითხველისათვის შესახსენებლად. ანუ სტრუქტურული და კომპოზიციური ორგანიზაციის ის ფორმა, რომელიც ამ დიალოგში იჩენს თავს, არ უნდა ყოფილიყო პლატონის თვითმიზანი. ამას ალბათ უფრო ფილოსოფიური დიალოგის ლოგიკა და სპეციფიკა განაპირობებდა.

სამწუხაროდ, არსებობს პლატონის დიალოგების სტრუქტურის კვლევის მხოლოდ რამდენიმე ცდა და ჩვენ საშუალება არ გვაქვს განვიხილოთ პლატონის ”სოფისტის” კომპოზიციური თავისებურებები სხვა დიალოგების სტრუქტურული ორგანიზების პრინციპებთან მიმართებაში. კარგი იქნება თუ ეს მდგომარეობა მომავალში შეიცვლება და საშუალება მოგვეცემა პლატონის დიალოგების დაჯგუფებისა მათი სტრუქტურულ-კომპოზიციური აგების პრინციპების

შესაბამისად. თუ პლატონის დიალოგებს სტრუქტურული ანალიზის მეთოდით გამოვიყვლევთ, ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ღრმად და ახლებურად გავიაზროთ მისი შემოქმედება.

## თავი VI

### პლატონის “სოფისტის” ტერმინლოგია

პლატონის შემოქმედების თარგმნისა და ინტერპრეტირებისას მრავალი პრობლემა იჩენს თავს, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადი ტერმინოლოგიასთან არის დაკავშირებული. როგორ უნდა მოვუძებნოთ ზუსტი ქართული შესატყვისები ბერძნულ ცნებებს? მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ფილოსოფიას და ტექნიკურ ტერმინებს, რომელთა ოდნავ განსხვავებული ნიუანსური ინტერპრეტირებაც კი ფილოსოფიური პრობლემისა და მასთან დაკავშირებული მეცნიერული ნააზრევის მცდარ გააზრებას გამოიწვევს.

ტერმინთა ქართული შესატყვისების მოძიებისას შემდეგ მეთოდოლოგიას მივმართე: 1. თავდაპირებულად განვიხილე ტერმინის მნიშვნელობები თავად ძველ ბერძნულ ენაში; 2. ამ ტერმინის გამოყენების სპეციფიკა პლატონის დიალოგებში; 3. ტერმინის მნიშვნელობა კონკრეტულად “სოფისტში”; 4. წარმოვადგინე ამ ტერმინის ქართული შესატყვისი.

”სოფისტში” გამოყენებული ტერმინები შინაარსობრივად პირობითად შემდეგ ძირითად ჯგუფებად შეიძლება დაიყოს: 1. ონტოლოგიური ტერმინები; 2. გამოსახულებათა შექმნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები; 3. აზროვნებასთან, მსჯელობასა და საუბართან დაკავშირებული ტერმინები; 4. ადამიანის სხადასხვა საქმიანობისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელი ტერმინები; 5. ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები; 6. სულის დაავადებებთან დაკავშირებული ტერმინები.

#### ონტოლოგიური ტერმინოლოგია

ზემოთ გამოყოფილ პირველივე შინაარსობრივ ჯგუფში გვაქვს ტერმინთა შემდეგი ქვეჯგუფი: *to; oī, to; mī; oī, ta; oīta, to; eīhai, oujīia, oītw~*. *Eīhi* ზმნას ძველ ბერძნულში შემდეგი ძირითადი მნიშვნელობები აქვს: 1. ეგზისტენციალური არსებობა ა) ადამიანების, ბ) რეალური სამყაროსი, გ) მოვლენების; 2. რაიმე ფაქტის ან შემთხვევის არსებობა; 3. შემაერთებელი, მაკავშირებელი ზმნა, რომელიც აკავშირებს ა) პრედიკატივს სუბიექტთან, ბ) მიმღეობას ზმნასთან; 3.

რაღაცის მარადიულად არსებობა აქა ნაწილაკთან ერთად ხმარებისას (16, 487-489). დანარჩენი ტერმინები სწორედ ამ საწყისიდან არის ნაწარმოები და ხშირად მათი ზუსტი ეკვივალენტების მოძიება ქართულში საკმაოდ რთულია. თავად პლატონი ამ ზმნას სხვადასხვა დიალოგში იყენებს უკლებლივ ყველა ამ მნიშვნელობით, მაგრამ როდესაც საქმე დიალოგ “სოფისტს” და მასში განვითარებული ონტოლოგიური სტრუქტურის თეორიას ეხება, აქ პლატონი *to; eihai*-ს იყენებს რეალური სამყაროს არსებობის, ეგზისტენციის მნიშვნელობით. მის შესატყვისად შეიძლება გამოვიყენოთ “არსებობა”.

რაც შეეხება ტერმინებს *to; oī* და *to; mī; oī*, აქ საქმე შედარებით გარკვეულია, ორივე არის *to; eihai*-დან ნაწარმოები მიმღეობა: ერთი – დადებითი და მეორე – უარყოფითი მნიშვნელობებით და ქმნის ოპოზიციურ (ანტინომიურ) წყვილს არსებული-არარსებული. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძენისთვისაც კი ეს ტერმინი არ იყო ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე და მარტივად გასაგები. მი, უფრო სწორად კი *to; oī* ნიშნავდა: 1. აბსტრაქტულად არსებულს, 2. არსებულ საგანთა კრებულს, ერთობლიობას, 3. უბრალოდ რაღაც საგანს, რომელიც არსებობს (16, 488). ზუსტად იგივე მნიშვნელობები მეორდებოდა ამ ფორმის მრავლობითი რიცხვისთვისაც – *ta; oīta*. გარდა ამისა, პლატონთან ეს ტერმინი ხშირად იღებს *oujia*-ს მნიშვნელობასაც და გვავლინება მის სინონიმადაც კი. საერთოდ პლატონთან მკაცრად არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული ტერმინების *to; oī*, *ta; oīta* და *hī oujia* მნიშვნელობები. განსხვავებული ნიუანსური მნიშვნელობით გამოიყენება ისინი სხვადასხვა დიალოგის სხვადასხვა კონტექსტში, თუმცა თითოეული მათგანი აუცილებლად უპირისპირდება და ქმნის ოპოზიციურ წყვილს ტერმინთან *genesi* – “გახდომა”, “წარმოშობა”.

“სოფისტში” განვითარებული მოქმედება თავად მიგვანიშნებს “არარსებულის” მნიშვნელობაზე. სოფისტი არის მატყუარა, რომელიც ქმნის არარსებულ გამოსახულებებს. ის ქმნის ისეთ რაღაცებს, რაც მიეკუთვნება “გამოჩენის” (*fainesqai*), “მიჩნევის” (*dokein*) სფეროს, მაგრამ არა “არსებობისას” (*to; eihai*). თავის მხრივ *fainesqai* უკავშირდება ტერმინს *fantasma*, ანუ ის, რაც ჩანს არ არის ჭეშმარიტი, ის მხოლოდ მოჩვენებითია. ამრიგად, გამოსახულება თავისთავად გამოდის არარსებულის ეპითეტი, რაც დამატებით პრობლემებს წარმოშობს

არსებობს კი არარსებული? თუ ჩვენ ამ ტერმინით რადაცას ავღნიშნავთ და რადაცას ვგულისხმობთ, ესე იგი ეს უკვე “არსებულია”. ამგვარად, არაფერზე არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის “არარსებულია”.

რაც შეეხება ტერმინს *ta oīta*, ძველ ბერძნულში ამგვარი ტიპის, ანუ საშუალო სქესის მრავლობითი რიცხვის სახელი კრებით არსებით სახელს შეესაბამება, რისი პირდაპირი გადმოტანაც ქართულში ძნელია. ამიტომ ამ ტერმინს ვთარგმნი სიტყვით “არსებული” და მასში ვგულისხმობ “ყველაფერს, რაც კი არსებობს”.

სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს ტერმინს *oīstia*. ჩვეულებრივ, ძველ ბერძნულში ეს ტერმინი შემდეგი მნიშვნელობებით გამოიყენება: 1. მატერიალური ქონება; 2. სუბსტანცია; 3. არსებული; 4. რეალური ბუნება (16, 1274). პლატონის დიალოგებში და განსაკუთრებით კი “სოფისტში”, მას არსებითად განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა აქვს და ქმნის ოპოზიციურ წყვილს ტერმინთან *genesi~*, ანუ მას ისევ და ისევ არსებობის მნიშვნელობა ენიჭება მცირე ნიუანსური განსხვავებით. ვარჩიე ეს ტერმინი გადმომეტანა როგორც “არსებობა”, რადგან დიალოგის კონტექსტი ამ ტერმინს უპირისპირდებს “ქმნადობას”, “წარმოშობას”. ტერმინი *oīstia* დიალოგ სოფისტში უპირისპირდება *genesi~*-ს, ანუ ესაა “არსი”, რომელიც არ ექვემდებარება ჟამთა და გარემოებათა ცვლას.

სირთულესთანაა დაკავშირებული ტერმინ *oītw~*-ის თარგმნაც. გრამატიკულად ეს არის ზმნიზედური ფორმა ზმნიდან *to eihai* და ქართულადაც ვარჩიე იმავე გრამატიკული პატეგორიით გადმომეტანა, ესაა “ჰეშმარიტად”. მაგ: ფრაზა ი იქტე *filiosifo~* ქართულად ყველაზე უკეთ შეიძლება გადმოიცეს ასე: “ჰეშმარიტად ფილოსოფოსი”, ანუ “ფილოსოფოსი “თავისი ყველაზე უფრო რეალური ბუნებით”.

Η *genesi~* ძველ ბერძნულში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით გამოიყენებოდა, კერძოდ კი: 1. წარმოშობა, საწყისი, წყარო; 2. წარმომავლობა, ეროვნება; 3. პროდუქცია, წარმოება; 4. კონკრეტული შემოქმედება; 5. თაობა; 6. ქმნადობა, სისრულეში მოყვანა (16, 343). “სოფისტში” ეს ტერმინი სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გამოიყენება და ქმნის ოპოზიციურ

წყვილს ტერმინთან *τοιοī*, ანუ ის, რაც მარად არსებობს, უპირისპირდება იმას, რაც ქმნადია, რასაც სჭირდება წარმოშობა, სისრულეში მოყვანა.

Τοιοī-ის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ფლობს რაღაც ძალას (*kekthmenon dunamin*), ხოლო ის, რაც ფლობს ძალას, ჭეშმარიტად არსებობს (*oītw~ eīhai*). ამრიგად, საგანი, რომელიც არსებობს სხვა არაფერია, თუ არა ძალა (*ta; oīta, w~ eīstin ouīk alīo ti plīhīn dunami~*) (Soph. 247d-e). ძალას კი ორგვარი გავლენა შეიძლება ჰქონდეს არსებულზე, ის ან მოქმედებს მასზე (poieīn), ან თავად დაითმენს მისგან მოქმედებას (paqeīn). ამის მსგავსი მსჯელობა გვხვდება “თევტეტოსშიც” (*dunamin de; to; men poieīn eīcon, to; de; paqcein*) (Tht. 156a).

ამრიგად, “სოფისტში” შემოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტერმინი, რომელსაც ძველ ბერძნულში ჰქონდა ძალის მნიშვნელობა ოდონდ ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ნიუანსებით, კერძოდ კი: 1. ფიზიკური ძალა, შესაძლებლობა; 2. გავლენა, ავტორიტეტი; 3. საომარი ძალა; 4. საშუალება, სახსრები, ქონება; 5. ღვთიური, ზეციური ძალა; 6. ენერგია (16, 343). პლატონი ამ დიალოგში ძალას (*dunami~*) ყველაფრის მამოძრავებლად და შემქმნელად, ანუ არსებულის ძირითად მახასიათებლად და თითქმის მის სინონიმად წარმოგვიდგენს, რაც შეგვიძლია ვთარგმნოთ, ერთი მხრივ, როგორც ენერგია, და, მეორე მხრივ, როგორც ძალა, შესაძლებლობა. დიალოგის კონტექსტიდან გამომდინარე, ვარჩიე ამ ტერმინის თარგმნა “ძალად” ან “შესაძლებლობად”.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ონტოლოგიური ტერმინია *κοινωνία* (ზიარება, კავშირი). “სოფისტში” მის სინონიმებად გამოიყენება აგრეთვე ტერმინები: შერევა (*summeiγnumi*), შერწყმა (*sunarmwttw*), მიღება (*decomai*), მონაწილეობა (*meteīcw*) და წვლილის შეტანა (*metal ambanw*). თითოეული ეს ტერმინი ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება და განსაზღვრავს უმაღლეს გვართა ზიარებას.

არ არის მკვეთრად გამიჯნული ტერმინების “გვარი” (*geno~*) და “სახე” (*eīdo~*) მნიშვნელობა. დიალოგის ძირითად ნაწილში ეს ორი ტერმინიც ერთიმეორის პარალელურად გამოიყენება სინონიმური მნიშვნელობით. ასეა ეს პლატონის გვიანი პერიოდის სხვა დიალოგებშიც. განსხვავებას ის ქმნის, რომ როდესაც საუბარია უმაღლეს გვარებზე (*megista genh*) აქ ვერსად ვხდებით ტერმინს *eīdo~*. ანუ გვარი არის უფრო მსხვილი და ზოგადი კატეგორია, რომელიც იყოფა სახეებად (*eīdo~*).

ქართულად გადმოტანისას ვარჩიე ამ ტერმინთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა, როგორც “გვარი” (*geno-*) და “სახე” (*eido-*).

მოკლედ შევჩერდები კიდევ ორ მნიშვნელოვან ფრაზაზე, რომელიც გვართა ზიარების თეორიის გადმოცემისას გვხვდება. ნებისმიერი რამ, საგანი იქნება ეს, გვარი თუ სხვა, შეიძლება განვიხილოთ ორი სახით, ესენია *kaq j aujtov* (თავის თავში) და *pro- alia* (სხვების მიმართ). პირველი მათგანი გამოხატავს რაღაცის აბსოლუტურ არსებობას, იმას, რასაც ეს რაღაც წარმოადგენს ჭეშმარიტად, ხოლო მეორე ამ რაღაცის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს, რაც ჩანს სხვისთვის, მაგრამ რაც ვერ ასახავს რეალობას, ჭეშმარიტებას. ამიტომ, როდესაც რაიმეს გაგება გსურს, ის უნდა განჭვრიტო და განიხილო პირველი ვარიანტით – *kaq j aujtov* (თავის თავში).

### გამოსახულებათა შექმნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები

დიალოგის განვითარება სოფისტის ერთ-ერთი დეფინიციის განსაზღვრისას გვაძლევს კიდევ ერთ საინტერესო ლექსიკურ ტერმინოლოგიურ ჯგუფს. კერძოდ კი, დიალოგში ნათქვამია, რომ სოფისტი არის გამოსახულებების (*eiphi a*) შემქმნელი, რომელიც მოღვაწეობს გამოსახულებათა შექმნის ხელოვნებაში (*eiphi oportiikh*). ამ ხელოვნების დაყოფის პირველი ნაბიჯი კი ასეთია: გამოსახულებები იყოფა ხატებად (*eikona*) და მოჩვენებებად (*phantasma*). აღსანიშნავია, რომ ამ დიალოგის გარდა ეს სამი ტერმინი არსად არ გვხვდება ერთ ჯგუფად (42, 67).

*Eiphi on* “სოფისტში” ჩვეულებრივ გამოიყენება გამოსახულების, ანუ იმის აღსანიშნავად, რაც არის გამოსახულებათა შექმნის ხელოვნების პროდუქტი. *Eiphi on-i* თავდაპირველი ბერძნული მნიშვნელობა არის “მოჩვენება”, “ლანდი”. ეს არის ერთადერთი მნიშვნელობა, რომელიც გვხვდება ჰომეროსთან. პლატონიც ახდენს ჰომეროსის ციტირებას და ხშირად იყენებს ამ ტერმინს ამავე მნიშვნელობით (Resp. III, 386d; Ion 593 a; Phd. 81 d; Leg. 959 b) (20, 609). თუმცა უფრო ხშირად პლატონთან კონცენტრირება ხდება ფილოსოფიური დატვირთვის მქონე მნიშვნელობებზე, რომლებსაც რაღაც კავშირი აქვთ “ხილვის” სემანტიკასთან, ანუ

ისეთი სუბიექტების არსებობასთან, რაც არის ხილული, მაგრამ არსებობის არარეალური ნაწილი.

ხშირად ტერმინი *eiphiōn* გამოიყენება ხილული გამოსახულების ან ორიგინალის ასლის მნიშვნელობით. ასევა “სოფისტში”, სადაც მხატვრების ნამუშევრები მოხსენიებულია *eiphiā* დ, ისევე როგორც “სახელმწიფოში” (Resp. X, 596 a). ეს ტერმინი გამოიყენება აგრეთვე წყალსა და სარკეში არსებულ გამოსახულებათა აღსანიშნად (Ti. 46 a; Resp. III, 402 b; Resp. VII, 516 a) (20, 609).

მოგვიანებით *eiphiōn* განმარტებულია როგორც უხილავ არსებათა აღმნიშვნელი რადაც ხილული გამოსახულება. “პოლიტიკოსში” (Polit. 286 a) საუბარია იმაზე, რომ არ არსებობს უმაღლეს და უკეთილშობილეს არსებათა (*megistoi~ oūsi kai; timwtaittoi~*) შესაბამისი რაიმე ხილული გამოსახულება (*eiphiōn*). “ფედროსში” (Phdr. 250 a) საუბარია იმაზე, რომ არ არსებობს გონიერების (*fronhsī~*) თვალით ხილული გამოსახულება (*eiphiōn*), არსებობს მხოლოდ სილამაზის გამოსახულებები. სულ მცირე ამ ორ უკანასკნელ მონაკვეთში საუბარია უხილავის აღმნიშვნელ ხილულ გამოსახულებაზე, რაც ძალიან ბევრ არსებულს საერთოდ არ გააჩნია. ანუ აქ საუბარია ხილულ და უხილავ სამყაროს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე.

სხვა მონაკვეთებში *eiphiōn* განმარტებულია როგორც ჭეშმარიტის არასრული ხატი, რომელიც ისევე უპირისპირდება პირველწყაროს, როგორც ცრუ – ჭეშმარიტს და შეხედულება – ცოდნას. “გორგიასში” (Grg. 463 b) სოკრატე რიტორიკას უწოდებს პოლიტიკის ნაწილის გამოსახულებას (*politikh- moriōn eiphiōn*).

ამგვარად, აშკარაა, თუ რაოდენ განსხვავებული მნიშვნელობები აქვს თვით პლატონთან ერთ ტერმინს – *eiphiōn*. დასასრულ, მოვიყვან გამოქვაბულის აღეგორიას “სახელმწიფოდან” (Resp. VII, 516), სადაც საუბარია იმაზე, რომ ჭეშმარიტიდან ბაძვამდე თანმიმდევრობა ასეთია: ჩრდილები (*skia-*), გამოსახულებები (*eiphiā*) და თავად საგნები (*aujtā*). ხოლო VII წერილი შეიცავს სხვა სახის პროგრესიას: სახელი (*oīomata*), მნიშვნელობა (*lōgo-*), გამოსახულება (*eiphiōn*), ცოდნა (*ep̄isthēmē*) და თავად საგანი, სადაც იერარქია არ არის ზუსტი და თანმიმდევრული (141, 97).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ტერმინ *eiphi* ის ამდენი განსხვავებული მნიშვნელობისა, თითოეულ მათგანს აქვს ერთი საერთო მახასიათებელი, კერძოდ ის, რომ ეს არის რადაც, რაც განსხვავდება ჭეშმარიტისაგან.

პლატონთან ხშირ შემთხვევაში ტერმინები *eiphi* და *fantasma* ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელია. *eiphi* ის ყველა მნიშვნელობა, რომელიც ზემოთ წარმოვადგინე, შეიძლება დაიძებნოს *fantasma* სთვისაც. ხშირად ეს ორი ტერმინი ერთიმეორის სინონიმებს წარმოადგენს. მაგალითად, “სახელმწიფოში” (Resp. X, 596 a) ორივე ეს ტერმინი გამოიყენება “გამოსახულების”, “ხილვის” მნიშვნელობით (Parm. 165 a; Phaed. 81 d; Phil. 40 a; Ti. 71 a; Resp. VII, 532 b) (22, 470).

თუკი *fantasma* იძენს მნიშვნელობის რაიმე განსხვავებულ ნიუანსს, ეს აუცილებლად უკავშირდება წარმოსახვის, გონებრივი შემოქმედების პროდუქტს, რაც დამახასიათებელია არისტოტელესათვის და იშვიათ შემთხვევაში პლატონისთვისაც (Cra. 386e). ერთ შემთხვევაში, კერძოდ კი “ტიმეოსში” (Ti. 46 a) გამოიყენება სიზმრის, გამოცხადების მნიშვნელობა. თუმცა მეტწილად ეს სემანტიკური ნიუანსიც უკავშირდება ჭეშმარიტებას, რეალობიდან დაშორებას.

არსებობს კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც გვხვდება “სოფისტში” და გამოიყენება გამოსახულების მნიშვნელობით. ესაა *eikwn* (ხატი). მაშინ როდესაც *eiphi* და *fantasma* ხშირად გამოიყენება ერთი და იმავე მნიშვნელობით, *eikwn* იშვიათად თუ ასოცირდება რომელიმე მათგანთან. “სოფისტშიც” კი ეს ტერმინი არ გვხვდება გამოსახულებათა შექმნის ხელოვნების პირველად დიქოტომიაში. მოგვიანებით ის ჩნდება ორ შემდგომ დაყოფაში (Soph. 240 b 241 c, 260 c), თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ აქვს პრინციპულად განსხვავებული მნიშვნელობა.

*eikwn* გვხვდება განსხვავებულ კონტექსტებში, რომელთაც კავშირი აქვთ “მსგავსების” საწყის სემანტიკასთან. ხშირად *eikwn* უბრალოდ ნიშნავს “ანალოგიას” ან “შედარებას” (Phd. 87 d; Grg. 517 d; Menon, 80 c; Resp. VI, 487 b; Phil. 39 c; Ti. 29 b; Cra. 431 c; Tht. 162 e) (20, 616-617). ეს ტერმინი ასევე გამოიყენება რიტორიკული ფიგურის აღსანიშნად (Phdr. 267c). იმ კონტექსტებში, რომლებიც უკავშირდება *eikwn*-ის, როგორც გამოსახულების, ნახატის სემანტიკას, ამ ტერმინის გამოყენება ფარავს იმ მნიშვნელობას, რაც ტერმინებს *eiphi* და *fantasma* გააჩნია.

ამავე ტერმინმა შეიძლება აღნიშნოს მოქანდაკის ან მხატვრის შემოქმედების ნაყოფი ან გამოსახულებები წყალში და ჩრდილები (Phd. 99 e; Resp. VI, 509 d) (20, 616-617).

**εἰκων** წინა ორი ტერმინისაგან განსხვავდება იმდენად, რამდენადაც ის თავის თავში მოიცავს შესაბამისობის, შესაფერისობის სემანტიკას. ამავე ნიუანსის მატარებელია ამ ტერმინიდან ნაწარმოები დერივატივი ეფიკა – “შეპფერს”, “შეესაბამება”. თუმცა ხშირ შემთხვევაში ამ ტერმინსაც გამოსახულების, ხატის მნიშვნელობა აქვს.

“სახელმწიფოს” ცენტრალურ ნაწილში გამოსახულება მოქცეულია არსებულსა და არარსებულს შორის. არ შეიძლება ითქვას, რომ გამოსახულება რეალურად არსებობს, მაგრამ არც იმის მტკიცებაა შესაძლებელი, რომ ის ნამდვილად გამოსახულებაა. ნებისმიერი გამოსახულება არის მსგავსიც და არამსგავსიც იმ ორიგინალისა, რომელსაც ის გამოხატავს. ის ერთდროულად არის ორიგინალის იგივეობრივიც და მისგან განსხვავებულიც.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოსახულება არის ფართოდ გავრცელებული მეტაფორა, რომელიც უკავშირდება მონაწილეობის, ზიარების თეორიას, ყოველ შემთხვევაში ეს დანამდვილებით ასეა “სახელმწიფოსა” და “ტიმეოსში”.

“სოფისტში” გამოსახულება არის მეტაფორა, რაღაც გარდამავალი, შეალედური ფორმა არსებულსა და არარსებულს შორის და ამ ორივესთან მას სიმეტრიული მიმართება აქვს. “სოფისტში” გამოსახულება უკავშირდება ბაძის ცნებას, თუმცა მსგავსი რამ ხშირად სხვა დიალოგებშიც გახვდება. მაგ: “სახელმწიფოში” ბაძის ანალიზისას აღნიშნულია, რომ სოფისტი არის მიმბაძველის ერთ-ერთი სახე, რომელიც ჰგავს მხატვარს, ანუ თავისი ბაძით ქმნის რაღაც გამოსახულებებს. ეს ხელოვნება კი თავის მხრივ კიდევ იყოფა ორ ნაწილად: ერთი, როდესაც იქმნება ხატი, რომელიც ჭეშმარიტის მსგავსია (*eikastikhij*) და მეორე, როდესაც წარმოქმნილი გამოსახულება განსხვავებულია ჭეშმარიტისაგან (*fantastikhij*). თუმცა ეს ორივე მაინც მხოლოდ და მხოლოდ ბაძვაა, რომელსაც შედეგად მხოლოდ გამოსახულება მოჰყვება, იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ვიღებთ ჭეშმარიტის მსგავს პროდუქტს (*eikwn*), ხოლო მეორეში მისგან განსხვავებულს (*fantasma*) (142, 112).

## საუბართან, მსჯელობასა და აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები

დიალოგის კიდევ ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ შრეს ქმნის ის ტერმინები, რომლებიც უკავშირდება საუბარს, მსჯელობასა და აზროვნებას. აქ პლატონის გზა ასეთია: ის იდებს უკვე არსებულ და ძველ ბერძნულში ფართოდ გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულებს და მათ ტექნიკურ ტერმინებად აქცევს. ასეთი ტერმინები უხვად გვხვდება ამ კონკრეტულ დიალოგშიც.

პირველი და უმნიშვნელოვანესი ტერმინი, რომელიც გვხვდება პლატონთან, არის დიალოგი. ნაშრომის დასაწყისში უკვე აღვნიშნე, რომ *dialektos* – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „საუბარს”, „დიალოგს”, „მსჯელობას”. იგი ნაწარმოებია ზმინდან *dialegemai*, რომელიც ძველ ბერძნულ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „ვსაუბრობ”, „ვესაუბრები” (ვინმეს), „ვმსჯელობ”, „ვინმესთან ერთად განვიხილავ საკითხს”, „მსჯელობის შედეგად ვასკვნი”, „ვგამათობ”, „ვდაობ” (16, 402). პლატონი ამ ტერმინს ანიჭებს ტექნიკურ მნიშვნელობას და მას საუბრის მისთვის დამახასიათებელი და განსაკუთრებული მანერის აღსანიშნად იყენებს, რაც ფილოსოფიურ მსჯელობას, საუბარს უკავშირდება.

ამ ჯგუფში შედის მეორე მნიშვნელოვანი ტერმინი დიალექტიკა (*dialektika*). სიტყვები „დიალოგი” და „დიალექტიკა” ერთმანეთის მონათესავეა ეტიმოლოგიურად და შინაარსობრივად. ორივესათვის ამოსავალია „საუბარი”, „მეტყველება”, „მსჯელობა” ანუ დიალოგი (*dialektos*). დიოგენე ლაერტელის განმარტებით, დიალექტიკა არის აზროვნების ხელოვნება, რომელიც კითხვებისა და პასუხების მეშვეობით თანამოსაუბრებს არწმუნებს ან ამხელს (56, 19).

რა არის დიალექტიკა თავად პლატონისათვის? გადავხედოთ პლატონის სხვა დიალოგებსაც. დიალექტიკა არის განსაკუთრებული მეთოდი, რომელსაც იგი ასევე უწოდებს – *h̄l dialektikē meqodo* (Resp. 533 c), ან საუბრებთან დაკავშირებული ხელოვნება – *h̄l peri; tou logou teicnē* (Phdr. 90 b), ან საუბრის მეთოდი – *h̄l meqodo-twn logwn* (Soph. 227 a). პლატონისათვის დიალექტიკა არის საუკეთესო ყველა

შესაძლო მეთოდს შორის. ის არის ერთადერთი ჭეშმარიტი მეცნიერება და ხელოვნება (Resp. 533 b-c)<sup>80</sup>.

პლატონის აზრით, ეს მეთოდი საჭიროა ლინგვისტიკაში (Cra. 390)<sup>81</sup>, მათემატიკაში (Resp. 510-511)<sup>82</sup>, რიტორიკასა და ფსიქოლოგიაში (Phdr. 269-273)<sup>83</sup>. ოუკი რაიმე აღმოჩენილა მეცნიერებაში, ყველაფერი ამ მეთოდის წყალობით.

რა არის ამ მეთოდის არსი? „პრატილოსში” პლატონი დიალექტიკოსად განმარტავს იმას, ვისაც შეუძლია შეკითხვების დასმა და პასუხების გაცემა (Cra. 390 c)<sup>84</sup>, „ფედროსში” კი იგი დიალექტიკას განსაზღვრავს როგორც ცოცხალი მეტყველების ცოდნას სამართლიანობის, მშვენიერებისა და სიქველის შესახებ (Phdr. 265 d)<sup>85</sup>. „სოფისტიში” დიალექტიკის ამგვარი დეფინიცია გვხვდება: გვარების მიხედვით დაყოფა და ერთი და იმავე გვარის არ დაშვება სხვად, ხოლო სხვისა – ერთი და იმავედ, არის დიალექტიკის ცოდნა (Soph. 253 d)<sup>86</sup>.

პლატონისათვის დიალექტიკა განუყრელია ფილოსოფიისაგან. ის არ არის არც ფილოსოფიის პროპედევტიკა, არც მისი ხერხი ან იარადი. დიალექტიკა თავად ფილოსოფიაა, მაგრამ ის ამავე დროს ძალიან საშიში მეთოდია. საშიშია იმდენად, რამდენადაც ის შეიცავს εἰλεγο--ს და ამიტომ შეიძლება გადავიდეს ერისტიკაში. ერისტიკა კი დიალექტიკის საპირისპირო გამოცდილებაა. მისი მიზანია საკუთარი არგუმენტაციის გამარჯვება, დიალექტიკისა კი – ჭეშმარიტების აღმოჩენა.

<sup>80</sup> αἱ λαὶ μὲν αἱ λαὶ παῖσαι τεκναὶ ἡ pro- δοκα- αἵρετων καὶ; επικυμία- εἰσιν ἡ pro- γενεῖσαι- τε καὶ; συγεῖσαι-, ἡ pro- γεραπειὰν τῶν φυμένων τε καὶ; συντιγενένων ἀπασαι τετραφαται, αἱ de; λοιπαὶ α- του ὄφτο- τι εἴγανεν εἰπιλαμβανεσκαι, γεωμετρία- τε καὶ; τα- ταυθ/ εἰδομένα-, οὐκων w- οὔειρωττουσι μεν περι; το; οφ, υφαρ de; αἰδηνατον αὐταὶ- ἵδειν, εἴν- αἱ υφογεῖσει crwmenai ταυτα- ακινθιτο- εἴψι, mh; dunamenai λογον didonai αὐτών. w- gar αἵρη; men o) mh; οἰδε, τελευθ; de; καὶ; τα; metaxu; εἰχ οὐj mh; οἰδεν sumpeplektai, τι- mhcanh; thn toiauthn omologian pote; επισθμhn γενεσκαι; οὐδεμία, h|d j of-. οὐκούν, h|j d j eīgwı h|dialektikh; meqodo- monh ταυθ poreuetai, τα- υφογεῖσαι- αἵραιρousa (Resp. 533 b-c).

<sup>81</sup> kinduneuei αῆ, w- Eīmogene-, ei=nai οuj faul on, w- su; οῑei, h| tou οhomato- ζει- , οujde; faul wn αjdrwn οujde; των epitucontwn. καὶ; Kratulo- αἱ hq̄h legei legwn fusei ta; οhomata eihai toi- pragmasi, καὶ; οuj panta dhmiourgon οhomaitwn eihai, αἱ λα; monon ekeihon ton apobleonta ei- to; th fusei οhma οή ekaistw/ καὶ; dunamenon αյtou to; ei- tigenai ei- te ta; grammata καὶ; τα; sul labar (Cra. 390).

<sup>82</sup> manqanw, eīfh, oti to; upo; tai- gewmetriai- te καὶ; tai- ταυθ- αjdei fai- τεκναι- λεγει- (Resp. 510-511).

<sup>83</sup> eij men soi υφαρει fusei rhtorikw/ eihai, eīsh/ rhitwr ej logimo-, proslabwn επισθmhn te καὶ; mel eithn, οφou d j ah ej leiph/- toutwn, ταυθ/ αjtel h̄r eīsh/ ο̄son de; αյtou τεκnh, ουjc h| Lusia- te καὶ; Qrasumaco- poreuetai dokei moi faineskai h|meqodo- (Phdr. 269-273).

<sup>84</sup> ton de; eīwtan καὶ; apokrineskai εpistamenon αjlo tis u; kal ei- h|dialektikon (Cra. 390 c).

<sup>85</sup> ta; de; nun para; sou te καὶ; Lusiou maqonta- eipe; tiv crh; kal ein, h| tou to ekeinorejstn h|logwn tecnh, h| Qrasumaco- te καὶ; oil αjlo crwmenoi sofoi; men aujtoi; legein gegonasin, αjlo- te poiouisin, oi} ah dwroforein aujtoi- w- basileusin ejel wsin (Phdr. 265 d).

<sup>86</sup> to; kata; genh diaireisqai καὶ; mh; te taujton ei- efteron h̄ghasqai mh; te efteron o) taujton mwn ouj th- dialektikh- fh̄somen εpisthmh- eihai (Soph. 253 d).

პლატონი ხშირად ესხმის თავს ერისტიკოსებს. „მენონში” ტექნიკური ტერმინი „დიალექტიკური” შეიძირისპირებულია „ერისტიკულთან” (Men. 75 c-d)<sup>87</sup>.

პლატონის დიალოგებში წარმოდგენილია დიალექტიკის ოამდენიმე მეთოდიც: ელენებისი (εἱλεγο~, ეპაგოგე (εἱπαγωγή) და პიპოთებისი (սփიფესი~), რომელთაც ზემოთ დაწვრილებით შევეხეთ (იხ. თავი III).

მოგვიანებით პლატონი პიპოთებისის მეთოდს უპირისპირებს ტერმინს αἵπροφετεον, რომელსაც უფრო ხშირად მივყავართ ჭეშმარიტებამდე. ἸAnuprofeiteon პლატონის მიერ ნაწარმოები ტექნიკური ტერმინია ზმნა սფოტიფემაი-დან უარყოფითი სემანტიკის პრეფიქს an ის და ზედსართავული სუფიქსის teo~ დართვით. ეს ტერმინი შეგვიძლია კთარგმნოთ როგორც „დაუშეებელი“, „მოუაზრებელი“.

“მოუაზრებელის” მნიშვნელობით შეგვიძლია გადმოვიტანოთ კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც ამ დიალოგში გვხვდება, ესაა aἴοgo~. ამ ტერმინს ძველი ბერძნები სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებდნენ, კერძოდ: 1. უსიტყვო; 2. გამოუთქმელი, განუსაზღვრელი; 3. გაუგებარი, მიუწვდომელი; 4. უაზრო; 5. გაუთვალისწინებელი, მოუაზრებელი; 6. გონიერებას მოკლებული. სხვადასხვა დიალოგში ამ ტერმინს პლატონი თითქმის ყველა ამ მნიშვნელობით იყენებს, თუმცა დიალოგ „სოფისტის“ შემთხვევაში მის ზუსტ ქართულ ეკვივალენტად, ვფიქრობ, სწორედ „მოუაზრებელი“ უნდა მივიჩნიოთ.

„სოფისტში” საუბართან, მსჯელობასა და აზროვნებასთან დაკავშირებული ტერმინები განსაკუთრებით მრავალფეროვანია, რასაც ამ დიალოგში დადასტურებული და ქვემოთ წარმოდგენილი ტერმინთა კატალოგიც მოწმობს:

aἴοgo~ – მოუაზრებელი.

ajnfisbhīthsh, h̄l – შეწინააღმდეგება.

ajnfignoew – ვცდები, ვმერყეობ, ვეჭვობ.

ajnapunqanomai – გამოვკითხავ.

ajnepirifqono~ – უდავო.

<sup>87</sup> kai; ei; men get w̄n sofwn ti~ eih kai; ejristikwn te kai; aigwnistikwn olejromeno~, eiþoim jaþ aujtwl/ofti, ejmoi; men eiþhtai, ej de; mh; ojrw~ legw, son ejgon lambanein logon kai; ejlegcein. ej de; wþper ejgw te kai; su; nu; filoi ohte~ boulointo ajl hiloi~ dial egesqai, dei dh; prabteron pw~ kai; dial ektikwteron ajpokrinesqai. esti de; iþw~ to; dialektikwteron mh; monon tajl hqh ajpokrinesqai, ajl a; kai; di j ekeinwn wh aþ prosomologh/ eiðenai olejwtwmeno~ (Men. 75 c-d).

- ajtiqesi~, h̄l – დაპირისპირება.  
 ajtiliegw – ვეკამათები.  
 ajtilhyi~, h̄l – შეწინააღმდეგება.  
 ajharmottw – არ ვეწყობი.  
 ajhalambanw – ვიღებ.  
 apokrinomai – ვპასუხობ.  
 apodecomai – ვიღებ, ვეთანხმები.  
 apodeixi~, h̄l – მტკიცება.  
 apofasi~, h̄l – უარყოფა.  
 aporew – დაბნეული ვარ.  
 apocorizw – გამოვყოფ.  
 apoknew – ვერ ვწევ.  
 aponemw – გამოვყოფ.  
 armoittw – ვეწყობი, ვუძაგშირდები.  
 arfegkto~ – გამოუთქმელი.  
 afforizw – განგსაზღვრავ.  
 affirmeneuw – განვმარტავ.  
 basanizw – ვიძიებ.  
 gignwskw – შევიმუცნებ.  
 gnwrhsh, h̄l – ცოდნა.  
 dh̄lwma, to; – აღმნიშვნელი.  
 diairew – გამოვყოფ, ვაცალკვევ.  
 diairesi~, h̄l – დაყოფა.  
 diakrinw – გავარჩევ.  
 dialegw – ვირჩევ.  
 dialegomai – ვესაუბრები (ვინმეს), ვმსჯელობ, განვიხილავ (ვინმესთან ერთად).  
 dialhktikh, h̄l – დიალექტიკა.  
 dianoew – განვიზრახავ, ჩავიფიქრებ.  
 distazw – ვმერყეობ.  
 dianoia, h̄l – აზროვნება.  
 dialogizomai – განვსჯი, განვიხილავ, ვმსჯელობ.

- diateinw – გამტკიცება.
- diakrisi~, hI – გაყოფა, გამორჩევა, განსხვავება.
- diakribologeomai – ყურადღებით ვიკვლევ, განვიხილავ.
- dierwtaw – გამოვკითხავ.
- diexeimi – გადმოვცემ, ვუამბობ.
- diexercomai – დაწვრილებით გადმოვცემ.
- diercomai – აღვწერ, გადმოვცემ.
- diereunaw – ვიკვლევ.
- diiscurizomai – ვამტკიცებ.
- diorizw – განვსაზღვრავ.
- diomologew – შევუთანხმდები.
- dogma, to: – მტკიცება.
- doka, hI – აზრი.
- doxazw – ვფიქრობ, ვაზროვნებ.
- ejkairew – გამოვრიცხავ.
- ejksamartanw – ვცდები, ვცოდავ, დანაშაულს ჩავიდენ.
- ejxellegcw – ვამხელ.
- ejxetazw – გამოვიკვლევ, გამოვიკითხავ.
- ejjrwneumomai – თავს ვაჩვენებ.
- eklegcw – ვირჩევ.
- ejlegcw – ვამხელ.
- ell egco~, to: – მხილება.
- ejlegktikor – მამხილებელი.
- ejnfanizw – აღმოვაჩენ, გამოვარკვევ.
- ejnantiologew – ვეწინააღმდეგები.
- ejndeiknumi – ვაჩვენებ, წარმოვადგენ, დავამტკიცებ.
- ejnnoew – ვხვდები, ვგულისხმობ.
- ejpideiknumi – გამოვავლენ, ვაჩვენებ.
- ejpideiki~, hI – ჩვენება, საბუთი, მტკიცება.
- ejpiferw – მივაკუთვნებ.
- ejperwtaw – შეკითხვებს ვსვამ.

*eponomai* – კურთხება.  
*eris, to-* – კამათი.  
*erwthsi~, hl-* შეკითხვა, საკითხი.  
*euthiskw* – გამოულობა, აღმოვაჩენა.  
*zththw* – კიკვლება, კეძება.  
*zhithma, to-* საკითხი, განხილვის საგანი, კვლევა.  
*idea, hl-* იდეა.  
*ijscurizomai* – კამტკიცება.  
*kaqoraw* – ოვალყურს ვადევნება, ვიმეცნება.  
*katanoew* – კხვდები, ვიგება.  
*katamanqanw* – ვიგება, კხვდები.  
*katafronew* – უგულებელვყოფა, ეჭვით ვუყურება.  
*katariqmew* – კოვლი, მივიჩნევა.  
*logismot, ol-* განსჯა.  
*metodo~, hl-* კვლევის გზა, მეთოდი.  
*metadoxai* – აზრებს ვიცვლი, ვურევა.  
*mimnhiskw* – ვიხსენება.  
*nomi* – მივიჩნევა, კოვლი.  
*ohol ogia, hl-* შეთანხმება, აღიარება.  
*ohomaizw* – კურთხება, ვასახელება.  
*oři* – განვსაზღვრავ.  
*ořo~, ol-* საზღვარი, ტერმინი.  
*paradeigma, to-* ნიმუში, მაგალითი.  
*paramuqeomai* – ვარწმუნება.  
*parafrosunh, hl-* გადაცდომა.  
*planaw* – ვცდები, ვიბნები.  
*prosagoreuw* – მივმართავ, კურთხება.  
*prosdial egomai* – საუბარში ვერთვები.  
*prosomilew* – ვესაუბრები.  
*prosomologew* – ვეთანხმები.  
*punqanomai* – გამოვიკითხავ, გავიგებ.

*skeyi~, h̄l-* განხილვა, კვლევა.  
*skh̄ptw* – ვეურდნობი, თავს ვიმართლებ.  
*spoudatw* – დაკავებული ვარ.  
*sumfh̄mi* – ვეთანხმები.  
*sunarmottw* – ვეწყობი.  
*sunousia*, *h̄l-* საუბარი, სწავლება, ურთიერთობა.  
*sunnoew* – ვფიქრობ.  
*sunomologew* – შეეუთანხმდები (ვინმეს).  
*suskeptomai* – განვიხილავ (ვინმესთან ერთად).  
*sugcwrw* – დავუშვებ, დავეთანხმები.  
*sfallw* – ვცდები.  
*scīw* – ვყოფ.  
*temnw* – გამოვყოფ.  
*upotiqemai* – დავუშვებ, დავადგენ.  
*upotesi~, h̄l-* დებულება.  
*upiscneomai* – ვპირდები.  
*Fantazomai* – წარმოგსახავ.  
*fasi~, h̄l-* მტკიცება.  
*feggomai* – გამოვთქვაძ.  
*filosofew* – ფილოსოფიით ვარ დაკავებული.  
*frauw* – მივუთითებ, ავუხსნი.  
*fronew* – ვაზროვნებ.  
*yeudo~, to:-* ტყუილი.

ამ ჯგუფში შემოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტერმინი, ესაა *aj̄ hqēia*. ბერძნებს “ჰეშმარიტების” გამოხატვისათვის განსაკუთრებული ფორმა აქვთ. ეს არის თავსართი ა რომელსაც აქვს უარყოფითი მნიშვნელობა. ეს უარყოფითი მნიშვნელობა ნიშნავს იმის არქონას, რაც რაღაცას უნდა ჰქონდეს, უნდა შეეძლოს, საჭიროა რომ ჰქონდეს. ამგვარი უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია: “ბრმა”, “უტყვი” და ა. შ. “ჰეშმარიტებაც”, რომელიც ჩვენთვის დადებითია, ბერძნებისათვის არის უარყოფითი. ამის ნაცვლად მათთვის დადებითია “ტყული”

*yeudo~,* რომელიც ჩვენთვის აშკარად უარყოფითია. *aī h̄eia* ნიშნავს “რაღაცის დამალულად ადარ ყოფნას”, “გახსნას”, “ადმოჩენას”. ანუ ბერძნებისათვის არსებული უნდა იყოს, როგორც წესი დამალული, დაფარული. ამგვარად, არსებული გვხვდება ორი სახით: ერთი – დაფარული და მეორე, არანაკლებ საშიში გაცხადებული, აღმოჩენილი, გახსნილი. მთელი ბერძნული ფილოსოფია არსებულის ამ პირველი ფორმიდან მეორეზე გადასვლის გზის კვლევად და სხვა არაფერი, ანუ კვლევა იმისა, რა არის ის, რაც ჩანს და რა არის ის სინამდვილეში. ამრიგად, *aī h̄eia* არ არის თავისთავად არსებული, არამედ ის არის არსებულის თვისება. ბერძნების მთელი საქმიანობა არის *aī h̄euein*, რომელიც არ ითარგმნება სიტყვასიტყვით, მაგრამ ნიშნავს “რაღაცის გახსნას, აღმოჩენას, ფარდის ახდას”, რაც პირველ რიგში საუბრის *Iēgein* – გზით მიიღწევა (138, 243).

*aī h̄euein* თავისთავს ამჟღავნებს *Iēgein*-ის პროცესში. *Iēgein* კი არის ის, რაც ძირითადად განაპირობებს ადამიანთა არსებობას. საუბარში არსებობა ამჟღავნებს საკუთარ თავს, ეს საუბარი კი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ბერძნებისთვის, რომ მათ ადამიანის განსაზღვრება ამ ფენომენის მიმართ და ამ ფენომენის საფუძველზე დაადგინეს და ამგვარად ადამიანი განსაზღვრებს როგორც *z̄w̄on* *Iēgein* ექი. ამ განსაზღვრებასთანაა დაკავშირებული ისიც, რომ ადამიანი არის არსება, რომელსაც შეუძლია თვლა (*aī q̄mein*).

არისტოტელებმ განსაზღვრა *Iēgo~* მისი ძირითადი ფუნქციის მიმართ, როგორც *apofainesqai*, *dhl̄ oūn*. სახე, რომლითაც ის შეიძლება გამოიხატოს, არის *katafasi~* და *apofasi~*, მტკიცება და უარყოფა, რაც მოგვიანებით განისაზღვრა როგორც პოზიტიური და ნეგატიური მსჯელობა (142, 98).

*AĪ h̄eia* ჩვეულებრივ ცოდნისა და წვდომის სფეროს მიეკუთვნება და ეს გზა დაკავშირებულია არსებულთა აღმოჩენასა და იმასთან, თუ რა გამოაშკარავდება ამ გზით. ცოდნა, რომელიც აღმოაჩენს არსებულებს, არის ჭეშმარიტება. ესაა ცოდნა, რომელიც ხელს ჩააგლებს არსებულებს, გამოხატავს საკუთარ თავსაც და თავს იმპიდრებს მსჯელობაში. ამგვარ მტკიცებას კი ჭეშმარიტებას ვუწოდებთ. ჭეშმარიტების კონცეფცია, ანუ ჭეშმარიტების ფენომენი, როგორც ეს ბერძნებმა განსაზღვრეს, წარმოადგენს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის ცოდნა და რა არის ის “არსებულთა მიმართ”. ბერძნებმა ჭეშმარიტების კონცეფცია

გააანალიზეს, როგორც ცოდნის დამახასიათებელი “თვისება”. ამგვარმა ბერძნულმა ლოგიკამ კი თავის კულტურინაციას მოგვიანებით არისტოტელესთან მიაღწია. პირველმა სწორედ პლატონმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ “ჭეშმარიტება” არის მსჯელობა და რომ არსებობს ჭეშმარიტი და მცდარი მსჯელობა, რაზეც “სოფისტშიც” არის საუბარი (142, 100).

### ადამიანის საქმიანობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ტერმინები

დიალოგ “სოფისტში” ვხვდებით მრავალ ტერმინს, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ამა თუ იმ საქმიანობას, მოღვაწეობას, მეცნიერებასა თუ ხელოვნებას. მათი უმრავლესობა ზოგჯერ იმდენად დაწვრილმანებულია, რომ ერთგვარი ირონიულობის შეგრძნებასაც კი ბადებს. ამგვარი ტერმინების უმრავლესობა პლატონის შექმნილი, ხოლო გარკვეული ნაწილი უკვე არსებული ტექნიკური ტერმინია.

პლატონის “სოფისტში” 78 ამგვარი ლექსიკური ფორმატივი გვხვდება. თავდაპირველად განვიხილოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დიალოგში ტერმინს “τεκνή”. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პლატონი სოფისტის საქმიანობას აღნიშნავს როგორც ხელოვნებას (*τεκνή*) და არა, როგორც გაწაფულობას (*tribhī*) ან გამოცდილებას (*εμπειρία*). *τεκνή*-სა და *tribhī*-ს შორის კი ზუსტად იგივე განსხვავებაა, რაც ჭეშმარიტებას (*aī hqēia*) და აზრს (*dōka*) შორის. ანუ ხელოვნების შემთხვევაში მისმა მფლობელმა იცის ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ჭეშმარიტება და ამ ცოდნის შესაბამისად არის დაკავებული ამ საქმიანობით, ხოლო გაწაფულობის დროს, როგორც ამას თავად ტერმინი გვიჩვენებს, ამა თუ იმ საქმიანობით დაკავებული ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ რაღაც შეხედულებებს ფლობს და ამ შეხედულებებით არის გაწაფული ამა თუ იმ საქმიანობაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, *tribhī* არის ეფექტების შექმნა სისტემური მეთოდის არსებობის გარეშე და იმის გაუცნობიერებლად, თუ როგორ იქმნება ესა თუ ის ეფექტი. კავშირი სოფისტიკასთან აქ აშკარა და ცხადია. სოფისტების ხელოვნება სწორედაც რომ არასისტემურ ცოდნას წარმოადგენს და შეხედულებებს ეფუძნება (142, 132). მაშ, რატომ არ გამოიყენა ამ დიალოგში

პლატონმა ეს ტერმინი სოფისტიკის აღსანიშნად და რატომ მიმართა ტერმინს “ხელოვნება” (*τεχνή*)?

პლატონის დიალოგებში ტერმინი “*τεχνή*” ხშირ შემთხვევაში ხელოვნებას აღნიშნავს, ხოლო “*სოფისტი*” მისი მნიშვნელობა შედარებით დაკნინებულია. აქ ტერმინი “*τεχνή*” გამოხატავს ნებისმიერ უნარს, შესაძლებლობას, რაც კი ამა თუ იმ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. შესაბამისად, ტერმინები *tecniith-* და *ałtecno-* ხელოვნებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ უნარსა და საქმიანობასთან, ანუ ისინი ქართულად შეგვეძლო გადმოგვეტანა როგორც “უნარის მქონე, შემძლე” და, შესაბამისად – “უუნარო”. მაგრამ, ვფიქრობ, პლატონის სურდა ყველა ამ უმნიშვნელო და ზოგჯერ კურიოზული საქმიანობისათვის ირონიულად სწორედ ხელოვნება ეწოდებინა. ამიტომაც ტერმინი “*τεχνή*” გადმომაქვს ტრადიციულად, როგორც ხელოვნება და ტერმინები *tecniith-* და *ałtecno-*, შესაბამისად, როგორც ხელოვანი, ოსტატი, გამოცდილი და არახელოვანი, გამოუცდელი.

*τεχνή*-ს ერთ-ერთ ცნობილ ოპოზიციას წარმოადგენს *ερισθმიტც*. ამ დიალოგში სოფისტს *εριსთმიტც* გააჩნია, ოდონდ მნიშვნელოვანია, რომ ეს არ არის *εριსთმიტი* ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ის, რასაც სოფისტი ფლობს, არის არა ჭეშმარიტი ცოდნა, არამედ შეხედულებებზე დაფუძნებული ცოდნა (*doxastikhv εριსთმიტი*). აქ პლატონის მიერ ძალიან ოსტატურად ხდება ოპოზიციური წყვილის ერთმანეთთან დაკავშირება და ამ გზით ისეთი ტერმინის მიღება, რომელიც სოფისტის საქმიანობას უწოდებს ცოდნას. ეს უკანასკნელი კი რეალურად არ არის ცოდნა, რადგან ის მოკლებულია ჭეშმარიტებას (*aij hqieia*) და ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ შეხედულებებს (*doxa*).

ამის შემდეგ განსახილველია, თუ რა გზით აწარმოებს პლატონი სხვადასხვა ხელოვნებისა და საქმიანობის აღმნიშვნელ ტექნიკურ ტერმინებს:

1. აბსტრაქტულ სახელთა წარმოების ძველ ბერძნულ ენაში ცნობილი ტიპი, არსებით სახელზე *-ikhv* სუფიქსის დართვა; ამგვარად ნაწარმოები სახელები ყველაზე უფრო მეტია ამ დიალოგში. მათგან ზოგიერთი უკვე არსებული და ძველ ბერძნულში ფართოდ გამოყენებული ტერმინია, ზოგი კი – პლატონის სიტყვათწარმოების პროდუქტი. ესენია: *ajgnistikhv* – შეჯიბრების ხელოვნება, *al ieutikhv* – ოვაზაობა, *aħdrapodistikhv* – დამორჩილების ხელოვნება, *aħpathtikhv* –

მოტყუების ხელოვნება, aujtowl ikhv – საკუთარი საქონდით გაჭრობა, balaneutikhv – მექისის ხელოვნება, gnafeutikhv – ოელვის ხელოვნება, grafikhv – მხატვრობა, gumnastikhv – გიმნასტიკის ხელოვნება, dhmhgorikhv – ორატორობის ხელოვნება, diairhtikhv – დაუოფის ხელოვნება, diakritikhv – გარჩევის ხელოვნება, didaskalikhv – სწავლების ხელოვნება, dikanikhv – სასამართლო ხელოვნება, doxomimhtikhv – შეხედულებით ბაძის ხელოვნება, doxopaidautekhv – მოწვენებითი სწავლების ხელოვნება, eijwl opoiikhv – გამოსახულებათა შექმნის ხელოვნება, eikastikhv – ხატების შექმნის ხელოვნება, ejporikhv – მსხვილი გაჭრობა, ejugrogerikhv – წყლის ცხოველებზე ნადირობა, ejpideiktikhv – ჩვენების ხელოვნება, ejkoqerikhv – ბადით ნადირობა, ejwtikhv – სიყვარულის ხელოვნება, zwokerikhv – ცხოველებზე ნადირობა, hbluntikhv – მაამებლობის ხელოვნება, hmeroqerikhv – შინაურ ცხოველებზე ნადირობა, qaumatikhv – მეფოგუსეობა, qhreutikhv – ნადირობის ხელოვნება, ijatrikhv – ექიმობა, ijdiwqereutikhv – კერძოდ ნადირობა, istorikhv – მეცნიერება, kaphl ikhv – მეწვრილმანეობა, kol umbhthkhv – ცურვის ხელოვნება, kolakikhv – მლიქნელობის ხელოვნება, kosmhtikhv – მორთვის ხელოვნება, kthtikhv – მოპოვებითი ხელოვნება, lhistikhv – ყაჩაღობის ხელოვნება, maqhamatowl ikhv – ცოდნით გაჭრობა, mimhtikhv – ბაძის ხელოვნება, mousikhv – მუსიკი ხელოვნება, nomismatowl ikhv – ფულზე გადაცვლის ხელოვნება, nouqeththikhv – შეგონების ხელოვნება, oijkhtikhv – მოშინაურების ხელოვნება, ojniqueutikhv – მეჩიტადეობა, paideutikhv – აღზრდის ხელოვნება, piqanourgikhv – დარწმუნების ხელოვნება, plhktikhv – დარტყმით ნადირობის ხელოვნება, poihtikhv – შემოქმედებითი ხელოვნება, prosomilhtikhv – ურთიერთობის ხელოვნება, pureutikhv – ცაცხლით ნადირობა, spoggistikhv – ღრუბლით დაბანის ხელოვნება, strathgikhv – მხედართმთავრის ხელოვნება, tecnopowl ikhv – ხელოვნებებით გაჭრობა, turanikhv – ტირანიის ხელოვნება, fantastikhv – მოწვენებათა შექმნის ხელოვნება, fqeiristikhv – ტილების განადგურების ხელოვნება, yucemporikhv – სულთან დაკავშირებული ცოდნით გაჭრობა.

2. არსებით სახელებზე -ikhv სუფიქსის დართვით მიღებული კუთვნილების გამომხატველი ზედსართავი სახელების წარმოება. ამგვარად ნაწარმოები ზედსართავი სახელების საშუალო სქესი სშირად აბსტრაქტულ სახელებად

იხმარება და სემანტიკურად გამოხატავს რადაცის ცოდნას, რადაც ხელოვნების ან ხელობის ფლობას. ეს ჯგუფი პირველთან შედარებით მცირეა. ამგვარი სახელებია: *aigkistreutikon* – კავით ნადირობა, *agorastikon* – სავაჭრო ხელოვნება, *aij laktikon* – გაცვლის ხელოვნება, *amillhtikon* – შეჯიბრების ხელოვნება, *ajmifisbhthtikon* – შეწინააღმდეგების ხელოვნება, *ajtilogikon* – შეკამათების ხელოვნება, *aujtopoihtikon* – შემოქმედებითი ხელოვნება, *biastikon* – ძალადობის ხელოვნება, *dwrhtikon* – ჩუქების ხელოვნება, *dwroforikon* – საჩუქრის მომტანიხელოვნება, *ejristikon* – ერისტიკა, *kaqartikon* – განწმენდის ხელოვნება, *maqhamatikon* – ცოდნის ხელოვნება, *machtikon* – საბრძოლო ხელოვნება, *metablihtikon* – გადაცვლის ხელოვნება, *misqarnhtikon* – ჯილდოს მოთხოვნის ხელოვნება, *pezoquerikon* – ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა, *ceirwtikon* – ხელში ჩაგდების ხელოვნება, *crhmatistikon* – ფულის მშოვნელი ხელოვნება, *crhmatofqorikon* – ფულის მფლანგველი ხელოვნება.

3. მხოლოდ ერთი აბსტრაქტული სახელი იწარმოება ზმნის ფუძეზე -ia სუფიქსის დართვით (-ew ბოლოკიდურიანი ზმნების შემთხვევაში). ამგვარი შემთხვევა *farmakoposia*, რომელიც გადმოგვაქვს სიტყვასიტყვით “წამლის დამზადების ხელოვნება”.

### ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინები

ნადირობის მეტაფორები პლატონთან ძალიან ხშირად გვხვდება, ადრეული დიალოგებიდან დაწყებული ყველაზე უფრო გვიანდელი ნაწარმოებებით დამთავრებული. მასთან ვხვდებით სიტყვებზე ნადირობას (Grg. 490 a), სახელებზე ნადირობას (Thet. 166 c), სიტყვებით ნადირობას (Euthd. 295 d), სიტყვების დევნასა და იმის ნადავლად ჩათვლას, ოუკი ვინმე მსჯელობისას დაიბნევა (Grg. 489 b), პასუხისაგან დასხლტომას (Euthd. 297 b) და ა. შ. ნადირობის ტერმინოლოგია სპეციალურადაც გამოიყენება მეცნიერული კვლევის, ლოგიკური მეთოდის აღსანიშნად.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას თავად სიტყვა *metodo--θετ*, რომლის ფუძეც არის *metor* – გზა ან მოგზაურობა. ა. ლოსევის აზრით, ეს სიტყვა ნადირობის

ლექსიკიდან უნდა ყოფილიყო აღებული და *metodo*-სა და ზმა *metienai*-ს შორის ისეთივე კავშირი უნდა იყოს, როგორიც *oīōt*-სა და *iēnai*-ს შორის არსებობს (60, 281). მაგრამ არსად არის საუბარი ჯერ *oīōt*-ზე და შემდეგ აქედან *metodo*-ის წარმოებაზე. ო. რობინსონის აზრით, *metodo*-ს თავიდანვე მეთოდის მნიშვნელობა პქონდა და არ ჩანს ტექნიკური ტერმინის წარმოების პროცესი. ის თავიდანვე ტექნიკური ტერმინია. ი. ბარნეტი მიიჩნევდა, რომ მეთოდი არის ნადირობის მეტაფორა (127, 67).

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სხვა დიალოგში არ არის ასე დეტალურად გატარებული ნადირობის სიმბოლიკა ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ადსანიშნად, როგორც ეს „სოფისტშია“. მეთოდის მიზანი კი არის იმ ადამიანის ბუნების განსაზღვრა, რომელიც რთული და ძნელად მოსანადირებელია (*cal epon kai; dusq̄hreuton*).

### სულის მანკიერებებთან დაკავშირებული ტერმინები

მნიშვნელოვან ტერმინოლოგიურ მასალას გვაწვდის სოფისტის მექქსე დეფინიცია (Soph. 226a-231c), სადაც საუბარია განწმენდაზე, რომელიც გულისხმობს ბოროტებისაგან (kakia) განშორებას. ბოროტება კი არსებობს ორნაირი: სეულთან და სულთან დაკავშირებული. სულთან დაკავშირებულ ბოროტებაში თავის მხრივ კიდევ ორი სახე გამოიყოფა: სნეულება (ποιεῖται) და უსახურობა (αἴτεσθαι). პირველი იგივეა, რაც უთანხმოება (stasis), რომელიც წარმოიშობა ბუნებით მონათესავის განადგურების შედეგად (diafora του φυσει suggestioν). უსახურობა კი იგივეა, რაც არათანაზომიერება (ajmetria). უთანხმოება და სულის დაავადება იგივეა, რაც სულის მანკიერება (ponhria), მეორე კი იგივეა, რაც არცოდნა (άγνοια), რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ის შემთხვევა, როდესაც სული ჭეშმარიტებას ესწრაფის და გაგებას ასცდება, ანუ გადაცდომა (parafora). აქ გააქვს სიტყვების ერთგვარი თამაში (parafora და diafora). ეს ორივე ტერმინი იმგვარადაა ნაწარმოები, რომ რაღაც მიმართულებას გულისხმობს. *parat* არის “გვერდით” და *dia-* “გავლით”, მათი მნიშვნელობებიც სწორედ ამ სემანტიკიდან გამომდინარეობს (141, 57).

ამასთანავე, პლატონი სიმხდალეს (*deilīa*), ადგირახსნილობას (*akolasia*) და უსამართლობას (*apēkia*) სულის მანკიერებად მიიჩნევს და არა ადამიანის ნებად, იყოს ბოროტი. არცოდნა მანკიერება კი არ არის, არამედ – უსახურობა. მანკიერებას კურნავენ დასჯის ხელოვნებით (*kolastikhī*), არცოდნას კი – სწავლებით (*didaskalikhī*). მაგრამ არსებობს არცოდნის მეორე სახეც, როცა არაფრის მცოდნეს ჰგონია, რომ იცის. ესაა უსწავლელობა (*ajmaqīa*) და მას კურნავს აღზრდა (*paideīa*). ეს უკანასკნელიც ორი სახისაა: შეგონება (*nouqetikhī*) და მხილება (*elēgco-*).

ამრიგად, პლატონს აქვს ჩამოყალიბებული და ერთმანეთისგან გამიჯნული ტექნიკური ტერმინები სულის ამა თუ იმ მანკიერებისა თუ უსახურობის ადსანიშნად. მასთან გამიჯნულია ერთი შეხედვით მსგავსი მნიშვნელობის მქონე ტერმინები: არცოდნა (*ajnoīa*) და უსწავლელობა (*ajmaqīa*) და მათი განმკურნავი საშუალებები: სწავლება (*didaskalikhī*) და აღზრდა (*paideīa*).

“სოფისტი” გამოყენებული მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური ტერმინოლოგია არის უმნიშვნელოვანების ინსტრუმენტი, ერთი მხრივ, ამ დიალოგის ფილოსოფიური მიზნების განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნაწარმოების ენობრივი შრის საკვლევად, რაც “სოფისტის” თვითმყოფად მხატვრულ სამყაროს განაპირობებს მისი სტრუქტურისა და კომპოზიციის, სიუჟეტის განვითარების თავისებურებებისა და დრამატიზმის პარალელურად. რაც შეეხება ამ დიალოგის სხვა მხატვრულ დირსებებს, მათ წარმოჩენას ნაშრომის შემდგომ თავში შევეცდები.

## თავი VII

### “სოფისტი” რობორც მხატვრული ნაზარმოები

#### ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები

თანამედროვე შეფასებით, „სოფისტი“ პლატონის სხვა დიალოგებთან შედარებით ნაკლებად მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ნაშრომის მოცემულ თავში შევეცდები, ლიტერატურული ნაწარმოების რაობის განმსაზღვრელი რამდენიმე კომპონენტი შეძლებისდაგვარად სისტემურად შევისწავლო და, შესაბამისად, წარმოვაჩინო ამ დიალოგის მხატვრული მხარე და პლატონის სტილის თავისებურებები<sup>88</sup>.

ითვლება, რომ პლატონის წერის მანერა ზედმიწევნით სადა და დახვეწილია, ხოლო – მეტყველება მკაფიო და ლაკონური. ვ. ასმუსის შეფასებით, პლატონის ენა „მოქნილია, გამომსახული, გამჭვირვალე, ამასთან ზუსტი და ხატოვანი“ (35, 9), რაც მხატვრული ხერხების ზომიერი გამოყენებით მიიღწევა.

პლატონის მიერ „სოფისტში“ გამოყენებულ მხატვრულ საშუალებათა (ხერხთა) ანალიზით შევეცდები წარმოვაჩინო, თუ რამდენად მულავნდება ამ დიალოგში პლატონის ენისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

„სოფისტის“ ეპითეტები ორიგინალობით არ გამოირჩევა. სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების განსაზღვრისას პლატონი, ჩვეულებრივ, ტრადიციულ ზედსართავ სახელებს მიმართავს, თანაც საკმაოდ თავშეკავებულად და ზომიერად, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად „სოფისტის“ სტილის სისადავეს განაპირობებს (ამ ხრივ „სოფისტი“ პლატონის სხვა დიალოგების მსგავსია).

უნდა ითქვას, რომ პლატონი „სოფისტში“ უპირატესობას ანიჭებს შედარებებსა და მეტაფორებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს ფილოსოფიური დისკურსის გასაძლიერებლად.

„სოფისტში“ მწერალი ყველაზე ხშირად შედარებებს იყენებს, რომელთა საშუალებითაც ფილოსოფიურ კატეგორიებზე გვესაუბრება. პლატონის „სოფისტის“ მხატვრულობის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ მის მიერ გამოყენებული

<sup>88</sup> „სოფისტის“ მხატვრული ასპექტების კვლევისას ვისარგებლე ი. დარჩიას მიერ „ფედონის“ კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგიით (დეტალურად იხ.: 26).

თითოეული მეტაფორა და შედარება ემსახურება ფილოსოფიური მიზნების განხორციელებას. ამ დიალოგში პლატონი ფილოსოფიურ ცნებებზე მსჯელობს მხატვრული სახეების საშუალებებით. ანუ, პლატონის სხვა დიალოგების კვალობაზე, აქაც “ლიტერატურა ექვემდებარება ფილოსოფიას, მაგრამ ფილოსოფია თავის მიზანს აღწევს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული საშუალებებით”.

“სოფისტის” პროლოგშივე ვხვდებით დიალოგის მოქმედი პირების შედარებას მითოლოგიურ პერსონაჟებთან. პლატონის მიერ ციტირებულია პომეროსი („ოდისეა”, IX, 271 და XVII, 483-487): “თეოდოროს, პომეროსის თქმისა არ იყოს, იქნებ უცხოელი კი არა, რომელიმე ღმერთი მოგყავს ისე, რომ თავადაც არ უწყი? როგორც ის ამბობს, სხვა ღმერთებიც და, განსაკუთრებით უცხოელთა მფარველი დვთაება, იმ ადამიანთა თანამგზავრები ხდებიან, რომლებიც სათანადო რიდით გამოირჩევიან, რათა თვალყური ადევნონ ადამიანთა ზვიადობასა თუ კანონიერებას. შესაძლოა, შენც დვთაებათაგან ერთ-ერთი უძლიერესი გახლავს, რათა ჩვენ – მსჯელობებში უძლურთ – დაგვაკვირდეს და გვამხილოს, როგორც მამხილებელმა დმერთმა (Soph. 216 a - b)<sup>89</sup>”.

აქ ასეთი პარალელი შეგვიძლია დავინახოთ, სოკრატე არის ჭაბუკი, თეოდოროსი ანტინოე, უცხოელი ოდისევსი, თეგეტებოსი კი პენელოპე, რომელიც “ნადირობს” ახალგაზრდა ჭაბუკებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, “ნადირობის” შედარებები და მეტაფორები უხვადაა გაძნეული მთელ დიალოგში. საერთოდ, ნადირობის მეტაფორები პლატონთან ძალიან ხშირია, ადრეული დიალოგებიდან დაწყებული და უკელაზე უფრო გვიანდელი ნაწარმოებებით დამთავრებული. მასთან ვხვდებით სიტყვებზე ნადირობას (*r̄h̄mati qereuω*) (Grg. 490 a), სახელებზე ნადირობას (*eij dh; ōnomatwn ge deh̄sei qereusai~*) (Tht. 166 c), სიტყვებით ნადირობას (*q̄h̄reusai ta; ōnomata*) (Euthd. 295 d), პასუხისაგან დასხლტომას (*feugei~ kai; oūk ējel ei~ apokrinesqai*) (Euthd. 297 b) და ა. შ. ნადირობის ტერმინოლოგია სპეციალურადაც გამოიყენება მეცნიერული კვლევის, ლოგიკური მეთოდის აღსანიშნად.

<sup>89</sup> αἵ οὐκ, ωλ ζεωδρε, οὐχ χενον αἱ λατίνα γεν αἴγων κατα; τὸν Ὀμήρου λόγον λειχά~, οἱ φίσιν αἱ λου~ τε γεου~ τοι~ αἵγρωποι~ οφοιοι μετεριώναι αἰδου~ δικαια~, και; dh; και; τὸν χενον οὐχί λίκιστα γεν συνοπάδον γιγνομένον υψει~ τε και; εὐηνοια~ τών αἵγρωπων καροταν. τας οὐκ αῃ και; σοιν τι~ οὐτο~ τών κρειττονών συνεποίο, φαύλου~ λίκα~ οφτα~ εῇ τοι~ λογοι~ εἰρογονεοι~ τε και; εἱλεγχη, γεο~ ωῃ τι~ εἱλεγκτικοι~ (Soph. 216 a - b).

დიალოგის განვითარებისას თანდათან უფრო და უფრო ცხადი ხდება, თუ რა დამოკიდებულებაშია კვლევის მეთოდი ნადირობის სიმბოლიკასთან. თავდაპირველად ნიმუშად აღებულია თევზაობა, ორმელზეც უნდა მოისინჯოს კვლევის მეთოდი. თავად თევზაობაც ნადირობის ერთ-ერთი სახეა. გარდა ამისა თევზაობა და ნადირობა ძლიერ ჰგავს სოფისტიკას.

“სოფისტი არარსებულის წყვდიადში გარბის, გამოცდილება აქვს შეერიოს მას და რთული შესაცნობია” (Soph. 254 a)<sup>90</sup>.

სოფისტის განსაზღვრის მცდელობისას უცხოელი ამბობს: “მეტად მიუდგომელ ადგილას ოსტატურად ჩაყვინთა სოფისტმა” (Soph. 239 c)<sup>91</sup>.

დიალოგში მეტაფორულადაა მოყვანილი სოფისტიკის ხელოვნებასთან შესადარებლად შინამოსამსახურის ისეთი საქმიანობები, როგორიცაა: „გაწურვა”, „გაცრა”, „განიავება”, „გამორჩევა”, „ჩეჩვა”, „რთვა”, „ქსოვა”, „მექისის ხელოვნება” (Soph. 226 b, 227 a).

ერისტიკისა და სოფისტიკის მხატვრული შედარების ბრწყინვალე მაგალითს ვხვდებით იმ დეფინიციაში, სადაც სოფისტი განსაზღვრულია ერისტიკოსად: “ქადლიც ხომ ჰგავს მგელს, ყველაზე გარეული – ყველაზე შინაურს” (Soph. 231 a)<sup>92</sup>.

სოფისტის დახასიათებისას მხატვრული მინიშნება გვაქვს მითოლოგიურ ასთავიან ჰიდრაზე, რომელიც ჰერაკლემ დაამარცხა. უცხოელი ამბობს: “როგორ არაა უწვეულო? ხედავ, რომ ახლა ამ გადაწვნის გამო მრავალთავიანმა სოფისტმა გვაიძულა სურვილის საწინააღმდეგოდ დავთანხმებოდით, რომ არარსებული როგორდაც არსებობს?” (Soph. 240 c)<sup>93</sup>

მხატვრული მეტაფორის ნიმუშია ის მონაკვეთიც, სადაც უცხოელი ამბობს: “როცა დაბნეულები ვიყავით, უფრო დიდი წყვდიადი ჩამოწვა” (Soph. 264 c)<sup>94</sup>. აქ „წყვდიადი” აღნიშნავს ფილოსოფიურ მსჯელობაში არსებულ ბუნდოვანებას.

მხატვრული აზროვნების შესანიშნავ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს სოკრატემდელი ფილოსოფიური სკოლების და მათი წარმომადგენლების

<sup>90</sup> olmen ἀποδιδρασκων εἰς θην του μή οἵτοι~ skoteinon thta, tribh/prosaptomeno~ auhth~, dia; to; skoteinon tou topou katanohsai cal epor (Soph. 254 a).

<sup>91</sup> panourgw~ eisj aporon olsofisth~ topou kataeduken (Soph. 239 c).

<sup>92</sup> kai; gar kuni; luko~, aγριωτατον hmerwtaitw/(Soph. 231 a).

<sup>93</sup> pw~ gar ouk altopon, oka~ goun oft i kai; nun dia; th~ ejpal l akew~ tauith~ ol pol ukefal o~ sofisth~ h̄nagkaken h̄ma~ to; mh; ohc ekonta~ omol ogein eihai pw~ (Soph. 240 c).

<sup>94</sup> kai; touq j hmwn aporoumenwn elti meizwn katecunh skotodinia (Soph. 264 c).

დახასიათება მითოლოგიური პერსონაჟებისა და მოვლენების დახმარებით. პლატონი ამბობს, რომ ამ ფილოსოფოსებს “ჩანს, არსებობასთან დაკავშირებით კამათისას ერთმანეთში რადაც გიგანტომაქიის მსგავსი აქვთ” (Soph. 246 a)<sup>95</sup>. აქ ირონიულად არის წარმოჩენილი ფილოსოფიური სკოლების კამათი, როგორც ოლიმპიული ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლა პესიოდეს „თეოგონიაში” (674-719).

ფილოსოფოსთა ერთ ჯგუფზე საუბრისას უცხოელი ამბობს: “ჩვენთვის ნათელია, თეეტეტოს, რომ ეს ადამიანები უკეთესები გახდნენ, რადგან მათგან, რომლებიც შვა და აღზარდა მიწამ, არც ერთს არ შერცხვებოდა არაფრის, არამედ ყველანაირად დაამტკიცებდნენ, რომ ის, რასაც ხელით ვერ შეეხები, საერთოდ არაფერი არ არის” (Soph. 247 c)<sup>96</sup>. აქ არის ირონიული შედარება მითოლოგიურ „სპარტელებთან”, რომლებიც მიწიდან იშვნენ, კადმოსის მიერ დრაკონის კბილების დათესვის შედეგად. „რომლებიც შვა მიწამ” – ეს ათენელებია, რომელთა პირველი მეფე პეკროპსი იყო „ავტოხოონი” (თავად შობილი მიწიდან), რომელსაც პქონდა ნახევრად – ადამიანის, ნახევრად – გველის ტანი.

წარმოვადგენ „სოფისტში” მოძიებული შედარებებისა და მეტაფორებისა ანალიზის შედეგად მიღებულ ზოგად დასკვნებს:<sup>97</sup>

1. „სოფისტი“ შედარებებისა და მეტაფორების მრავალფეროვნებით ხასიათდება.

2. ამ ნაწარმოებში ვხვდებით როგორც მოკლე, ისე გავრცობილ შედარებებს. მოკლე შედარებებს ხშირად მარტივი ფორმულის სახე აქვთ და განსაკუთრებული ორიგინალობით არ გამოირჩევიან.

3. პლატონის შედარებები საკმაოდ სადა და უპრეტენზიოა. მწერალი არ ცდილობს სხვადასხვა ობიექტებსა თუ მოვლენებს შორის შეხების მოულოდნელი წერტილის გამონახვას ან შესადარებელი ელემენტის მრავალფეროვნების წარმოჩენას.

<sup>95</sup> kai; mhn epikeirge ejt aujtoi~ oipn gigantomacia ti~ eihai dia; thn ajmfisbhithsin peri; th~ oujsia~ pro-  
ajl l hñ ou~ (SOph. 246 a).

<sup>96</sup> safw~ gar hñin, wQeaithte, bel tio~ gegonasin ahdre~: epei; toutwn oujd jah ejh eipaiscunqeien oi{ge  
aujtwn spartoivte kai; aujtocqone~, ajl la; diateinoint jah pañ ojmh; dunatoi; tai~ cersi; sumpiezein ejisin,  
w~ aña touto oujden to; parapan ejst in (Soph. 247 c).

<sup>97</sup> აღხანიშნავია, რომ ანალოგიური დასკვნები კეთდება პლატონის სხვა დიალოგების ფილოლოგიური ანალიზის დროსაც, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „სოფისტის“ მხატვრული მხარე არსებითად არ განსხვავდება სხვა დიალოგების მხატვრული სამყაროსგან. მაგალითად, შდრ.: 26, 32-33.

4. ზოგჯერ ძნელია ზღვარის გავლება „სოფისტის“ შედარებებსა და მეტაფორებს შორის. მათი სინთეზით პლატონი თავისებურ მეტაფორულ შედარებებს გვთავაზობს.

5. პლატონი ძუნწი, მაგრამ მკვეთრი და შთამბეჭდავი საშუალებებით ქმნის სხვადასხვა მხატვრულ სახეებს. ამასთან მეტაფორებში უკეთ წარმოჩნდება პლატონის აზროვნების მასშტაბურობა და ორიგინალური მწერლური ხედვა (26, 32-33).

### პლატონის ბგერწერის თავისებურებანი

ბგერწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი მნიშვნელოვანი მწერლის და მათ შორის პლატონის შემოქმედებაშიც. ვეთანხები მოსაზრებას, რომ მისი დიალოგების სრულყოფილი ფილოლოგიური ანალიზი ამ საკითხის გათვალისწინებასაც მოითხოვს.

თანამედროვე მკითხველმა, რომელიც სტრიქონებს თვალით აღიქვამს, შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს სიტყვათა თანხმიერობა, მაგრამ პლატონს თავისი დიალოგები განკუთვნილი ჰქონდა მკითხველისათვის, რომელიც „დაწერილს წარმოთქვამდა მჟღერი ხორხით და წარმოთქმულს აღიქვამდა ნავარჯიშები სმენით“ (30, 56). შესაბამისად, იგი შედარებით ადვილად აფიქსირებდა და „შეიგრძნობდა“ სიტყვების თამაშს.

მკვლევარი, რომელიც პლატონის პროზას ბგერწერის თვალსაზრისით განიხილავს, ორი პრობლემის წინაშე დგას: ჯერ ერთი, როგორ შეამჩნიოს მწერლის ენის აკუსტიკური თავისებურებანი და მეორეც, როგორ აღწეროს და განმარტოს ისინი.<sup>98</sup>

პლატონის „სოფისტი“ არის ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები, რომლის ბევრი მხატვრული ლირსება, ჩვეულებრივ, თარგმანებში ნაკლებად წარმოჩნდება და ძირითადად ორიგინალთან ზიარებით ხდება ნათელი. განსაკუთრებით შეუმჩნეველი რჩება მკითხველს „სოფისტის“ აკუსტიკური მხარე.

მაგალითად, განვიხილოთ წინადადება:

<sup>98</sup> ამ საკითხის შესახებ დეტალურად იხ.: 26.

sumbainei d j oujh, wl Qeaithte, akihitwn te ohtwn nouñ mhdeni; peri; mhdeno- eihai mhdamou - aðmerigðað, tægðeðomis, gáðomðois, røðt tægðeðumlo ðeðraðaði, aðraðin aðræðað aðræðiðs aðræði (Soph. 249 b).

არ არის შემთხვევითი, რომ მთელს ფრაზაში ფიგურირებს *mhdən* - ფუძისგან ნაწარმოები სიტყვები (*mhdəniʃ* *mhdənoʃ*, *mhdəmou*). პლატონი, ჩემი აზრით, აქ საგანგებოდ იმეორებს უარყოფითი ნაცვალსახელის ფუძეს, რომელიც, თავისთავად „არარსებულს“ უკავშირდება და „არსებულთან“ ოპოზიციაშია. ერთი და იგივე ბგერის რამდენჯერმე, რიტუალი განმეორებით მწერალი აკუსტიკურ ეფექტს ქმნის და მკითხველს (უფრო სწორად მსმენელს) მოცემულ წინადაღებაზე უმახვილებს ყურადღებას. იმავდროულად, *mhdən*- ფუძის განმეორებით ხდება მისი მნიშვნელობის აქცენტირება. ამდენად, აკუსტიკურ ეფექტს მწერალი იყენებს „არარსებულის“ ცნების ხაზგასასმელად.

ანალოგიური დატვირთვისაა შემდეგ ფრაზებიც:

prwton mhdeni; mhden mhdemian dunamin ekein koinwnia~ ej- mhden – αραφερες αραφεροταντικηροτωδοις αραβασιρο δαλοδ αρα αρα (Soph. 251 e).

ejj sunecwrhsamen mhdeian eihai meixin mhdeni; pro~ mhden – წაგვერთმევა იმ შემთხვევაში, თუ დავთანხმებით, რომ არაფერი არაფერს არანაირად არ შეერგვა (Soph. 260 a).

მოცემულ შემთხვევებში ქართული სრულიად ძალდაუტანებლად და სავსებით ბუნებრივად გადმოგვცემს ბერძნული ფრაზის აკუსტიკურ ეფექტს.

მოცემული მხატვრული ხერხის სწორი ინტერპრეტაციისათვისაც ამოსავალი უნდა გახდეს ის კონტექსტი, რომელშიც იგი გამოიყენება. mhdent- ფუძის სამგზის ან ოთხგზის განმეორება არ არის არც შემთხვევითი და არც მხოლოდ გარეგნული სამკაული. იგი, როგორც უარყოფის მნიშვნელობის მქონე, ფრაზას სიმკაცრეს და კატეგორიულობას ანიჭებს და მისი საშუალებით აქცენტირებულია ზოგადად პლატონის და, კერძოდ, მოცემული ნაწარმოების უმნიშვნელოვანესი დებულება არსებულის მარადიული არსებობის შესახებ.

სიტყვათა თამაშის ბრწყნვალე მაგალითია ამ დიალოგში ფუძეების *paideia* და *paidia* გამოყენება. *paideia* – განათლება, აღზრდა არის ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელი და მისგან განუყოფელი თვისება, რომელიც უპირისპირდება სოფისტებისა და პირიქით, მსგავსი ფუძის მქონე სიტყვა *paidia* ხუმრობა, თამაში

სოფისტის თვისება, რომელიც უპირისპირდება ფილოსოფოსს. ადსანიშნავია, რომ სიტყვათა თამაში აქ “სოფისტის” ლაიტმოტივს ოპოზიციათა ჭიდილს უკავშირდება.

### მოქლე პასუხები

დასასრულ, ყურადღება უნდა შევაჩეროთ ზოგადად პლატონის შემოქმედების და კონკრეტულად ამ დიალოგისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიუანსზე, როგორიცაა მოკლე პასუხები, რომლებიც უხვადაა გაბნეული ამ დიალოგში და შეიძლება ვინმემ საჭიროდ არც კი ჩათვალოს მათზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება.

დიალოგში ერთ-ერთ საინტერესო ლექსიკურ შრეს ქმნის ოუეტეტოსის მზა, მოკლე პასუხები, რომლებიც ძირითადად გამოხატავს შეფარულ ეჭვს, პასიურ თანხმობას, პოზიტიურ შეთანხმებას ან თხოვნას უფრო მეტი სიცხადე მოუფინოს საკვლევ საკითხეს. ასეთებია: nai! pw~, pw~ d juj, pw~ gar ouj, ti~de, ti; mhn, ouftw~, panu ge, panu men ouj, pantapasi men ouh, eftw, oukoun crh, mall a ge, oujdamw~ და სხვა მსგავსი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია ტექსტის დრამატული კონტექსტის გასააზრებლად.

Nai! – ძალიან ხშირად გვხვდება და მისი ქართულად თარგმნა დამოკიდებულია იმ შეკითხვაზე, რომლის პასუხებაც ეს ფორმა წარმოადგენს, კერძოდ გვაძეს ასეთი შემთხვევები: “დიაბ”, “ჯი”, “ასეა”, “არის”.

Pw~; – გვხვდება ორ შემთხვევაში: 1. როდესაც რადაცის განსამარტიად თანამოსაუბრე, ხშირ შემთხვევაში ოუეტეტოსი, სვამს შეკითხვას; 2. როდესაც ოუეტეტოსი დაბნეულია დასმული შეკითხვით და მას კითხვითვე პასუხობს. ორივე შემთხვევაში ითარგმნება როგორც “როგორ?”.

Pw~ d juj – ორივე შეკითხვის ფორმაა, მაგრამ შინაარსობრივად თანხმობას წარმოადგენს. ქართულად გადმოგვაძვს როგორც “როგორ არა?” “რატომაც არა?”

Ti~ de; ti; mhn; – ქართულად გადმოდის სხვადასხვანაირად, კონტექსტის მიხედვით, კერძოდ: “როგორ არა?” “მაშ რა?” “მაშ როგორ არა?” “რადა?” ანუ ეს ფორმებიც შინაარსობრივად თანხმობას წარმოადგენს.

**Oufw~** – ითარგმნება როგორც “ასეა”. პასუხის ზემოთ მოყვანილ ფორმებთან შედარებით იშვიათად გვხვდება და გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი თანამოსაუბრე დარწმუნებულია მეორის მიერ განვითარებული აზრის სისწორეში და ადარ აქვს შინაგანი ეჭვი ამასთან დაკავშირებით.

**Panu ge, panu men ouj** ქართულად გადმოდის როგორც “რა თქმა უნდა”, “რადა თქმა უნდა”, “რასაკვირველია”. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც თანამოსაუბრე დარწმუნებულია და აქამდეც დარწმუნებული იყო მეორე თანამოსაუბრის თეზის ჭეშმარიტებაში.

**Pantapasi** მჩნ იუჟ – გადმოგვაქვს როგორც “რა თქმა უნდა”, “ნამდვილად ასეა”, “რა თქმა უნდა, ასეა”, “ყველანაირად ასეა”.

**Estw** – ეს ფორმაც შედარებით იშვიათად გვხვდება და გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც თანამოსაუბრე არ არის დარწმუნებული განვითარებული თეზის სისწორეში, არც ეთანხმება მას, მაგრამ უშვებს რაღაცას მომავალი კვლევის მიზნით, უშვებს, რომ ეს რაღაც არის ჭეშმარიტება. ქართულად შეესაბამება “იყოს ასე”.

**Oukouū crh** – გადმოგვაქვს როგორც “ასეა საჭირო”.

**Mal a ge** – გამოიყენება მაშინ, როდესაც თანამოსაუბრე არა მარტო თანხმობას გამოხატავს, არამედ აღტაცებას და აღფრთოვანებას, რაც განვითარებული თეზის სისწორით არის გამოწვეული. ითარგმნება როგორც “ძალიანაც”, “სწორედაც”.

**Oujdamw~** – გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც თანამოსაუბრე კატეგორიულად წინააღმდეგია დაეთანხმოს თანამოსაუბრის მიერ განვითარებულ მოსაზრებას. ითარგმნება როგორც “არანაირად” ან “არავითარ შემთხვევაში”.

შევეცადე წარმომეჩინა, თუ მოკლე პასუხის რამდენი სხვადასხვა ვარიანტი არის გამოყენებული პლატონის მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ დიალოგში. მათი ქართულად გადმოტანისას რამდენიმე პრინციპით ვხელმძღვანელობდი. კერძოდ, ვეცადე: 1. გადმომეტანა ქართულში ყოველდღიური ლექსიკით, რაც დიალოგს არ დაუკარგავდა სიცხოველეს და დინამიურობას; 2. გადმოტანისას შემენარჩუნებინა გრამატიკული ფორმა და სიტყვაწარმოების პრინციპი; 3. რაც შეიძლებოდა უფრო ზუსტად ამესახა სემანტიკური ნიუანსები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პლატონის დიალოგების და მათ შორის „სოფისტის“ სტილის სილადეს, სისადავესა და სიმსუბუქეს ბევრწილად სწორედ ასეთი მოკლე პასუხების ოსტატური გამოყენება განაპირობებს.

„სოფისტის“ მხატვრული თვალსაზრისით განხილვამ ცხადყო, რომ ეს დიალოგი ხორცშესხმულია სხვადასხვა მხატვრული ხერხის დახვეწილი და ორიგინალური გამოყენებით, რაც ნამდვილად არ შეესაბამება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ეს ნაწარმოები პლატონის სხვა დიალოგებთან შედარებით ნაკლებ მაღალმხატვრულია.

## დასპანა

“სოფისტი” მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი, თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ის ნაკლებ მხატვრულია პლატონის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით. ჩემი ნაშრომით სწორედ “სოფისტის” სისტემური ფილოლოგიური კვლევა დავისახე მიზნად და ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მართებულობის დადგენას შევეცადე.

აღნიშნული დიალოგის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, ძველი ბერძნული ორიგინალის შეძლებისდაგვარად სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე და საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით, წარმოვადგინე ეს დიალოგი როგორც მხატვრული ნაწარმოები. საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება იმ ასპექტებზე, რომლებიც დღეისათვის სათანადოდ შესწავლილი არ არის. ბუნებრივია, ფილოლოგიური ასპექტების კვლევა წარიმართა ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირში.

ნაშრომის დასასრულ წარმოვადგენ კვლევის შედეგად მიღებულ ძირითად დასკვნებს:

პლატონის “სოფისტის” კვლევა, ძირითადად, მიმდინარეობს ფილოსოფიური კუთხით და სხვა დიალოგებთან შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ ნაწარმოების ფილოლოგიური ასპექტების ანალიზს, თუმცა ვითარება გარკვეულწილად იცვლება XX საუკუნის მიწურულს და “სოფისტის” მხატვრული სამყაროს კვლევა შედარებით უფრო აქტუალური ხდება. მიუხედავად ამისა, ამ დიალოგის სისტემური ფილოლოგიური ანალიზი დღემდე არ მომხდარა.

„სოფისტი“ პლატონი დიალექტიკურ მეთოდს და დიალოგის ლიტერატურულ ფორმას იყენებს სოფისტიკის არსის ანალიზისა და განსაზღვრისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს დიალოგი არის სოფისტიკის მეცნიერულ-თეორიული ანალიზი. აქ თავმოყრილია და მეცნიერული დეფინიციის სახე აქვს მიცემული სოფისტიკის ყველა იმ მახასიათებელს, რასაც სხვა, აღრეულ დიალოგებში, პლატონი ცალკეულ სოფისტთა სახეების დახატვითა და საუბრის დრამატიზებით წარმოაჩენდა: მონადირე მდიდარ ყმაწვილებზე, მოჩვენებითი ცოდნით ვაჭარი, ერისტიკოსი, მოჩვენებათა შექმნის ოსტატი.

“სოფისტი” არის კვლევითი ხასიათის დიალოგი, რომელიც დღეს ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებული ფილოსოფიური დიალოგის ექვსი ტიპიდან ხუთის მახასიათებლების მქონეა, ესენია: დარწმუნება, კვლევა, მოლაპარაკება, განხილვა და ინფორმაციის ძიება. დიალოგის შემადგენელი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი არის კითხვა-პასუხების ციკლი, ხოლო ფილოსოფიური დიალოგის ენობრივი ფორმებიდან “სოფისტში” გვხვდება რედუცირება, მულტიფუნქციონალური და ფუნქციური ელემენტების სესხება. ნაწარმოებში გამოყენებულია დიალექტიკის სამივე მეთოდი: ელენხოსიც, ეპაგოგიც და ჰიპოთესისიც.

დიალოგს ლაიტმოტივად გასდევს “ჭეშმარიტისა” და “მსგავსის” დაპირისპირება, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ოპოზიციურ წყვილთა წარმოჩენით მეღავნდება და ამ ნაწარმოების დრამატულ ბუნებას განაპირობებს. ამგვარ ოპოზიციურ წყვილთა დინამიური თამაშითა და ურთიერთმონაცვლეობით „სოფისტი” ნამდვილ დრამას ემსგავსება და მას შეიძლება ეწოდოს “ჭეშმარიტისა” და “მსგავსის” ჭიდილის დრამა.

დიალოგი „სოფისტი“ შეიძლება პირობითად წარმოვიდგინოთ როგორც დრამა, რომელშიც გამოიყოფა პროლოგი (ექსპოზიცია), სამი მოქმედება და დასასრული. თითოეული მოქმედება თავის მხრივ იყოფა სცენებად.

“სოფისტი” ხასიათდება ორიგინალური კომპოზიციური ორგანიზაციით. ნაწარმოების სიუჟეტის – ფილოსოფიური მსჯელობის – მსგლელობაში შეინიშნება სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთა გამეორების ორგანიზაციული პრინციპი, რომელიც საკმაოდ მკაცრად არის დაცული. გარკვეული სიმეტრია იჩენს თავს ცალკეული პასაჟებისა და სიტყვების დონეზეც. კერძოდ, ცალკეულ ეპიზოდებს გააჩნია სტრუქტურული ორგანიზაციის ერთმანეთისაგან განსხვავებული და თვითმყოფადი სახე. ზოგ შემთხვევაში ესაა წრიული და პარალელური დაყოფების ორიგინალური ნაზავი, ხოლო ზოგან – წმინდა სახის წრიული დაყოფა.

”სოფისტში“ გამოყენებული ტერმინები შინაარსობრივად რამდენიმე ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. ონტოლოგიური ტერმინები; 2. გამოსახულებათა შექმნის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინები; 3. აზროვნებასთან, მსჯელობასა და საუბართან დაკავშირებული ტერმინები; 4. ადამიანის სხადასხვა საქმიანობისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელი ტერმინები; 5. ნადირობასთან დაკავშირებული

ტერმინები; 6. სულის დაავადებებთან დაკავშირებული ტერმინები. პლატონი ძველ ბერძნულში არსებულ ზოგად ტერმინებს ვიწრო ტექნიკური მნიშვნელობებით აღჭურვავს და ამავე სემანტიკით ამკვიდრებს.

“სოფისტი” გამოყენებული მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური ტერმინოლოგია არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ერთი მხრივ, ამ დიალოგის ფილოსოფიური მიზნების განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნაწარმოების ენობრივი შრის საკვლევად.

პლატონი „სოფისტი“ უპირატესობას ანიჭებს შედარებებსა და მეტაფორუებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მიმართავს ფილოსოფიური დისკურსის გასაძლიერებლად და რომელთა შორის ზღვარის გავლებაც ზოგჯერ რთულია, რადგან მათი სინთეზით ფილოსოფოსი თავისებურ მეტაფორულ შედარებებს გვთავაზობს.

“სოფისტი” წარმოდგენილია ორიგინალური ბგერწერის ნიმუშებიც, რომლებიც, სხვა მხატვრული სახეების მსგავსად, ფილოსოფიური მსჯელობის მნიშვნელოვანი ასპექტების ხაზგასასმელად გამოიყენება.

“სოფისტი” პლატონი, ჩვეულებისამებრ, მიმართავს ე.წ. მოკლე პასუხებს. სხვა დიალოგების კვალობაზე, „სოფისტის“ სტილის სილადეს, სისადავესა და სიმსუბუქეს ბევრწილად სწორედ ასეთი მოკლე პასუხების ოსტატური გამოყენება განაპირობებს.

“სოფისტის” ფილოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს დიალოგი ხორცშესხმულია სხვადასხვა მხატვრული ხერხის დახვეწილი და ორიგინალური გამოყენებით, რაც ეწინააღმდეგება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ “სოფისტი” პლატონის სხვა დიალოგებთან შედარებით ნაკლებ მხატვრულია.

“სოფისტის” თვითმყოფად მხატვრულ სამყაროს განაპირობებს ფილოსოფიური პრობლემატიკის ანალიზი და ხორცშესხმა ფილოსოფიური დიალოგის მოქნილი და ტევადი ფორმით, სოფისტიკის არსის მეტაფორული გადმოცემა, არსებულისა და არარსებულის დიალექტიკის ანალიზი ფილოსოფიური დიალოგის ჟანრობრივი მახასიათებლების ოსტატური გამოყენებით, ოპოზიციათა ჭიდილი და სიუჟეტის ფილოსოფიური მსჯელობის დრამატული განვითარება, ნაწარმოების ორიგინალური კომპოზიციური ორგანიზაცია, მხატვრული ხერხების, ტროპული მეტყველებისა და ბგერწერის ორიგინალური სინთეზი.

## **ლიტერატურა:**

**ტექსტები, თარგმანები, კომენტარები:**

1. გრიგოლ ნაზიანზელი, ნიკობულოსს (მასზედ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს წერილი), თარგმანი ქ. ბეზარაშვილისა, ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, I, რედ. ლ. კვირიკაშვილი, თბილისი 1994.
2. იოანე მოსხოსი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი 1960.
3. პლატონი, ადრეული დიალოგები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 1997.
4. პლატონი, იონი. დიდი პიპია. მენონი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 1974.
5. პლატონი, ფედონი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 1982.
6. პლატონი, პარმენიდე, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 2002.
7. პლატონი, სახელმწიფო, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბილისი 2003.
8. Платон, Сочинения в трёх томах, под. ред. А. Ф. Лосева и В. Ф. Асмуса, Москва 1968-1972.
9. Plato, Opera, recognovit I. Burnet, t. I, Oxonii 1905.
10. Plato, Opera, ex recensione R. B. Hirschigii, v. I, Graece et Latine, Parisiis 1873.
11. Plato, Thaetetus. Sophist, with an English translation by H. Fowler, London 1967.
12. Platon, Le Sophiste, texte établi et traduit par A. Dies, Paris 1925.
13. Νικολουδης Η. Π., Πλατων, Σοφιστης, Κακτος, Αθηνα, 1993.

**ლექსიკონები და ენციკლოპედიები:**

14. Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь, т. 1-2, Москва 1958.
15. Литературный энциклопедический словарь, под. ред. Кожевникова В. М. и Николаева П. А., Москва 1987.

16. Философский энциклопедический словарь, под. ред. Константина Ф. В., Москва 1989.
17. Greek-English Lexicon, by H. G. Liddell and R. Scott, Oxford 1961.
18. The Oxford Classical Dictionary, by N. G. L. Hammond and H. H. Scullard, Oxford, 1970.
19. Der Neue Pauly, Enzyklopädie der antike, hg. v. H. Cancik und H. Schneider, 15 Bde, Stuttgart, Weimar 1996.
20. Lalande A., Lexikon th~ filosofia~, Aqhnai 1955.
21. Lexicon Platonicum sive vocum Platonicarum, vol. I, ed. F. Astius, Lipsiae 1835.
22. Lexicon Platonicum sive vocum Platonicarum, vol. II, ed. F. Astius, Lipsiae 1836.
23. Lexicon Platonicum sive vocum Platonicarum, vol. III, ed. F. Astius, Lipsiae 1838.

**ზოგადი ნაშრომები და სპეციალური გამოკვლევები:**

24. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი 1983.
25. გათრი უ., ბერძენი ფილოსოფოსები, თარგ. ინგლისურიდან, თბილისი 1983.
26. დარჩია ი., პლატონის ფედონი (ლიტერატურა, ფილოსოფია, მთლიანობა, მისტიკა), თბილისი 1998.
27. დოლიძე თ., მოძრაობა, როგორც გენეტიკური ცნება პლოტინეს მოძღვრებაში სამი ჰიპოსტაზის შესახებ, ANAQESIS, ფილოლოგიურისტორიული ძიებანი, აკადემიკოს თ. ყაუხებიშვილის საიუბილეოდ, თბილისი 1999.
28. დოლიძე ნ., ძირითადი ენათმეცნიერული ტენდენციები ანტიკურ ფილოსოფიაში და პლატონის „პრატილოსი”, თბილისი 1998.
29. თევზაძე გ., ანტიკური ფილოსოფია, თბილისი 1983.
30. მჭედლიძე გ., სოკრატეს დიალექტიკებ ერთი მეთოდისათვის, „ენა და კულტურა”, № 4, თბილისი 2003.
31. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, რედ. ჯ. კორძაია, თბილისი 1993.
32. კუპავა თ., ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 1988.
33. წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბილისი 1968.
34. Аверинцев С. С., Классическая греческая философия как явление историко-литературного ряда, Новое в современной классической филологии, Москва 1979.

35. Асмус В. Ф., *Античная философия*, Москва 1976.
36. Асмус В. Ф., *Платон*, Москва 1975.
37. Безменова Н. А., *Очерки по теории и истории риторики*, Москва 1991.
38. Богомолов А. С., *Диалектический логос, становление диалектики*, Москва 1982.
39. Боровой Л. Я., *Диалог или размена чувств и мыслей*, Москва 1969.
40. Брентано, *Древние и современные софисты*, Санкт-Петербург 1886.
41. Брутян Г., *Коренная противоположность диалектики софистике*, Ереван 1953.
42. Буш Г. Я., *Диалог и творчество*, Рига 1985.
43. Виноградов В. В., *О языке художественной прозы*, Москва 1980.
44. Гегель, *Сочинения*, т. X, Москва 1932.
45. Гиляров А. И., *Греческие софисты, их мировоззрения и деятельность в связи с общей политической и культурной истории Греции*, Москва 1888.
46. Гиляров А. И., *Источники о софистах: Платон как исторический свидетель*, Киев 1891.
47. Гиргинов Г., *Диалог, философско-политический анализ*, Москва 1989.
48. Диалогическая речь, основы и процес, Тбилиси 1980.
49. Диалоговые взаимодействия и представление знания, Новосибирск 1985.
50. Егоров Б. Ф., *О мастерстве литературной критики*, Ленинград 1980.
51. Жураковский Г. Е., *Очерки по истории античной педагогики*, Москва 1940.
52. Зеленецкий К. П., *Исследование о риторике*, Москва 1991.
53. История античной диалектики, Москва 1972.
54. Йегер В., *Пайдея*, Москва 2001.
55. Кассен Б., *Эффект софистики*, Москва 2000.
56. Кессиди Ф. Х., *Сократ*, Санкт-Петербург 2001.
57. Кессиди Ф. Х., *Философия, диалог и драматика в Древней Греции классического периода*, в. сб. *Проблемы античной культуры*, Москва 1986.
58. Кучинский Г. М., *Диалог и мышление*, Минск 1983.
59. Литературные направления и стили, под. ред. П. А. Николаева и Е. Г. Гудневой, Москва 1976.
60. Лосев А. Ф., *История античной эстетики*, Высокая классика, Москва 1974.
61. Лосев А. Ф., *История античной эстетики. Софисты, Сократ, Платон*, Москва 1969.

62. Льюис А., Античная философия, Минск 1997.
63. Марков И., Педагог древнего классического лица – философ Сократ, Москва 1976.
64. Миллер Т. А., Мефодий Олимпийский и традиция платоновского диалога, в. сб. Античность и Византия, Москва 1975.
65. Минасян А. Т., Диалектика и софистика, Ростов 1985.
66. Нерсесянц В., Сократ, Москва 1976.
67. Орлова Е., Сократ, Платон, Аристотель, Сенека, Москва 1985.
68. Платон и его эпоха, под. ред. Ф. Х. Кессиди, Москва 1979.
69. Подосинов А. И., К проблеме сократовского диалога, в сб. Античная культура и современная наука, Москва 1985.
70. Синтаксис и стилистика, отв. ред. Г. А. Золотова, Москва 1976.
71. Славгородская Л. В., Научный диалог, Ленинград 1986.
72. Чанышев А. Н., Курс лекции по древней философии, Москва 1981.
73. Целлер Е., Очерк истории греческой философии, Санкт-Петербург 1996.
74. Церетели Гр., Труды по истории античной литературы, Тбилиси 1993.
75. Якубинский Л., О диалогической речи, Петербург 1923.
76. Ackrill J., *Symplokē eidōn*, Bulletin of the Institute of Classical Studies 2: 31-35 1955.
77. Ackrill J., Plato and the Copula: Sophist 251-9, Journal of Hellenic Studies 77: 1-6 1957.
78. Ambuel D., Image and Paradigm in Plato's Sophist. La Vegas: Parmenides Publishing Company 2007.
79. Annas J. Rowe C., New Perspectives on Plato, Modern and Ancient, Harvard University Press, 2002.
80. Athenagoras N, Zakopoulos, Plato on Man, new York 1975.
81. Benardete S., On Plato's Sophist, Review of Metaphysics 46: 747-780 1993.
82. Berman S., Plato's Explanation of False Belief in the Sophist, Apeiron 29: 19-46 1996.
83. Bluck R. S., False Statement in the "Sophist", Journal of Hellenic Studies 77: 181-186, 1957.
84. Bluck R. S., Plato's Sophist, Manchester 1975.
85. Bohm D., On Dialogue, New York 2003.
86. Bolton R., Plato's Distinction Between Being and Becoming, Review of Metaphysics 29: 66-95, 1975.

87. Bondeson W., Some Problems about Being and Predication in Plato's "Sophist" 242-249, *Journal of The History of Philosophy* 14: 1-10, 1976.
88. Bostock D., "Plato on 'is not' (Sophist, 254-9)," *Oxford Studies in Ancient Philosophy* 2: 89-119, 1984.
89. Brouwer M., *The Limits of Philosophy: Plato's "Sophist" and "Statesman"*, UMI Dissertation Services, 2005.
90. Brown L., The verb 'to be' in Greek Philosophy: Some Remarks. In *Language*. Edited by Everson Stephen. Cambridge: Cambridge University Press, 212-236, 1994
91. Brown L., The Sophist on Statements, Predication, and Falsehood, In *The Oxford Handbook of Plato*. Edited by Fine Gail. New York: Oxford University Press, 383-410, 2008.
92. Brumbaugh R. S., Diction and Dialectic. The language of Plato's Stranger from Elea. In *Language and Thought in Early Greek Philosophy*. Edited by Cobb Kevin. La Salle: Hegeler Institute, 266-276, 1983.
93. Cornford F. M., *Plato's Theory of Knowledge*, London 1967.
94. Cunningham M., Dramatic Device or Didactic Tool? Rhetoric in Byzantium, London 2001.
95. Dancy Russell M., "The Categories of Being in Plato's Sophist 255c-e," *Ancient Philosophy* 19: 45-72, 1999.
96. Duerlinger J., *Plato's Sophist*, Oxford 2005.
97. Duerlinger J., The Ontology of Plato "Sophist": the problems of Falsehood, Non-being and Being, *Classical Quarterly* 65: 151-169, 1988.
98. Frede M., Plato's Arguments and the Dialogue Form. In *Oxford Studies in Ancient Philosophy*, Oford 201-219, 1992.
99. Frede M., Plato's Sophist on False Statements. In *The Cambridge Companion to Plato*. Edited by Kraut Richard. Cambridge: Cambridge University Press, 397-424, 1992.
100. Frede M., The Literary Form of the Sophist. In *Form and argument in Late Plato*. Edited by Gill Christopher and McCabe Mary Margaret. Oxford: Oxford University Press, 1996.
101. Friedlander P., *Platon, Eidos, Paideia, Dialogos*, Berlin 1928.
102. Gadamer H. G., *Dialogue and Dialectic, Eight Hermeneutical Studies on Plato*, London 1980.

103. Gerson L., The Holy Solemnity of Forms and the Platonic Interpretation of Sophist, *Ancient Philosophy* 26: 291-304, 2006.
104. Gordon, Jill, Turning Toward Philosophy. Literary Device and Dramatic Structure in Plato's Dialogues, Univ Park 1999
105. Gundert, Dialog und Dialektik, Berlin 1971.
106. Guthrie W. K. C., A History of Greek Philosophy, The Presocratic Tradition from Parmenides to Demokritus, v. II, Cambridge 1980.
107. Heidegger M., Plato's Sophist. Bloomington: Indiana University Press 1997.
108. Heinaman R., Self-predication in the Sophist, *Phronesis.A Journal for Ancient Philosophy* 26: 55-66, 1981.
109. Hestir B. E., A conception of truth in Plato's Sophist, *Journal of The History of Philosophy* 41: 1-24, 2003.
110. Hirzel R., Der Dialog, Leipzig 1895.
111. Jordan R. W., Plato's task in the Sophist, *Classical Quarterly* 34: 113-129, 1984.
112. Johansen K. F., A History of Ancient Philosophy: From the Beginnings to Augustine, London & New York 1998.
113. Kahn Ch., Some Philosophical Uses of 'to be' in Plato, *Phronesis.A Journal for Ancient Philosophy* 26: 105-134, 1981.
114. Kerferd G. B., The Sophistic Movement, Cambridge 1981.
115. Klein J., Plato's Trilogy, Thaetetus, the Sophist and the Statesman, Chikago 1980.
116. Leigh F., The Copula and Semantic Continuity in Plato's Sophist, *Oxford Studies in Ancient Philosophy* 34: 105-121, 2008.
117. Lyons J., Structural semantics, An Analysis of Part of the Vocabulary of Plato, Oxford 1967.
118. Malcolm J., Plato's Analysis of "to on" and "to me on" in the Sophist, *Phronesis.A Journal for Ancient Philosophy* 12: 130-146, 1967.
119. Malcolm J., A Way Back for Sophist 255c12-13, *Ancient Philosophy* 26: 275-289, 2006.
120. Mason A. S., California 2010.
121. McCoy M., Plato on The Rhetoric of Philosophers and Sophists, Cambridge University Press, 2008.

122. Moravcsik J., Being and Meaning in the Sophist, *Acta Philosophica Fennica* 14: 23-78, 1962.
123. Morgenstern A. S., Leaving the Verb 'to be' behind: an Alternative Reading of Plato's Sophist, *Dionysius* 19: 27-50, 2001.
124. Nightingale A. W., *Genres in Dialogue, Plato and the Construct of Philosophy*, Cambridge 2000.
125. Notomi Noburu. *The Unity of Plato's Sophist. Between the Sophist and the Philosopher*. Cambridge: Cambridge University Press 1999.
126. Peterson S., *Socrates and Philosophy in the Dialogues of Plato*, Cambridge 2011.
127. *Philosophy in Dialogue: Plato's Many Devices*, edit. by G. A. Scott, Illinois 2007.
128. Ray Ch., *For images: an interpretation of Plato's Sophist*. Lanham: University Press of America 1984.
129. Rijk L. M., *Plato's Sophist: A Philosophical Commentary*, New York 1986.
130. Robinson R., *Plato's Earlier Dialectic*, Oxford 1962.
131. Rosen S., *Plato's Sophist, The Drama of Original and Image*, London 1983.
132. Rowe C., *Plato*, Bristol Classical Press, 2008.
133. Rowe C., *Plato and the Art of Philosophical Writing*, Cambridge University Press, 2007.
134. Rudebusch G., Does Plato Think False Speech is Speech? *Nous* 24: 599-609, 1990.
135. Russon J., Sallis J., *Retracing the Platonic Text*, Evanston 2000.
136. Sinaico W. L., *Love, Knowledge and Discourse in Phaedrus, Republic, Parmenides*, London 1986.
137. Stokes A. W., *Plato's Socratic Conversations, Drama and Dialectic in Three Dialogues*, London 1986.
138. Szlezak T. A., *Reading Plato*, London and New York 1993.
139. Thesleff H., *Commentationes Humanorum Litterarum: Studies in Platonic chronology*, Helsinki 1982.
140. Walton D. N., *The new dialectic. Conversational Contexts of argument*, Toronto 1998.
141. Warner R., *The Greek Philosophers*, New York 1958.
142. Zuckert C. H., Who's a Philosopher? Who's a Sophist? The Stranger v. Socrates, *Review of Metaphysics* 54: 65-97, 2000.

## პლატონი

“სოფისტი”

(თარგმანი ძველი ბერძნულიდან)

## სოფისტი

[ან არსებულის შესახებ. ლოგიკური ხასიათის დიალოგი]

თეოდოროსი, სოკრატე, ელისელი სტუმარი, თეოდოროსი

თ ე თ დ ო რ ო ს ი. როგორც გუშინ შევთანხმდით, სოკრატე, ჩენ  
თავად მოვედით და აი, ეს უცხოელიც თან მოგვყავს, წარმოშობით ელეადან,  
პარმენიდესისა2 და ზენონის3 მიმდევართა მეგობარი, ნამდვილი ფილოსოფოსი.

ს ო კ რ ა ტ ე თეოდოროს, ჰომეროსის თქმისა არ იყოს, იქნებ უცხოელი  
კი არა, რომელიმე ღმერთი მოგყავს ისე, რომ თავადაც არ უწყი?4 როგორც ის  
ამბობს, სხვა ღმერთებიც, და განსაკუთრებით უცხოელთა მფარველი ღვთაება,  
იმ ადამიანთა თანამგზავრები ხდებიან, რომლებიც სათანადო რიდით  
გამოირჩევიან, რათა თვალყური ადევნონ ადამიანთა ზვიადობასა თუ  
კანონიერებას. შესაძლოა, შენც ღვთაებათაგან ერთ-ერთი უძლიერესი  
გახლავს, რათა ჩვენ – მსჯელობებში უძლურთ – დაგვაკვირდეს და  
გვამხილოს, როგორც მამხილებელმა ღმერთმა.

თ ე თ დ ო რ ო ს ი. ასეთი როდია, სოკრატე, ეს უცხოელი, არამედ  
იმათზე უფრო თავმდაბალია, რომლებიც კამათით არიან გატაცებულნი. ჩემი  
აზრით, ეს ადამიანი სულაც არ არის ღმერთი, არამედ – ღვთაებრივი, რადგან  
მე ყველა ფილოსოფოსს ასე ვუწოდებ.

ს ო კ რ ა ტ ე და სამართლიანადაც, მეგობარო. როგორც ჩანს, ამ  
გვარის გარჩევა არ არის უფრო ადვილი, ვიდრე ღმერთების გვარისა. ყველა  
ეს ადამიანი, არა ცრუ, არამედ ჭეშმარიტად ფილოსოფოსი, რომელნიც  
სხვადასხვაგვარად წარმოუდგენიათ დანარჩენებს თავიანთი უმეცრების გამო,  
“მოივლიან ქალაქებს”, და ზემოდან დაპყურებენ ქვემოთ მყოფთა ცხოვრებას;5  
ზოგი მიიჩნევს, რომ ისინი პატივისცემას არ იმსახურებენ, ზოგი კი მათ  
ყველაზე უფრო დირსეულებად თვლის; მათ ხან პოლიტიკოსებად

წარმოსახავენ, ხან – სოფისტებად, ზოგი კი იმასაც ფიქრობს, რომ სრულიად შეშლილნი არიან. ამიტომ ჩვენს უცხოელს სიამოვნებით გამოვკითხავდი, თუ მისი სურვილიც იქნებოდა, რას ფიქრობდნენ და რას ამბობდნენ ამაზე მის ქვეყანაში.

თ ე ო დ ო რ ო ს ი. კერძოდ, რაზე?

ს ო კ რ ა ტ ე. სოფისტზე, პოლიტიკოსზე, ფილოსოფოსზე.<sup>6</sup>

თ ე ო დ ო რ ო ს ი. განსაკუთრებით რა გაფიქრებს და რა შეკითხვის დასმა გადაწყვიტე ამასთან დაკავშირებით?

ს ო კ რ ა ტ ე. აი ამის: ყოველივე ამას ერთ რამედ მიიჩნევდნენ, თრად თუ, როგორც სახელია სამი, სამ ცალკეულ გვარად განარჩევდნენ და თითოეულ სახელს თითო გვარს მიაკუთვნებდნენ?

თ ე ო დ ო რ ო ს ი. მე ვფიქრობ, ამის განხილვაზე ის უარს არ იტყვის. ასე არაა, უცხოელო?

უ ც ხ ო ე ლ ი. ასეა, თეოდოროს, სიამოვნებით გიპასუხებთ, მით უფრო, რომ არ არის რთული სათქმელი: სამად მიიჩნევდნენ. მაგრამ რაც შეეხება თითოეულის ზუსტად განსაზღვრას – თუ როგორი რა არის – ეს არ არის პატარა და იოლი საქმე.

თ ე ო დ ო რ ო ს ი. სოკრატე, სრულიად შემთხვევით, დაახლოებით იმ საკითხებს შეეხე, რომელთა შესახებ ჩვენც ვეკითხებოდით, სანამ აქ მოვიდოდით. და რასაც ახლა შენ გეუბნება, ჩვენც იმავეს გვეუბნებოდა, რომ საკმარისად აქვს ამის შესახებ მოსმენილი და არ დავიწყებია.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, უცხოელო, ნუ გვეტყვი უარს პირველ სათხოვარზე და ეს გვითხარი: როგორ გჩვევია – გრძელი სიტყვით გადმოსცე ის, რისი დამტკიცებაც გინდა, თუ შეკითხვების საშუალებით, როგორც ამას ოდესდაც პარმენიდესი აკეთებდა თავისი მშვენიერი მსჯელობების გადმოცემისას<sup>7</sup>, რასაც მეც მოვესწარი, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, ის კი – მეტად მოხუცებული.<sup>8</sup>

უ ც ხ ო ე ლ ი. სოკრატე, მას, ვინც მშვიდად და მორჩილად გესაუბრება, უფრო ადვილია შეკითხვებით მიმართო, სხვა შემთხვევაში კი უმჯობესია თავად ისაუბრო.<sup>9</sup>

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, შეგიძლია დამსწრეთაგან ვინც გინდა, ის აირჩიო, ყველანი მშვიდად დაგემორჩილებიან. თუ ჩემს რჩევას მიჰყვები, რომელიმე ახალგაზრდა აირჩიე. აი, ეს, თევტეტოსი, ან სხვა, რომელიც გინდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. სოკრატე, რადგან თქვენთან პირველად ვარ, მერიდება, ნაცვლად იმისა, რომ საუბარი მოკლე სიტყვა-პასუხით წარგმართო, გრძლად გავჭიმო და გაბმული მსჯელობით მივმართო ჩემს თავს ან ვინმე სხვას, თითქოს ამას თავის წარმოსაჩენად ვაკეთებდე. მაგრამ სინამდვილეში დასმული საკითხი ისეთი არაა, როგორიც ვინმეს შეიძლება ეგონოს, არამედ საკმაოდ ვრცელ მსჯელობას საჭიროებს. მეორე მხრივ კი, შენ და ამათ რომ არ გაამოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შენ თქვი, არათავაზიანად და ხეპრულად მეჩვენება. თანახმა ვარ, რომ ჩემი თანამოსაუბრე თევტეტოსი იყოს, რადგან მასთან ადრეც მისაუბრია და ახლა შენც მომიწოდებ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. მაშ, უცხოელო, ისე მოიქეცი, რომ, როგორც სოკრატემ თქვა, ყველას ეამოს.

უ ც ხ ო ე ლ ი. როგორც ჩანს, ამაზე სათქმელიც აღარაფერია, თევტეტოს. ამის შემდეგ საუბრისას უკვე შენ მოგმართავ და თუ ხანგრძლივი შრომა დაგამძიმებს, მე კი ნუ დამადანაშაულებ, არამედ ამ შენს მეგობრებს [მოჰკითხე].

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ვფიქრობ, უკან არ დავიხევ და თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, მაშინ მოგიშველიებთ ამ სოკრატეს,<sup>10</sup> სოკრატეს სეხნიას, რომელიც ჩემი ტოლია და ჩემთან ერთად ვარჯიშობს. ის მიჩვეულია ჩემთან ერთად შრომას.

უ ც ხ ო ე ლ ი. კარგი ნათქვამია, მაგრამ ამას თავად მიხვდები საუბრისას. თავდაპირველად, როგორც მე მგონია, ჩემთან ერთად კვლევა სოფისტიდან უნდა დაიწყო, გამოიძოო და გამოამჟღავნო, თუ რა არის ის. ახლა ხომ მე და შენ მხოლოდ სახელთან დაკავშირებით ვართ შეთანხმებულნი, იმ საგანზე კი, რასაც თითოეული მათგანი ამ სახელს ვუწოდებთ, შესაძლოა, საკუთარი აზრი გვაქვს. ყოველთვის ყველაფრის შესახებ თავად საგანზე მსჯელობით უნდა შეთანხმდე და არა მხოლოდ სახელზე, [საგანზე] მსჯელობის გარეშე. იმ გვარის წვდომა კი, რომლის

კვლევაც ახლა გადავწყვიტეთ – თუ რა არის სოფისტი – სრულებით არ არის ადვილი. მეორე მხრივ, როდესაც მნიშვნელოვანი საკითხია სათანადოდ დასამუშავებელი, ამასთან დაკავშირებით ყველანი, მათ შორის ძველებიც, ფიქრობდნენ, რომ სანამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შეეხები, ჯერ უფრო მცირესა და მარტივში უნდა ივარჯიშო.<sup>11</sup> ახლა კი, თემეტოს, ჩვენი თავისთვის მე ეს რჩევა მექნება: რადგან რთული და ძნელად მოსანადირებელია სოფისტის გვარი, პირველად რადაც სხვა, უფრო მარტივზე მოგხინჯოთ მისი კვლევის მეთოდი, თუ, რა თქმა უნდა, შენ უფრო მარტივი გზა არ გაქვს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, გსურს, ჯერ რაიმე უმნიშვნელოს მივმართოთ, შემდეგ კი ვცადოთ, გამოვიყენოთ ის ნიმუშად უფრო მნიშვნელოვანისთვის?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამრიგად, რა წამოუწიოთ წინ ისეთი, რომელიც კარგად ცნობილი, მაგრამ უმნიშვნელოა და, ამასთან, უფრო მნიშვნელოვანზე ნაკლები [მსჯელობა] არ სჭირდება? ასეთი მეთევზეა – ის ხომ ყველასათვის ნაცნობია და [მისი კვლევა] დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ვიმედოვნებ, რომ მისი [კვლევისათვის] გამოსადეგი მეთოდი და მსჯელობა არ იქნება უსარგებლო ჩვენ მიერ დასახული მიზნისათვის.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კარგი იქნებოდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, მოდი, ამით დავიწყოთ. მითხარი: რა დავუშვათ – რომ [მეთევზე] ოსტატია, თუ ის, რომ ოსტატი არ არის, მაგრამ რადაც სხვა უნარი კი აქვს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა, ოსტატია.

უ ც ხ ო ე ლ ო. თითქმის ყველა ხელოვნება ორ გვარად იყოფა.<sup>12</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. მიწათმოქმედებასა და ყველაფერ იმას, რაც მოკვდავის სხეულის მოვლას შეეხება, ასევე რაც შედგენილსა და გაკეთებულს უკავშირდება, რასაც კი სხვადასხვა საჭიროებისთვის მოვიხმართ და აგრეთვე მიმეტიკასაც – ამ ყველაფერს სამართლიანად შეიძლება ერთი სახელი გუწოდოთ.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ და რა სახელი?

უ ც ხ ო ე ლ ო. იმაზე, რაც უწინ არ იყო, მოგვიანებით კი ვიღაცამ არსებობაში მოიყვანა<sup>13</sup>, ჩვენ გამბობთ, რომ ის, ვინც მოიყვანა შემქმნელია, ხოლო რაც მოიყვანა – შექმნილი.<sup>14</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. მართალია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ყველაფერი, რაც ახლა განვიხილეთ, ამავე ძალას განეკუთვნება.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ყოველივე ამას მთლიანობაში ვუწოდოთ შემოქმედებითი ხელოვნება.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. იყოს ასე.

უ ც ხ ო ლ ო. სწავლა და ცოდნის ყველა სახეობა, ასევე სავაჭრო, შეჯიბრებისა და ნადირობის ხელოვნება, რომელთაგან არც ერთი არაფერს არ ქმნის, არამედ, ერთი მხრივ, სიტყვებითა თუ ქმედებით ხელში ჩაიგდებს იმას, რაც არსებობს და რაც წარმოიშობა, მეორე მხრივ კი, სხვებს ხელში ჩაგდების საშუალებას არ აძლევს – ყველაზე შესაფერისი იქნება, ყველა ეს [საქმიანობა] მოვიხსენიოთ როგორც მოპოვებითი ხელოვნება.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. დიახ, შესაფერისი იქნებოდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ოუ ყველანაირი ხელოვნება ან მოპოვებითია, ან შემოქმედებითი, რომელ მათგანს მივაკუთვნებდით თევზაობას, თევზებოს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ცხადია, მოპოვებითს.

უ ც ხ თ ე ლ ი. განა მოპოვებითი ხელოვნებაც ორი სახის არაა? ერთი – ნებაყოფლობით გაცვლის ხელოვნება, რომელიც ჩუქებით, ქირაობით ან ყიდვა-გაყიდვით ხორციელდება, მეორე კი – ყველაფრის ხელში ჩაგდება საქმით ან სიტყვებით – განა ხელში ჩაგდების ხელოვნება არ იქნება?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნათქვამიდან ასე ჩანს.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, ხელში ჩაგდების ხელოვნებაც ორად არ უნდა გავყოთ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ყველაფერი, რაც ღიად ხდება, მივაკუთვნოთ შეჯიბრების, ხოლო ის, რაც დაფარულია – ნადირობის ხელოვნებას.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კეთილი.

უ ც ხ თ ე ლ ი. უაზრო იქნებოდა, ნადირობაც ორად რომ არ გაგვეყო.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. თქვი, როგორ!

უ ც ხ თ ე ლ ი. გამოვყოთ, ერთი მხრივ, უსულო, ხოლო, მეორე მხრივ, სულიერ გვარზე ნადირობა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რატომაც არა, ოუ ორივე არსებობს?

უ ც ხ თ ე ლ ი. როგორ არ არსებობს? უსულოებზე ნადირობას, გარდა ზოგიერთი წყალქეშა სახეობისა, რომელთა რაოდენობაც მცირეა და რომელსაც [რაიმე] სახელი არ გააჩნია, ამჯერად თავი დავანებოთ, სულიერ არსებებზე ნადირობას კი ცხოველებზე ნადირობა ვუწოდოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე იყოს.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხომ სამართლიანი იქნება ცხოველებზე ნადირობაც ორ სახედ გავყოთ: ერთი იქნება ხმელეთის გვარი, რომელშიც სხვადასხვა სახე და სახელი გამოიყოფა – ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა, მეორე კი – ყველა მცურავ არსებაზე, წყლის ცხოველებზე ნადირობა.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხომ ვხედავთ, რომ მცურავ არსებათა ერთი გვარი ცრთოსანია, მეორე კი – წყალქვეშა?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. ფრთოსან გვარზე ყველა სახის ნადირობას ჩვენთან მეჩიტადეობა ეწოდება.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. წყალქვეშა [ცხოველებზე] ნადირობის თითქმის ყველა სახეს კი – თევზაობა.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. დიახ.

უ ც ხ ო ე ლ ო. და რა? ეს ნადირობაც ორ ძალიან მნიშვნელოვან ნაწილად ხომ არ გაგვეყო?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომელებად?

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთი ადგილზევე ნადირობს ბადებით, მეორე კი – დარტყმით.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რას უწოდებ [თევზაობის] ამ თითოეულ [სახეს] და როგორ განასხვავებ მათ ერთმანეთისგან?

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთს, რომელიც ყველაფერს შემოსაზღვრავს, რათა მოიმწყვდიოს, ბადის მსგავსი უნდა ეწოდოს.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. გოდორყურებს, კოკოზებს, თოკებს, კაკანათებსა და  
მსგავს რამეებს სხვა რა ვუწოდოთ, თუ არა ბადე?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. არაფერი.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, ნადირობის ამ სახეს ბადით თევზაობა ან რაიმე  
ასეთი ვუწოდოთ.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ვუწოდოთ.

უ ც ხ ო ე ლ ი. ხოლო [ნადირობის] მეორე სახეობას, რომელიც კავებისა  
და სამკაპების დარტყმით ხორციელდება, ერთი სახელი – დარტყმით  
თევზაობა უნდა ვუწოდოთ. ან იქნებ, ვინმემ უკეთესი სახელიც კი დაარქვას,  
თევტებოს?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ნულარ ვიზრუნებთ სახელზე, რადგან ესეც  
საკმარისია.

უ ც ხ ო ე ლ ი. დამით, ცეცხლის შუქზე დარტყმით თევზაობას,  
ვფიქრობ, თავად მონადირენი ცეცხლით ნადირობას უწოდებენ.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. დღისით, კავებითა და სამკაპებით [ნადირობას] კი –  
კავით ნადირობას.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. კავით თევზაობის [სახეობას]<sup>15</sup>, რომელიც ძირითადად  
სამკაპებით ზემოდან ქვემოთ დარტყმით ხორციელდება, ვფიქრობ, სამკაპით  
თევზაობა უნდა ეწოდოს.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ზოგი ასეც უწოდებს.

უ ც ხ ო ე ლ ი. დარჩა კიდევ ერთი და, ასე ვთქვათ, ერთადერთი სახე.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. რომელი?

უ ც ხ ო ე ლ ო. რა სახელი უნდა ვუწოდოთ, თემტეტოს, იმ დარტყმის საწინააღმდეგოს, რომელიც კავით ხორციელდება, მაგრამ ისე კი არა, თევზის სხეულის ნებისმიერ ნაწილზე რომ მოხვდეს – როგორც სამკაპებით თევზაობისას, არამედ მუდამ თავში ან პირში რომ ურტყამენ და შემდეგ საპირისპიროდ, ქვემოდან ზემოთ წკეპლებითა და ჯოხებით რომ ამოათრევენ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვფიქრობ, ახლა კი მივადექით სწორედ იმას, რისი კვლევაც მიზნად დავისახეთ.

უ ც ხ ო ე ლ ო. ახლა მე და შენ არა მარტო თევზჭერის [ხელოვნების] სახელზე შევთანხმდით, არამედ თავად საგნის არსესაც<sup>16</sup> ჩავწედით.<sup>17</sup> უოველი ხელოვნების ნახევარი არის მოპოვებითი ხელოვნება, მოპოვებითი ხელოვნების ნახევარია ხელში ჩაგდების ხელოვნება, ხელში ჩაგდების ხელოვნების ნახევარი – ნადირობაა, ნადირობისა – ცხოველებზე ნადირობა, ცხოველებზე ნადირობისა – წყლის ცხოველებზე ნადირობა, წყლის ცხოველებზე ნადირობის ის სახეობა, რომელიც ქვემოდან ხორციელდება, მთლიანად თევზაობაა, თევზაობის ნახევარია დარტყმით თევზაობა, დარტყმით თევზაობის ნახევარი კი – კავით თევზაობა. მ [უკანასკნელის] ნახევარს კი, როცა დარტყმით ქვემოდან ზემოთ ამოქაჩავენ თევზს, საგნის მსგავსი სახელი ჰქვია – თევზჭერა, რაც ახლახან მსჯელობის შედეგად ვუწოდეთ.<sup>18</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ეს ყველაფერი სავსებით გასაგებია.

უ ც ხ ო ე ლ ო. მოდი, ამავე ნიმუშის მიხედვით შევვიდოთ, გამოვიკვლიოთ, რა არის სოფისტი.<sup>19</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ძალიან კარგი.

უ ც ხ ო ე ლ ო. პირველი კითხვა ხომ ეს იყო: ჩვეულებრივ ადამიანად უნდა ჩავთვალოთ მეთვევზე თუ რაიმე ხელოვნების მცოდნედ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ასე რომ, ჩვეულებრივ ადამიანად მივიჩნიოთ სოფისტი, თემტეტოს, თუ ყველაფრის ჭეშმარიტ მცოდნედ?

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. ჩვეულებრივ [ადამიანად] – არავითარ შემთხვევაში [არ უნდა ჩავთვალოთ]. ვხვდები, შენ ამბობ, რომ ყველაფერი იმის შესაბამისი უნდა იყოს, რა სახელიც პქია.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, როგორც ჩანს, უნდა დავუშვათ, რომ ის რაიმე ხელოვნების მცოდნეა.

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. რომელი [ხელოვნების]?

უ ც ხ თ ე ლ ი. დვოის გულისათვის, განა არ ვიცით, რომ ეს კაცი იმის მხგავსია?

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. რომელი – ვისი?

უ ც ხ თ ე ლ ი. მეთევზე – სოფისტის.

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. მე ვფიქრობ, რომ ორივე მონადირეა.

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. მეორე რადაზე ნადირობს? ერთზე უკვე ვთქვით.

უ ც ხ თ ე ლ ი. ახლახან ხომ ყველა სახის ნადირობა ორად გავყავით და ერთმანეთისგან განვასხვავეთ წყლისა და ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა?

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. შემდეგ განვიხილეთ წყლის ცხოველებზე ნადირობა. ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა კი აღარ დაგვიყვია, მაგრამ ვთქვით, რომ მრავალგვარია.

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. ასე იყო.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამრიგად, აქამდე სოფისტიცა და მეთევზეც მოპოვებითი ხელოვნებით არიან დაკავებულნი.

თ ე გ ბ ე ტ თ ს ი. როგორც ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ო. ცხოველებზე ნადირობიდან მოყოლებული კი [ისინი] ერთმანეთს ემიჯნებიან, ერთი ზღვაში, მდინარეებსა და ტბებში მობინადრეებზე ნადირობს.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. მეორე?

უ ც ხ ო ე ლ ო. მეორე კი მიწასა და სხვა სახის, სიმდიდრისა და სიჭაბუკის მდინარეებში [ნადირობს]<sup>20</sup>, რათა იქ უხვ მდელოებზე ნაზარდო, დაეუფლოს.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რას ამბობ?

უ ც ხ ო ე ლ ო. ხმელეთის ცხოველებზე ნადირობა იყოფა ორ ყველაზე დიდ ნაწილად.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომელ [ნაწლებად]?

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთი შინაურ ცხოველებზე ნადირობა, მეორე გარეულ ცხოველებზე.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნუთუ არსებობს შინაურ ცხოველებზე ნადირობაც?

უ ც ხ ო ე ლ ო. რა თქმა უნდა, ადამიანი შინაური ცხოველია. ჩათვალე, როგორც გინდა: ან საერთოდ ნუ დაუშვებ, რომ არსებობს შინაური ცხოველი, ან [დაუშვი] რომ სხვა რაიმე შინაური ცხოველია, ადამიანი კი გარეული; ან, იქნებ, ამბობ, რომ ადამიანი შინაური ცხოველია, მაგრამ არ უშვებ [რომ არსებობს] ადამიანებზე ნადირობა? რომელიც გირჩევნია, თავად ამოირჩიე და გვითხარი!

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. უცხოელო, ვფიქრობ, რომ ჩვენ შინაური ცხოველები ვართ და ვამბობთ, რომ არსებობს ადამიანებზე ნადირობაც.

უ ც ხ ო ე ლ ო. შინაურ ცხოველებზე ნადირობაც ორად გაგეოთ.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რის მიხედვით?

უ ც ხ ო ე ლ ო. ყაჩალობა, დამონება, ტირანია და ყველაფერი, რაც  
ბრძოლას უკავშირდება – ერთიანად განვსაზღვროთ როგორც ძალადობით  
ნადირობა.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. მშვენიერია!

უ ც ხ ო ე ლ ო. სასამართლო, ორატორული და დიალოგის ხელოვნება,  
ასევე ერთიანად განვსაზღვროთ დარწმუნების ხელოვნებად.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. მართალია!

უ ც ხ ო ე ლ ო. დავასახელოთ დარწმუნების ხელოვნების ორი გვარიც.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომლები?

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთი კერძოდ ხორციელდება, მეორე საჯაროდ.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი, არსებობს ორივე სახეობა.

უ ც ხ ო ლ ო. კერძო ნადირობის ერთი სახე გასამრჯელოს მომთხოვნია,  
მეორე კი საჩუქრების მომტანი.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვერ ვხვდები.

უ ც ხ ო ე ლ ო. როგორც ჩანს, შეყვარებულთა ნადირობისთვის  
ყურადღება არ მიგიქცევია.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რასთან დაკავშირებით?

უ ც ხ ო ე ლ ო. ვისზეც ნადირობენ, მას საჩუქრებსაც უძღვნიან.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. საგსებით მართალი ხარ.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, ეს იყოს სიყვარულის ხელოვნების სახე.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. კარგი.

უ ც ხ ო ე ლ ო. იმ [სახეობას] კი, რომელიც გასამრჯელოს მოითხოვს,  
როცა ურთიერთობას ამყარებენ გასამრჯელოს ხათრით და სიამოვნებას  
საცდურად აქცევენ, ხოლო საზღაურად მლიქვნელობით საზრდოობენ, –  
როგორც მე ვფიქრობ, მაამებლობის ხელოვნება უნდა ვუწოდოთ.<sup>21</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. სწორია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხოლო იმ სახეობას, როცა ამბობენ, რომ სიქველის გამო ამყარებენ ურთიერთობას, გასამრჯელოდ კი ფულს იდებენ, სამართლიანი არ იქნება, სხვა სახელი ვუწოდოთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. რომელი? შეეცადე, თქვა!

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ეს ხომ ცხადია: მგონია, რომ ჩვენ სოფისტს მივაკვლიეთ. ვფიქრობ, მას შესაფერისი სახელით მოვიხსენიებ.

უ ც ხ ო ე ლ ო. მსჯელობის თანახმად, თეეტეტოს, როგორც ჩანს, ნადირობა, რომელიც ეპუთვნის მოპოვების, ხელში ჩაგდების, ხმელეთის ცხოველებზე, შინაურ ცხოველებზე, ადამიანებზე, კერძო, გასამრჯელოს მომთხოვნ, ფულით ნადირობას, მოჩვენებით აღზრდას, მდიდარ და წარჩინებულ ჭაბუკებზე ნადირობას სოფისტიკა უნდა ეწოდოს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მოდი, ასეც შევხედოთ: ის, რასაც ახლა ვიკვლევთ, უბრალო ხელოვნებას კი არ ეპუთვნის, არამედ მეტად მრავალმხრივს. ჩვენ ადრინდელ ნათქვამში ასეთ გვარად კი არ ჩანდა, როგორც ახლა [ჩანს], არამედ სულ სხვანაირად.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. მოპოვებითი ხელოვნება ორმაგი სახის იყო: ერთი მხრივ, ნადირობის, მეორე მხრივ კი, გაცვლის [ხელოვნება].

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასე იყო.

უ ც ხ ო ე ლ ო. დავასახელოთ გაცვლის ხელოვნების ორი სახეც, ერთი – ჩუქების, მეორე – გაყიდვის [ხელოვნება].

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასე იყოს.

უ ც ხ ო ე ლ ო. შემდეგ გაყიდვის ხელოვნებაც ორად გავყოთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. გამოვყოთ საქუთარი საქონლის გაყიდვა და სხვის საქონლის გაცვლა – გადაცვლის ხელოვნება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კარგი.

უ ც ხ ო ე ლ ო. და რა? გადაცვლის ხელოვნების თითქმის ნახევარს, რომელიც ქალაქში ხორციელდება, მეწვრილმანეობა არ ეწოდება?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ხოლო ერთი ქალაქიდან მეორეში გადაცვლა და ყიდვა-გაყიდვა მსხვილი ვაჭრობა არ არის?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. აბა რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. ხომ ვხედავთ, რომ მსხვილი ვაჭრობის ერთი ნაწილი ყიდის და ფულზე ცვლის იმას, რითიც საზრდოობს სხეული და რაც მას სჭირდება, მეორე კი იმას – რაც სულს სჭირდება?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ამას რატომ ამბობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ის, რაც სულთანაა დაკავშირებული, შესაძლოა არ ვიცით, მეორეს კი როგორდაც ვხვდებით.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მუსიკალური ხელოვნება<sup>22</sup>, რომელიც ქალაქიდან ქალაქში გადააქვთ, რომელსაც ყიდულობენ და ყიდიან, მხატვრობა, მეფოკუსეობა<sup>23</sup> და სხვა მრავალი სულისათვის საჭირო რამ, რომელთაგან ზოგი გასართობად, ზოგი კი სერიოზული მიზნებისათვის შეაქვთ და ყიდიან, შემტანთა და გამყიდველთათვის საჭმელსა და სასმელზე ნაკლები არაა. ამიტომ მათ ნამდვილად შეეფერება, რომ ვაჭრები ვუწოდოთ.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. მართალს ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. იმასაც ამავე სახელს ხომ არ უწოდებდი, გინც ცოდნას ყიდულობს და ქალაქიდან ქალაქში ფულზე ცვლის?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. სულიერი საზრდოობი ვაჭრობას განა სამართლიანად არ ეწოდება ჩვენების ხელოვნება? მეორეს კი, მასზე არანაკლებ გასართობს, რომელიც ცოდნით ვაჭრობას წარმოადგენს, თავად საქმის შესაფერისი სახელი არ უნდა ვუწოდოთ?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ცოდნით ვაჭრობის იმ ნაწილს, რომელიც სხვა ხელოვნებათა ცოდნასთანაა დაკავშირებული, ერთი სახელი უნდა ვუწოდოთ, ხოლო სიქველესთან დაკავშირებულს – მეორე.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთ-ერთს ხელოვნებებით ვაჭრობა შეესაბამება, მეორეს კი, ეცადე, შენ დაარქვა სახელი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. სხვა რა სახელი ვუწოდო, რომ არ შევცდე, ახლახან გამოკვლეული სოფისტიკის გვარის გარდა?

უ ც ხ ო ე ლ ო. სხვა არაფერი. მოდი, ახლა შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ მეორე შემთხვევაში სოფისტიკა აღმოჩნდა მოპოვების, გადაცვლის, გაყიდვის, მეწვრილმანეობის, საკუთარი ნივთებით ვაჭრობის, ცოდნით ვაჭრობის გვარი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მესამეც არსებობს: ვფიქრობ, თუ კინმე ქალაქში დასახლდება, ცოდნას ხან ყიდულობს, ხან კი თავად ქმნის და ყიდის, რათა ცხოვრების სარჩო მოიპოვოს, მას სხვა რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა ის, რაც უკვე დავარქვით.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რატომაც არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. მოპოვებითი ხელოვნების, გადაცვლის, გაყიდვის, მეწვრილმანეობისა და საკუთარი საქონლით ვაჭრობის სახეს, რამდენადაც ის ამ საკითხების შესახებ ცოდნით ვაჭრობის გვარია, როგორც ჩანს, კვლავ სოფისტიკას უწოდებ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. აუცილებლად. მსჯელობისას თანმიმდევრული უნდა იყო.

უ ც ხ ო ე ლ ო. გნახოთ, კიდევ რამეს ხომ არ ჰგავს ჩვენ მიერ განხილული გვარი?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რას?

უ ც ხ ო ე ლ ო. მოპოვებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა შეჯიბრება იყო.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასე იყო.

უ ც ხ ო ე ლ ო. უადგილო არ იქნება, თუ მას ორად გავყოფთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა ნაწილებად?

უ ც ხ ო ე ლ ო. დავუშვათ, რომ ერთი ნაწილი პაექრობითია, მეორე კი – საბრძოლო.<sup>24</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასე იყოს.

უ ც ხ ო ე ლ ი. საბრძოლო ხელოვნების იმ სახეობას, როცა სხეული სხეულს უპირისპირდება, შესაფერისად უნდა გუწოდოთ ისეთი სახელი, როგორიცაა ძალადობრივი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. იმ [სახეობას] კი, როცა სიტყვები სიტყვებს უპირისპირდება, შეწინააღმდეგების გარდა სხვა რა გუწოდოთ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არაფერი.

უ ც ხ ო ე ლ ი. ისიც უნდა დაგუშვათ, რომ შეწინააღმდეგების ხელოვნებაც ორი სახისაა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ი. საჯარო [შეწინააღმდეგება], როდესაც გრძელი სიტყვები გრძელ სიტყვებს უპირისპირდება და სამართლიანობასა და უსამართლობას ეხება, სასამართლო ხელოვნებაა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. ხოლო [შეწინააღმდეგებას], რომელიც კერძო ხასიათისაა და კითხვა-პასუხებს მოიცავს, ჩვეულებისამებრ, შეკამათების ხელოვნებას არ გუწოდებთ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. შეკამათების ის ნაწილი, რომელიც კერძო საქმეებზე დაგობს არაოსტატურად, მიუხედავად იმისა, რომ – როგორც მსჯელობისას აღმოჩნდა – სახეობად უნდა ითვლებოდეს, ძველებმაც დასახელების გარეშე დატოვეს და ჩვენგანაც არ არის სახელის დირსი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად. ის ხომ უმცირეს და მრავალგვარ ნაწილად იყოფა.

უ ც ხ ო ე ლ ი. იმას კი, რომელიც თავის თავში ხელოვნებას შეიცავს და სამართლიანზე, უსამართლოსა და სხვა ყველაფერზე კამათობს, განა ჩვეულებრივ ერისტიკას არ გუწოდებთ?<sup>25</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ი. ერისტიკის ერთი სახეობა ფულის მფლანგველია, მეორე კი – მშოვნელი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართლაც ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვცადოთ, თითოეული მათგანისთვის სახელის დარქმევა.  
ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვცადოთ.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვფიქრობ, იმ ნაწილს, რომელიც სიამოვნების გამო  
დროს ისე ფლანგავს, რომ თავის საქმეებზე არ ზრუნავს და რომლის  
ნათქვამიც უმრავლესობისათვის უსიამოვნო მოსასმენია, ლაყბობა უნდა  
ერქვას.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა, ასე უნდა ერქვას.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამის საპირისპიროს კი, რომელიც ფულს კერძო კამათში  
შოულობს, სცადე, თავად უწოდო სახელი.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. შეცდომა იქნებოდა, არ გვეთქვა, რომ უკვე მეოთხედ  
წარმოგვიდგა ის საკვირველი სოფისტი, რომელსაც ვიკვლევთ.

უ ც ხ ო ე ლ ო. როგორც ჩანს და, როგორც მსჯელობამაც გვიჩვენა,  
სოფისტი არის ფულის მშოვნელი გვარი, ერისტიკის, შეკამათების,  
შეწინააღმდეგების, საბრძოლო, შეჯიბრების, მოპოვებითი ხელოვნებისა.<sup>26</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხედავ, რა მართლადაა ნათქვამი, რომ ეს ცხოველი  
ჭრელია და, ანდაზის მიხედვით, ისეთი რამ არის, რომ ცალი ხელით ვერ  
დაიჭრ?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. მაშ, ორივეთი უნდა დაიჭირო.

უ ც ხ ო ე ლ ო. რა თქმა უნდა. შეძლებისამებრ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ  
კვალდაკვალ მივყვეთ მას. მითხარი: საოჯახო საქმეებს სახელები ხომ აქვთ?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. უამრავი. რომელი მათგანი გაინტერესებს?

უ ც ხ ო ე ლ ო. ისეთები, რომლებზეც ვამბობთ: „გაწურვა”, „გაცრა”,  
„განიავება”, „გამორჩევა”.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. აბა რა?

უ ც ხ ო ე ლ ო. გარდა ამისა, „ჩეჩვა”, „რთვა”, „ქსოვა” და კიდევ  
უამრავი მსგავსი რამ, რაც ვიცით, რომ ხელოვნებას განეკუთვნება.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ამ მაგალითებით რისი ჩვენება გსურს და რას  
მეკითხები?

უ ც ხ ო ე ლ ო. ყველაფერი ის, რაც ჩამოვთვალეთ, შეიძლება დაყოფილ  
იქნას.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩემი აზრით, რამდენადაც ეს ყველაფერი ერთ ხელოვნებას უკავშირდება და ერთს მიეკუთვნება, მას ერთი სახელი უნდა გუწოდოთ.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. გარჩევის ხელოვნება.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ასე იყოს.

უ ც ხ თ ლ ი. დაუკვირდი, ამ ხელოვნების ორი სახის ჩვენებაც ხომ არ შეგვიძლია?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ძალიან სწრაფ აზროვნებას ითხოვ ჩემგან.

უ ც ხ თ ე ლ ი. გარჩევის იმ ხელოვნებათაგან, რომლებიც ჩამოვთვალეთ, ერთი უარესის უკეთესისაგან გამოყოფა იყო, მეორე კი – მსგავსისა მსგავსისაგან.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. მეც ასე ვფიქრობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამ ხელოვნების ერთი სახეობის დასახელება არ შემიძლია, გარჩევის ხელოვნების მეორე სახეობა კი, რომელიც უკეთეს იტოვებს, უარესს კი განაგდებს – ვიცი, რაც არის.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. თქვი, რა არის?

უ ც ხ თ ე ლ ი. ყველა ასეთ გარჩევას, რამდენადაც მე ვიცი, ყველა განწმენდას უწოდებს.<sup>27</sup>

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. განა ყველა ვერ მიხვდება, რომ განწმენდის ხელოვნებაც ორგვარია?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. შეიძლება ასეც იყოს, თუ დავფიქრდები, მაგრამ ახლა ვერ ვხვდები.

უ ც ხ თ ე ლ ი. სხეულთან დაკავშირებული განწმენდის მრავალი სახე ერთი სახელით უნდა მოვიხსენიოთ.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რა სახეები და რომელი სახელით?

უ ც ხ თ ე ლ ი. ცოცხალ არსებებთან დაკავშირებული განწმენდა იმისა, რაც სხეულის შიგნითაა და რაც ექიმობისა და გიმნასტიკის წყალობით სწორად გამოიყოფა და განიწმინდება; ასევე გარეგანთან დაკავშირებული

განწმენდა, რომლის შესახებაც უხერხულია საუბარი და რომელიც მექისის ხელოვნებით ხორციელდება; ამას გარდა, უხულო სხეულებთან დაკავშირებული განწმენდა, რომელზეც მთელი თავისი წვრილმანების ჩათვლით ზრუნავს თელვის და ყველა სახის მორთვის ხელოვნება, მათ მეტად სასაცილო სახელები აქვთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ძალიან.

უ ც ხ თ ე ლ ი. ნამდვილად ასეა, თემტეტოს, მაგრამ კვლევის მეთოდი ღრუბლით დამბანის ხელოვნებაზე<sup>28</sup> არც მეტად ზრუნავს და არც ნაკლებად, ვიდრე წამლის დამზადების [ხელოვნებაზე]<sup>29</sup>, თუნდაც ერთი მეორეზე უფრო საჭირო იყოს ჩვენი განწმენდისათვის. ეს მეთოდი ცდილობს ცოდნის მოპოვების მიზნით შეიცნოს რითი პგავს და რითი განსხვავდება ხელოვნებანი ერთმანეთისგან. ამის გამო ყველას თანაბრად აფასებს და, რამდენადაც ისინი ერთიმეორის მსგავსნი არიან, არც ერთს არ მიიჩნევს მეორეზე სასაცილოდ. ვინც ნადირობას მხედართმთავრობის მაგალითზე აჩვენებს, არ მიიჩნევს მას იმაზე აღმატებულად, ვინც ამას ტილებზე ნადირობით აკეთებს, თუმცა პირველს უფრო ამაღლებულად თვლის. ახლა კი, შენი კითხვის პასუხად, რა სახელი დაგარქვათ ყველა იმ ძალას, რომელსაც უსულო თუ სულიერ სხეულთა განწმენდა ხვდა წილად. ამ მეთოდისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი სახელი იქნება უფრო შესაფერისი, ოღონდ ყველა სახის განწმენდა მოიცვას, გარდა იმისა, რომელიც სულს უკავშირდება. ახლა ხომ [ამ მეთოდმა] აზროვნებასთან დაკავშირებული განწმენდა გამოჰყო ყველა სხვა სახის [განწმენდისაგან], თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვხვდებით, ნამდვილად რა სურს მას.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მივხვდი და ვეთანხმები, რომ არსებობს განწმენდის ორი სახე, ერთი – სულთან დაკავშირებული, მეორე კი – სხეულთან.

უ ც ხ თ ე ლ ი. ძალიან კარგი! მომისმინე და სცადე, რასაც ვიტყვი, კვლავ ორად გაყო!

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა მიმართულებაც არ უნდა მომცვ, ვეცდები გამოგყვე.

უ ც ხ თ ე ლ ი. იმას, რაც სულში სათნოებისგან განსხვავებულია, მანკიერებას არ ვუწოდებთ?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. განწმენდა ყველაფერი უვარგისისგან განშორება და დანარჩენის დატოვებაა.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ სულისგან ბოროტების განშორების რაიმე გზას ვიპოვით და მას განწმენდას ვუწოდებთ, სათანადოდ მოვიქცევით.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ არსებობს სულთან დაკავშირებული ბოროტების ორი სახე.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რომელი?

უ ც ხ თ ე ლ ი. ერთი [პგავს] სნეულებას სხეულში, მეორე კი – უსახურობას.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ვერ გავიგე.

უ ც ხ თ ე ლ ი. იქნებ სნეულება და არსეულობა ერთი და იგივე არ გგონია?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. არც ამაზე მაქვს პასუხი.

უ ც ხ თ ე ლ ი. არსეულობად სხვა რა მიგაჩნია, თუ არა ნგრევა, რომელიც ბუნებით მონათესავეთა შორის განხეთქილების შედეგად წარმოიშობა?<sup>30</sup>

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. არაფერი.

უ ც ხ თ ე ლ ი. უსახურობა კი სხვა რა არის, თუ არა არათანაზომიერების ყოველმხრივ დეფორმირებული გვარი?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. სხვა არაფერი.

უ ც ხ თ ე ლ ი. და რა? ვერ ვამჩნევთ, რომ უდირსი ადამიანების სულში აზრები – ვნებებს, ნება – სიამოვნებებს, გონება – მწუხარებებს უპირისპირდება?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ ვერა?

უ ც ხ თ ე ლ ი. ეს ყველაფერი ხომ აუცილებლად ერთმანეთს ენათესავება?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, თუ არეულობასა და სულის სნეულებას მანკიერებას ვუწოდებთ, სწორი ნათქვამი იქნება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. უსწორესი.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, ყველაფერზე, რაც კი მოძრაობას ეზიარება და რაიმე მიზანს ისახავს, რომლისკენაც მიისწრაფვის, მაგრამ მოძრაობისას სცდება [მიზანს] და ვერ აღწევს მას, რას ვიტყვით, ერთმანეთის თანაზომიერების გამო ხდება ეს, თუ, პირიქით, – არათანაზომიერების?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ცხადია, არათანაზომიერების გამო.

უ ც ხ ო ე ლ ი. ხომ ვიცით, რომ ყოველი სული თავისდაუნებურად სცდება ყველაფერში?<sup>31</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. არცოდნა კი ის არის, როცა სული ჭეშმარიტებას ესწრაფვის, მაგრამ მის გაგებას ასცდება, ანუ სხვა არაფერი, თუ არა გადაცდომა.<sup>32</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. უგუნური სული კი უსახურად და არათანაზომიერად უნდა ჩავთვალოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორც ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ი. სავარაუდოდ, მასში ბოროტების ეს ორი გვარია: ერთი – რომელსაც უმრავლესობა მანკიერებას უწოდებს და, რომელიც, ცხადია, [სულის] სნეულებაა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. დიახ.

უ ც ხ ო ე ლ ი. მეორეს კი უცოდინრობას უწოდებენ, მაგრამ არ სურთ აღიარონ, რომ ეს მხოლოდ სულში არსებული ბოროტებაა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რასაკვირველია, უნდა დავეთანხმო იმას, რაც ახლახან თქვი და რაშიც მაშინ დავეჭვდი, რომ სულში ბოროტების ორი გვარი არსებობს, და რომ სიმხდალე, აღვირასხილობა და უსამართლობა, ყველაფერი ერთად, ჩვენში არსებულ სნეულებად<sup>33</sup> უნდა ჩავთვალოთ, ხოლო მრავალი და სხვადასხვაგვარი უცოდინრობის მდგომარეობა – უსახურობად.

უ ც ხ ო ე ლ ი. სხეულის ამ ორ მდგომარეობასთან დაკავშირებული ორი სახის ხელოვნებაც ხომ არ არსებობს?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რომელი?

უ ც ხ თ ე ლ ი. უსახურობასთან დაკავშირებით – გიმნასტიკა, სწეულებასთან [დაკავშირებით] კი – ექიმობა.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორც ჩანს.

უ ც ხ თ ე ლ ი. ზეიადობას, უსამართლობასა და სიმხდალესთან დაკავშირებითაც ხომ არ არსებობს თავისი ბუნებით სამართლიანობისათვის ყველაზე შესაფერისი – დასჯის ხელოვნება?<sup>34</sup>

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ასე ჩანს, უოგელ შემთხვევაში ადამიანთა შეხედულებით.

უ ც ხ თ ე ლ ი. და ყველა სახის უცოდინრობასთან დაკავშირებით? განა სწავლების ხელოვნებაზე უფრო მართებულად შეიძლება ჩაითვალოს რამე?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. არაფერი.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, კარგი. რა უნდა ვთქვათ: რომ არსებობს სწავლების ხელოვნების ერთი გვარი, თუ მეტი, რომელთაგან ორი ყველაზე მნიშვნელოვანია? დაფიქრდი!

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ვფიქრობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. მგონია, რომ ასე სწრაფად ვიპოვით [გამოსავალს].

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ვნახოთ, უცოდინრობაც ორად ხომ არ იყოფა. თუ ის ორია, ცხადია, რომ სწავლების ხელოვნებასაც ორი ნაწილი უნდა ჰქონდეს – უცოდინრობის თითოეული გვარის შესაბამისად თითო.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რას იტყვი? ნათელია შენთვის ის, რასაც ახლა განვიხილავთ?

უ ც ხ თ ე ლ ი. მგონია, რომ ვხედავ უცოდინრობის დიდ, რთულ, განცალკევებულ სახეს, რომელიც [უცოდინრობის] ყველა სხვა ნაწილის ტოლფასია.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რომელს?

უ ც ხ თ ე ლ ი. იმას, როდესაც უცოდინარს პგონია, რომ იცის. როგორც ჩანს, ყველას აქედან წარმოეშობა აზროვნების ყველა შეცდომა.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვფიქრობ, უცოდინრობის მხოლოდ ამ სახეს უნდა კუწოდოთ უსწავლელობა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ჭეშმარიტად.

უ ც ხ ო ე ლ ო. რა უნდა დავარქვათ სწავლების ხელოვნების იმ ნაწილს, რომელიც [უსწავლელობას] გვაშორებს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვფიქრობ, უცხოელო, სწავლობის ხელოვნების ერთ ნაწილს ხელობის სწავლება, ხოლო მეორეს კი აქ, ჩვენთან აღზრდა [ეწოდება].

უ ც ხ ო ე ლ ო. და თითქმის ყველა ბერძენთან, თეეტეტოს. მაგრამ ჩვენ ისიც უნდა განვიხილოთ, უკვე ერთიანი და დაუყოფელია ის, თუ აქვს რაიმე ნაწილი, რომელიც სახელის დირსი იქნებოდა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად, უნდა განვიხილოთ.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვფიქრობ, რომ ეს ნაწილიც როგორდაც იყოფა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რის მიხედვით?

უ ც ხ ო ე ლ ო. საუბრების საშუალებით სწავლების ხელოვნებაში ერთი გზა უფრო უსწორმასწორო ჩანს, მეორე კი – სწორი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რას ვიტყვით თითოეულ მათგანზე?

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთი გზა უძველესი და მამაპაპურია, რომელსაც უპირატესად შვილებთან მიმართავდნენ და ბევრი ახლაც იყენებს. როცა შვილები რაღაცაში დამნაშავენი არიან, ხან უწყრებიან მათ, ხან კი უბრალოდ უყვავებენ. ყველაფერ ამას მართებულად კუწოდებდით შეგონების ხელოვნებას.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. რაც შეეხება მეორე გზას, როგორც ჩანს, ზოგიერთმა დაასკვნა, რომ უსწავლელობა უნებურია და ის, ვისაც პგონია, რომ ბრძენია, არასოდეს მოისურვებს ისწავლოს ის, რაშიც ფიქრობს, რომ ძლიერია. ამდენად, აღზრდის შეგონებითი სახე, რომელიც დიდ შრომას მოითხოვს, ნაკლებ ეფექტურია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. სწორადაც დაასკვნა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამ აზრის უკუსაგდებად სხვა საშუალებას მიმართავენ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომელს?

უ ც ხ ო ე ლ ო. კითხვებს უსვამენ ადამიანს იმასთან დაკავშირებით, რაზეც მას ჰგონია, რომ რაღაცას ამბობს, სინამდვილეში კი არაფერს ამბობს. და რაკი ეს ადამიანები მიედ-მოედებიან, ადვილად არკვევენ მათ აზრებს, მსჯელობებში აერთიანებენ და ერთმანეთს უპირისპირებენ; ამგვარად კი წარმოაჩენენ, რომ ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული აზრები, მიმართებები და საშუალებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამას რომ დაინახავენ, ისინი თავიანთ თავზე ბრაზობენ, სხვებს კი თავაზიანად ექცევიან და ამ გზით საკუთარი თავის შესახებ დიდი წარმოდგენისა და აკვიატებული აზრებისგან თავისუფლდებიან. ამის მოსმენა ყველაფერზე უფრო სასიამოვნოა. იმისთვის კი, ვინც ამას განიცდის, ეს ყველაზე საიმედო განთავისუფლება.<sup>35</sup> ისინი, ვინც [ამ ადამიანებს] განწმენდს, შვილო ჩემო, ფიქრობენ ექიმების მსგავსად, რომელნიც თვლიან, რომ სხეული მანამ ვერ შეირგებს შეთავაზებულ საჭმელს, სანამ იმას არ განდევნის, რაც მას ხელს უშლის. ასევეა სხეულთან დაკავშირებითაც: მანამ არ მიიღებს სარგებელს შეთავაზებული ცოდნიდან, სანამ მამხილებელი მხილებულს არ შეარცხვენს, ცოდნის შემაფერხებელ აზრებს არ განუდევნის, არ განწმენდს და არ აფიქრებინებს, რომ იცის მხოლოდ ის, რაც იცის, მეტი კი – არა.<sup>36</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ესაა საუკეთესო და ყველაზე პეტილგონიერი გზა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, თეეტეტოს, მხილებაზე უნდა ვისაუბროთ, როგორც უდიდეს და უმნიშვნელოვანეს განწმენდაზე და უნდა მივიჩნიოთ, რომ ის, ვისაც ამგვარი მხილება არ განუცდია, დიადი მეფე<sup>37</sup> რომ იყოს, ვინაიდან უმნიშვნელოვანესში არ არის განწმენდილი, უსწავლელი და უსახურია იმაში, რაშიც ჭეშმარიტი ბედნიერების მსურველი ყველაზე წმინდა და მშვენიერი უნდა იყოს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, რა ვუწოდოთ იმას, ვინც ამ ხელოვნებითაა დაკავებული? ვშიშობ, მას სოფისტი ვუწოდო.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. რატო?

უ ც ხ ო ე ლ ო. მეტისმეტი პატივი რომ არ მივაგოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. მაგრამ, რაც ახლა ვთქვით, რადაც ასეთს ჰგავს.

უ ც ხ თ ე ლ ი. ბადლიც ხომ პგავს მგელს, ყველაზე გარეული – ყველაზე შინაურს. წინდახედული ადამიანი მსგავსებასთან მიმართებაში ყოველთვის განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ეს ძალიან მერყევი გვარია.<sup>38</sup> დე, იყოს ასე, რადგან ვფიქრობ, მცირე საზღვრების გამო არ დაობენ, როცა მათ კარგად იცავენ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ალბათ, არა.

უ ც ხ თ ე ლ ი. დაე, გარჩევის ხელოვნების ერთი ნაწილი იყოს განწმენდის ხელოვნება, განწმენდის ხელოვნებიდან გამოვყოთ ის ნაწილი, რომელიც სულთანაა დაკავშირებული, აქედან კი – სწავლების ხელოვნება, სწავლების ხელოვნებიდან – აღზრდის ხელოვნება, აღზრდის ხელოვნებიდან კი გამოვყოთ ამაო სიბრძნის მხილება და, ამ მსჯელობის თანახმად, ვუწოდოთ კეთილშობილი სოფისტიკის გვარი.<sup>39</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვუწოდოთ. მე კი, იმის გამო, რომ [სოფისტი] უკვე ბევრი რამ აღმოჩნდა, დაბნეული ვარ. რა უნდა ვთქვათ, ჭეშმარიტი და დამაჯერებელი, იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სინამდვილეში სოფისტი?

უ ც ხ თ ე ლ ი. ბუნებრივია, დაბნეული რომ ხარ, მაგრამ გაითვალისწინე, რომ უკვე ისიც დაბნეულია, სად გაეპაროს ჩვენს მსჯელობას. მართალია ანდაზა, რომ ყველაფერს ადგილად ვერ გაექცევი.<sup>40</sup> ახლა კი დროა [სოფისტს] თავს დავესხათ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მშვენივრად ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ჯერ შევჩერდეთ, სული მოვითქვათ, შევისვენოთ და საკუთარ თავს შევახსენოთ, რამდენი სახით წარმოგვიჩნდა სოფისტი. ვფიქრობ, პირველ რიგში გასამრჯელოს ფასად ახალგაზრდებსა და მდიდრებზე მონადირე აღმოჩნდა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. მეორეც – სულთან დაკავშირებული ცოდნით მოვაჭრეა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მესამე: განა არ აღმოჩნდა, რომ მწვრილმანეა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი. და მეოთხე: ცოდნასთან დაკავშირებული საკუთარი საქონლით მოვაჭრე იყო.

უ ც ხ ო ე ლ ი. სწორად გაგახსენდა. მეხუთეს კი შევეცდები, მე გავიხსენო. იგი სიტყვიერ შეჯიბრებებში ათლეტად მოგვევლინა, მას შემდეგ, რაც ერისტიკის ხელოვნებას დაუფლა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე იყო.

უ ც ხ ო ე ლ ი. მეექვსე საკამათოა, თუმცა [სოფისტს] დავუთმეთ და შევთანხმდით, რომ იგი სულს განწმენდს ცოდნის დამაბრკოლებელი აზრებისგან.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა, ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. ნუთუ ყურადღება არ მიაქციე, რომ როცა ვინმე მრავლის მცოდნე აღმოჩნდება და მას ერთი ხელოვნების სახელით იხსენიებენ, ასე სწორი წარმოდგენა არ იქმნება? მაგრამ, ხომ ცხადია, რომ მას, ვინც ასე აღიქვამს რომელიმე ხელოვნებას, ვერ ხედავს მასში იმას, რისკენაც მიმართულია ყველა ეს ცოდნა და ამის გამო ის ერთის ნაცვლად მრავალი სახელით მოიხსენიებს ამ ცოდნათა მფლობელს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორც ჩანს, ხშირად ასე ხდება.

უ ც ხ ო ე ლ ი. ჩვენც, სიზარმაცის გამო, კვლევის დროს ეს ნუ დაგვემართება, არამედ იმათგან, რაც სოფისტის შესახებ ითქვა, ავიღოთ ერთ-ერთი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ძეგლად მიგგანიშნებს მასზე.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელი?

უ ც ხ ო ე ლ ი. ერთგან ვთქვით, რომ ის შეკამათების ხელოვანია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, ამას სხვებსაც ხომ არ ასწავლის?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ი. ვნახოთ, რას ამბობენ [ეს ადამიანები], რა სახის შეკამათების ხელოვნად აქცევენ ისინი სხვებს. მოდი, ჩვენი კვლევა თავიდან ამგვარად წარვმართოთ: იმ დვთავბრივის შესახებ ხომ არ ასწავლიან კამათს, რომელიც უმრავლესობისთვის უხილავია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მათზე ასე ამბობენ.

უ ც ხ ო ე ლ ი. რაც შეეხება მიწიერ, ციურ და სხვა ამგვარ მოვლენებს?<sup>41</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მათ შესახებაც.

უ ც ხ ო ე ლ ო. კერძო საუბრებში, როცა სიტყვა ჩამოვარდება წარმოშობასა და არსებობაზე, ხომ ვიცით, რომ თავადაც ძლიერნი არიან კამათში და სხვებსაც ძლიერებად აქცევენ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. რაც შეეხება კანონებსა და უკელაფერ იმას, რაც პოლიტიკას უკავშირდება, ხომ არ პირდებიან, რომ ამაშიც ძლიერ მოწინააღმდეგებად გახდიან?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. შეიძლება ითქვას, არავინ დაელაპარაკებოდა მათ, ამას რომ არ პირდებოდნენ.<sup>42</sup>

უ ც ხ ო ე ლ ო. ის, რაშიც თითოეულ ხელოვნებასთან დაკავშირებით უნდა [შეეძლოს] შეკამათება ოსტატს, სწავლის მსურველთათვის წერილობითი სახითაა გამოქვეყნებული.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვფიქრობ, პროტაგორასის ნაწარმოებს გულისხმობ ჭიდაობასა და სხვა ხელოვნებათა შესახებ.<sup>43</sup>

უ ც ხ ო ე ლ ო. და მრავალ სხვასაც, დალოცვილო. ნუთუ არ ფიქრობ, რომ შეკამათების ხელოვნება საერთოდ ყველა საკითხზე კამათისთვის შესაფერისი საშუალებაა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორც ჩანს, [მას] თითქმის არაფერი გამორჩება.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ, ღმერთების გულისთვის, შვილო, შენ ეს შესაძლებლად მიგაჩნია? თქვენ, აახალგაზრდები, ამას უფრო მახვილი თვალით უყურებთ, ვიდრე ჩვენ.<sup>44</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ამას რატომ ამბობ? ვერ გავიგე შეკითხვა.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუ არის შესაძლებელი, რომ ერთმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად დალოცვილი იქნებოდა, უცხოელო, ჩვენი გვარი.

უ ც ხ ო ე ლ ო. როგორ შეძლებს თავად უცოდინარი მცოდნეს სადად შეეკამათოს?<sup>45</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვერანაირად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, რადა იქნებოდა სოფისტიკის ძალის საკვირველება?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რასთან დაკავშირებით?

უ ც ხ ო ე ლ ი. როგორ მოახერხებდნენ ახალგაზრდებისათვის ის აზრი  
შთაენერგათ, რომ ყველაფერში ყველაზე უფრო ბრძენი არიან. ცხადია,  
სწორად რომ არ ეპამათებოდნენ, ან [ახალგაზრდებს] რომ არ ეჩვენებოდეთ,  
რომ [სწორად ეპამათებიან], ან რომ ეჩვენებოდეთ, რომ სწორად  
ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ამ შეწინააღმდეგების გამო გონიერებად არ  
თვლიდნენ მათ, შენივე თქმით, [ახალგაზრდები] არ მოისურვებდნენ მათვის  
ფულის მიცემასა და მათ მოწაფეობას.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ალბათ, არა.

უ ც ხ ო ე ლ ი. ახლა ხომ სურთ?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. ძალიანაც.

უ ც ხ ო ე ლ ი. ვფიქრობ, ისინი იმის მცოდნეებად ჩანან, რაზეც  
კამათობენ.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაგრამ, ხომ ვამბობთ, რომ ამას ყველა საკითხთან  
დაკავშირებით აკეთებენ?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. ისინი მოსწავლეებს ყველა საკითხში ბრძენებად  
ეჩვენებიან.<sup>46</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. აბა რა?

უ ც ხ ო ე ლ ი. მაგრამ არ არიან. ხომ გაცხადდა, რომ ეს შეუძლებელია.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. როგორ არ არის შეუძლებელი?

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, სოფისტი აღმოჩნდა ყველა საკითხთან  
დაკავშირებით რაღაც მოჩვენებითი ცოდნის მქონე და არა – ჭეშმარიტი  
ცოდნისა.<sup>47</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. რა თქმა უნდა, და ახლანდელი ნათქვამი ყველაზე  
უფრო მართალი ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ი. ავიღოთ ამაზე უფრო ნათელი მაგალითი.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. რომელი?

უ ც ხ ო ე ლ ი. აი ეს. სცადე უურადღება მოიკრიბო და კარგად უპასუხო  
ჩემ შეკითხვას.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ი. რომელ შეკითხვას?

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ ვინმე იტყვის, რომ ვერც ლაპარაკობს, ვერც ეპამათება, მაგრამ ერთი სახის ხელოვნებით ყველაფრის გაკეთება შეუძლია...

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. „ყველაფერში” რას გულისხმობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩემი ნათქვამის ამოსავალს ვერ ხვდები, რადგან, როგორც ჩანს ამ „ყველაფერს” ვერ იგებ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვერა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ვგულისხმობ იმას, რომ შენც, მეც, და ჩვენთან ერთად სხვა ცხოველები და მცენარეები “ყველაფერში” შევდივართ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას გულისხმობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ ვინმე იტყვის, რომ მეც შემქმნის, შენც და ყველა სხვა შექმნილ [არსებასაც]...

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელ შექმნას გულისხმობ? რა თქმა უნდა, რომელიმე მიწათმოქმედზე არ ლაპარაკობ, რაკი მას ცხოველების შემქმნელსაც უწოდებ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ვუწოდებ და ამასთან ერთად, ზღვის, მიწის, ცისა და სხვა ყველაფრის შემქმნელსაც.<sup>48</sup> სწრაფად ქმნის თითოეულ მათგანს და იაფად ყიდის.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ხუმრობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. აბა რა? იმასაც ხუმრობად არ ჩათვლი, თუ ვინმე იტყვის, რომ ყველაფერი იცის და მოკლე ხანში სხვებსაც იაფად ასწავლის?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. იცი, ხუმრობის რომელიმე უფრო ოსტატური და სასიამოვნო სახე, ვიდრე ბაძვაა?<sup>49</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არავითარი. შენ დაასახელე ყოვლისმომცველი და მრავალფეროვანი სახე და ამით ყველაფერს ერთად მოუყარე თავი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამგვარად, ვიცით, რომ ის, ვინც პირდება ერთი ხელოვნებით ყველაფრის შექმნას, მხატვრობის ხელოვნებით ქმნის არსებულის მიბაძვებსა და მოსახელეებს და, რადგან დახატულს შორიდან წარმოაჩენს, მას შეუძლია მოატყუოს უგუნური ახალგაზრდები, თითქოს ხელეწიფება ნამდვილად ადასრულოს ის, რაც სურს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ რა? ხომ არ ჩავთვალოთ, რომ სიტყვებთან დაკავშირებითაც არსებობს რაიმე სხვა ხელოვნება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოაჯადოვო ახალგაზრდები და ისინი, ვინც შორს არიან საგანთა ჭეშმარიტი არსისგან, მოაჯადოვო საუბრებით, რომლებიც სმენაზე მოქმედებენ, და ყველაფრის სიტყვიერ აჩრდილთა ჩვენებით? ამგვარად, ნათქვამს ჭეშმარიტად მიიჩნევენ, მთქმელს კი – ყველა საკითხში ყველაზე უფრო ბრძენად.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რატომაც არ უნდა არსებობდეს რაიმე ასეთი ხელოვნება?

უ ც ხ ო ე ლ ი. თევტეტოს, განა მრავალი მსმენელი მას შემდეგ, რაც საკმაო დრო გავა და ასაკს მიაღწევს, დაუახლოვდება რეალობას და მწარე გამოცდილებით იძულებული არ გახდება უკეთ ჩასწვდეს არსებულს, არ შეიცვლის ადრე ჩამოყალიბებულ აზრებს ისე, რომ მცირე დიდად მოეჩვენება, რთული – ადვილად და ყველა მცდარი წარმოდგენა კი, რომელიც მსჯელობებს მოაქვს, გაუქარწყლდება პრაქტიკული საქმიანობის შედეგად?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა, რამდენადაც ჩემს ასაკში განვსჯი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მეც მათ შორის ვარ, ვინც ამ [მდგომარეობისგან] ჯერ კიდევ შორსაა.

უ ც ხ ო ე ლ ი. ამიტომაც, ჩვენ შევეცდებით და ახლაც ვცდილობთ, ამ გამოცდილების გარეშე, რაც შეიძლება ახლოს მიგიყვანოთ ამ [მდგომარეობამდე].<sup>50</sup> სოფისტთან დაკავშირებით კი ეს მითხარი: უკვე ცხადია, რომ ის ჯადოქარია, რომელიც არსებულს პბაძავს თუ კვლავ ვმერყეობთ, ხომ არ აქვს მას ჭეშმარიტად ის ცოდნა, რასთან დაკავშირებითაც ჩანს, რომ კამათი შეუძლია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ, უცხოელო? ნათქვამიდან უკვე ნათელია, რომ ის გართობის ნაწილია.

უ ც ხ ო ე ლ ი. და ამიტომაც, ის ჯადოქრად და მიმბაძველად უნდა ჩავთვალოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, ახლა ხელიდან არ გავუშვათ მხეცი. ის თითქმის უპა მომწყვდეული გვყავს იმ იარაღის ბადეში, რომელსაც ამ საკითხებთან დაკავშირებული მსჯელობით ვფლობთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. საიდან?

უ ც ხ ო ე ლ ო. განა მეფოკუსეთა გვარისა არ არის?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მეც ასე მგონია.

უ ც ხ ო ე ლ ო. შევთანხმდით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავყოთ გამოსახულებათა შექმნის ხელოვნება<sup>51</sup>. როცა მასში შევიქრებით, თუ სოფისტი ჩვენ პირისპირ აღმოჩნდება, შევიპყრობთ მას მეფის სიტყვით,<sup>52</sup> მასვე გადავცემთ და ნანადირევად გამოვაცხადებთ. თუ როგორმე მოახერხებს ბაძის ხელოვნების ნაწილში დამალვას, მივყვებით მას ბოლომდე და [დაყოფის შედეგად] მიღებულ ნაწილებს იქამდე დავყოფთ, სანამ არ დავიჭროთ. ვერც ეს და ვერც რომელიმე სხვა გვარი თავს ვერ მოიწონებს, რომ შეუძლია გაექცეს<sup>53</sup> იმას, ვინც ფლობს, ერთი მხრივ, მთლიანის, მეორე მხრივ კი, ნაწილის დევნის მეთოდს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კარგად ამბობ! ზუსტად ისე, როგორც საჭიროა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მიღებული დაყოფის ხერხის თანახმად, მე მეჩვენება, რომ ბაძის ორ სახეს ვჭერებ. ხოლო, თუ რომელშია საკვლევი იდეა, ამის გაგება, ვფიქრობ, ახლა არ შემიძლია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ჯერ თქვი და განგვიმარტვ, რომელ ორ სახეს გულისხმობ!

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთში ვგულისხმობ ხატების შექმნის ხელოვნებას, როდესაც ვინმე ქმნის ორიგინალის სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის თანაზომიერ ბაძით ნაწარმოებს და, ამასთანავე, თითოეულ [ნაწილს] შესაფერის ფერს აძლევს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ? ყველა მიმბაძველი ამას არ ცდილობს?

უ ც ხ ო ე ლ ო. ისინი არა, რომელებიც რაიმე დიდ ქმნილებას ძერწავენ ან ხატავენ. მშვენიერ საგანთა ჭეშმარიტი ზომები რომ გადმოსცენ, შენ იცი, რომ ზედა ნაწილი იმაზე უფრო მცირე აღმოჩნდება, ვიდრე საჭიროა, ქვედა კი – უფრო დიდი, იმიტომ, რომ ერთს შორიდან გუყურებთ, მეორეს კი – ახლოდან.<sup>54</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ხომ არ უგულებელყოფენ შემოქმედნი ჭეშმარიტებასა და არსებულ ზომებს და ქმნიან მხოლოდ იმ გამოსახულებებს, რომლებიც მათ მშვენივრად ეჩვენებათ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. განა სამართლიანი არ იქნება, პირველს, რაკი იგი მსგავსია, ხატი ვუწოდოთ?<sup>55</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამასთანავე, ბაძვის ხელოვნების ერთ ნაწილს ხატის შექმნის ხელოვნება ხომ არ ვუწოდოთ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვუწოდოთ.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, რა ვუწოდოთ იმას, რაც მშვენიერის მსგავსი ჩანს, რადგან სათანადო ადგილიდან არ ვუყურებთ, მაგრამ თუ ვინმეს საშუალება მიეცება სათანადოდ განჯვრიტოს, მშვენიერის მსგავსიც კი არ არ აღმოჩნდება? ის, რაც მსგავსი ჩანს, მაგრამ [მსგავსი] არ არის, მოჩვენება არაა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აბა რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. ეს ნაწილი ხომ მხატვრობაშიც და ყველა სახის ბაძვის ხელოვნებაშიც ძალიან დიდია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. მოჩვენების და არა ხატის შემქმნელ ხელოვნებას მართებულად არ ვუწოდებთ მოჩვენებათა შექმნის ხელოვნებას?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ძალიანაც სწორად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამგვარად, მე დავასახელე გამოსახულებათა შექმნის ორი სახე: ხატის შემქმნელი და მოჩვენებისა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალია.

უ ც ხ თ ე ლ ი. რაც შეეხება იმას, თუ რომელს მივაკუთვნოთ სოფისტი, ამასთან დაკავშირებით ადრეც დაბნეული ვიყავი და ახლაც ვერ ვხედავ ნათლად. ჭეშმარიტად საკვირველი და მნელად განსაჭვრები კაცია. ახლაც ძალიან მოხერხებულად გაგვექცა იმ სახეობაში, რომელიც რთული გამოსაკვლევია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე ჩანს.

უ ც ხ თ ე ლ ი. შენ ამას შეგნებულად ეთანხმები თუ რაღაც სიტყვის ძალამ, ჩვეულებისამებრ, გიბიძგა რომ სწრაფად დათანხმებოდი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რასთან დაკავშირებით ამბობ ამას?

უ ც ხ თ ე ლ ი. ნამდვილად ძალიან დიდი საფიქრალი გვაქს, დალოცვილო. როდესაც რაიმე ჩანს და მიიჩნევა იმად, რაც არ არის, ასევე რაიმეს თქმა, რაც არაა ჭეშმარიტი – ყველაფერი ეს ადრეც ყოველთვის დაბნეულობით აღსავსე იყო და ახლაც ასეა. ძალიან რთული გასაგებია, თევტეტოს, თუ როგორ არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ის, ვინც ამბობს, რომ ნამდვილად შესაძლებელია ტყუილის ფიქრი და თქმა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ასეთი მსჯელობა იმასაც კი დაუშვებდა, რომ არარსებული არსებობს.<sup>56</sup> სხვანაირად ხომ ტყუილიც არ იარსებებდა. დიდმა პარმენიდებმა, შვილო, როცა ჩვენ ბავშვები ვიყავით, მაშინ დაიწყო მტკიცება და ბოლომდე ამას ამბობდა ხან პროზად და ხან ლექსად:<sup>57</sup>

„არასოდეს არსად ასე არ არის, რომ არარსებული არსებობდეს,

და, შენ, კვლევისას ამგვარ გზას განარიდე აზრი”.<sup>58</sup>

მაშ, მასთან ეს დამოწმებულია და ამ მსჯელობის სათანადო გამოძიება<sup>59</sup> ყველაზე მეტად ცხადყოფდა ამის [სისწორეს]. პირველად სწორედ ეს განვიხილოთ, თუ შენთვის მნიშვნელობა არ აქვს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მე თუ მკითხავ, როგორც გინდა, ისე იყოს, ხოლო რაც შეეხება მსჯელობას, მოიფიქრე, როგორ იქნება მისი წარმართვა უკავთესი და მეც იმ გზით გამიძეხი!

უ ც ხ თ ე ლ ი. ასე უნდა მოვიქცეთ. მითხარი, გავბედავთ, რომ წარმოვთქვათ „არანაირად არსებული”?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რატომაც არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ საჭირო იქნებოდა, რომ რომელიმე მსმენელს კამათის ან ხუმრობის გამო კი არა, არამედ სერიოზულად ეპასუხა, რას ეკუთვნის ეს სახელი – „არარსებული” – როგორ გვგონია, რას უპასუხებდა კითხვის დამსმელს, რასთან დაკავშირებით და როგორ გამოიყენებდა ამ [სიტყვას]?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როულ და დამაბნეველ კითხვას მისვამ.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაგრამ ის კი ცხადია, რომ არარსებული არ მიემართება რაიმეს არსებულთა შორის.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ უნდა მიემართებოდეს?

უ ც ხ თ ე ლ ი. ამრიგად, თუ არ მიემართება არსებულს, მაშინ არ იქნება მართალი ის, ვინც [არარსებულს] „რაიმეს” მიაკუთვნებს.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩვენთვის ცხადია ის, რომ სიტყვას „რაღაც” ყოველთვის არსებულზე ვამბობთ. მისი წარმოთქმა შიშვლად, ყველა არსებულისგან განცალკევებით შეუძლებელია. ასე არ არის?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მსჯელობის თანახმად, იმასაც ხომ არ ეთანხმები, რომ ვინც რაღაცაზე საუბრობს, ეს რაღაც აუცილებლად ერთია?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. „რაღაც”, შენ იტყვი, რომ ნიშნავს ერთს, „რაღაც წყვილი”<sup>60</sup> – ორს, „რაღაცები” კი – მრავალს.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ ვინმე რაღაცას არ ამბობს, როგორც ჩანს, ის აუცილებლად საერთოდ არაფერს ამბობს.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. აუცილებლად ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. იმასაც ხომ არ უნდა დავეთანხმოთ, რომ ასეთი ადამიანი თუმცა კი ლაპარაკობს, მაგრამ არაფერს ამბობს?<sup>61</sup> „ლაპარაკიც” კი არ უნდა ითქვას იმაზე, როცა ვინმე ცდილობს არარსებული წარმოთქვას.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მსჯელობაში დაბნეულობას ბოლო მოედებოდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მასეც ნუ იტყვი, დალოცვილო, რადგან არსებობს კიდევ ერთი დაბნეულობა, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი. ის თავად პრობლემის საწყისს უკავშირდება.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობ? თქვი, ნუ აყოვნებ!

უ ც ხ თ ე ლ ი. არსებულს თუ უკავშირდება რაიმე სხვა არსებულთაგან?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რატომაც არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ, ვიტყვით, რომ შესაძლებელია, არარსებულს ოდესმე რაიმე არსებული დაუკავშირდეს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. და როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. რიცხვებს ხომ არსებულთა შორის ვათავსებთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. თუკი საერთოდ რამე შეიძლება ჩაითვალოს არსებულად.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამგვარად, არც კი უნდა ვეცადოთ, არარსებულს სიმრავლე ან ერთი მიგადუთვნოთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მსჯელობიდან გამომდინარე, ჩანს, არ იქნებოდა სწორი, ეს რომ გვეცადა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, როგორ გამოთქვამდა ვინმე ენიო ან, საერთოდ, აზროვნებით როგორ ჩაწვდებოდა არარსებულებსა და არარსებულს რიცხვის გარეშე?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. თქვი, როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. როცა ვამბობთ „არარსებულებს”, განა არ ვცდილობთ მრავლობითი რიცხვი შევუწყოთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. „არარსებულს” კი – მხოლობითი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ეს ცხადზე უცხადესია.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ, უსამართლოდ და არასწორად მიგვაჩნია მცდელობა, არსებულს არარსებული შევუწყოთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მართლად ამბობ.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, ხვდები, რომ შეუძლებელია მართებულად გამოთქმა, თქმა თუ გაფიქრება არარსებულისა თავის თავში, არამედ ის არის მიუწვდომელი, აღუწერებლი, გამოუთქმელი და მოუაზრებელი?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, შევცდი, როცა ვთქვი, რომ ვახსენებდი [არარსებულთან] დაკავშირებულ კველაზე დიდ დაბნეულობას, რადგან უფრო მნიშვნელოვანი რაღაც გვაქვს სათქმელი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა?

უ ც ხ ო ე ლ ი. ძვირფასო, ნათქვამიდან ვერ ხვდები, რომ მის მამხილებელს „არარსებული” ისე დააბნევს, რომ ვინც კი ხელს მიჰყოფს მის უარყოფას, იძულებული ხდება თავისი თავის საწინააღმდეგო თქვას ამასთან დაკავშირებით?<sup>62</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობ? უფრო გასაგებად თქვი!

უ ც ხ ო ე ლ ი. ჩემი აზრით, არ არის საჭირო ამის უფრო ნათლად თქმა. მე ხომ დავუშვი, რომ არარსებული არც ერთს შეიძლება ეზიარებოდეს და – არც მრავალს. ახლა კი ერთი ვუწოდე მას, რადგან ვამბობ “არარსებულს”. შენიშვნე ეს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. უფრო ადრე კი ვთქვი, რომ ის გამოუთქმელი, აღუწერელი და მოუაზრებელია. მომყვები?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მოგყვები, როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ი. მაგრამ, როდესაც ვცდილობდი, არსებობასთან დამეგავშირებინა, ზემოთქმულის საწინააღმდეგოს ხომ არ ვამბობდი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, [არარსებულს] რომ ვუკავშირებდი, როგორც ერთს, ისე არ მოგიხსენიებდი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. ვუწოდებდი რა მოუაზრებელს, აღუწერელსა და გამოუთქმელს, როგორც ერთზე, ისე ვლაპარაკობდი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. დიახ.

უ ც ხ ო ე ლ ი. ვაზუსტებ: მართებულად რომ ითქვას, [არარსებული] არ უნდა იქნას განსაზღვრული არც ერთად და არც მრავლად; საერთოდ არ უნდა ეწოდოს „ეს”, რადგან დასახელებითაც ერთის გვარად იქნება განსაზღვრული.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. რას იტყვიან ჩემზე? ადრეც და ახლაც დამარცხებული აღმოვჩნდები არარსებულის მხილებისას. ჩემ ნათქვამში, როგორც უკვე ვთქვი, ნე ვეძებთ სიმართლეს არარსებულთან დაკავშირებით, არამედ, მოდი, ახლა შენსაში ვეძებოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობ?

უ ც ხ ო ე ლ ო. მოდი, როგორც ახალგაზრდას შეჰვერის, ძალ-დონე მოიკრიბე და ეცადე ისე, რომ არც არსებული, არც ერთი, არც რიცხვთა სიმრავლე არ მიაკუთვნო არარსებულს, რაიმე მართებული თქვა მასთან დაკავშირებით!

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მძიმე და უაზრო იქნებოდა ჩემი სურვილი, თუკი შენი მდგომარეობის შემხედვარე, ასე მოვიქცეოდი.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუ გინდა, მოვეშვათ საკუთარ თავს და მანამ, სანამ არ წავაწყდებით ვინმეს, ვინც ამის გაკეთებას შეძლებს, ვთქვათ, რომ მეტად მიუდგომელ ადგილას ოსტატურად ჩაყვინთა სოფისტმა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეც ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამიტომ, თუ ვიტყვით, რომ იგი მოჩვენებათა შექმნის ხელოვნებას ფლობს, ამ მსჯელობის გამოყენებით, იგი ადვილად შეაბრუნებს ჩვენს ნათქვამს საწინააღმდეგო მხარეს. როცა მას გამოსახულებათა შემქმნელს ვუწოდებთ, გვკითხავს, საერთოდ რა არის გამოსახულება. ამიტომაც, თევტეტოს, უნდა მოვიფიქროთ, რა ვუპასუხოთ ამ ყმაწვილს შეკითხვაზე.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ცხადია, დაგასახელებთ წყალსა და სარკეში არსებულ გამოსახულებებს, ასევე ნახატებსა და ქანდაკებებს და სხვა ასეთ რამეებს.<sup>63</sup>

უ ც ხ ო ე ლ ო. თევტეტოს, როგორც ჩანს, სოფისტი ჯერ არ გინახავს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რატომ?

უ ც ხ ო ლ ო. მოგეჩვენებოდა, რომ ის თვალებს ჭუტავს ან საერთოდ არ აქვს [თვალები].

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. როცა მას ასეთ პასუხს გასცემ, სარკეებსა თუ ქმნილებებს დაუსახელებ, შენს ნათქვამს დასცინებს, რადგან შენ მას ისე დაელაპარაკები, როგორც მხედველს, ის კი თავს მოგაჩვენებს, თითქოს არც სარკეებს, არც წყალს და საერთოდ არც მხედველობას არ იცნობს და მხოლოდ იმას გკითხავს, რაც შენი სიტყვებიდან გამომდინარეობს.<sup>64</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რას?

უ ც ხ ო ე ლ ი. რა აქვს ერთმანეთთან საერთო ყველაფერ იმას, რაც ჩამოთვალე, ერთი სახელის დირსად მიიჩნიე და გამოსახულება უწოდე. თქვი და დაიცავი თავი! ნუ დაუთმობ ამ კაცს!

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. უცხოელო, რა ვუწოდოთ გამოსახულებას იმის გარდა, რომ ის არის ჭეშმარიტის მსგავსი ასეთივე სხვა რამ?

უ ც ხ ო ე ლ ი. „ასეთივე სხვა” ნიშნავს ასეთივე, თუ რას მიაკუთვნებ „ასეთივეს”?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. არავითარ შემთხვევაში [არ მივაკუთვნებ] ჭეშმარიტს, არამედ – მსგავსს.

უ ც ხ ო ე ლ ი. ჭეშმარიტს ხომ ნამდვილად არსებულს უწოდებ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, არა ჭეშმარიტი ჭეშმარიტის საპირისპიროა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. აბა რა!

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, მსგავსს ჭეშმარიტად არსებულად არ მიიჩნევ, თუ ამბობ, რომ ის არ არის ჭეშმარიტი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. მაგრამ ის როგორდაც არსებობს.

უ ც ხ ო ლ ი. შენ ამბობ, რომ არ [არსებობს] ჭეშმარიტად.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. არა, რა თქმა უნდა, თუმცა ის ჭეშმარიტად არის ხატი.<sup>65</sup>

უ ც ხ ო ე ლ ი. ამგვარად, გამოდის, რომ ის, რასაც ჩვენ ხატს ვუწოდებთ, თუმცა ჭეშმარიტად არარსებულია, მაინც ჭეშმარიტად არსებობს.

თ ე ტ ე ტ ო ს ი. ჩანს, ძალიან უჩვეულოდ არის ერთმანეთში გადახლართული არსებული და არარსებული.

უ ც ხ ო ე ლ ი. როგორ არად უჩვეულო? ხედავ, რომ მოსაზრებათა მონაცემების გამო მრავალთავიანმა სოფისტმა<sup>66</sup> გვაიძულა ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ დავთანხმებოდით, რომ არარსებული როგორდაც არსებობს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. კარგადაც ვხედავ.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, როგორ უნდა განვმარტოთ მისი ხელოვნება, რომ საკუთარ თავთან შეთანხმება შევძლოთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. რატომ ამბობ ამას ან რისი გეშინია?

უ ც ხ ო ე ლ ი. როცა ვამბობთ, რომ ის მოჩვენებას [ქმნის და ისე] გვატყუებს და მისი ხელოვნებაც მომატყუებელია, მაშინ იმას ხომ არ ვგულისხმობთ, რომ ჩვენ სულსაც მისი ხელოვნების მეშვეობით მცდარი აზრები უჩნდება? თუ რას ვიტყვით?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ამას. სხვას რას ვიტყვით?

უ ც ხ ო ე ლ ი. მცდარი აზრი იქნება იმის საწინააღმდეგოს ფიქრი, რაც არსებობს, თუ როგორ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, ამბობ, რომ მცდარი აზრი არის აზრი არარსებულის შესახებ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აუცილებლად.

უ ც ხ ო ე ლ ი. ეს არის აზრი, რომ არარსებული არ არსებობს, თუ [აზრი], რომ საერთოდ არარსებული როგორდაც არსებობს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არარსებული როგორდაც უნდა არსებობდეს, თუ ოდესმე ვინმე რამეს მცირედ მაინც იცრუებს.

უ ც ხ ო ე ლ ი. რაო? ისეთი აზრიც ხომ შესაძლებელია, რომ ჭეშმარიტად არსებული საერთოდ არ არსებობს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. და ესეც ტყუილია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ესეც.

უ ც ხ ო ე ლ ი. ვფიქრობ, ის მსჯელობაც მცდარად ჩაითვლება, რომელიც აცხადებს, რომ არსებული არ არსებობს, არარსებული კი – არსებობს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ იქნება ეს სხვანაირად?

უ ც ხ ო ე ლ ი. არანაირად, მაგრამ ამას სოფისტი არ იტყვის. და განა არსებობს რაიმე საშუალება, რომლითაც საღად მოაზროვნეს ამაზე დაითანხმებ, მაშინ როცა მანამდე ვაღიარეთ, რომ იგი გამოუთქმელი, აღუწერელი, მოუაზრებელი და მიუწვდომელია? ვხვდებით, თუეტებოს, რას ამბობს [სოფისტი]?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ ვერ ვხვდებით. იგი იტყვის, რომ იმის საწინააღმდეგოს ვამბობთ, რაც წელან ვთქვით, რადგან გავბედეთ იმის თქმა,

რომ ტყეილი არსებობს აზრებშიც და სიტყვებშიც. ჩვენ ხომ ხშირად იძულებული ვართ არსებული არარსებულს შევუერთოთ, თუმცა ახლახან შევთანხმდით, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია.

უ ც ხ თ ე ლ ი. მართებულად გაგახსენდა, მაგრამ დროა, მოვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ სოფისტთან დაკავშირებით. ხედავ, რა ადვილად წარმოიშობა მრავალი წინააღმდეგობა და დაბნეულობა, როცა მას მატყუარებისა და ჯადოქრების ხელოვნებაში მივუჩენთ ადგილს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ძალიან ბევრი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩვენ მათი მცირე ნაწილი განვიხილეთ, ისინი კი, ასე ვთქვათ, უთვალავია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. თუკი ეს ასეა, როგორც ჩანს, შეუძლებელია სოფისტის დაჭერა,

უ ც ხ თ ე ლ ი. ამგვარად უკვე თავი დავანებოთ შეშინებულებმა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვფიქრობ, თავი არ უნდა დავანებოთ, თუ ოდნავ მაინც შეგვიძლია მისი დაჭერა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, მაპატიებ და, როგორც ახლა თქვი, თანახმა იქნები, რომ როგორმე ნელ-ნელა დავადწიოთ თავი ამ ესოდენ რთულ მსჯელობას?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. უფრო მეტად კი ერთ რამეს გთხოვ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას?

უ ც ხ თ ე ლ ი. არ იფიქრო, რომ მამისმკვლელი ვხდები.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რატომ უნდა ვიფიქრო?

უ ც ხ თ ე ლ ი. თავი რომ დავიცვათ, იძულებული ვართ, გამოვცადოთ მამის, პარმენიდესის<sup>67</sup> მოძღვრება და შესაძლებლობის [ფარგლებში] დავამტკიცოთ, რომ არარსებული როგორდაც არსებობს და პირიქით – არსებული როგორდაც არ არსებობს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ცხადია, მსჯელობის დროს მოგვიწევს ამგვარი [რამის] დაცვა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ცხადი როგორ არ არის? ეს, როგორც ამბობენ, ბრმისთვისაც კი ნათელია. სანამ ამას არ უარვეოფთ ან არ დავეთანხმებით, ვერავინ ილაპარაკებს მცდარ სიტყვებსა თუ აზრებზე, გამოსახულებებზე,

ხატებზე, მიბაძვებსა თუ მოჩვენებებზე, ასევე მათთან დაკავშირებულ ყველა სახის ხელოვნებაზე ისე, რომ დასაცინი არ გახდეს და საკუთარ თავს აუცილებლად არ შეეწინააღმდეგოს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ჭეშმარიტად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამიტომ ახლა უნდა გავტედოთ და დავუპირისპირდეთ მამის მოძღვრებას, ან საერთოდ მივატოვოთ ყველაფერი, თუ რაიმეს შიში შეგვაფერხებს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არაფერმა არანაირად არ უნდა შეგვაფერხოს.

უ ც ხ თ ე ლ ი. და მესამეც, მცირე სათხოვარი მაქვს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ოღონდაც თქვი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ახლახან ვთქვი, რომ ამ ყველაფრის მხილებისას უიმედობა მიჰყრობს და ახლაც ასე [დამემართა].

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი, ასე თქვი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ვშიშობ, ამ ნათქვამის გამო შეშლილი არ გეგონო, რომელიც თავდაყირა დგება. მაგრამ შენი გულისთვის მაინც შევუდგეთ ამ მოძღვრების მხილებას, თუ მოვახერხებთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვფიქრობ, არავითარ შეცდომას არ დაუშვებ, თუკი ამის მხილებას და მტკიცებას შეუდგები. ამიტომ, მიდი, გაძედულად!

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, რითი დავიწყოთ ეს თამამი მსჯელობა? ვფიქრობ, აუცილებლად ამ გზას უნდა დავადგეთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელს?

უ ც ხ თ ე ლ ი. თავდაპირველად ის განვიხილოთ, რაც მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის უკვე ნათელია, რათა არ დავიბნეთ და ადვილად არ დავიჯეროთ, რომ სწორად ვმსჯელობთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. უფრო გასაგებად თქვი, რას გულისხმობ!

უ ც ხ თ ე ლ ი. ვფიქრობ, პარმენიდესმა იოლი გზა მონახა ჩვენთან სასაუბროდ და ასევე ყველამ, ვინც კი ოდესმე გადაწყვიტა განესაზღვრა, თუ როგორი და რამდენია არსებული.<sup>68</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. მგონია, რომ თითოეული მათგანი რაღაც მითს გვიყვება, როგორც ბავშვებს: ერთი გვეუბნება, რომ არსებული სამია,<sup>69</sup> და რომ ისინი

ხან ერთმანეთს ებრძვიან, ხან – უმეგობრდებიან, ქორწინდებიან, მრავლდებიან და შთამომავლობას ზრდიან; სხვა ამბობს, რომ ორია<sup>70</sup> – სველი და მშრალი, თბილი და ცივი – ერთად ცხოვრობენ და ქორწინდებიან; ჩვენი, ელევლთა მოდგმა კი, ქსენოფანესიდან<sup>71</sup> მოყოლებული, და უფრო ადრიდანაც, თავის მითებში გადმოგცემს, რომ ის, რასაც „ყველაფერი“ ეწოდება, ერთია. მოგვიანებით იონიელი და სიცილიელი მუზები<sup>72</sup> მიხვდნენ, რომ ყველაზე უსაფრთხოა, ორივე გააერთიანო და თქვა, რომ არსებული მრავალიც არის და ერთიც და მტრობითა და მეგობრობითაა მოცული. „უთანხმოება მუდამ თანხმობაში მოდის“, – ამბობენ უფრო მკაცრი მუზები,<sup>73</sup> უფრო ლმობიერნი კი მუდამ თმობდნენ და ამბობდნენ, რომ ყოველთვის ყველაფერი მონაცვლეობით არის, ხან – ერთიანია და მეგობრული აფროდიტეს წყალობით, ხან – მრავალი და თავის თავთან მეტროლი რაღაც მტრობის გამო. ამათგან რომელი ლაპარაკობს მართებულად და რომელი – არა, როული სათქმელია, და თანაც, არ დირს, ასეთი სახელოვანი და ძველი ადამიანების გაკიცხვა. ეს კი უდავოდ ჩანს...

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. ისინი ჩვენ, უმრავლესობას, ზემოდან გვიყურებდნენ და არად გვაგდებენ. საერთოდ არ ზრუნავენ მივყვებით მათ ნათქვამს, თუ ჩამოვრჩებით, თითოეული თავისას აკეთებს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. როდესაც რომელიმე მათგანი გამოთქვამს აზრს, რომ არსებობს, წარმოიშვა ან წარმოიშობა მრავალი, ერთი ან ორი, ხოლო სხვა ამბობს, რომ თბილი შეერევა ცივს, დაუშვებს რა დაყოფებსა და გაერთიანებებს, ღმერთების გულისათვის, თევტეტოს, ყოველთვის ხვდები, რას ამბობენ ისინი? როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი და ვინმე არარსებულის შესახებ საუბრობდა, რაც ახლა მაბნევს, მაშინ ვფიქრობდი, რომ ზუსტად ვხვდებოდი. ახლა კი, ხედავ, როგორი დაბნეულები ვართ [არარსებულთან] დაკავშირებით?!

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვხედავ.

უ ც ხ თ ე ლ ი. შესაძლოა, არსებულთან დაკავშირებითაც დაბნეულობის არანაკლები განცდა გვაქვს სულში. თუმცა ვამბობთ, რომ როცა ვინმე

[არსებულის] შესახებ გამოთქვამს აზრს, კარგად გვეხმის, მეორის შესახებ კი – არა. ისე კი, ორივესთან დაკავშირებით ერთნაირად ვართ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შესაძლოა.

უ ც ხ თ ე ლ ი. და იმ ყველაფრის შესახებ, რაზეც ადრე ვილაპარაკეთ, ასე უნდა ვთქვათ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ბევრ რამეს შემდეგაც განვიხილავთ, თუ საჭირო იქნება, უდიდესი და უპირველესი კი ახლა პირველ რიგში უნდა გამოვიკვლიოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რაზე ამბობ? ცხადია, თვლი, რომ, თავდაპირველად, არსებული უნდა გამოვიკვლიოთ – რას წარმოადგენს ის მათვის, ვინც მის შესახებ მსჯელობს?

უ ც ხ თ ე ლ ი. ფეხდაფეხ მომყვაბი, თევეტოს. ვფიქრობ, ჩვენ ასეთი მეთოდი უნდა შევიმუშავოთ: მათ კითხვები დავუსვათ ისე, თითქოს ისინიც აქ იმყოფებიან: „აბა, ყველა, ვინც ამბობთ, რომ თბილი და ცივი და ასეთი რამები, ყველაფერი ორია, რას გულისხმობთ „ორში”, როცა ამბობთ, რომ ორივე ერთად და თითოეული ცალ-ცალკე არსებობს? როგორ გავიგოთ ეს თქვენი „არსებობა”? თქვენი მსჯელობის მიხედვით, დავუშვათ ამ ორთან რაღაც მესამე და ყველაფერი სამად მიგიჩნიოთ და არა ორად? თუკი ორიდან ერთს არსებულს ვუწოდებთ, ვერ იტყვით, რომ ორივე ერთნაირად არსებობს, რადგან, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, არსებული ერთი იქნებოდა და არა ორი.”

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალს ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. „ხომ არ გინდათ ორივეს არსებული უწოდოთ?”

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შეიძლება.

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩვენ ვიტყვით: „მეგობრებო, ასე ხომ, ორს ერთს უწოდებდით”.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალი თქვი.

უ ც ხ თ ე ლ ი. „რადგან ჩვენ ახლა დაბნეულები ვართ, თქვენ ამაში გაგვარკვიეთ: რისი აღნიშვნა გსურთ, როცა წარმოოქვამთ „არსებულს”? ცხადია, თქვენ ეს ადრეც იცოდით, ჩვენ კი აქამდე გვეგონა, რომ ვიცოდით, ახლა კი დაბნეულები ვართ. ჯერ ეს გვასწავლეთ, რათა არ გვეგონოს, რომ

ვხვდებით თქვენს ნათქვამს, სინამდვილეში კი ყველაფერი ამის საპირისპიროდაა”. ასე თუ ვისაუბრებთ და ამასვე მოვითხოვთ მათგან და სხვებისგან, რომლებიც ამბობენ, რომ ყველაფერი ერთზე მეტია, ნუთუ რამეში შევცდებით, შვილო?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ყველაზე ნაკლებად.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, ხომ არ გამოვიკვლიოთ, შეძლებისამებრ, რას თვლიან „არსებულად” ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ ყველაფერი ერთია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა.

უ ც ხ თ ე ლ ი. აი, ამ [კითხვას] უპასუხონ: „ამბობთ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი?” „ასე ვამბობთ” – იტყვიან ისინი, არა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. „და რაიმეს არსებულს უწოდებთ?”

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. „ერთი და იმავე [რამისათვის] იყენებთ ორ სახელს თუ როგორ [იქცევით]?”

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ამის შემდეგ რას გვიპასუხებენ, უცხოელო?

უ ც ხ თ ე ლ ი. თევტეტოს, ცხადია, რომ იმისთვის, ვინც ასეთ ვარაუდს უშებს, არც ისე აღვილია, უპასუხოს ამ შეკითხვას ან ნაბისმიერ სხვას.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. სასაცილოა ორი სახელის აღიარება და იმის დაშვება, რომ არაფერი არ არსებობს ერთის გარდა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. და საერთოდ აზრი არ აქვს, დაეთანხმო იმას, ვინც ამბობს, რომ სახელი არის რაღაც.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რატომ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ვინც უშებს საგნისგან განსხვავებულ სახელს, გულისხმობს ორ რამეს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ თვლის, რომ სახელი საგნის იგივეობრივია, მაშინ ან იძულებული გახდება, რომ თქვას არაფრის სახელი, ხოლო თუ იტყვის, რომ

ის რადაცის [სახელია], გამოვა, რომ სახელი მხოლოდ სახელის სახელია და სხვა არაფრის.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. და ერთი იქნებ არა ერთის სახელი, იმავდროულად იქნება სახელის ერთი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აუცილებლად.

უ ც ხ თ ე ლ ი. და მთლიანი განსხვავდება არსებული ერთისაგან, თუ იტყვიან, რომ მისი იგივეობრივია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არ იტყვიან, როცა ახლაც ამბობენ?

უ ც ხ თ ე ლ ი. და თუ მთლიანი არსებობს, მაშინ, როგორც პარმენიდესი ამბობს, არის

„ყოველმხრივ მრგვალი სფეროს მასის მსგავსი,

შუაგულიდან ყოველ მხარეს თანაბარი, არც უფრო დიდი,

არც უფრო პატარა, დადის, როგორც საჭიროა, აქეთ-იქით”.<sup>74</sup>

— თუკი არსებული ასეთია, აქვს შუაგული და კიდეები, [მაშინ] მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს ნაწილებიც. თუ არა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაგრამ არაფერი უშლის ხელს, რომ ყველა დაყოფილი ნაწილის მიმართ ერთი თვისების იყოს და არის რა „ყველა” და „მთელი”, [იმავდროულად] იყოს ერთი.<sup>75</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სულაც არა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაგრამ განა შეუძლებელი არ არის, ეს განიცადოს და თავად ერთი იყოს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რატომ?

უ ც ხ თ ე ლ ი. სწორი მსჯელობით, ჭეშმარიტად ერთი უნდა ვუწოდოთ იმას, რაც არის სრულიად დაუნაწევრებელი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე უნდა იყოს.

უ ც ხ თ ე ლ ი. ეს კი, ანუ არსებული როგორც მრავალი ნაწილისგან შემდგარი, არ შეესაბამება [მთელის განმარტებას].<sup>76</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მესმის.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, იქნება არსებული, ერთის თვისების მქონე, ერთი და მთელი, თუ საერთოდ არ უნდა ვთქვათ, რომ არსებული მთელია?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რთული არჩევანი შემომთავაზე.

უ ც ხ ო ე ლ ო. სრულ ჭეშმარიტებას ამბობ. თუ არსებულის თვისებაა როგორდაც ერთი იყოს, ის ვეღარ იქნება ერთის იგივეობრივი, და ყველაფერი ერთზე მეტი იქნება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუკი არსებული იმიტომ კი არ არის მთელი, რომ ეს თვისება ერთისაგან მიიღო, არამედ ის არის მთელი თავის თავში, მაშინ გამოდის, რომ არსებულს თავისი თავი აკლია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამ მსჯელობის თანახმად, არსებულს რომ თავისი თავი აკლია, არარსებულია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. და ყველაფერი ერთზე მეტი ხდება, თუკი არსებულმაც და მთელმაც – თითოეულმა საკუთარი ბუნება მიიღო.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუ მთელი საერთოდ არ არსებობს, მაშინ ზუსტად იგივე მოუვა არსებულსაც და ის გარდა იმისა, რომ არ იარსებებს, ვერც ვერასოდეს გახდება არსებული.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რატომ?

უ ც ხ ო ე ლ ო. წარმოშობილი მუდამ მთელია. ამგვარად, არც არსებობაზე, არც წარმოშობაზე, როგორც არსებულზე არ უნდა ვიღებაპარაკოთ, თუ არსებულში ერთს ან მთელს არ დავუშვებთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ჩანს, ეს ნამდვილად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. და რამხელაც არ უნდა იყოს რაიმე, ის არ იქნება არა მთელი. რამხელაც და როგორიც არ უნდა იყოს რაიმე, ის აუცილებლად მთელის შესაბამისი უნდა იყოს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ი. და ათასი რამ, თითოეული მათგანი, უსაზღვრო დაბნეულობას გამოიწვევს, როგორც ჩანს, იმისთვის, ვინც ამბობს, რომ არსებული ან რაღაც ორია, ან – მხოლოდ ერთი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. აღმოჩნდება ის, რაც ახლა უკვე თითქმის გამჟღავნებულია. ერთს მეორე მოსდევს, რომელიც კიდევ უფრო მეტად გვაძნევს იმასთან დაკავშირებით, რაც უწინ ითქვა.

უ ც ხ ო ე ლ ი. ჩვენ მაინც არ გვიმსჯელია ყველაზე, ვინც უურადღებით იკვლევს არსებულსა და არარსებულს, თუმცა ესეც საკმარისია. ახლა კი იმათაც მივხედოთ, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, რათა ამ ყველაფრიდან გამომდინარე დავინახოთ, რომ იმის თქმა, თუ რა არის არსებული, არარსებულზე ადგილი რაღაც არ არის.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. საჭიროა მათ წინააღმდეგაც გავიღაშქროთ.

უ ც ხ ო ე ლ ი. ჩანს, არსებობასთან დაკავშირებით კამათისას მათ ერთმანეთში რაღაც გიგანტომაქის მსგავსი აქვთ.<sup>77</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ი. ერთნი ზეციდან და უხილავიდან<sup>78</sup> ყველაფერს მიწაზე მოათრევენ, ხელებით ეხვევიან კლდეებსა და მუხებს, ყველაფერ ამას ჩაჭიდებულნი კი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ის არსებობს, რაც ექვემდებარება შეხებასა და შეგრძნებას, სხეულსა და არსებობას კი იგივეობრივად განსაზღვრავენ.<sup>79</sup> ხოლო თუ ვინმე სხვა იტყვის, რომ რაღაც უსხეულო არსებობს, მას ეჭვით უყურებენ და სხვა რამის მოსმენა აღარც სურთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. საშინელი ხალხი დაასახელე. ასეთებს მეც შევხვედრივარ.

უ ც ხ ო ე ლ ი. ამიტომ ვინც მათ ეკამათება, ისინი დიდი სიფრთხილით საიდანდაც ზეციდან, უხილავი ადგილიდან, იცავენ თავს. ისინი ამტკიცებენ, რომ ჭეშმარიტი არსებობა არის რაღაც გონით საწვდომი და უსხეულო იდები, იმ სხეულებს კი, რომლებზეც ესენი საუბრობენ და რასაც ჭეშმარიტებას უწოდებენ, მცირე ნაწილებად ყოფენ თავიანთ მსჯელობებში და არსებობის ნაცვლად მოძრავ ქმნადობას უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით, თევტეტოს, ორივე მხარეს შორის მუდამ დაძაბული ბრძოლაა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ჭეშმარიტად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, ორივე გვარისგან თანმიმდევრულად მივიღოთ განმარტება, თუ რას თვლიან ისინი არსებობად.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მაგრამ როგორ მივიღებთ?

უ ც ხ ო ე ლ ო. იმათგან, ვინც [არსებობას] იდეებში უშვებს – ეს ადვილია, რადგან უფრო თვინიერნი არიან; ხოლო იმათგან, ვინც ძალით ყველაფერს სხეულისკენ მიათრევს – უფრო რთული და, ალბათ, თითქმის შეუძლებელიც. მაგრამ ვფიქრობ, მათ ამგვარად უნდა მოვაქცეთ.<sup>80</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. შესაძლებელი რომ იყოს, ყველაზე კარგი იქნებოდა მათი საქმით გამოსწორება. ხოლო თუ ასე არ გამოდის, სიტყვით ვცადოთ: დავუშვათ, რომ მათ სურთ უფრო წესიერად გვიპასუხონ, ვიდრე აქამდე. ის, რაზეც საუკეთესონი შეთანხმდნენ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაზეც – უარესნი. თუმცა ჩვენ მათზე კი არ ვზრუნავთ, არამედ ჭეშმარიტებას ვეძებთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. სთხოვე მათ, ვინც ჟავოებები გახდნენ, გიპასუხონ და შენ კი მათი ნათქვამი განგვიმარტე.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასე იყოს.

უ ც ხ ო ე ლ ო. დაე, გითხრან, ამბობენ თუ არა, რომ [საერთოდ] არსებობს რაიმე მოკვდავი არსება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. სულიერ სხეულად ხომ არ მიიჩნევენ მას?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ლ ო. სულს არსებულად თვლიან?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. რაო? ხომ არ ამბობენ, რომ ერთი სული სამართლიანია, მეორე – უსამართლო, ერთი – გონიერი, მეორე – უგუნური?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. სამართლიანობის თანაარსებობა თითოეულ სულს ასეთად აქცევს, საპირისპირო კი – საპირისპიროდ, არა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი, ამასაც ეთანხმებიან.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ, რასაც შეუძლია, რაიმეში თანაარსებობდეს ან არ არსებობდეს, ყველა შემთხვევაში რაღაც უნდა იყოს, იტყვიან ისინი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეც ამბობენ.

უ ც ხ ო ე ლ ო. როდესაც არსებობს სამართლიანობა, გონიერება, სხვა სათნოებები და მათი საპირისპირო [თვისებები], ასევე სული, რომელშიც ისინი არსებობენ, მათგან რაიმეს ხილულად და ხელშესახებად მიიჩნევენ, თუ ყველაფერს უხილავად [თვლიან]?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. თითქმის არაფერს არ მიიჩნევენ ხილულად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ ნუთუ ამბობენ, რომ მათ სხეული აქვთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. აქ ყველაფერზე ერთნაირად არ პასუხობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ თავად სული ფლობს რაღაც სხეულს, ხოლო რაც შეეხება გონიერებასა და იმ ყველაფერს, რაც იკითხე, რცხვენიათ და ვერ ბედავენ, რომ ან საერთოდ არარსებულებად აღიარონ ან ამტკიცონ, რომ ყველა ეს სხეულია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ჩვენთვის ნათელია, თემტეტოს, რომ ეს ადამიანები უკეთესები გახდნენ, რადგან მათგან, რომლებიც შვა და აღზარდა მიწამ<sup>81</sup> არც ერთს არ შერცხვებოდა არაფრის, არამედ ყველა ხერხით დაამტკიცებდნენ, რომ ის, რასაც ხელით ვერ შეეხები, საერთოდ არაფერი არ არის.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. თითქმის ამგვარად ფიქრობენ, როგორც ამბობ.

უ ც ხ ო ე ლ ო. პალავ გამოვგითხოთ ისინი: თუ მოისურვებენ, რომ რაიმე, არსებულთაგან სულ მცირეც კი, უსხეულოდ ჩათვალონ, ეს საკმარისი იქნება. მაშინ მათ უნდა თქვან, რა არის ბუნებრივი ამათოვისაც და იმათოვისაც, რომლებსაც სხეული აქვთ და რის მიხედვით უწოდებენ ორივეს არსებულს. ასე, ალბათ, სწრაფად დაიბრუვიან და, თუ ეს მოხდება, იფიქრე, მოისურვებენ თუ არა, დაგვეთანხმონ და აღიარონ, რომ არსებული სწორედ ამგვარია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორი? თქვი და მალე გავიგებთ!

უ ც ხ ო ე ლ ო. ვამბობ, რომ რასაც კი ბუნებით აქვს შესაძლებლობა, იმოქმედოს სხვა რამეზე ან თავად განიცადოს თუნდაც უმცირესი [ზემოქმედება], თუნდაც სრულიად უმნიშვნელოსგან და თუნდაც მხოლოდ ერთხელ, — ეს ყველაფერი ჭეშმარიტად არსებობს. მე არსებულის ასეთ

განსაზღვრებას გთავაზობთ, რომ ის სხვა არაფერია, თუ არა შესაძლებლობა.<sup>82</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ისინი გაიზიარებენ ამ [მოსაზრებას], რადგან ამჟამად უკეთესი არაფერი აქვთ სათქმელი.

უ ც ხ თ ე ლ ი. მშვენიერია. მოგვიანებით, შესაძლოა, ჩვენც და მათაც სხვაგარად მოგვეჩენოს. მაგრამ ახლა მათთან ჯერ-ჯერობით ასეთი შეთანხმება დავტოვოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. დაგტოვოთ.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, გადავიდეთ სხვებთან, იდეების მეგობრებთან.<sup>83</sup> შენ კი მათი [ნათქვამიც] განგვიმარტე!

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე იყოს!

უ ც ხ თ ე ლ ი. ქმნადობასა და არსებობას ხომ ერთმანეთისაგან გამოყოფთ და მათზე ცალ-ცალკე საუბრობთ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. სხეულით, შეგრძნებებით ვეზიარებით ქმნადობას; სულით, განსჯით კი – ჭეშმარიტ არსებობას, რომელზეც ამბობთ, რომ იგი ყოველთვის იგივეობრივია, ქმნადობა კი სხვადასხვა დროს – სხვადასხვაგვარი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე გამბობთ.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაგრამ ზიარების შესახებ რა ვთქვათ, რას გულისხმობთ, თქვენ, წარჩინებულნო, თითოეულ შემთხვევაში? იმას ხომ არა, რაც ახლახან ვთქვით?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა ვთქვით?

უ ც ხ თ ე ლ ი. განცდა ან მოქმედება, რომელიც ერთმანეთთან შეხვედრის შედეგად წარმოქმნილი ძალისაგან წარმოიშობა. თემტეტოს, შესაძლოა, შენ არ გეხმის მათი პასუხი, მე კი მეხმის, რადგან მათ მიჩვეული ვარ.<sup>84</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობენ?

უ ც ხ თ ე ლ ი. იმაში არ გვთანხმებიან, რაც ახლახან ვუთხარით დედამიწის მკვიდრთა არსებობასთან დაკავშირებით.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ ო ე ლ ი. ჩვენ ხომ არსებულის დამაკმაყოფილებელ განმარტებად დავადგინეთ ის, რომ რაიმეს აქვს განცდის ან მოქმედების თუნდაც უმცირესი ძალა (შესაძლებლობა).

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. ამის საწინააღმდეგოდ ამბობენ, რომ განცდის და მოქმედების ძალა ქმნადობას ეკუთვნის, არსებობას კი არც ერთი ძალა არ უკავშირდება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ნუთუ ასეთ რამეს ამბობენ?

უ ც ხ ო ე ლ ი. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ უფრო ნათლად გაგვაგებინონ, ეთანხმებიან თუ არა იმას, რომ სული შეიმეცნებს, არსებობას კი შეიმეცნებენ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. სწორედ ამას ამბობენ.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, რას იტყვით, შეიმეცნო და შემეცნებულ იყო, მოქმედებაა, განცდა, თუ ორივე ერთად? თუ ერთი განცდაა, მეორე კი – მოქმედება? თუ საერთოდ არც ერთი არც ერთს არ ეზიარება?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ცხადია, რომ არც ერთი არ ეზიარება არც ერთს. ასე ხომ ადრე ნათქვამის საწინააღმდეგოს იტყოდნენ.

უ ც ხ ო ე ლ ი. გასაგებია. შემეცნება რომ რაიმე ქმედება იყოს, შემეცნებულობა აუცილებლად განცდა გამოვიდოდა. ამ მსჯელობის მიხედვით, ცნობიერების მიერ შემეცნებული არსება იმდენად შეიმეცნება, რამდენადაც განცდის გამო მოძრაობს, განცდა კი, როგორც გამბობთ, ვერ იქნებოდა უძრავთან.<sup>85</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ი. ზევსის გულისათვის, ასე ადვილად ხომ არ დავრწმუნდებით, რომ სინამდვილეში მოძრაობა, სიცოცხლე, სული და გონება არ ეზიარებიან ჭეშმარიტად არსებულს და ის არც ცოცხლობს, არც აზროვნებს, არამედ არის წმინდა, ამაღლებული, არ აქვს გონება და უძრავია?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. საშინელ მსჯელობას დავეთანხმებოდით, უცხოელო.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, ვთქვათ, რომ მას გონება აქვს, სიცოცხლე კი – არა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. და თუმცა ვამბობთ, რომ ეს ორივე მასში არსებობს, უარგვოფთ, რომ ისინი [ანუ გონება და სიცოცხლე] მას სულში აქვს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. სხვაგვარად როგორ ექნებოდა?

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, გონება, სიცოცხლე და სული აქვს და თუმცა სულიერია, მაინც უძრავია?<sup>86</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მე ეს ყველაფერი უაზროდ მეჩვენება.

უ ც ხ ო ე ლ ო. უნდა დავუშვათ, რომ მოძრავი და მოძრაობა არსებულია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. ამრიგად, თევტეტოს, გამოდის, რომ თუ არსებული უძრავია, არავინ არსად არაფერს არ იაზრებს.<sup>87</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა, ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხოლო, მეორე მხრივ, თუ დავუშვებთ, რომ ყველაფერი გადაადგილდება და მოძრაობს, ამ მსჯელობით იგივეობრივს არსებულიდან გამოვრიცხავთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. შენ გგონია, რომ უძრაობის გარეშე ოდესმე იარსებებდა იგივეობრივი, თავისივე მსგავსი და იმავე მიმართებაში მყოფი?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. არანაირად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ რა? ხვდები, ამათ გარეშე როგორ იარსებებდა ან წარმოიშობოდა სადმე გონება?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ყველაზე ნაკლებად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მართლაც რომ ყველანაირი მსჯელობით უნდა ებრძოლო იმას, ვინც აქრობს ცოდნას, გონიერებასა და გონებას და რაიმესთან დაკავშირებით რაიმეს ამტკიცებს!

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ფილოსოფოსისათვის, რომელიც ამ ყველაფერს მეტად აფასებს, როგორც ჩანს, აუცილებელია, სწორედ ამიტომ არ დაეთანხმოს იმას, ვინც ამბობს, რომ არსებობს ერთი ან თუნდაც მრავალი იდეა და ყველაფერი უძრავია, ხოლო, მეორე მხრივ, საერთოდ არ მოუსმინოს იმას, ვინც ამბობს, რომ არსებული ყოველმხრივ მოძრავია; არამედ როგორც ბავშვები ნატრობენ,

რომ ყველაფერი უძრავი მოძრაობდეს, თქვას, რომ არსებულიც და ყოველიც უძრავიცაა და მოძრავიც.<sup>88</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ჭეშმარიტად.

უ ც ხ თ ე ლ ი. რა, ნუთუ არ ჩანს, რომ მსჯელობით უკვე შევიპყარით არსებული?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. გვე, თევტეტოს! ვფიქრობ, ახლა კი ზუსტად ვხვდებით, თუ რა რთულია [არსებულის] კვლევა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ? რა თქვი?

უ ც ხ თ ე ლ ი. დალოცვილო, ვერ ხვდები, რომ მის შესახებ უპავ არაფერი ვიცით, თუმცა კი გვგონია, რომ რაღაცას ვამბობთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა. მაგრამ ვერ ვხვდები, როგორ გამოგვეპარა, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

უ ც ხ თ ე ლ ი. დაუკვირდი უფრო კარგად: თუკი ახლა ამაზე შევთანხმდით, ალბათ, სამართლიანად შეგვეკითხებოდნენ იმავეს, რაც ჩვენ ვაითხეთ მათ, ვინც ამბობდა, რომ ყველაფერი ცივი და თბილია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელ შეკითხვებს ამბობ? შემახსენე!

უ ც ხ თ ე ლ ი. რა თქმა უნდა. ვეცდები ეს შენი გამოკითხვით გაგაკეთო, როგორც მაშინ იმათ ვეკითხებოდი, რათა როგორმე წინ წავიდეთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალია.

უ ც ხ თ ე ლ ი. შენ ხომ ამბობ, რომ მოძრაობა და დგომა ერთიმეორის საპირიპიროა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. და ისინი ერთადაც არსებობენ და ცალ-ცალკეც?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე ვამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ხომ არ ფიქრობ, რომ ორივე ერთადაც მოძრაობს და ცალ-ცალკეც, რაღგან ეთანხმები, რომ [ისინი] არსებობენ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არანაირად.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, როდესაც ამბობ, რომ ორივე არსებობს, გულისხმობ, რომ ისინი უძრავნი არიან?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. რადგან მათთან ერთად სულში რაღაც მესამეს – არსებულს უშებე, რომლითაც არიან გარემოცულნი მოძრაობაც და დგომაც და ვინაიდან დაინახავ და ჩაწვდები მათ კავშირს (ზიარებას) არსებობასთან, ფიქრობ, რომ ორივე არსებობს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ჩანს, რომ ნამდვილად ვწინასწარმეტყველებთ რაღაც მესამეს – არსებულს, როცა ვამბობთ, რომ მოძრაობა და დგომა არსებობს.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამგვარად, ერთად აღებული მოძრაობა და დგომა კი არ არის არსებული, არამედ ის ამათგან განსხვავებული რამაა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორც ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ო. აქედან გამომდინარე, არსებული თავისი ბუნებით არც უძრავია და არც მოძრავი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ახეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. კიდევ რას უნდა მიაქციოს ყურადღება იმან, ვისაც სურს, რომ ამ [საკითხში] უფრო ნათლად გაერკვე?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რადგან?

უ ც ხ ო ე ლ ო. ვფიქრობ, აღარაფერია მარტივი. რადგან თუკი რაღაც არ მოძრაობს, უძრავი არ იქნება? და პირიქით, ის, რაც საერთოდ არაა უძრავი, როგორ არ იმოძრავებს? არსებული კი ამ ორივეს მიღმა აღმოჩნდა. განა ეს შესაძლებელია?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. შეუძლებელია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამასთან დაკავშირებით უპრიანია ერთი რამ გავიხსენოთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა?

უ ც ხ ო ე ლ ო. როცა გვკითხეს, რას უნდა მივაკუთვნოთ სახელი “არარსებული”, სრულიად დავიბენით. გახსოვს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. განა ახლა ნაკლებ დაბნეულები ვართ არსებულთან დაკავშირებით?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ვფიქრობ, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც კი, უცხოელო.

უ ც ხ ო ე ლ ო. დაუ, ეს ასევე დარჩეს აქ გაურკვევლად. რადგან არსებული და არარსებული ერთნაირად უკავშირდება დაბნეულობას, იმედი

ვიქონიოთ, რომ რამდენადაც ერთი მათგანი მეტ-ნაკლებად გასაგები აღმოჩნდება, [იმდენად] მეორეც [გაირკვევა]. და თუ ცალ-ცალკე ვერც ერთს ვერ დავადგენთ, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, ყველაზე შესაფერისი გზით, ორივეზე ერთად განვაგრძობთ მსჯელობას.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მშვენიერიძ.

უ ც ხ თ ე ლ ი. მოდი, ვთქვათ, როგორ ვუწოდებთ ერთსა და იმავე რამეს ყოველთვის მრავალ სახელს!<sup>89</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას? დამისახელე მაგალითი!

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა ადამიანზე ვლაპარაკობთ, მას ბევრ რამეს ვუწოდებთ,<sup>90</sup> [მასვე] მივაკუთვნებოთ ფერებს, ფორმებს, ზომებს, მანკიერებებს, სიქველეებსა და კიდევ ათას სხვა რამეს. ვამბობთ, რომ მხოლოდ ადამიანი კი არ არის, არამედ კეთილია და ა. შ. დაუსრულებლად. სხვა რამეებზეც ასევე ვმსჯელობთ. თითოეულ მათგანს ერთეულადაც მივიჩნევთ, სიმრავლედაც და მრავალ სახელსაც ვუწოდებთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალს ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამით, ვფიქრობ, ახალგაზრდებსა და სწავლაში ჩამორჩენილ მოხუცებს ნადიმი მოვუმზადეთ. დაუყოვნებლივ ყველას მზად ექნება პასუხი, რომ შეუძლებელია მრავალი ერთი იყოს და ერთი – მრავალი. უხარისათ, რომ არ რთავენ ნებას, ადამიანს კეთილი უწოდონ, არამედ კეთილს კეთილს უწოდებენ და ადამიანს – ადამიანს. თევტეტოს, როგორც ვიცი, ასეთებთან ხშირად გიხდება ურთიერთობა, ზოგჯერ უფროს ადამიანებთანაც, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულნი და, რომელთაც გონების ნაკლებობის გამო უკვირთ ასეთი რამეები და პგონიათ, რომ რაღაც ძალიან ბრძნული აღმოაჩინეს.<sup>91</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩვენი მსჯელობა ყველას უნდა ეხებოდეს, ვისაც კი ოდესმე არსებულის შესახებ რაიმე უთქვამს. ახლა შეკითხვებით მივმართოთ ამათაც და სხვებსაც, ვისთანაც კი აღრე გვისაუბრია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელი შეკითხვებით?

უ ც ხ თ ე ლ ი. არ ვაკავშირებთ არსებობას მოძრაობასა და დგომასთან, არც სხვა რამეს – რაიმესთან? არამედ, რადგან შეურევლები არიან და

ერთმანეთს არ ეზიარებიან, ასეთებად ვიღებთ ჩვენს მსჯელობებში? თუ ყველაფერს ერთნაირად შევურევთ ერთმანეთში, რადგან ერთმანეთთან ზიარება შეუძლიათ? თუ ზოგს შევურევთ, ზოგს – არა? რას ვიტყვით, თევტეტოს, ამათგან რომელს არჩევენ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ამაზე მათ ნაცვლად არაფერი მაქვს საპასუხო.

უ ც ხ თ ე ლ ი. რატომ არ სცემ პასუხს თითოეულ შეკითხვას ცალკე და არ აანალიზებ შედეგებს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალს ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ გინდა, დავუშვათ, რომ ისინი ამბობენ, [თითქოს] არაფერს არაფერთან ურთიერთობის არანაირი ძალა არა აქვს.<sup>92</sup> ასე ხომ მოძრაობა და დგომა ვერანაირად ვერ ეზიარება არსებობას?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვერა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, ამათგან რაიმე იარსებებს არსებობასთან კავშირის გარეშე?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვერ იარსებებს.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამას რომ დავეთანხმეთ, მაშინვე ყველაფერი თავდაყირა დადგა, როგორც ჩანს, იმათოვისაც, ვინც ყველაფერს მოძრავად თვლის და იმათოვისაც, ვინც ყველაფერს, როგორც ერთიანს, უძრავად მიიჩნევს; იმათოვისაც კი, ვინც ამბობს, რომ არსებულები იდეების შესაბამისად არსებობენ და ყოველთვის თავისი თავის იგივეობრივნი არიან. რადგან ყველა მათგანი არსებობას უკავშირებს: ერთნი როდესაც ამბობენ, რომ ყველაფერი ჭეშმარიტად მოძრაობს, სხვები კი, რომ ჭეშმარიტად მდგომია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სწორედ ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ისინიც, ვინც ხან ყველაფერს აერთებს, ხან კი – ყოფს, იქნება ეს ერთში შეერთება და შემდგომ ერთის უსაზღვროდ დაყოფა თუ განსაზღვრულ ელემენტებად დაყოფა და შემდეგ მათი ერთად შეკრება, – სულ ერთია, დაუშვებენ, რომ ეს მონაცელებით ხდება თუ ყოველთვის, – ამ ყველაფრით მაინც ვერაფერს იტყვიან, თუცი არ არსებობს არანაირი შერევა.<sup>93</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხოლო ყველაზე სასაცილონი ისინი იქნებოდნენ, რომლებიც საერთოდ არ უშვებენ, რომ საგანი განსხვავებულთან ზიარების შედეგად განსხვავებულად იწოდებოდეს.<sup>94</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. იძულებული არიან ყველაფერთან მიმართებაში გამოიყენონ სიტყვები: „არსებობა”, „ცალკე”, „სხვები”, „თავის თავში” და ათასი სხვა. და რაკი ძალა არ შესწევთ, თავი შეიკავონ და თავიანთ მსჯელობებში არ წარმოთქან ეს სიტყვები, არ სჭირდებათ სხვა მამხილებელი, არამედ, როგორც ამბობენ, მათ პყავთ შინაური მტერი და მოწინააღმდეგა, რომელსაც ხეტიალისას თან დაატარებენ და რომელიც შიგნიდან გამოსცემს ხმას, როგორც უცნაური ევრიკლესი<sup>95</sup>.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ზუსტად და მართებულად ლაპარაკობ.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ როგორ იქნება საქმე, თუკი დავუშვებთ, რომ ყველაფერს აქვს ერთმანეთთან ურთიერთობის ძალა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მაგის უარყოფა მეც კი შემიძლია.

უ ც ხ ო ე ლ ო. როგორ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ერთმანეთთან ურთიერთობა რომ ჰქონოდათ, მოძრაობა სრულიად გაჩერდებოდა და, პირიქით, დგომა ამოძრავდებოდა.<sup>96</sup>

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ დიდი აუცილებლობით ხომ შეუძლებელია მოძრაობის გაჩერება და დგომის ამოძრავება?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. აბა რა?

უ ც ხ ო ე ლ ო. რჩება მხოლოდ მესამე [შესაძლებლობა].

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. დიახ.

უ ც ხ ო ე ლ ო. აუცილებელია, ამათგან რომელიდაც ერთი იყოს: ან ყველაფერს უნდა სურდეს შერევა, ან – არაფერს, ან – ზოგს სურდეს, ზოგს კი –არა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. აღმოჩნდა, რომ აქვდან ორი შეუძლებელია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვისაც სურს, სწორად უპასუხოს, დარჩენილ მესამეს დაუშვებს.

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა ზოგს სურს შერევა, ზოგს კი – არა, თითქმის ისე ხდება, როგორც ასოებს მოსდის, ზოგი ერთმანეთს შეეწყობა, ზოგი კი – არა.<sup>97</sup>

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. ხმოვნები სხვა ასოებისაგან გამოირჩევიან იმით, რომ, როგორც შემაკავშირებელნი, ყველაფერს მსჭალავენ. შეუძლებელია, რომელიმე მათგანის გარეშე ერთი ასო მეორეს შეეწყოს.<sup>98</sup>

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ყველამ იცის, რომელ ასოს რომელთან შეუძლია დაკავშირება თუ ხელოვნება სჭირდება მას, ვინც აპირებს ამის სათანადოდ გაკეთებას?

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. ხელოვნება სჭირდება.

უ ც ხ თ ე ლ ი. რომელი?

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. გრამატიკის.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, რა? მაღალ და დაბალ ბგერებთან დაკავშირებითაც ასე არაა? ვინც იმის შეცნობის ხელოვნებას ფლობს, რომელი ბგერები ერწყმიან ერთმანეთს და რომლები – არა, მუსიკოსია, ვინც [ამას] ვერ შეიცნობს, ის არ არის მუსიკოსი.

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. სხვა ხელოვნებებსა და იმასთან დაკავშირებით, რაც ხელოვნებას მოკლებულია, ამგვარ [განსხვავებას] აღმოვაჩენთ.

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. როგორ არა?

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, რადგან შევთანხმდით, რომ გვარებიც<sup>99</sup> ზუსტად ასე ერევა ერთმანეთს, ხომ აუცილებელია, რომ რაღაც ცოდნის გამოყენებით მსჯელობდეს ის, ვინც აპირებს აღმოაჩინოს, რომელი გვარი რომელს ეთანხმება და რომელი რომელს არ იღებს? ასევე, ყოველთვის აქვთ თუ არა [გვარებს] ერთმანეთში რადაც კავშირი ისე, რომ შერევა შეძლონ და, პირიქით, დაყოფისას თუ არის მათში დაყოფის მიზეზები?

თ ე გ ტ ე ტ ო ს ი. როგორ არ სჭირდება ცოდნა და, ალბათ, უდიდესი [ცოდნაც სჭირდება].

უ ც ხ ო ე ლ ი. რა ვუწოდოთ, თემიტოს, ახლა მას? ზევსის გულისათვის, ჩვენთვის შეუმჩნევლად თავისუფალ [მოქალაქეთა] ცოდნას ხომ არ წავაწყდით და სოფისტის ძიებისას ჯერ ფილოსოფოსი ხომ არ აღმოვაჩინეთ?<sup>100</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობ?

უ ც ხ ო ე ლ ი. როდესაც გვარების მიხედვით ვყოფთ, ასევე, როდესაც იგივეობრივი სახე განსხვავებულად არ მიგვაჩნია, ხოლო განსხვავებული სახე კი – იგივეობრივად, განა არ ვიტყვით, რომ ეს დიალექტიკის ცოდნაა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვიტყვით.

უ ც ხ ო ე ლ ი. ვინც ამის გაკეთებას შეძლებს, ის კარგად განასხვავებს მრავლისაგან ერთ იდეას, ყოველმხრივ განფენილს, რომელშიც თითოეული [იდეა] ცალ-ცალკე იმყოფება, ასევე – მრავალ ერთმანეთისაგან განსხვავებულ იდეას, რომლებიც ერთის მიერაა მოცული. აგრეთვე, როცა ერთი იდეა ერთიანად მრავალთანაა შეერთებული, და მრავალი იდეა ერთმანეთისაგან სრულიად განცალკევებული. ის, თუ როგორ შეუძლია თითოეულს ერთიმეორესთან ურთიერთობა და როგორ – არა, არის გვარებად დაყოფის ცოდნა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. დილექტიკას, ვფიქრობ, მხოლოდ იმას მიაქუთვნებ, ვინც წმინდად<sup>101</sup> და სამართლიანად ფილოსოფოსობს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ შეიძლება სხვას მიაქუთვნო?

უ ც ხ ო ე ლ ი. ფილოსოფოსს ასეთ ადგილას აღმოვაჩენთ ახლაც და შემდეგაც, თუკი მის ძიებას შევუდგებით.<sup>102</sup> და თუმცა, მისი ბოლომდე შეცნობა რთულია, სოფისტთან დაკავშირებული სირთულე სულ სხვა სახისაა, ვიდრე ეს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ი. [სოფისტი] არარსებულის წყვდიადში გარბის, გამოცდილებით შეერევა მას და ამ ადგილის სიბნელის გამო რთული შესაცნობია. ხომ ასეა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე ჩანს.

უ ც ხ ო ე ლ ო. ფილოსოფოსს კი, რომელიც არსებულის იდეას მუდაშ განსჯით უდგება, პირიქით, ადვილად ვერ იხილავ ამ ადგილის ბრწყინვალების გამო. უმრავლესობის სულის თვალებს ხომ არ შეუძლია ღვთაებრივის შემეცნება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ესეც წინაზე არანაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, თუ სურვილი გექნება, [ფილოსოფოსს] მალე უფრო ნათლად განვიხილავთ.<sup>103</sup> რაც შეეხება სოფისტს, ცხადია, მას თავი არ უნდა დავანებოთ, სანამ სათანადოდ არ გამოვიკვლევთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მშვენივრად თქვი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ჩვენ შევთანხმდით, რომ ზოგიერთ გვარს სურს ერთმანეთთან ურთიერთობა, ზოგს კი – არა; ზოგს – ცოტასთან, ზოგს – ბევრთან, ზოგს კი ყოველთვის ყოველგვარი შეფერხების გარეშე ყველასთან აქვს ურთიერთობა. ამის შემდეგ ერთად წავწიოთ წინ მსჯელობა ისე, რომ ყველა სახე კი არ გამოვიკვლიოთ და სიმრავლის გამო დავიბნეთ, არამედ ის [სახეები] ამოვირჩიოთ, რომლებიც უფრო მნიშვნელოვნად ითვლება. თავდაპირველად განვიხილოთ, როგორია თითოეული მათგანი, შემდეგ – ერთმანეთთან ურთიერთობის რა ძალა აქვთ და თუ მთელი სიზუსტით ვერ ჩავწვდებით არსებულსა და არარსებულს, ისე მაინც არ დავრჩეთ, რომ მისი რაიმე განმარტება არ დაგადგინოთ, თუკი კვლევა ამის საშუალებას მოგეცემს. იქნებ უვნებელნი გადაგურჩეთ ჩვენსავე განცხადებას, რომ არარსებული ჭეშმარიტად არსებულია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა საჭირო.

უ ც ხ ო ე ლ ო. გვარებიდან უდიდესნი, რომლებსაც ახლა განვიხილავთ არის: თავად არსებული, დგომა და მოძრაობა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. სწორედ ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამათგან ორზე ვამბობთ, რომ ერთმანეთს არ ერევა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. არსებული კი ორიგეს ერევა. ორიგე ხომ როგორდაც არსებობს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ი. ესენი სამია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. აბა რა?

უ ც ხ ო ე ლ ი. თითოეული სხვა ორისგან განსხვავებული და თავისი თავის იგივეობრივია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. რა ვუწოდეთ ამგვარად ახლა იგივეობასა და სხვაობას? ეს რადაც ორი გვარია, იმ სამისაგან განსხვავებული, რომელიც აუცილებლობით მუდამ მათ შეერევა? მაშ, უნდა ვიკლიოთ ხეთი გვარი, და არა სამი. იქნებ, ვერ ვამჩნევთ და იგივეობასა და სხვაობას რომელიმე მათგანს ვუწოდებთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. შესაძლოა.

უ ც ხ ო ე ლ ი. მოძრაობა და დგომა ხომ არც იგივეობაა და არც სხვაობა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ი. ის, რასაც მოძრაობასა და დგომაზე საერთოს ვიტყოდით, ამათგან არც ერთი არაა.<sup>104</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. რატომ?

უ ც ხ ო ე ლ ი. ასე მოძრაობა გაჩერდება და დგომა ამოძრავდება. ამ ორიდან, რომელიც არ უნდა იყოს, ორივეში რომ იქნება, განსხვავებულს აიძულებს თავისი ბუნების საპირისპიროდ გადაიქცეს, რადგან საპირისპიროს ეზიარება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ი. ორივე ეზიარება იგივეობასაც და სხვაობასაც.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. არც მოძრაობაზე არ უნდა ვთქვათ, რომ იგივეობაა ან სხვაობა და არც – დგომაზე.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. არა.

უ ც ხ ო ე ლ ი. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ არსებული და იგივეობრივი ერთი რამეა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. შესაძლოა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ თუ არსებული და იგივეობრივი განსხვავებულს არაფერს აღნიშნავს, მაშინ, როცა ვამბობთ, რომ მოძრაობა და დგომა – ორივე არსებობს, ასე თრივეს მოვიხსენიებთ როგორც არსებულს, იგივეობრივს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მაგრამ ეს შეუძლებელია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამგვარად, შეუძლებელია, რომ არსებული და იგივეობრივი ერთი იყოს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. თითქმის.

უ ც ხ ო ე ლ ო. სამ სახესთან ერთად მეოთხეც ხომ არ დავუშვათ – იგივეობა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, სხვაობა მეხუთე [სახედ] უნდა ჩავთვალოთ, არა? ან, იქნებ, ის და არსებული ერთი გვარის ორ სახელად მივიჩნიოთ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. შესაძლოა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვფიქრობ, დამეთანხმები, თუ არსებულთაგან ზოგი თავის თავში არსებულს გულისხმობს, ზოგი კი – მუდამ სხვასთან მიმართებაში არსებულს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რატომაც არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. განსხვავებული კი მუდამ სხვის მიმართ არის ასეთი, ხომ ასეა?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ასე არ იქნებოდა, არსებული და განსხვავებული საერთოდ რომ არ განსხვავდებოდნენ; მაგრამ განსხვავებული ორივე სახეს რომ ეზიარებოდეს, როგორც არსებული, მაშინ განსხვავებულთაგან ერთი რამ არ იქნებოდა განსხვავებულის მიმართ განსხვავებული. ახლა კი მარტივად გამოგვივიდა, რომ ის, რაც განსხვავებულია, აუცილებლად განსხვავებულის მიმართაა განსხვავებული.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორც არის, ისე ამბობ.

უ ც ხ ო ე ლ ო. იმ სახეებში, რომლებიც ავირჩიეთ, მეხუთედ განსხვავებულის ბუნება უნდა ჩავთვალოთ.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. იმასაც ვიტყვით, რომ [განსხვავებული] ყველა სხვა გვარს გაივლის. რადგან თითოეული გვარი თავისი ბუნებით კი არ არის სხვებისაგან განსხვავებული, არამედ იმიტომ, რომ განსხვავებულის იდეას ეზიარება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. სათითაოდ თუ ავიღებდით, ამ ხუთ გვართან დაპატირებით, ასე ვიტყოდით.<sup>105</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. პირველი, რომ მოძრაობა სრულიად განსხვავებულია დგომისაგან. თუ როგორ ვთქვათ?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშასადამე, ის არ არის დგომა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. არანაირად.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ არსებობს არსებულთან ზიარების გამო.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ასევე მოძრაობა იგივეობრივისაგან განსხვავებულია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, არ არის იგივეობრივი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მართლაც.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაგრამ ის იგივეობრივი იმიტომ იყო, რომ ყველაფერი ეზიარებოდა იგივეობრივს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. უნდა დაეთანხმო, რომ მოძრაობა არის იგივეობრივიც და არაიგივეობრივიც და არ უნდა დაიბნე. როცა ვთქვით, რომ ის იგივეობრივიცაა და არაიგივეობრივიც, არ გვითქვამს [რომ არის] ერთნაირი, არამედ როცა იგივეობრივს ვუწოდებთ, ამას ვამბობთ იგივეობრივთან ზიარების გამო, ანუ საკუთარი თავის მიმართ, ხოლო არაიგივეობრივს ვამბობთ, პირიქით, – განსხვავებულთან კავშირის გამო, რისი მეშვეობითაც, იგივეობრივიდან გამოყოფისას [მოძრაობა] იგივეობრივი კი არ იქნება, არამედ განსხვავებული და, ამდენად, ჭეშმარიტად კვლავ არაიგივეობრივად ჩაითვლება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. თავად მოძრაობა რამენაირად უძრაობას რომ ეზიარებოდეს, არაფერი იქნებოდა იმაში უჩვეულო, რომ მისთვის უძრავი გვეწოდებინა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ყველაზე სწორი იქნება, თუ შევთანხმდებით, რომ ზოგ გვარს სურს ერთმანეთთან ზიარება, ზოგს კი – არა.

უ ც ხ ო ე ლ ო. აი, ამის მტკიცებამდე ჩვენ უფრო ადრე მივედით, როცა ვასაბუთებდით, რომ ეს ბუნებითაა ასე.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. კიდევ ერთხელ ვთქვათ: მოძრაობა განსხვავებულისაგან განსხვავებულია, ისევე, როგორც იგივეობრივისა და დგომისაგან?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. აუცილებლად.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამ მსჯელობის მიხედვით, ის როგორდაც განსხვავებულიც არის და [იმავდროულად] არც არის.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამის შემდეგ რა? იმას ვიტყვით, რომ [მოძრაობა] სამი გვარისაგან განსხვავებულია, მეოთხესგან კი – არა, მაშინ, როცა შევთანხმდით, რომ ის გვარები, რომელთა კვლევაც მიზნად დავისახეთ, ხუთია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. როგორ? შეუძლებელია, უპვე აღმოჩენილ რაოდენობაზე ნაკლები გაღიაროთ.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, უშიშრად უნდა ვიბრძოლოთ და ვთქვათ, რომ მოძრაობა არსებულისაგან განსხვავებულია?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. რაც შეიძლება უშიშრად.

უ ც ხ ო ე ლ ო. განა ნათელი არაა, რომ მოძრაობა, ჭეშმარიტად, არარსებულიცაა და არსებულიც, რადგან არსებობას ეზიარება?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. სრულიად ნათელია.

უ ც ხ ო ე ლ ო. მაშ, არარსებული აუცილებლობით მოძრაობასაც უკავშირდება და ყველა სხვა გვარსაც. ყველაფერში მყოფი განსხვავებულის ბუნება, რომელიც ყოველივეს არსებულისგან განსხვავებულად აქცევს, ამგვარად მათ არარსებულებად ხდის. [ზემოთქმულის] თანახმად, ყველაფერი

შეიძლება მივიჩნიოთ არარსებულად და, პირიქით, არსებულად, რადგან არსებობას ეზიარება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორც ჩანს, ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. თითოეულ სახეს არსებულისა და არარსებულის უსაზღვრო სიმრავლე უკავშირდება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამგვარად, უნდა ითქვას, რომ თავად არსებულიც სხვა სახეებისაგან განსხვავებულია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აუცილებლად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ესე იგი, რამდენადაც არსებობენ სხვა რამეები, იმდენადვე არ არსებობს არსებული. რადგან ის არ არის სხვა რამეები, თავად იგი არის ერთი და სხვა რამეები არ არის უსაზღვრო რაოდენობის.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. თითქმის ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ასე რომ, ეს არ უნდა იყოს სამწუხარო, რაკი გვარებს ბუნებით მოსდგამთ ერთმანეთთან ურთიერთობა. თუ ვინმე ამას არ ეთანხმება, ჯერ წინა სიტყვებში გადაგვარწმუნოს, შემდეგ კი – მომდევნოში.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სამართლიანად ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ახლა ესეც ვნახოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა გამბობთ არარსებულს, როგორც ჩანს, არსებულის საპირისპირო რამეს კი არ გვჟღისხმობთ, არამედ მხოლოდ მისგან განსხვავებულს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა რაიმეს ვუწოდებთ „არა დიდს”, მაშინ ამ გამოთქმით, ფიქრობ, რომ რადაც პატარას უფრო ვგვლისხმობთ, ვიდრე ტოლს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. და რატომ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ნუ დავეთანხმებით, როცა იტყვიან, რომ უარყოფა საწინააღმდეგოს ნიშნავს; მხოლოდ იმას დავეთანხმოთ, რომ „არა”<sup>106</sup> ნიშნავს რადაც განსხვავებულს იმ სახელთაგან, რომლებიც მას მოსდევს ან, უფრო

სწორად, განსხვავებულს იმ საგანთაგან, რომელთაც მიემართება სახელები, რომლებსაც გამოთქვამენ უარყოფის შემდეგ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ შენც ასე ფიქრობ, ამაზეც დავვიქრდეთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რაზე?

უ ც ხ თ ე ლ ი. განსხვავებულის ბუნება მე დანაწევრებულად მეჩვენება ისევე, როგორც ცოდნა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ისიც როგორდაც ერთია, მაგრამ მისი თითოეული ნაწილი, რომელიც რადაცას უკავშირდება, გამოყოფილია და რადაც საკუთარი სახელი აქვს. ამიტომაც საუბრობენ მრავალ ხელოვნებასა და ცოდნაზე.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. განსხვავებულის ბუნებაც ერთია და მის ნაწილებსაც ასეთი თვისება აქვთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შესაძლოა, მაგრამ როგორ განვსაზღვროთ?

უ ც ხ თ ე ლ ი. განსხვავებულის რომელიმე ნაწილი მშვენიერს ხომ არ უპირისპირდება?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. რას ვიტყვით, უსახელოა იგი, თუ აქვს რაიმე სახელი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აქვს. ის, რასაც ყოველთვის „არა მშვენიერს“ ვუწოდებთ, სხვა არაფრისგან არაა განსხვავებული, თუ არა მშვენიერის ბუნებისა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მოდი, ახლა ეს მითხარი!

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. გამოდის, რომ „არა მშვენიერი“ არის არსებულთა რომელიდაც ერთი გვარისგან გამოყოფილი და პკლავ არსებულთაგან რომელიდაც გვარისადმი დაპირისპირებული რამ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. როგორც ჩანს, ისე გამოვიდა, რომ „არა მშვენიერი“ არის არსებულთან დაპირისპირებული არსებული.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ თ ე ლ ი. და რა? ჩვენი ამ მსჯელობის თანახმად, მშვენიერი მეტად მიეკუთვნება არსებულს, “არა მშვენიერი” კი – ნაკლებად?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არანაირად.

უ ც ხ თ ე ლ ი. უნდა ვთქვათ, რომ “არა დიდი” და “დიდი” ერთნაირად არსებობს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ერთნაირად.

უ ც ხ თ ე ლ ი. უსამართლოც ხომ სამართლიანის იგივეობრივად უნდა დავადგინოთ იმ თვალსაზრისით, რომ არც ერთი არ არსებობს მეორეზე ნაკლებად?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აბა რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. სხვებზეც ასე ვიტყვით, რადგან აღმოჩნდა, რომ განსხვავებული თავისი ბუნებით არსებულთა შორისაა. თუკი ის არსებობს, აუცილებელია, რომ მისი ნაწილებიც არანაკლებ არსებულებად მივიჩნიოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. როგორც ჩანს, დაპირისპირება განსხვავებულის ნაწილის ბუნებისა და არსებულის ბუნებისა, როდესაც ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, არანაკლები არსებობაა, ვიდრე თავად არსებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, რადგან იგი არსებულის საწინააღმდეგოს კი არ ნიშნავს, არამედ მხოლოდ მისგან განსხვავებულს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სრულიად ნათელია.

უ ც ხ თ ე ლ ი. რა ვუწოდოთ მას?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ცხადია, სწორედ ის არის არარსებული, რასაც სოფისტის გამო ვიკვლევდით.

უ ც ხ თ ე ლ ი. როგორც აღნიშნე, ის, ალბათ, სხვა რამეზე მეტად არ არის მოკლებული არსებობას; და უკვე გაბედულად უნდა ითქვას, რომ არარსებულს აუცილებლობით აქვს თავისი ბუნება, და როგორც დიდი იყო დიდი, მშვენიერი – მშვენიერი, არა დიდი – არა დიდი, არა მშვენიერი – არა მშვენიერი, ამგვარადვე, არარსებული არის არარსებული, რომელიც მრავალი არსებულის ერთ-ერთი სახეა. ან, იქნებ, მასთან დაკავშირებით მაინც რაიმე ეჭვი გვაქვს, თუმციმოს?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. არავითარი.

უ ც ხ თ ე ლ ი. იცი, რომ საერთოდ არ დაგუჯერეთ პარმენიდესისეულ აკრძალვას?

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. რატომ?

უ ც ხ თ ე ლ ი. კვლევისას ისე წინ წავედით, რომ მას იმაზე მეტი დაგუმტკიცეთ, ვიდრე ნება დაგვრთო.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. მან ხომ სადღაც თქვა:

„ეს არსად არასოდეს ასე არ არის, რომ არარსებული არსებობდეს,

ამიტომ, შენ, კვლევისას ამგვარ გზას აარიდე გონება.”

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. ნამდვილად ასე თქვა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩვენ კი არა მარტო აღმოვაჩინეთ, რომ არარსებული არსებობს, არამედ ის სახეც გამოვიკვლიეთ, რომელსაც იგი ეკუთვნის. აღმოვაჩინეთ, რომ განსხვავებულის ბუნება არსებობს და იგი დანაწევრებულია ყველა არსებულში, რომელთაც ერთიმეორესთან აქვთ ურთიერთობა და იმის თქმა გაგბედეთ, რომ სწორედ არსებულთან დაპირისპირებული განსხვავებულის ბუნების თითოეული ნაწილი არის ჭეშმარიტად არარსებული.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ი. უცხოელო, ვფიქრობ, რომ ძალიანაც სწორად ვთქვით.

უ ც ხ თ ე ლ ი. ნურავინ იტყვის ჩვენზე, რომ არსებულის საპირისპიროდ არარსებულის წარმოჩენით, იმის თქმას ვბედავთ, რომ ის არსებობს. დიდი ხანია დავანებეთ თავი იმას, რაც არსებულის საპირისპიროა – არსებობს ის თუ არა, აქვს საზრისი თუ სრულიად უაზროა. იმაში კი, რაც ახლა ვთქვით, თუ რა არის არარსებული, გვამხილოს ვინმემ და დაგვარწმუნოს, რომ კარგად არ ვთქვით, თუ არა და, სანამ ამის გაკეთება არ შეუძლია, იგივე უნდა თქვას, რასაც ჩვენ ვამბობთ:<sup>107</sup> რომ გვარები ერთმანეთს ერევიან, რომ არსებული და განსხვავებული აღწევს ყველაფერში და ერთიმეორეშიც; განსხვავებული, რომელიც არსებულს ეზიარება, ამ ზიარების გამო არსებობს, თუმცა ის არ არის, რასაც ეზიარება, არამედ – განსხვავებული. და რაკი არსებულისაგან განსხვავებულია, ცხადია, აუცილებლად არარსებულია. მეორე მხრივ,

არსებული, რომელიც განსხვავებულთან არის ნაზიარები, სხვა გვარებისაგან განსხვავებული იქნება და, როგორც ყველა მათგანისგან განსხვავებული, არც თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და არც ყველა ერთად აღებული, საკუთარი თავის გარდა. ასე რომ, ათასობით შემთხვევაში არსებული უდავოდ არ არსებობს და სხვა ყველაფერიც ცალ-ცალკე ან ერთიანად, ხან არსებობს, ხან კი – არა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ თ ე ლ ი. თუ ვინმეს არ სჯერა ამ წინააღმდეგობების, თავად განიხილოს და იმაზე უკეთესად თქვას, ვიდრე ახლა ითქვა. თუ რაღაც როგორ ჩაიფიქრებს და უხარია, რომ მსჯელობას ხან ერთ მხარეს გადაისვრის, ხან – მეორე მხარეს, ის დიდად ღირებულ საქმეს არ აკეთებს, რასაც ახლანდელი მსჯელობაც ადასტურებს. ამის აღმოჩენა არც გონიერამახვილურია და არც როგორი, ის კი როგორიც არის და იმავდროულად მშვენიერიც.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. რაც უწინ ითქვა: რომ დაანებო თავი ასეთ რამეებს, როგორც იოლად დასაძლევს და შეგეძლოს, მიჰყვე ნათქვამს და სათითაოდ ამხილო, როცა ვინმე იმაზე, რაც განსხვავებულია, იტყვის, რომ ის როგორდაც იგივეობრივია და იმაზე კი, რაც იგივეობრივია – განსხვავებულიაო. იმის განცხადება, რომ იგივეობრივი როგორდაც განსხვავებულია, ხოლო განსხვავებული – იგივეობრივი, დიდი – მცირე, მსგავსი – არა მსგავსი, და ამგვარად მსჯელობებში მუდმივად წინააღმდეგობების აღმოჩენისაგან სიხარული, არ არის ჭეშმარიტი მხილება.<sup>108</sup> ცხადია, ასეთი ვინმე ახალბედაა, რომელიც ეს-ესაა შეეხო არსებულს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ზუსტად ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ძვირფასო, ყველაფერის ყველაფერისაგან გამოყოფის მცდელობა გაუმართლებელი და თან სრულიად გაუნათლებელი და არაფილოსოფოსი კაცის მახასიათებელია.<sup>109</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აბა რა?

უ ც ხ ო ე ლ ო. ყველაფრის ყველაფრისაგან გამოყოფა ნებისმიერი მსჯელობის საბოლოო განადგურებაა.<sup>110</sup> ჩვენი მსჯელობა ხომ იდების ერთმანეთთან დაკავშირებით წარმოიშობა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ჭეშმარიტად.

უ ც ხ ო ე ლ ო. დააკვირდი, როგორ დროულად შევებრძოლეთ ახლა ასეთ ხალხს და ვაიძულეთ დაეშვათ, რომ ერთი [იდეა] მეორეს შეერევა.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რასთან დაკავშირებით?

უ ც ხ ო ე ლ ო. მსჯელობა ჩვენთვის რაღაც ერთი გვარია არსებულთაგან. [მსჯელობას] თუ მოვაკლდებოდით, რაც მთავარია, ფილოსოფიასაც დავშორდებოდით. ახლა იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, თუ რა არის მსჯელობა. ის თუ წაგვერთმევა, ან საერთოდ არ იარსებებს, ჩვენ ვერაფერს ვიტყვით. წაგვერთმევა იმ შემთხვევაში, თუ დავეთანხმებით, რომ არაფერი არაფერს არანაირად არ შეერევა.<sup>111</sup>

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. მართლაც ასეა. მაგრამ ვერ გამიგია, რატომ უნდა შევთანხმდეთ ახლა მსჯელობასთან დაკავშირებით.

უ ც ხ ო ე ლ ო. იქნებ, ასე რომ მიჰყვე, უფრო ადვილად გაიგო.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. არარსებული ჩვენ ერთ-ერთ გვარად მოგვევლინა, რომელიც ყველა არსებულშია განთესილი.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ, შეერევა თუ არა იგი აზრსა და საუბარს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. რატომ?

უ ც ხ ო ე ლ ო. თუ ის ამათ არ შეერევა, აუცილებლად ყველაფერი ჭეშმარიტი იქნება, ხოლო თუ შეერევა – აზრიც მცდარი გახდება და მსჯელობაც. იფიქრო და ილაპარაკო არარსებულზე – სწორედ ესაა ტყუილი, რომელიც აზროვნებასა და საუბარში ჩნდება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუ ტყუილი არსებობს, არსებობს მოტყუებაც.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. თუ არსებობს მოტყუება, ყველაფერი აუცილებლად გამოსახულებებით, ხატებითა და მოჩვენებებით იქნება სავსე.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ი. სოფისტის შესახებ ვთქვით, რომ იგი როგორდაც ამ ადგილას დაიმალა, თუმცა საერთოდ უარყოფდა ტყუილის არსებობას: რომ თითქოს არარსებულის შესახებ არც არავინ ფიქრობს, არც ლაპარაკობს და რომ იგი არსებულს არანაირად არ ეზიარება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე იყო.

უ ც ხ ო ე ლ ი. ახლა კი აღმოჩნდა, რომ არარსებული არსებულს ეზიარება. ასე რომ, ალბათ, ამასთან დაკავშირებით ადარ იკამათებს. თუმცა, სავარაუდოდ, იტყვის, რომ ზოგი სახე ეზიარება არარსებულს, ზოგი კი – არა, ხოლო საუბარი და აზრი იმ [სახეებს] მიეკუთვნება, რომლებიც არ ეზიარებიან. ამიტომ, კვლავ იკამათებს, რომ არ არსებობს გამოსახულებებისა და მოჩვენებების შექმნის ხელოვნება, რომელშიც ის, ჩვენი აზრით, იმყოფება, რადგანაც აზრს და მსჯელობას არ აქვს კავშირი არარსებულთან. ხოლო, რამდენადაც არ არსებობს ამგვარი კავშირი, საერთოდ არ არსებობს ტყუილიც. ამიტომ, ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ, რა არის საუბარი, აზრი და წარმოდგენა, რათა, როცა გავარკვეთ, დაგინახოთ მათი კავშირი არარსებულთან. ამას რომ დავინახავთ, დაგამტკიცებთ, რომ ტყუილი არსებობს, ხოლო როცა დაგამტკიცებთ, მას სოფისტს დაგუკავშირებთ, თუკი ის დამნაშავეა, ან გავუშვებთ და სხვა გვარში მოვძებნით.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. უცხოელო, როგორც ჩანს, დასაწყისში ჭეშმარიტად ითქვა სოფისტის შესახებ, რომ რთულად მოსახელთებელი გვარია. ემჩევა, უამრავი ბარიერი აქვს<sup>112</sup> და როცა რომელიმეს წინ წამოწევს, აუცილებლად ჯერ ის უნდა დაძლიო, სანამ თავად [სოფისტთან] მიხვალ. ახლახან ძლივს გადავლახეთ ის ბარიერი, თითქოს არარსებული არ არსებობს და სხვა შემოგვთავაზა. უნდა დავუმტკიცოთ, რომ ტყუილი არსებობს მსჯელობებსა და აზრებში. ამის შემდეგ, ალბათ, სხვა [ბარიერი] იქნება, შემდეგ – კიდევ სხვა, და, როგორც ჩანს, დასასრული არასოდეს გამოჩნდება.

უ ც ხ ო ე ლ ი. თეეტეტოს, ვისაც შეუძლია ცოტათი მაინც წაიწიოს წინ, მან უნდა გაბედოს ამის გაკეთება. ვინც ამ [დროს] სულით დაეცემა, სხვა

რამეს როგორდა გააკეთებს? ის ან ვერაფერს დაძლევს ამ წინააღმდეგობებიდან, ანდა სულაც უკან დაიხევს. ანდაზისა არ იყოს, ასეთი, აღბათ, ვერასოდეს აიღებს ქალაქს. ახლა კი, ძვირფასო, მას შემდეგ, რაც გადავლახეთ ის [ბარიერი], რაზეც შენ ლაპარაკობ, ჩვენ აღებული უნდა გვქონდეს უდიდესი კედელი, სხვები უფრო მარტივი და ნაკლებ მნიშვნელოვანია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კარგად ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. თავდაპირველად, როგორც ახლახან ითქვა, საუბარი და აზრი ავიღოთ, რათა უფრო ზუსტად გავერკვათ: ეხება თუ არა მათ არარსებული, თუ ორივე სრულიად ჭეშმარიტია და არც ერთი არასოდეს არაა მცდარი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალია.

უ ც ხ თ ე ლ ი. მოდი, როგორც იდეებსა და ასოებზე ვისაუბრეთ, სახელებიც ისე განვიხილოთ, რადგან დაახლოებით ასევე წარმოჩნდება, რასაც ახლა ვიკვლევთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას უნდა დაგუპირდეთ სახელებთან დაკავშირებით?

უ ც ხ თ ე ლ ი. ყველა შეეწყობა ერთმანეთს თუ არც ერთი? თუ ზოგს სურს ეს და ზოგს – არა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ცხადია, ზოგს სურს [სახელის შეწყობა], ზოგს კი – არა.

უ ც ხ თ ე ლ ი. შენ ამბობ, რომ რომლებიც თანმიმდევრობით გამოითქმიან და რადაცას გამოხატავენ, ერთმანეთს ეწყობიან, ხოლო რომელთა თანმიმდევრობაც არაფერს ნიშნავს – არ ეწყობიან?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ? რას გულისხმობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. იმას, რაც, მეგონა, რომ მიიღე და დაეთანხმე. ჩვენ ხომ გვაქვს არსებობის ხმით გამოხატვის ორი გვარი?<sup>113</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელი?

უ ც ხ თ ე ლ ი. ერთს პქვია სახელები, მეორეს – ზმები.<sup>114</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. გვიამბე თითოეულის შესახებ!

უ ც ხ თ ე ლ ი. მოქმედების გამომხატველს ზმნას უწოდებთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხოლო, იმათ ბგერით აღნიშვნას, რომლებიც მოქმედებებს ახორციელებენ, სახელი ეწოდება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. არც მხოლოდ სახელების თანმიმდევრობით ჩამოთვლა არაა საუბარი და არც პირიქით – სახელების გარეშე ზმნებისა.<sup>115</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ეს ვერ გავიგე.

უ ც ხ ო ე ლ ო. ცხადია, წედან რომ დამეთანხმე, რადაც სხვა გეგონა. ის მინდოდა მეთქვა, რომ ამ [სიტყვების] ასეთი თანმიმდევრობით გამოთქმა არაა საუბარი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. რატომ?

უ ც ხ ო ე ლ ო. „მიდის”, „მირბის”, „სძინავს” და სხვა ასეთები, რომლებიც ქმედებას აღნიშნავს, ზმნებია. თუ ვინმე ამათ ამ თანმიმდევრობით გამოთქვამს, ის ვერ შეადგენს საუბარს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. მართლაც და როგორ შეადგენს?

უ ც ხ ო ე ლ ო. ასევე, თუ ვინმე იტყვის „ლომი”, „ირემი”, „ცხენი”, და აგრეთვე [ჩამოთვლის] სახელებს, რომლებიც იმას აღნიშნავენ, ვინც მოქმედებს, ამ თანმიმდევრობითაც ვერ შედგება საუბარი. ამგვარად, ეს ნათქამი არც ქმედებას, არც არა ქმედებას, არც არსებულის, არც არარსებულის არსებობას არ გამოხატავს, სანამ ვინმე სახელებს ზმნებს არ შეუწყობს. მაშინ შეეწყობა და პირველივე შერწყმა მყისვე წარმოშობს საუბარს, რომელიც საუბრებს შორის პირველი და ყველაზე მოკლეა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ამით რისი თქმა გინდა?

უ ც ხ ო ე ლ ო. როცა ვინმე წარმოთქვამს: „ადამიანი სწავლობს”, ხომ იტყვი, რომ ეს პირველი და ყველაზე მოკლე წინადადებაა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ცხადია, ეს არსებულს ეხება რაღაცნაირად, რაც ან აწმუოში ხდება, ან წარსულში მოხდა, ან მომავალში მოხდება, და არა მარტო სახელს არქმევს, არამედ რაღაც სხვასაც აღწევს, როცა ზმნებს სახელებს უხამებს. ამიტომაც ვამბობთ, რომ ის არა მარტო სახელს არქმევს, არამედ ლაპარაკობს და სახელების ამგვარ წყობას ვუწოდეთ მეტყველება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. ისევე, როგორც ზოგიერთი საგანი ეწყობა ერთმანეთს, ზოგი კი – არა, ასევე ბგერით აღნიშვნაშიც ზოგი არ ეწყობა, ზოგი კი – ეწყობა და ქმნის მეტყველებას.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ერთი დეტალიც არის.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომელი?

უ ც ხ ო ე ლ ო. როცა არსებობს მეტყველება, ის აუცილებლად რაღაცის შესახებაა, სხვაგვარად შეუძლებელია.<sup>116</sup>

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. თავადაც ხომ რაღაც თვისების მქონე უნდა იყოს?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ არა?

უ ც ხ ო ე ლ ო. საკუთარ თავსაც მივაქციოთ ყურადღება.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ეს ნამდვილად საჭიროა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მე შენს [გასაგონად] წარმოგთქვამ წინადაღებას, რომელიც საგანსა და ქმედებას დააკავშირებს სახელისა და ზმნის მეშვეობით, შენ კი მითხარი, რაზე იქნება საუბარი!

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასე მოვიქცევი შეძლებისდაგვარად.

უ ც ხ ო ე ლ ო. „თევტეტოსი ზის.” გრძელი წინადაღება ხომ არ არის?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. არა, ზომიერია.

უ ც ხ ო ე ლ ო. შენ უნდა თქვა, ვის შესახებაა და რასთანად დაპავშირებული.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ცხადია, რომ ჩემზეა და მე მეხება.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამაზე რაღას იტყვი?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რაზე?

უ ც ხ ო ე ლ ო. „თევტეტოსი, რომელსაც მე ვესაუბრები, დაფრინავს.”

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ამაზეც, სხვას ვერაფერს იტყვი გარდა იმისა, რომ ჩემზეა და მე მეხება.

უ ც ხ ო ე ლ ო. იმასაც ვამბობთ, რომ ყოველი წინადაღება აუცილებლად რაიმე თვისების მქონე უნდა იყოს.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. უნდა ვთქვათ, ამ [ორი წინადაღებიდან] რომელი როგორია.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ერთი – მცდარი, მეორე – ჭეშმარიტი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ამათგან ერთი – ჭეშმარიტი – შენზე არსებულს ისე გადმოგვცემს, როგორც არის.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. აბა რა?

უ ც ხ ო ე ლ ო. ტყუილი კი – არსებულისგან განსხვავებულს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. არარსებულზე ისე ლაპარაკობს, როგორც არსებულზე.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. თითქმის.

უ ც ხ ო ე ლ ო. ყოველ შემთხვევაში საუბრობს შენ შესახებ [შენთან დაკავშირებული] არსებულისაგან განსხვავებულ არსებულზე. ყველაფერთან დაკავშირებით ხომ ვამბობდით, რომ მრავალი რამ არსებულია, მრავალი კი – არარსებული.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. მეორე წინადაღება, რომელიც შენ გეხება, მეტყველების ჩვენებული განმარტებიდან გამომდინარე, აუცილებლად ერთ-ერთი ყველაზე მოკლე უნდა იყოს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ამაზე ხომ ახლახან შევთანხმდით.

უ ც ხ ო ე ლ ო. აგრეთვე, ის რადაცის შესახებ უნდა იყოს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუ ეს შენ შესახებ არაა, მაშინ არც სხვა ვინმეზე იქნება.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ო. არაფრის შესახებ რომ ყოფილიყო, საერთოდ არ იქნებოდა წინადაღება. ჩვენ ხომ წარმოვაჩინეთ, რომ შეუძლებელია წინადაღება არაფრის შესახებ წინადაღება იყოს.

თ ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ო. როცა შენ შესახებ განსხვავებული ისეა ნათქვამი, როგორც იგივეობრივი, ხოლო არარსებული – როგორც არსებული, ჩანს, რომ

სახელებისა და ზმნებისაგან წარმოქმნილი ამგვარი კომბინაცია ჭეშმარიტად მცდარი მეტყველებაა<sup>117</sup>.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სრული ჭეშმარიტებაა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ რა? ნუთუ უკვე ცხადი არაა, რომ როგორც მცდარი, ისე ჭეშმარიტი ფიქრი, მოსაზრება და წარმოდგენა – თითოეული მათგანი ჩვენს სულებში წარმოიშობა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. უფრო ადგილად გაიგებ, თუკი ჯერ იმას მიხვდები, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისგან.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შენ ოღონდაც მითხარი!

უ ც ხ თ ე ლ ი. ფიქრი და მეტყველება განა ერთი და იგივე არ არის? ოღონდ ჩვენ ხომ ფიქრს ვუწოდებთ სულში საკუთარ თავთან დიალოგს, რომელიც უხმოდ მიმდინარეობს?<sup>118</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. პირიდან ამოსულ ბგერათა ნაკადს კი მეტყველება ჰქვია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ თ ე ლ ი. ისიც ვიცით, რომ მეტყველებაში არსებობს...

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა?

უ ც ხ თ ე ლ ი. მტკიცება და უარყოფა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვიცით.

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა [მტკიცება და უარყოფა] სულში უხმოდ, ფიქრით ხდება, ნუთუ გაქვს რაიმე სხვა სახელი ამისათვის, თუ არა მოსაზრება?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა ასე ხდება არა თავისთავად, არამედ შეგრძნებების საშუალებით, ასეთ განცდას მართლაც სხვა რა ვუწოდოთ, თუ არა წარმოდგენა?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არაფერი.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამგვარად, თუ არსებობს ჭეშმარიტი და მცდარი მეტყველება, ხოლო ფიქრი სულის საკუთარ თავთან დიალოგი აღმოჩნდა, მოსაზრება – ფიქრის გასრულება, ის კი, რაზეც გამბობთ „ჩანს“ – შეგრძნებებისა და მოსაზრების ნარევი, მაშინ, რამდენადაც ეს ყველაფერი

მეტყველების მონათესავეა, აუცილებელია მათგან ზოგიერთი ზოგჯერ მცდარიც იყოს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. ხვდები, რომ მცდარი მოსაზრება და მეტყველება უფრო ადრე აღმოგაჩინეთ, ვიდრე ველოდით? ჩვენ კი, ამას რომ ვიპვლევდით, გვეშინოდა, საერთოდ დაუსრულებელ საქმეს არ მივდგომოდით.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვხვდები.

უ ც ხ თ ე ლ ი. დანარჩენ [საკითხებთან] დაბაგშირებითაც ნუ დავეცემით სულით. მას შემდეგ, რაც ეს გავარკვიეთ, გავიხსენოთ წინა დაყოფა სახეების მიხედვით.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რომელი?

უ ც ხ თ ე ლ ი. ჩვენ ხომ გამოვყავით გამოსახულებათა შექმნის ორი [სახის] ხელოვნება – ხატებისა და მოჩვენებების შექმნელი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. იხიც ვთქვით, რომ არ ვიცოდით, რომლისთვის მიგვეკუთვნებინა სოფისტი.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე იყო.

უ ც ხ თ ე ლ ი. როცა ასეთი დაბნეულები ვიყავით, უფრო დიდი წყვდიადი ჩამოწვა – თავი იჩინა მეტყველებამ, რომელმაც ყველაფერი უარყო, თითქოს საერთოდ არ არსებობს არც ხატი, არც გამოსახულება, არც მოჩვენება და, ამდენად, არსად არასოდეს არანაირი ტყუილი არ არსებობს.<sup>119</sup>

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. მართალს ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ახლა კი, როცა აღმოჩნდა, რომ არსებობს მცდარი მეტყველება და, შესაბამისად, მცდარი მოსაზრება, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ არსებობს არსებულის მიბაძვებიც, და რომ ამგვარი განწყობიდან წარმოიშობა მოტყუების ხელოვნება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შეიძლება.

უ ც ხ თ ე ლ ი. ხოლო ის, რომ სოფისტი ამ ორიდან ერთ-ერთს ეკუთვნის, ამაზე კი უკვე შევთანხმდით.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. ახლა ვცადოთ წინამდებარე გვარი ორად გავყოთ და მის მარჯვენა განაყოფს მივყვეთ, რომელიც სოფისტთან იქნება კავშირში, სანამ არ ჩამოვაშორებთ ყველაფერ საერთოს სხვასთან, მას საკუთარ ბუნებას არ დაგუტოვებთ და ჯერ ჩვენთვის არ გამოვააშკარავებთ მას, ხოლო შემდეგ მათვის, ვინც ბუნებით ახლოსაა ასეთ მეთოდთან.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. მართალია.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხომ იმით დავიწყეთ, რომ გამოვყავით შემოქმედებითი და მოპოვებითი ხელოვნება?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. კი.

უ ც ხ ო ე ლ ო. [სოფისტი] ხომ მოპოვებითი ხელოვნების, ნადირობის, შეჯიბრების, ვაჭრობის და სხვა ასეთ სახეებში წარმოგვიჩნდა?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ზუსტად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ახლა კი, რადგან ბაძვის ხელოვნებაშია მოქცეული, ჯერ შემოქმედებითი ხელოვნება უნდა გავყოთ ორად. მიბაძვაც ხომ ერთგვარი შემოქმედებაა, გამოსახულებების მიბაძვას ვგულისხმობთ და არა თავად საგნებს. ხომ ასეა?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ნამდვილად ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ჯერ გამოვყოთ შემოქმედებითი ხელოვნების ორი ნაწილი.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომლები?

უ ც ხ ო ე ლ ო. ღვთაებრივი და ადამიანური.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ჯერ ვერ გავიგვ.

უ ც ხ ო ე ლ ო. თუკი გავიხსენებთ, რაც დასაწყისში ითქვა, შემოქმედებითი ხელოვნება არის ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც იმის წარმოშობის მიზეზია, რაც ადრე არ არსებობდა.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. გვახსოვს.

უ ც ხ ო ე ლ ო. ნუთუ ვიტყვით, რომ ყოველი მოკვდავი, ცხოველი და მცენარე, რომელიც მიწაზე თესლით ან ფესვით აღმოცენდება, ასევე მიწაში არსებული უსულო, გალლობილი და გაულღობელი სხეულები, რომლებიც ადრე არ იყო, მოგვიანებით წარმოიშვა ვინმე სხვისგან და არა შემოქმედი ღმერთისგან? თუ უმრავლესობის მტკიცებებსა და სიტყვებს დაგევრდნოთ?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. რომლებს?

უ ც ხ თ ე ლ ი. რომ ასეთებს ბუნება რადაც თავისთავადი მიზეზით შობს და გონების გარეშე აღმოაცენებს. თუ გონებითა და ლვთაებრივი ცოდნით დმერთისგან წარმოიშობა?

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. მე, შესაძლოა, ასაკის გამო აზრს ვიცვლი, მაგრამ ახლა, როცა გიყურებ, ვხვდები, რომ შენ ამათ დმერთისგან წარმოშობილად თვლი და მეც ასე მიმაჩნია.

უ ც ხ თ ე ლ ი. მშვენიერია, თეეტეტოს! რომ გვეფიქრა, რომ შენ ცოტა ხნის შემდეგ სხვაგვარად მოაზროვნეთა შორის აღმოჩნდებოდი, ახლავე აუცილებლად ვეცდებოდით დამაჯერებელი მსჯელობით დაგვერწმუნებინე. მაგრამ, რამდენადაც შენი ბუნება ვიცი, ის ჩვენი სიტყვების გარეშეც მიუბრუნდება იმას, რაც, როგორც ახლა ამბობ, მას იზიდავს. ამდენად, თავს დაგანებებ, რადგან ეს დროის ზედმეტად ხარჯვა იქნება. რაც ბუნების შექმნილად ითვლება, დვთაებრივი ხელოვნებით იქმნება, რაც ადამიანების მიერ – ადამიანურით. ამ მსჯელობის თანახმად კი ორი შემოქმედებითი გვარი არსებობს: ადამიანური და ლვთაებრივი.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. მართალია.

უ ც ხ თ ე ლ ი. ახლა თითოეული მათგანი კიდევ თრად დაყავი.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. როგორც მაშინ ყოფდი შემოქმედებითი ხელოვნების თითოეულ ნაწილს სიგანეზე, ახლა სიგრძეზე დაყავი.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. დაუ, ასე დაიყოს.

უ ც ხ თ ე ლ ი. ამგვარად, ოთხი ნაწილი წარმოიშობა: ორი ჩვენთან დაკავშირებული – ადამიანური და ორიც დმერთან – დვთაებრივი.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. სხვანაირადაც არიან დაყოფილნი: თითოეული ნახევრის ერთი ნაწილი თავად შემოქმედებითია, დარჩენილ ორს კი ყველაზე უკეთ გამოსახულებათა შექმნის [ხელოვნება] შეიძლება ვუწოდოთ. ამის თანახმად, შემოქმედებითი ხელოვნება კიდევ თრად იყოფა.

თ ე გ ტ ე ტ თ ს ი. თქვი, თითოეული მათგანი როგორ იყოფა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ვიცით, რომ ჩვენც, სხვა სულიერნიც და ისიც, რისგანაც ყველაფერი ბუნებრივი წარმოიშვა, როგორიცაა ცეცხლი, წყალი და ყველაფერი მათი მონათესავე, ღმერთის წარმოშობილია და თითოეული მათგანი მანვე შექმნა. ასე არ არის?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ასეა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ხოლო თითოეულ მათგანს თან გამოსახულებები დაჟყვება და არა თავად საგნები, რომლებიც ასევე დვთაებრივი საშუალებით არის შექმნილი.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რომლები?

უ ც ხ ო ე ლ ო. ისინი, რომლებიც სიზმრებშია და ისინიც, რომლებიც დღისით თავისთავად წარმოქმნილ მოჩვენებებადაა ცნობილი: ჩრდილები, როცა ცეცხლთან სიბნელე ჩნდება, ორმაგი მოჩვენებები, როდესაც შუქი – საკუთარი და სხვისი – ბრწყინვალე და გლუვ საგანზე ერთმანეთს ხვდება და ქმნის სახეს, რომელიც წინანდელი, ჩვეული იერსახის საპირისპირო შეგრძნებას წარმოშობს.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ეს არის დვთაებრივი შემოქმედების ორი ქმნილება: თავად ის და მისი თანამდევი გამოსახულება.

უ ც ხ ო ე ლ ო. რაც შეეხება ჩვენს ხელოვნებას, არ ვიტყვით, რომ ის მშენებლობის ხელოვნებით ქმნის ერთ სახლს, მხატვრობით კი – რაღაც სხვა [სახლს], ადამიანის სიზმრის მსგავსს, რომელიც იქმნება მათვის, ვინც ფხიზლობს?

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. რა თქმა უნდა.

უ ც ხ ო ე ლ ო. ასევეა სხვებთან დაკავშირებითაც: ჩვენი შემოქმედებითი ხელოვნებაც ორმაგია და ორად იყოფა: ნამდვილი საგნის შემქმნელ და გამოსახულებათა შემქმნელ ხელოვნებად.

ო ე ე ტ ე ტ ო ს ო. ახლა უკეთ გავიგე და ვუშვებ, რომ არსებობს შემოქმედებითი ხელოვნების ორი ორმაგი სახე: ერთი ადამიანურად და ღვთაებრივად იყოფა, მეორე კი, იმის მიხედვით, თავად არსებულს ქმნის თუ მის მსგავს რამეს.

უ ც ხ ო ე ლ ო. გავიხსენოთ, რომ გამოსახულებათა შექმნის ხელოვნების ერთი ნაწილი ხატების, მეორე კი – მოჩვენებათა შექმნის ხელოვნება უნდა

ყოფილიყო, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ ტყუილი ნამდვილად ტყუილია და ბუნებით იგი არსებულთაგანია.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ასე იყო.

უ ც ხ თ ე ლ ი. განა ასე არ აღმოჩნდა? ამის გამო ახლა ეჭვგარეშე უნდა ჩაითვალოს, რომ არსებობს ამ ხელოვნების ორი სახე?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. მოჩვენებათა შექმნის ხელოვნებაც ორად გავყოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. როგორ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ერთი სხვადასხვა იარაღის დახმარებით იქმნება, მეორე კი მაშინ, როცა ის, ვინც ქმნის მოჩვენებებს, თავად იყენებს საკუთარ თავს იარაღად.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რას ამბობ?

უ ც ხ თ ე ლ ი. ვგულისხმობ იმას, რომ მოჩვენებათა შექმნის ხელოვნების იმ ნაწილს ბაძვა ეწოდება, როცა ვინმე ცდილობს თავისი სხეულით შენს სხეულთან, ან ხმით – შენს ხმასთან მსგავსება აჩვენოს<sup>120</sup>.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ თ ე ლ ი. გამოვყოთ იგი და მას ვუწოდოთ ბაძვის ხელოვნება (მიმეტიკა). სხვა ყველაფერს კი, თავი დაგანებოთ, რაკი დავიდალეთ; სხვამ მოუყაროს თავი და შესაფერისი სახელიც დაარქვას.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. დაუ, ერთი გამოვყოთ და მეორე კი სხვას გადავაბაროთ.

უ ც ხ თ ე ლ ი. ესეც ორმაგად უნდა მივიჩნიოთ, თვეტებოს. დაუკვირდი, რატომ?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. თქვი.

უ ც ხ თ ე ლ ი. მიმბაძველთაგან ზოგიერთმა იცის, რას ბაძავს, როდესაც ამას აკეთებს, ზოგმა კი – არა. ცოდნასა და უცოდინრობას შორის არსებულ განსხვავებაზე უფრო დიდ განსხვავებად სხვა რა შეიძლება ჩაითვალოს?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. არაფერი.

უ ც ხ თ ე ლ ი. მაშ, ახლახან რაც ითქვა, მცოდნეთა ბაძვა არ იყო? რადგან, მხოლოდ ის მოგბაძავს, ვინც იცის შენი სახე და გიცნობს შენ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. აბა როგორ?

უ ც ხ ო ე ლ ი. რაც შეეხება სამართლიანობის და, მთლიანობაში, სათნოების სახეს, განა ყველა, ვინც არ იცნობს, მაგრამ რადაც წარმოდგენა მაინც აქვს მასზე, არ ეცდება, გამოავლინოს ის, რაც პგონია, რომ მასშია, და რაც შეიძლება უკეთ მიბაძოს მას საქმითაც და სიტყვითაც?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ბევრი მოიქცევა ასე.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაგრამ, განა ყველა დამარცხედება საკუთარი თავის სამართლიანად წარმოჩენისას, როდესაც ასეთი სრულებით არ არის? თუ მთლიანად ამის საპირისპირო რამ ხდება?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სრულიად [საპირისპირო].

უ ც ხ ო ე ლ ი. ასეთი უცოდინარი მიმბაძველი, ვფიქრობ, რომ მცოდნე [მიმბაძველის] საპირისპიროდ უნდა ჩავთვალოთ.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. კი.

უ ც ხ ო ე ლ ი. მაშ, საიდან მოიტანს ვინმე თითოეული მათგანისათვის შესაფერის სახელს? ცხადია, ეს რთულია და ამიტომ ჩვენს წინამორბედებს, როგორც ჩანს, გვარების სახეებად დაყოფა რადაც მოცალეობად და უაზრობად ეწვენებოდათ და არავინ არაფრის დაყოფას არ ცდილობდა. ამის გამო სახელების სიუხვის აუცილებლობაც არ იყო. თუმცა, უფრო გაბედულადაც რომ ვთქვათ, შეხედულებასთან დაკავშირებულ ბაძგას, გარჩევის მიზნით, შეხედულებით ბაძვა ვუწოდოთ, ცოდნასთან დაკავშირებულს კი – მეცნიერული ბაძვა.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. იყოს ასე.

უ ც ხ ო ე ლ ი. ცხადია, პირველი უნდა გამოვიყენოთ, რადგან სოფისტი მიმბაძველებს მიეკუთვნება და არა მცოდნებს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად.

უ ც ხ ო ე ლ ი. შეხედულებით მიმბაძველი ისე განვიხილოთ, როგორც რკინას სინჯავენ, მთელია თუ რაიმე [ბზარი] აქვს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ვნახოთ.

უ ც ხ ო ე ლ ი. აქვს და ბალიან ბევრიც, რადგან ამ მიმბაძველთაგან ერთი მოყეუებოა, რომელიც ფიქრობს, რომ იცის ის, რის შესახებაც მხოლოდ წარმოდგენა გააჩნია. მეორის იერი კი, თუმცა მსჯელობისას ბევრ რამეს მიედ-

მოედება, ეჭვსა და იმის შიშს იწვევს, რომ არ იცის ის, რაზეც სხვასთან  
მცოდნის სახეს იდებს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა, შენს მიერ დასახელებული ორივე  
გვარი არსებობს.

უ ც ხ თ ე ლ ი. ხომ არ დავუშვათ, რომ ერთი მარტივი მიმბაძველია,  
მეორე კი – ფარული, ირონიული?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ჩანს, ასეა.

უ ც ხ თ ე ლ ი. მისი გვარი ერთად მივიჩნიოთ თუ თრად?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შენ თვითონ ნახე.

უ ც ხ თ ე ლ ი. ვხედავ და მე თრად მეჩვენება: ერთს შეუძლია საჯაროდ,  
ხალხის წინაშე გრძელი სიტყვებით თვალომაქცობა, მეორე კი მოკლე  
სიტყვებით კერძო საუბარში თანამოსაუბრეს აიძულებს, საკუთარ თავს  
შეეწინააღმდეგოს.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სავსებით მართალს ამბობ.

უ ც ხ თ ე ლ ი. რად ჩაგთვალოთ ეს უხვსიტყვიანი? პოლიტიკოსად თუ  
სახალხო თრატორად?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. სახალხო თრატორად.

უ ც ხ თ ე ლ ი. მეორეს რა ვუწოდოთ? ბრძენი თუ სოფისტი?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. შეუძლებელია, ბრძენი ვუწოდოთ, რაკი უცოდინრად  
ჩაგთვალეთ. რადგან ბრძენს ბაძავს, ცხადია, რომ მისი მისგავსებული სახელი  
უნდა ეწოდოს და უკვე თითქმის მიგხვდი, რომ მას ყველა თვალსაზრისით  
ჭეშმარიტად სოფისტი უნდა დავარქვათ.

უ ც ხ თ ე ლ ი. როგორც ადრე, ხომ არ შევადგინოთ მისი სახელი, მისი  
შემადგენელი ნაწილების გაერთიანებით ბოლოდან დასაწყისამდე?

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. რა თქმა უნდა.

უ ც ხ თ ე ლ ი. [სოფისტიკა] არის მოწინააღმდეგის დამაბნეველი  
ხელოვნება, რომელიც განეკუთვნება შეხედულებით ბაძის ირონიულ ნაწილს,  
ეს კი – როგორც მოჩვენებათა შექმნის ხელოვნება – გამოსახულებათა  
შექმნის ხელოვნების [ნაწილია], რომელიც არა დგთაებრივი, არამედ  
ადამიანურია, განისაზღვრება მსჯელობებით და მეფოკუსეობის ნაწილია. და

აი, ვინც იტყვის, რომ „ამ მოდგმისა და სისხლისაა” ნამდვილი სოფისტი, როგორც ჩანს, ის სავსებით მართალი იქნება.

თ ე ე ტ ე ტ თ ს ი. ნამდვილად ასეა.

<sup>1</sup> საუბარია დიალოგ „თევტეტოსში” გადმოცემულ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ თეოდოროსი, თევტეტოსი და სოკრატე.

<sup>2</sup> პარმენიდესი (დაახლოებით ძვ. წ. 500 წლის ფარგლებში) ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც მოღვაწეობდა ელეაში. იგი არის კ. წ. ელეატური სკოლის ფუძემდებელი. პარმენიდესი ითვლებოდა ლოგიკური აზროვნების სიმბოლოდ. მისი ლოგიკა ეფუძნებოდა შემდეგ დებულებას: თუკი ჭეშმარიტია მტკიცება, რომ არსი არის, შეუძლებელია ასევე ჭეშმარიტი იყოს მტკიცება: არსი არ არის.

<sup>3</sup> ზენონი ელეატური სკოლის წარმომადგენელი. პარმენიდესის მოსწავლე და მეგობარი.

<sup>4</sup> შდრ. „ოდისეა”, IX, 271 და XVII, 483-487.

<sup>5</sup> შდრ. იქვე, XVII, 485-487.

<sup>6</sup> დიალოგ „ტიმეოსშიც” სოკრატე საუბრობს სოფისტების ფილოსოფოსებისა და პოლიტიკოსებისაგან გამიჯვნის აუცილებლობის შესახებ, რადგან სოფისტებიც მოგზაურობენ ქალაქიდან ქალაქში, გამოცდილნი არიან მჭევრმეტყველებაში (Ti. 19 e – 20 b). ამრიგად, საკვლევი არის სამი რამ: სოფისტი, პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი. სოფისტი განხილულია ამ დიალოგში, პოლიტიკოსი ნაწარმოებში „პოლიტიკოსი“. ფილოსოფოსი, ითვლება, რომ უნდა განხილულიყო ცალკე დიალოგში „ფილოსოფოსი“, თუმცა პლატონს არ დაუწერია ასეთი ნაწარმოები.

<sup>7</sup> ბერძენი მთარგმნელი მოცემულ კონტექსტში ხმარობს ტერმინ „*monos ogo-*“ (მონოლოგი) და ამით თითქოს ხაზს უსვამს მონოლოგისა და დიალოგის მეთოდების ანტონიმიურობას. ანალოგიურია ინგლისელი მთარგმნელის მიღღომაც. იგი მიმართავს ტერმინებს „continuous speech“ (განგრძობითი მსჯელობა) და „method of dialogue“ (დიალოგის მეთოდი). ორიგინალში კი არც ერთი ეს ტერმინი არ არის გამოყენებული.

- <sup>8</sup> ოოდესაც სტუმარი საუბრობს, იმპერფექტუმში იგულისხმებიან პარმენიდესი, ზენონი და მათი მიმდევრები. მსჯელობა საუბრის მეთოდს გულისხმობს.
- <sup>9</sup> აქ ლაპარაკია თანამოსაუბრის ხასიათის მიხედვით საუბრის აგებაზე.
- <sup>10</sup> აქ ეს უტყვი პერსონაჟი, თევტეტოსის მეგობარი, საუბარში არ ერევა. მას ვხვდებით „თევტეტოსშიც“ (Tht. 147 d) და „პოლიტიკოსშიც“ (Plt. 257 d).
- <sup>11</sup> საუბარია კვლევის მეთოდზე. „მენონში“ (75 a) სოკრატე მენონს სთავაზობს ჯერ ფიგურა განსაზღვროს, სანამ განსაზღვრავდეს სიქველეს, რაც მისთვის ვარჯიში იქნება. იგივე მეთოდია „სახელმწიფოში“ (368 d), იმ განსხვავებით, რომ იქ სავარჯიშოდ უფრო დიდი მოდელია აღებული.
- <sup>12</sup> ამის შემდეგ გამოყენებულია დიქოტომიური პრინციპი. დიქოტომია (შდრ. „სახელმწიფო“, 302 e) მიზნად ისახავს უფრო მეტად კლასიფიკაციას, ვიდრე დეფინიციას. ის არის თანამიმდევრული გამორიცხვის მეთოდი.
- <sup>13</sup> მოგვყავს ძველი ბერძნულის ზუსტი, პრკარედული თარგმანი: *eīt oujsian afgein – არსებობაში მოყვანა.*
- <sup>14</sup> ამ დეფინიციისათვის შდრ. „ნადიმი“ (205 b - c).
- <sup>15</sup> ძველ ბერძნულ ტერმინს *mero-* ვთარგმნით როგორც „სახეობას“.
- <sup>16</sup> ძველ ბერძნულ ტერმინს *Iogo-* ვთარგმნით როგორც „არსს“.
- <sup>17</sup> შდრ. აქვე, 218 c და ყურადსაღები მსჯელობა VII წერილში (342 b - 343 d).
- <sup>18</sup> „სოფისტში“ გამოიყენება ორი, ერთმანეთთან სემანტიკურად ახლოს მდგომი ტერმინი: *al ieutikhι* და *aßpal ieutikhι* ორივე ტერმინის საფუძველია ძველი ბერძნული სიტყვა *ai* – ზღვა, წყალი. *aßpaleutikhι* – ზუსტი ეტიმოლოგია დაუდგენელია. პლატონი მას ხუმრობით „უკავშირებს „ზემოთ აქაჩვას“ უკავშირებს (*ajhaspani*), ხოლო ჰესიონისის თანახმად, ეს ტერმინი შეიძლება დაუკავშირდეს სიტყვას *aßpalo-*, რაც „თევზს“ ნიშნავს. პლატონის მიერ წარმოდგენილი ნადირობის კლასიფიკაციის თარგმნისას აქლიეუტიკპვ გადმოგვაქვს როგორც „თევზაობა“, ხოლო *aßpal ieutikhι* როგორც „თევზჭერა“ (შდრ. ინგლისური: *fishing - angling*, ახალი ბერძნული: *al ieutikhι - el koal ieutikhι* (ტერმინის შერჩევის დროს ბერძენი მთარგმნელი ეყრდნობა პლატონის მიერ შემოთავაზებულ ეტიმოლოგიას)).
- <sup>19</sup> აქ შეინიშნება პლატონის ერთგვარი სარკაზმი და ირონია. დიქოტომიის მეთოდი, რომელიც მისაღებია ისეთი მარტივი ტერმინის განსასაზღვრად, როგორიცაა

---

„მეთევზე“, სინამდვილეში გამოუსადეგარია ისეთი რთული ტექნიკური ტერმინის განსასაზღვრად, როგორიცაა „სოფისტი“. პლატონი სერიოზულად არ გამოიყენებდა „მეთევზის“ კვლევის პარადიგმას „სოფისტის“ საკვლევად. სწორედ ამ ირონიის გამო, მოხვდა ომი და ტირანია ნადირობის კატეგორიაში, ხოლო ცოდნა და ხელოვნება ვაჭრობაში. თუმცა პლატონის ამ სარკაზმსა და იუმორს მიღმა იფარება მისი „მეცნიერული სული“. პლატონი იკვლევს, თუ როგორია განხილულ საკითხებთან დაკავშირებით უმრავლესობის აზრი და რა არის მიღებული „საზოგადო ჭეშმარიტებად“. აქ შეინიშნება სატირისა და მეცნიერული კვლევის ერთგვარი ნაზავი.

<sup>20</sup> აქ მეტაფორულად არის მინიშნება სოფისტებზე, რომლებიც მდიდარი ჭაბუკების სწავლებით ირჩენენ თავს.

<sup>21</sup> „სოფისტში“ მოხსენიებული მაამებლობა, რომელიც “მზარეულის გაწაფულობის” მსგავსია (შდრ. “თევეტეტოსი” 173 e), მხოლოდ ნაწილია გორგიასის ოთხგვარი მაამებლობისა (Grg. 464 b – 466 a, 501 a – 503 a, 517 b – 522 e): მზარეულობა, პარფიუმერია, რიტორიკა და სოფისტიკა. სოფისტიკა გამოყოფილია მაამებლობისაგან, რადგანაც ის ასწავლის ფულის ფასად. უკელაზე მეტად პლატონს სოფისტიკაში სწორედ მისი ოპორტუნიზმი სძულს (493 a - c).

<sup>22</sup> სიტყვა *mousikē* აქ გამოხატავს „თავისუფალ მეცნიერებებს“ ფართო გაგებით. ამგვარი მუსიკი ხელოვნების მასწავლებლები ბევრნი იყვნენ ათენში, მაგრამ ისინი მეტწილად უცხოელები გახლდნენ.

<sup>23</sup> იხ. „კანონები“ (Leg. 658 b-d), სადაც ხალხის გამრთობთა შორის დასახელებულია საკვირველებათა მაჩვენებლები (*ton ta; quaumata epiideiknunta*), კომიკოსი, ტრაგიკოსი, რაფსოდი. *quauma* ხშირად არის თოჯინა ან მარიონეტი. „კანონებში“ (Leg. 644 e და შმდგ.) ნათქვამია, რომ ჩვენ ვართ მარიონეტები, რომლებსაც ღმერთები ძაფებით ათამაშებენ. საკვირველმოქმედთა ხელობამ შთააგონა პლატონს გამოქვაბულის ცნობილი ალეგორია (Resp. 514 b).

<sup>24</sup> ეს აზრი გავრცობილია „კანონებში“ (Nom. 731 a).

<sup>25</sup> აღსანიშნავია, რომ ერისტიკას პლატონი ხელოვნებად მიიჩნევს.

<sup>26</sup> *eřistikh-* ის თეო ”ზედმეტი” სიტყვების გამოყენება, როგორიცაა ამ შემთხვევაში ის, არის პლატონისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სტილის გამოვლინება.

<sup>27</sup> მოსაზრება, რომ ფლოსოფია არის სულის განწმენდა, უკავშირდება პითაგორულ სწავლებას და გახვდება “უედონშიც” (Phd. 238 c - e), იგივე იდეა კავშირშია მმართველობის ცოდნასთან “პოლიტიკოსში” (Pol. 239 d).

<sup>28</sup> მოცემულ კონტექსტში პლატონი იყენებს ტერმინებს: *balaneutikhv* (მექისის ხელოვნება), *giatrikhv* (ექიმობა), *spoggistikhv* (ღრუბლით დაბანის ხელოვნება), *farmakoposia* (წამლის დამზადების ხელოვნება). მნიშვნელოვანია, რომ თარგმანშიც ტერმინები გადმოტანილ იქნას მაქსიმალური სიზუსტით, რათა მკითხველისათვის მკაფიო გახდეს პლატონის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის პრინციპები.

<sup>29</sup> წამლის დამზადებაზე პლატონი მსჯელობს აგრეთვე “სახელმწიფოში” (Resp. 407) და “ტიმეოსში” (Ti. 89 c-d).

<sup>30</sup> *ek tino- diafora- diafporan* – ასე იკითხება ეს ადგილი ყველა ხელნაწერში, გარდა გალენოსისა, სადაც არის: *diafpora- diaforan*.

<sup>31</sup> იხ. “კანონები” (Nom. 860 d).

<sup>32</sup> აქ არის ერთგვარი სიტყვათა თამაში *parafrosunh* მიღებულია *thn paraforon sunesin*-დან. შდრ. „კრატილოსის“ ეტიმოლოგიებს შორის *sunienai*-ს გაგებას. ესაა სულის მოძრაობა, რომელიც საგანთა მოძრაობას შეესაბამება (411 e).

<sup>33</sup> იხ. “ტიმეოსი” (Ti. 86 d – 87 b). აღვირახსნილობა ანუ “*akol asia*” უნდა ჩავთვალოთ ავადმყოფობად და არა იმად, რომ ადამიანს ნებით სურს იყოს ბოროტი. სიავგ, ერთი მხრივ, არის მემკვიდრეობითი მის ხასიათთან ერთად, მეორე მხრივ კი, ის დამძიმებულია ცუდი აღზრდით. ამაზე უფრო მეტად პასუხისმგებელნი არიან მშობლები და აღმზრდელები. ნაცვლად იმისა, რომ ვლანდოთ, ასეთი ადამიანი უნდა შევიცოდოთ და გამოვასწოროთ სხვულისა და გონების სწორი გაჯანსაღებით.

<sup>34</sup> ვინაიდან დასჯა გულისხმობს რაიმე მანკიერების, ნაკლის გამოსწორებას, *poinikh tečnih* შეიძლება ითარგმნოს, როგორც გამოსწორების ხელოვნება (შდრ. ინგლისური თარგმანი: corrective art).

<sup>35</sup> შდრ. „თევტეტოსი” (Tht. 168 a, 210 c), „სოკრატეს აპოლოგია” (Ap. 23 c).

<sup>36</sup> საუბარია მხილების მეთოდზე.

<sup>37</sup> ასე მოიხსენიებდნენ სპარს მეფეებს, რომელთა ცხოვრება და სიმდიდრე ითვლებოდა ადამიანური ბედნიერების სიმბოლოდ.

<sup>38</sup> ამავე საკითხს ეხება “სახელმწიფო”, სადაც ხაზგასმულია, რომ მსგავსებაც არანაკლებ დამაბნეველია, ვიდრე განსხვავება და ეს საფრთხეს მხოლოდ იმათოვის არ წარმოადგენს, ვინც იცის შეკრება (*sunagein*) და დაყოფა (*diaireisqai*) (Resp. 454 b).

<sup>39</sup> კეთილშობილი სოფისტიკა ანუ მხილების ხელოვნება გარეგნულად ჰგავს ჩვეულებრივ სოფისტიკას, მაგრამ მისგან განსხვავებით, ის ჭეშმარიტი სიბრძნეა. ტერმინი *doxosofia* გვხვდება “ფილებოსშიც” (Phil. 49 a), ხოლო ტერმინი *doxosofia* – “ფედონში” (Phdr. 275 b).

<sup>40</sup> ამგვარი ანდაზები პლატონთან ხშირად გვხვდება. კამათსაც ბრძოლისა და შეჯიბრების ხასიათი აქვს (Resp. VIII 544 b; Leg. III 682 e).

<sup>41</sup> შდრ. “ტიმეოსი” (Ti. 41 a), არისტოტელეს “ნიკომაქოსის ეთიკა” (Eth. Nic. H, 7).

<sup>42</sup> სოფისტთა დაპირებების შესახებ შდრ. „გორგიასი” (Grg. 456 b – c).

<sup>43</sup> დიოგენე ლაერტელის ცხობით (IX, 55), პროტაგორასი ითვლება ავტორად ნაწარმოებისა „ჭიდაობის შესახებ”. მის რიტორიკულ ნაშრომებზე მიგვითითებს პლატონი “ფედოსშიც” (Phdr. 267 c).

<sup>44</sup> აქ შეინიშნება ერთგვარი ირონია. მართალია, ახალგაზრდებს ბევრად უკეთესი მხედველობა აქვთ, ვიდრე მოხუცებს, მაგრამ ეს საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ მათ უკეთ შეუძლიათ რთულ შეკითხვებზე პასუხი.

<sup>45</sup> შდრ. „გორგიასი” (Grg. 459 a - c), სადაც ნათქვამია, რომ ორატორს არ სჭირდება ცოდნა, საკმარისია მხოლოდ საუბრის ცოდნა. მათ წინაშე, რომელთაც არ იციან, ის, უცოდინარი, უფრო დამაჯერებელი იქნება, ვიდრე ექიმი, რომელმაც იცის.

<sup>46</sup> შდრ. „სახელმწიფო” (Resp. 596 a - 605 b), მიმეტიკასთან დაკავშირებით.

<sup>47</sup> აქ მოჩვენებითი ცოდნა დაპირისპირებულია ჭეშმარიტებასთან, თუმცა იმავდროულად ტერმინი *gnωσθη* დაპირისპირებულია ტერმინთან *ερισθηθη*, ისევე როგორც ტერმინი *αἱ λησταί* მიემართება პროტაგორასის *αἱ λησταί-ს*.

<sup>48</sup> შდრ. „სახელმწიფო” 596 c.

<sup>49</sup> პლატონი სოფისტებს ისეთ ადამიანებს უწოდებს, რომლებიც ფლობენ ბაძვაზე დაფუძნებულ ცრუ ცოდნას. ბაძვაში კი შეუძლებელია იყოს რაიმე სახის ჭეშმარიტება. ამ საკითხზე პლატონი დეტალურად მსჯელობს “სახელმწიფოში”, სადაც ის ამბობს, რომ ბაძვის ხელოვნება შორსაა ჭეშმარიტებისგან (Resp. X 598 b). მიმბაძველს არ აქვს რეალური ცოდნა, რატომაა რადაც კარგი ან ცუდი, მას შეუძლია მხოლოდ იმგვარი სახით მიბაძვა, რომ კარგად გამოჩნდეს უცოდინარ ბრძოში (Resp. X 602 b).

<sup>50</sup> ასაკთან ერთად მოსაზრებების ცვლილებაზე შდრ. „კანონები“ (Leg. 888 a – b), სადაც ნათქვამია, რომ ადმზრდელს სურს ახალგაზრდა კაცს აარიდოს იმედგაცრუება.

<sup>51</sup> ოქრმინი *eἰδὼς οποιοικήντες* არის სინონიმი ოქრმინისა *mimhtikή*

<sup>52</sup> შდრ. „კანონები“ (Leg. 698 c – d), სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ ატყვევებდნენ ერეტრიელებს, სპარსეთის მეფის, დარიოსის, ბრძანებით. მტრები ამბობდნენ, თითქოს სპარსმა ჯარისკაცებმა მთელი ერეტრია ბადით შემოსაზღვრეს. ასევე შდრ. „მენექსენე“ (Men. 240 a – c). ეს ამბავი არ ეწინააღმდეგება სხვაგვარ ახსნასაც, რომლის მიხედვითაც, აქ შეიძლება სიტყვათა თამაში ვივარაუდოთ: *basiliko~, λογο~,* მეფის ედიქტი, ანუ *სუვერენული გონება.* ომის, ნადირობის სახეები და ლოგიკური ოქრმინები მთელს დიალოგში ერთმანეთშია გადახლართული.

<sup>53</sup> იგივე ფრაზა მეორდება სოფოკლეს ორაგედიაში “ოიდიპოსი კოლონოსში” (1024).

<sup>54</sup> შდრ. „ფილებოსი“ (Phil. 41 c - 42 a), განსაკუთრებით კი „სახელმწიფო“ (Resp. 602 b – d). ხელოვნებით იმიტაციასა და ჭეშმარიტებას შორის არსებული განსხვავების საჩვენებლად აქ ჩამოთვლილია მხედველობის ილუზიები. ჩვენი ბუნების სისუსტე აძლევს მეფოქუსეებს თავიანთი ხელოვნების განხორციელების საშუალებას. ასევე შდრ. „ფედონი“ (Phd. 69 b), „სახელმწიფო“ (Resp. 523 b), „პარმენიდესი“ (Parm. 165 c), „თევტეტოსი“ (Tht. 208 e), „პრიტიასი“ (Cri. 107 c), „კანონები“ (Leg. 663 c).

<sup>55</sup> ბერძნულ ტექსტში არის *eἰκὼν* და *eἰκων.*

<sup>56</sup> არისტოტელე “მეტაფიზიკაში” (N, 1089 a) ამბობს, რომ პლატონისათვის *τοι μή οἱ* ნიშნავს ტყუილს – *yeudō~* და ტყუილის ბუნებას.

<sup>57</sup> აქ იგულისხმება საუბრები და პოემა.

---

<sup>58</sup> პარმენიდესის „ბუნების შესახებ” B 7 D. შდრ. არისტოტელეს „მეტაფიზიკა” (1089 a 2).

<sup>59</sup> ეს თეზა წარმოდგენილია, როგორც ბრალდებული, რომლის წინააღმდეგაც მოწმედ გამოდის პარმენიდესი. მაგრამ, როგორც სოკრატე „გორგიასში” (Grg. 471 e - 472 d) წარმოაჩენს, რაც არ უნდა შთამბეჭდავნი იყვნენ მოწმეები და ავტორიტეტები, ისინი დასაბუთებისათვის არ გამოდგებიან.

<sup>60</sup> პლატონი აქ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ორობითი რიცხვის ფორმას იყენებს – *tiner*

<sup>61</sup> ანალოგიური მსჯელობა არის „სახელმწიფოში” (Resp. 478 b) და „თევტეტოსში” (Tht. 188 e - 189 a).

<sup>62</sup> ეს არის დიალოგის ერთ-ერთი საკვანძო ადგილი, სადაც უკვე იწყება იმის ხაზგასმა, რომ არსებული ერთდროულად არსებობს კიდეც და არც არსებობს.

<sup>63</sup> ანალოგიური ჩამონათვალი არის „სახელმწიფოში”: ჩრდილები და გამოსახულებები წყალსა და სარკეში (Resp. 510 a), ქანდაკებები ქვასა და ხეში (Resp. 515 a), ნახატები (Resp. 598 a). თევტეტოსის შეცდომა იმაშია, რომ ის დეფინიციის ნაცვლად ყველაფერ ამას ჩამოთვლის. ასევე შდრ. „თევტეტოსი” (Tht. 146 e, Menon 172 a).

<sup>64</sup> შდრ. „თევტეტოსი” (Tht. 165 a - e).

<sup>65</sup> ძველი ბერძნულის ტერმინი *eikwn* ნიშნავს ხატს და მსგავსს. ვინაიდან ქართულში „ხატის” ერთ-ერთი მნიშვნელობა “მსგავსია”, თარგმნისას ვიყენებთ სწორედ “ხატს”, რომელიც იმავდროულად შეიძლება გააზრებულ იქნას როგორც “მსგავსი” (შდრ. „სოფისტის” ინგლისური თარგმანი, სადაც *eikwn* ითარგმნება როგორც *likeness*).

<sup>66</sup> მინიშნება მითოლოგიურ ასთავიან ჰიდრაზე, რომელიც ჰერაკლემ დაამარცხა. „ევთიდემოსში” სოკრატე სოფისტს ჰიდრას უწოდებს (Euthd. 297 c).

<sup>67</sup> პარმენიდესი აქაც და შემდგომაც „მამად” მოიხსენიება, რადგან ის ელეელთა სკოლის წინამდლოლი იყო.

<sup>68</sup> აქ პლატონი, მსგავსად არისტოტელესი (Metaph. A, 6, 987 b), ხაზს უსვამს იმას, რომ უწინდევლ ფილოსოფიაში დიალექტიკას ადგილი არ ჰქონდა.

<sup>69</sup> ოოგორც ფიქრობენ, აქ იგულისხმებიან იონიელი ფილოსოფოსები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბუნებაში მოქმედებს სამი კოსმოგონიური ძალა: ზეგსი, ქრონოსი (cronos) და მიწა (cponia).

<sup>70</sup> აქ უნდა იგულისხმებოდნენ ნატურფილოსოფოსები, რომლებიც ყველაფრის საწყისად ”ცივისა” და ”ცხელის” ურთიერთქმედებას მიიჩნევდნენ.

<sup>71</sup> ქსენოფანეს კოლოფონელი (VI – V სს.) – ელევლთა სკოლის ფუძემდებელი. მისი აზრით, არსებული ერთიანი, უცვლელი, უძრავი და შემოსაზღვრულია.

<sup>72</sup> სიცილიელ მუზებში იგულისხმება ემპედოკლესი, რომელსაც ეკუთვნის სწავლება სიყვარულსა და ბოროტებაზე და რომელიც სიყვარულს მიიჩნევდა ყველაფრის გამაერთიანებელ ძალად.

<sup>73</sup> მკაცრ მუზებში იგულისხმება ჰერაკლიტესი, რომელიც მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა ანტინომიურ წყვილებს, როგორებიცაა ”მთელი” და ”არამთელი”, ”მსგავსი” და ”არამსგავსი” დ. ა. შ.

<sup>74</sup> იხ. პარმენიდესის „ბუნების შესახებ” (28 B 8).

<sup>75</sup> იხ. „პარმენიდესის” მეორე პიპოთეზა (Parm. 145 a).

<sup>76</sup> დასაბუთება მიდის via negationis მეთოდით, როგორც „პარმენიდესის” პირველი პიპოთეზისა (Parm. 137 c).

<sup>77</sup> აქ ირონიულად არის გამოხატული ფილოსოფიური სკოლების კამათი, როგორც ოლიმპიელი ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლა ჰესიოდეს „თეოგონიაში” (674-719). კინიკოსთა სენსუალიზმი შეპირისპირებულია მეგარელთა უკიდურეს იდეალიზმთან.

<sup>78</sup> აქ მიწა და ზეცა ერთმანეთთან დაპირისპირებულია და ზეცა მოიაზრება უხილავად. ”სახელმწიფოში” პლატონი ზეცას ხილულის კატეგორიაში ათავსებს (Resp. 509 d).

<sup>79</sup> შდრ. ჰესიოდეს ”თეოგონია” (675-715).

<sup>80</sup> შდრ. ”კანონები” (Leg. 663 c).

<sup>81</sup> ირონიული შედარება მითოლოგიურ „სპარტებთან”, რომლებიც მიწიდან იშვნენ, კადმოსის მიერ დრაკონის კბილების დათესვის შედეგად. „რომლებიც შვა მიწაზ” – ეს ათენელებია, რომელთა პირველი მეფე კეკროპსი იყო „ავტოხოონი” (თავად შობილი მიწიდან), რომელსაც ჰქონდა ნახევრად – ადამიანის, ნახევრად – გველის ტანი.

<sup>82</sup> შდრ. ის, რაც არ შეიძლება იყოს აზროვნების ობიექტი, არ არსებობს (Soph. 248 e) და, რაც სრულიად არსებულია, ის მთლიანად ობიექტია (Resp. 477 a).

<sup>83</sup> სიტყვა eίδος ამ კონტექსტში იმის გამომხატველია, რომ აქ ხსენებული ადამიანები სოკრატესთან ახლოს მყოფებად მოიაზრებიან. ესენი არ უნდა იყვნენ არც კინიკოსები, არც კირენელები. ითვლება, რომ აქ უნდა იგულისხმებოდნენ სოკრატელები, რომლებსაც აქვთ ელეატური და პითაგორული სკოლების ზეგავლენა. იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იგულისხმებიან “იდეათა მეგობრებში”, არსებობს შემდეგი მოსაზრებები: 1. პლატონი, რომელიც გაკრიტიკებულია უცნობი ავტორის მიერ და ეს ნაწილი არაავთვენტურია (ს. ვინდელბანდი) ან თავად პლატონი აკრიტიკებს საკუთარ თავს (ლ. გომპერცი, ვ. ლუტოსლავსკი); 2. პლატონიკოსები, რომლებიც ჩამორჩნენ პლატონს (პ. ნატორპი, ლ. კემპბელი); 3. მეგარელები (ფ. შლაიერმახერი, ე. ცელერი, ა. აპელტი); 4. პითაგორელები (ი. ბარნეტი); 5. ელისელები (ჟ. დიუსენი). ფ. კორნფორდის აზრით, აქაც ზოგადად უნდა იგულისხმებოდეს ყველა ის იდეალისტი, რომელსაც სწამს უხილავი, ნოეტური სამყაროს არსებობისა.

<sup>84</sup> როდესაც უცხოელი გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს, შესაძლოა, ისინი მის თანამედროვე ელეატებს ეკუთვნოდეს. ხოლო, როდესაც პლატონის მიმდევრებზე არის საუბარი, შესაძლოა, აქ უცხოელი თავად პლატონის მოსაზრებებს გამოთქვამდეს.

<sup>85</sup> შდრ. „გორგიასი“ (Gr. 476 b და შმდგ.). განცდისა და უძრაობის ოპოზიცია ზემოთაც იგულისხმება (Soph. 248 b - c) და პირდაპირ არის გამოთქმული „ოეეტეტოსში“ (Tht. 156 a).

<sup>86</sup> შდრ. „კრატილოსი“ (Cra. 431 b - c), „ფედროსი“ (Phdr. 275 c).

<sup>87</sup> საინტერესო ადგილია ბგერწერის თვალსაზრისით: mhdeni; peri; mhdeno- eihai mhdamou.

<sup>88</sup> შდრ. არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ (Metaph. 1012 b 23). ეს ადგილი სხვებთან შედარებით ბუნდოვანია, განსაკუთრებით კი პარალელი ბავშვებთან. აქ, ალბათ ის უნდა იგულისხმებოდეს, რომ როდესაც ფილოსოფოსს პკითხავ, არსებული მოძრავია თუ უძრავი, ის გიპასუსებს „ორივე“, როგორც ამას აკეთებენ ბავშვები.

<sup>89</sup> აქ უნდა იყოს მინიშნება ეგალიდესის გამონათქვამზე, რომ “ერთს სხვადასხვა სახელს უწოდებენ”.

<sup>90</sup> შდრ. არისტოტელეს „ფიზიკა” (185 b 25).

<sup>91</sup> აქ მინიშნება უნდა იყოს ანტისთენესზე, ან თუ პერსონალურად ანტისთენესზე არა, იმ ადამიანებზე, რომლებიც ირონიულად მოიხსენებიან “უვთიდემოსში”.

<sup>92</sup> საინტერესო ადგილია ბგერწერის თვალსაზრისით: *prwton mhdeni; mhden mhdemian dunamin ekein koinwnia~ ejt mhden*.

<sup>93</sup> ეს ადგილი უნდა მიანიშნებდეს ემპედოკლესია (eij merei) და პერაკლიტოსზე (aiei), მაშინ როცა სიტყვები ეჯ ესორ მიემართება უფრო ადრინდელ იონიელ ფილოსოფოსებს, როგორიცაა ანაქსიმენესი.

<sup>94</sup> აქ პლატონი ერთად კრებს სამ ოპოზიციას: მოძრაობასა და უძრაობას, ერთსა და მრავალს, იგივესა და სხვას, ანუ „თეოტეოსს”, „პარმენიდესსა” და „სოფისტეს”.

<sup>95</sup> მისანი, რომელიც თავის თავს თვითონ უწინასწარმეტყველებდა ბოროტებას.

<sup>96</sup> შდრ. პლოტინის „ენეადები” VI, 2, 7.

<sup>97</sup> ასოების ანალოგია იხ. ატომისტებთან, არისტოტელეს „მეტაფიზიკაში” (Metaph. 985 b 15), „წარმოშობისა და მოსპობის შესახებ” (315 b 6), „კრატილოსში” (Cra. 393 d, 422 c – 426 d), „სახელმწიფოში” (Resp. 368 d), „ფილებოსში” (Phlb. 17 a – 18 e).

<sup>98</sup> აქ ხმოვნები განასახიერებს უმაღლეს იდეებს: არსებული, იგივეობა, სხვა.

<sup>99</sup> ტერმინი *geno~* ხშირად გამოიყენება ტერმინ *eido~* ის საპირისპიროდ როგორც ამ დიალოგში, ისე “პარმენიდესში”, „ფილებოსში”, „კანონებსა” და “ტიმეოსში”.

<sup>100</sup> შდრ. “თეოტეოსი” (Tht. 172). მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი არ მონაწილეობდა წინა დღეს წარმართულ დიალოგში, აქ მინიშნებაა ფილოსოფოსის ცხოვრებაზე, რომელსაც სოკრატე აღწერს “თეოტეოსში”.

<sup>101</sup> *kaqarmoi* - წმინდა, რომელსაც არ ერევა არაფილოსოფიური იდეები. შდრ. “ფედო” (Phd. 65 e, 67 a - b, 69 b).

<sup>102</sup> მინიშნება დიალოგ “ფილოსოფოსზე”, რომელსაც წესით უნდა შეეჯამებინა ”სოფისტისა” და ”პოლიტიკოსის” შედეგები. თუმცადა, ფრაზა “თუკი მის ძიებას შევუდგებით”, შესაძლოა, მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ პლატონი ამგვარი დიალოგის დაწერას არ აპირებდა.

- <sup>103</sup> აქ ჩანს პლატონის განზრახვა დაწეროს დიალოგი, რომელშიც წარმოგვიდგენს ფილოსოფოსის განსაზღვრებას.
- <sup>104</sup> ანუ არც იგივეობრივია, არც განსხვავებული.
- <sup>105</sup> არსებულის ეს ხუთი გვარი მოგვიანებით გადაიღო პლოტინოსმა, რომელმაც შეცვალა უმაღლესი ჭეშმარიტების გვარების სისტემა და უპირატესობა მიანიჭა ამ 5 გვარს “ფილებოსის” სამმაგი არსებულის გვართან ერთად. იხ. პლოტინოსის (E, b. 1, Z, b. 2)
- <sup>106</sup> ძველი ბერძნულის ორი უარყოფითი ნაწილაკი თქვ და იუქართულში „არ” ნაწილაკად გადმოდის.
- <sup>107</sup> ამის შემდეგ მსჯელობა წარმოადგენს დაწყებული დისკუსიის რეზიუმეს.
- <sup>108</sup> გ. წ. ერისტიკოსები თანამოსაუბრებებს წინააღმდეგობაში აგდებდნენ, ამტკიცებდნენ რა, რომ ერთი და იგივე რაღაც ერთდროულად არსებობს და არ არსებობს. პლატონმა გამოავლინა ამგვარი წინააღმდეგობები, რაც მოგვიანებით სოფიზმების სახელით გახდა ცნობილი.
- <sup>109</sup> „ყველაფრის ყველაფრისაგან გამოყოფა” ანუ ცალკეული ცნებებით ოპერირება, რომელიც საერთომდე არ ადის, დამახასიათებელი იყო სოფისტებისათვის, რომლებსაც პლატონი „გაუნათლებლებად” და „არაფილოსოფოსებად” მიიჩნევს.
- <sup>110</sup> ეს შეხედულება არის მთელი დიალოგის გასაღები. სოფისტის მთავარი მახასიათებელი არის კ. წ. ანტილოგიკა უარყოფის ხელოვნება. ანტილოგიკური დიალექტიკის წყალობით სოფისტი ახერხებს თავის დაღწევას და ისე დამალვას, რომ ვერ გაარჩიო სად არის მისი ჭეშმარიტი ადგილი.
- <sup>111</sup> საინტერესო ადგილია ბგერწერის თვალსაზრისით: eij sunecwrhlsamen mhdenian eiħai meixin mhdeni; pro- mhden.
- <sup>112</sup> პლატონი აქ probi hma-ს ორმაგ მნიშვნელობას იყენებს, ერთი – წინააღმობა, მეორე – დაბრკოლება, ბარიერი, რომელიც მსჯელობაში ჩნდება.
- <sup>113</sup> შდრ. „კრატილოსი” (Cra. 422 e - 423 e).
- <sup>114</sup> სახელი და ზმნა აქ არის არა გრამატიკული, არამედ ფილოსოფიურ-დიალექტიკური დაყოფა მოქმედ პირად და მოქმედებად. ამ ორი კომპონენტის შერწყმა ქმნის მეტყველებას. შდრ. „კრატილოსი” (Cra. 425 a, 431 b - c).
- <sup>115</sup> შდრ. არისტოტელეს „კატეგორიები” I A, 16-19, „პერმენევტიკა” II, III თავები.

---

<sup>116</sup> შდრ. „თევტეტოსი” (Tht. 160 a).

<sup>117</sup> სიტყვათა ამგვარი კავშირისათვის შდრ. ზემოთ (Soph. 240 b, 254 d), „თევტეტოსი” (Tht. 189 c - d).

<sup>118</sup> აზროვნებისა და აზრის ამგვარი დეფინიციისათვის შდრ. „თევტეტოსი” (Tht. 189 e - 190 a).

<sup>119</sup> საინტერესო ადგილია ბგერწერის თვალსაზრისით: dia; to; mhdamw~ mhdepote mhdamou~ yeudo~ eihai.

<sup>120</sup> მეტყველებაში მიმეტიკის შესახებ შდრ. „კრატილოსი” (Cra. 423 a-b).